8(05)
Ж-601

ჟვიდი ანკოლური



1919

ᲝᲕᲘᲓᲘ ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲡᲘᲪᲪᲮᲐ-ᲮᲐᲑᲨᲘᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

№ 1

ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

1919.

ბიბლიოთეკიდან
ეფიმრიან. ალიბეგრ. ანჯაფარიძის

წინასიტყვაობის მაგიერ.

რომ ჩვენი ქვეყნისათვის ვრცელი და ფართო შინაარსიანი პერიოდიული ორგანო საჭიროა, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

მეორე მხრით, ვინ არ იცის თუ რა სიძნელეს წარმოადგენს დიდი ჟურნალის გამოცემა საზოგადოთ და ჩვენს დროში კი განსაკუთრებით.

ამ დარგში მრავალმა ცდამ, რომლებმაც ჩვენ თვალწინ გაიარა, დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ ძლიერ საზოგადოებრივ დაწესებულებას შეეძლო ეკისრა ამ საჭირო, მაგრამ საძნელო საქმის მოგვარება...

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა და სხვა ცხენიკურ დამრკოლებათა დაუსრულებელ რიგს, რომლის გადალახვა, ვიმედოვნებთ, შესაძლებელი იქნება, „ჩვიდი მნათობის“ მუმავალი დამოკიდებულია ყველა ჩვენი შემოქმედებითი ძალების აქტივობაზე.

ჩვენთვის არ არის საიდუმლო, რომ პირველი ნომერი შეიცავს მრავალგვარ წაკლს, მაგრამ ჩვენ არ გვიტყსს გულს ეს გარემოება, რადგანაც გვჯერა, რომ საზოგადოების ყურადღება და თანამშრომლთა საქმისადმი სიყვარული თანდათანობით დააყენებს ჟურნალს სათანადო სიმაღლეზე.

სარედაქციო კოლეგია.



1



ლოცული.

რგოლიდან: „აღმოსავლეთის ლეგენდები“.

1.

რთსელ ღმერთი ბაღს ეწვია და ყოველსა ეწინაპრეს
დაავლერდა იქვე. მუჩქთან ყვავილების ფოთრ მდინარეს:
ესიამა რომ ყვავილებს გადაეთრთოთ ერთმანეთი
და აწითლდა მწვანილეთში მწვანილების სიმწვანეთი.
სთქვა თქვ: „მწამდა, რომ დღესნამდე არვინ სჯობდა ადამიანს—
და მოვსცდეადი! ჰა, შესედეთ თუნდ ამ ლოცვასს სველს, ლამიანს:
რა ნაბია! რა სალუქი! და მის სპეტაკ ფოთოლთ თანეებს
მზის ყვითელი ამოსუნთქვა ვით არსეულს და აალმასებს!
ნუ თუ მე ღმერთს არ შაქვს ბალა, აღარა ვარ მე ძლიერი,
რომ ამ ვარდის ნეშოეთით შეექმნა არსი სულიერი!“
სთქვა და, მართლად, წყლის ლოცვისი, ამოლცილი ცაში მეტეტალად,
შეიარსა და ღვთის წინაშე გადიშალა ქალწულ ქალად.
„დღემდე იყავ—ითხრა ღმერთმა—შენ მდინარის მუნჯი შვილი:
სან სიოსგან შეზნექილი, სან მზის სსივეთ ჩანასსვილი—

★ ★ ★ ★ ★ ★ ★

მაგრამ დღეს კი, ჰე ღოცოსო, მე შეძლავრ ღმერთმა დაგრთე ნება,
რომ გქონოდა სული ღვთისა, ყოფილიყავ ღვთის მშვენება;
სთქვი გსურს რამე? გამენდეკი: რა გასარეკს, რა გაწესებს,
სთქვი და მინად აგიშენებ ისეთ ოქროს ალაჩესებს,
რომ მის ეფსიით მზიურ მთვარემ,—ცას რო აკრავს სალთად, ომლად,—
გადაადგნოს თავის შუქი შენი ჯოშკის შესამკობლად.
,,ას!'' სთქვა ქალმა და ეს თქმული- იყო ისე ცვმილი, ფერთსილი,
ჯით ლანგარზე დაწყობილი არამეთის სმელი სილი.
,,ას, ეფალო, მე სესცი ვარ, დარცსენილი, მონაკრძალი,
არ მაქვს სული ვაშკაცისა, არ მაქვს ღონე, არ მაქვს ძალიჯ
მართალია: მომაშორე წყლის ონტოფა, ცეცის ეელი;
მართალია: მე, ღოცოსი, გავსდი ფერად სორცეელი—
მაგრამ მაინც ვერსად ვისმენ სმას ცვმილსა და სმა საამოს,
სისუსტე და სიაზიზე თან გამოჰყვა ჩემსა სამოს;
მზის ნამწვი და ელვის თმენი დღესაც მცანჯავს, დღესაც მზარავს,
სად, სად მომცემ მეფერო მინას? სად, სად მომცემ მეფერო კარავს?
—გინდა მინად მთის მწვერვალი, მთის კვერნაქი ასოვანი,
საიდანაც მოსჩანს ზღვა, ცა სურათოვან-ასოვანი?
—ოჰ, არა მსურს,—და ღვთის მესლთან ქალმა შიშით დაიბნიქა,—
იქ გრიგალი დანავარდობს და ნამქერი ესცვენს იქა!
—მაშ ცმის გულში მოგცემ მინას იქ ლსენაა, სსიეთა რთველი:
აგიშენებ სუთოს ჯოშკსა და იცსოვრე უშფოთველი!
—ას, არ მინდა! არა! არა! იქ რა ანის შესაყვარი—
ღენიადაგ ცმაში სუფეეს: გველ-ვეშაპი, თეეზი, მეკარი.
—ჯარგი, ჩემო, რადგან ეძებ ადგილს ჩემს და ეზრენველსა—
მაშ გაჩენქებ თვალშეუჭალ ლამაზ ველსა... ლამაზ ველსა...
—აჰს, არ მინდა ეს შორეთი! იქ სიცოცხლის იალქანებს
მოაზაცე ქარ-სორშაკი მოაქანებს-მიაქანებს.
—მაშ რა გიყო, ჩემო სულო, რით დაგიცვნო, რით სურვილი—
გინდა მერთა აკლდამები კლდის ქვაბებით აღჭურვილი?
—ას, იქ მნელა... მნელა... მნელა... იქ ვეშმოა კლდის ქარაფი,
იქ არა სჩქეფს სიყვარულის თრიალი და მაშარაფი.—
სთქვა და... შედგა, ჯით ისარი მარჯვე სულით მონასვედრი.
ღმერთს სცანჯავდა გაკვირვემა და ქალწულს კი თავის სვედრი.

2.

აისი აქვს აღმოსავლეთს. ასიმღერდა ფერჭე ფერი.
დილამ ღამეს მიაძახა: «დაგშარსეთო მელჩემელი!»
ცის სივრცეში ფრინველთ ბეღემა ისე იყო გაფანტული:
თითქოს ღმერთმა ბერტილემად აღნიშნათ თავის თქმული.
სვეის ნისლი მთას ეწვია, აიმართა ჯიმე გრძელი
და დამკვიდრდა ორტაბასი ქერუანტელის გამღვიძელი.
მაგრამ ღმერთი ისევ ისე ფიქრს მისდევდა, ფიქრს შესაწყსს,
და ქალი კი ფესჩადრეკილ ჯალაჯ ელოდა ღვთისგან პასუხს.
და ჯერ ნიავს ზღვის მაქმანი არც კი ჰქონდა მთლად ნასული,
რომ ღმერთს შორით შემოესმა სმა თმილი და გაშასული.
«ეს მგოსანი მოდის აქეთ!» სთქვა ღმერთმა და აღსდგა ზეკით:
«დილის მთიემს აგემეშდა თავის სმეშის აღშაკშეკით.»
ჰკენესდა სიმი ავილისა, სჩქეფდა მგოსნის ცეშილი ბნომა
და მუნეშას ეძლეოდა ცის და მიწის გამოცნომა.
მგოსანმა კი რა შესედა სორცაკრეფილ მაღჩის ეკავილს:
სიმს მიბრაფი მიაცესა, ააწყვიცა სიმი ავილს,
ქვეფერ სვეცად გადაიქცა, ვეღარა სთქვა თავის ანა,—
და რომ ღმერთსა მგოსნის გული სიყვარულით დაესაჯა
ფთსრა ქალწულს: ჰა! ბლიეს! ეპოვე! აგისრულე შენც ნდომა და:
მგოსნის გული მომიცია მინათა და სადგომათა.
და გაიღო მგოსნის გული. და ლოცოსი, ღვთის ქალწული,
და ლოცოსი, ღვთის ქალწული, ბილბერთალი და დაქანცული,
დასაკანად მგოსნის გულში ისწრაფოდა ნელინელად:
რომ შეჰკიკლა ეცამედად, მკვეთრად, მიბეჭ-ანესნელად:—
—ეს, არ მინდა, შეუფეთ, ეს, არ მინდა არც ეს მინა!
—როგორ! ნუ თუ მგოსნის გულმაც შეგაკრთო და შეგაშინა?!
—ამა, ღმერთო, რად მიმოძე მე ეს მინა-შესაფარი—
ამ ერთ გულში შეუფეთ, ყველაფერი ერთად არი:
მთის მწვერვალი—სადაც ცრია თოვლ-ყინულის ციდი ფსვნილი,
ცმის ფუსკრული—ქვეწარმავალ ნიანგემად გარდაქმნილი;
ველ-ედამნო, სადაც ქარი შემაკრქოლემს, შემაციემს,
და გვარაში, სადაც მზეც კი ვერ ჩაწვდენს თავის მთიემს.—

ას, არ მინდა, ღმერთო! ღმერთო!..

—ცმის ქალწულო, ყური მიგდე:

შენ შენს სვედრსა, მედგეთილო, ნდა ჩუმად შეურიგდე—

თუ მაგ გულში—მგოსნის გულში—თოვლია და ჰყინავს ძალზე:

შენ მაისი დაამყარე მგოსნის გულის ცივ მწვერვალზე;

თუ იგია ცმის უფსკრული და მიცემ გაქვს ჯრმალვა-ტიდი:

შენ მექმნები გაჩინე სოქალი და მარგალიტი;

თუ ველია, ფართო ველი, სრიოზი და სან-დაბმული:

მოაშენე სიყვარულის ყვავილემი დარაბმული;

და თუ იგი გვირაბია, უსსიკო და უმალასო:

მზეც აშუქდი, რომ სიმნელე გაჰფანტო და გადალასო»...

. . . . . .

და მას შემდეგ, მეგომრემთ, მგოსნის გულში რომ ჩავსედე—

დავინახე: ტრფობა, მტრობა, სინაზე და სითავსედე.

და თუმც იგი ამ ოთხ გრძნობას სათითაოდ ეურჩემა,

მაგრამ მაინც მგოსნის გულში ქალის გული მუდამ რჩემა.

1919 წ. ედაქალაქი. ი. გრიშაშვილი.

ლევ ქიაჩელი.

მკვლელობა პოხტა-ბორაკზე.

ამ მკვლელობის ისტორია ცოტა არ იყოს უცნაურია. ჩემს გარდა დღემდის იგი არავინ იცოდა. ყველას ეგონა, რომ ქართულ საზოგადოებაში კარგად ცნობილი ახალგაზდა მასწავლებელი ქალი №, ჩემი სატრფო და საცოლო, მსხვერპლი შეიქმნა თვისი სუსტი გულისა, რომელმაც ვითომ კოხტა-გორის სიმაღლე ვერ აიტანა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ გასული წლის ივლისის შვიდს კოხტა-გორაზე ჩემთან სეირნობის დროს გულის სისუსტის მიზეზით უცებად გარდაიცვალა ჩემი სათაყვანებელი და ხსენებული წლის ბაკურიანის სეზონის დამამშვენებელი №. იმაზედაც იყო ყველა დარწმუნებული, რომ მე ამ უბედურებას ვერ ავიტანდი და, თუ თავს არ მოვიკლავდი, ჭკუაზე მაინც უთუოდ შევცდებოდი.

წარმოდგენილი მაქვს მოაგარაკეთა სახეები, როცა იმ საბედისწერო საღამოს კოხტა-გორიდან დავეშვი ბაკურიანში უკიდურესად შეშფოთებული, უბედურებისა და შიშისაგან ზარდაცემული, და შემდეგი ჩემთვის მაშინ სრულიად მოულოდნელი და განსაცვიფრებელი სიტყვებით მივმართე ხალხს:

—მოქალაქენო, დავიღუპე!.. მეგობრებო, მიშველეთ!.. ახლა, ამ საათში კოხტა-გორაზე სული დალია ჩემმა №!.. ჩემ თვალწინ, ჩემს ხელებზე განუტევა სული ჩემის ცხოვრების ვარდმა!.. როგორ მოხდა, არ ვიცი! ის ღა მოახსწრო, რომ გულზე ხელი იტაცა და წამოიკვნესა „ვაიმე“... და... და გადამტყდარი ლერწამივით ჩამეკონა... და უკვე აღარ იყო... დიახ, უკვე აღარ არის... ჰმ... მაგრამ... იქნება, ვცდები... წამოდით, ვინ ხარ ექიმი, ნუ აყოვნებთ!...—

თვალწინ მიდგას სურათი, თუ როგორ დაიძრა ხალხი—დიდი და პატარა კოხტა-გორისკენ. როგორ ახმაურდნენ ნაცნობ-უცნობნი და რა თვალითა და რა გამომეტყველებით ცდილობდნენ შეეხედნათ ჩემთვის სახეში. ჯერ ეჭვი შემეპარა, ხომ არ მცდიან მეთქი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ სწუხდნენ, ხოლო ახლაც არა მაქვს გარკვეული, თუ რას სწუხდნენ? იმას, რომ ახალგაზდა ქალი დაიღუპა, თუ იმას, რომ ასეთი დიდი უბედურება დატრიალდა ჩემს თავზე... თუ არც ერთსა და არც მეორეს, და მათი წუხილის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ პირადად არ მიეცათ შემთხვევა ყოფილიყვნენ მოწ-

მენი, დამსწრენი მომხდარი უბედურებისა.—ყოველ შემთხვევაში მე თავი ისე მეჭირა, როგორც წინასწარ მომზადებულს ასეთი შემთხვევისთვის.—

თვით მკვლელობის ამბავი ამნაირია:

მე და ჩემი სატრფო-საყვარელი იმ დღეს ბაკურიანიდან კოხტა-გორაზე ავ-ელით. ასვლა სრულიათ არ გაგვჭირვებია. არ გაგვჭირვებია იმიტომ, რომ ახალ-გაზდები ვიყავით, შეყვარებულიცა, და გარემოც ისეთი იყო, რომ რამდენსაც წინ მივიწევდით, იმდენი ფრთა გვესხმოდა, ძალა გვემატებოდა.

ჩემი თანამგზავრი შეუდარებელი იყო. მთის შველივით მიდიოდა ბილიკის გაყოლებაზე. ხშირად გადაუხვ-გადმოუხვევდა კიდეცა, სახიფათოდაც გაივლი-და განზრახ, რათა თვისი უნაკლო ჯანსაღი ტანის ხაზთა მომხიბლავი კრთომა თამაშით მოვეჯადოვებინე.—არა ერთხელ მომაგონდა სოლომონ ბრძენის უკ-დავი შედარება: ჩემი სატრფო ცხადად მინამდვილებდა კომლის სვეტის რხევას.

როდესაც კოხტა-გორის თხემს მოვექეცით, ხელი მოვხვიე წელზე საყვა-რელს და ვუთხარი:

—როგორც კოხტა-გორა ბაკურიანის გარს მდებარე გორათა შორის, ისე შენ ქართველ ასულთა შორის, ფრთა შლილო ალო ჩემი სულისა! დადექ ახ-ლა, დაისვენე. მაკმარე შორით აღტაცება, შემასვი სიტკბო შენის ახლო ალერსისა, შემასმინე მუსიკა შენი სიტყვების და აღმავსე შენის ხმის ღვთიურ ჰანგებით!

—კი?.. მაშ გაკოცებ!—მოჭრით მიპასუხა სატრფომ და მთრთოლვარე ტუჩებით სწვდა ჩემს ტუჩებს. მისი კოცნა ისეთი ვნებიანი იყო, როგორც მზე მთაზე. დავიწვი მისგან. საამო ცეცხლის სანატრელი რკალი შემომერტყა ტანს, და სულმა ჩემმა ნეტარების ცაში კამარა შეჰკრა...

... და მთელმა ჩემმა არსებამ მთელის თვისი ძალ-ღონით წარმოსთქვა:

—კურთხეულ იყოს სიყვარული, ვინაიდან იგი ერთად ერთი სიხარულია ამ ქვეყნად! ყველგან მიწვდა ჩემი სიტყვა და ყოველ მხრით გაისმა ათას ჰანგზე და ათას ხმაზე:

—კურთხეულ იყოს სიყვარული, ვინაიდან იგი ერთად ერთი სიხარულია ამ ქვეყნად!!...—

...პატარა ბუჩქის ჩრდილში ვისვენებდით ბევრის ალერსისა და ჭიკჭიკ-საუბრის შემდეგ. ჩემი სატრფო მკერდგაშლილი პირაღმა იწვა და თვალებ და-ხუჭული საკუთარ ოცნებას მისცემოდა,—სთვლემავდა. მისი ნამთვრალევი თეთ-რი ღია გულმკერდი ახლა ცივად მიყუჩებულიყო და გამოუცნობელი იდუმა-

ლებით უსმენდა რაღაც შორეულს. ისე გულჩათხრობილი და მიუკარებელი სჩანდა ჩემთვის, როგორც ჩემს პირდაპირ შორს, შორს ცას მიწვდენილი მყინვარი.

მე გვერდით უჯექი სატრფოს და ჩუმად დავსცქეროდი მის სახეს. ისეთი წამი იდგა დუმილისა, რომ ვერც ერთი სიტყვა ქვეყნად ვერ გაბედავდა მის დარღვევას. არ ვიცი რისგან, მაგრამ ვიგრძენი კი, რომ ჩვენი ფიქრები გაყრილიყვნენ. ალბად სატრფოს სახეზე გამოიხატა, რომ მეცნობა მისი გულის სიშორე, სხვაგან ყოფნა მისი.

არც ღამისებრ წამწამებით დაფარული სატრფოს თვალები, არც მისი ვარდად შლილი ლოყები და ოდნავ გაპობილი ლალის ტუჩები დილის ცისკრისებრი კბილებითა, არცა მისი ჯადოდ სხმული კისერი და მარმარილოთ ანაგები გულმკერდი—ცხადი იყო ჩემთვის, მე არა მგრძნობდნენ.

მარტოდ ვიგრძენი თავი. გულზე ნაღვლიანმა ფიქრმა შხამი დამასხა. ბედნიერების წიაღიდან უცებ უბედურების უფსკრულში ჩავარდი. უხმო ამოოხვრით შევიმსუბუქე ტკივილი.

—ღმერთო ჩემო,—გავიფიქრე,—ესოდენი ნეტარება წუთის წინ, ესოდენი ლტოლვა ერთმანეთისადმი და ერთობა ხორციელ-სულიერი და... ახლა კი...

ათასნაირმა წარმოდგენამ ფრთა გაშალა ჩემში.. ათასნაირმა ბრმა აზრმა. გამკრა კლანჭი.

„იქნება, ვინმე სხვა უყვარდა ჩემს სატრფოს და ახლა იმაზე ფიქრობს?.. იქნება, მისი გული მოწადინებულია სხვა შეიყვაროს?.. იქნება, უკეთესი სურს და მასზე ოცნებობს იდუმალ?!

ეს უკეთესი, იქნება წარმოდგენილიცა ყავს?!..

მიმოვავლე თვალები გარემოს.—ცაც მშვენიერი იყო, მთაცა, ტყეც, ყვავილებიცა და ბალახ-ბულახიც... სიხარულის სიო დაფარფატებდა ყველგან და ბედნიერების ჩუმი გალობა მოისმოდა ყოველ მხრით.

მხოლოდ ჩემი სული იდგა განზე და საწამლავ ნაღველს ანთხევდა გარშემო.

ვიგრძენი რომ ღირსი არ ვიყავ იქ ყოფნისა. უთუოდ უნდა გამეწყვიტა ფიქრის თოკი და სხვა საგანზე გადამეტანა აზრი, თორემ საკუთარი გესლისაგან მოვიშხამებოდი.

თავი ჩავქინდრე.

მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ კოხტა-გორა მოფენილი იყო სამყურა ბა-

ლახითა. ჩემი ყურადღება ახლა ამან მიიპყრო. ხელი გადუსვი ზედაპირზე ლამაზ ბალახს ნიშნად მისალმებისა. მანაც მომიბიბინა.

უცებ მომაგონდა: ჩვენი ხალხი იტყვის, რომ ვინც სამყურა ბალახში ოთხყურიანს აღმოაჩენს, მას ყოველი ნატვრა აუსრულდება და ბედნიერი იქნებაო. გამიხარდა. მოგონებისთანავე ჩემი თვალების ხედვის მთელი ძალა მიწაზე გაერთხა.—თითეულს სამყურას გულის კანკალით ვსინჯავდი ერთიდან მეორეზე გადავდიოდი, ორივე ხელით ვმუშაობდი.

დიდს ხანს ვეძიე აგრე, მაგრამ ამაოდ. ახლა შელოცვაც მომაგონდა. მყისვე შეულოცე, როგორც გამეგონა ძიძისაგან... მაგრამ ესეც ტყუილი ცდა გამოდგა.

ისიც იყო იმედი დავკარგე, რომ თვალი მოვკარი ჩემი სატრფოს ახლობლად არა ჩვეულებრივი ზომის, თითქო ჩემთვის საგანგებოდ ამოსულს ოთხყურიან ბალახს.

თითქოს შევკივლე სიხარულისაგან და მისკენ გავექანე. სწრაფად ამოვიღე ჯიბიდან საფულე, რომელშიაც ძველი ქართული თეთრი მეგულებოდა. —ვიცოდი, რომ გრძნეული ბალახი აუცილებლად ვერცხლით უნდა მომეწყვიტა და ვერცხლთან შემენახა, რათა სათანადოდ ემოქმედნა. დაუყოვნებლად დავწვდი ოთხყურას და მოვსწყვიტე.—ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: სრული ბედნიერების კარების გასაღები მეპყრა ხელთ!

რა იქნებოდა ჩემი ნატვრა?—მხოლოდ ეს ერთი:

—ქალის უმწიკვლო, სრულებით შეურყეველი-შეუწყვეტელი სიყვარული!.

და ლოცვის კილოთი წარმოვსთქვი ეს ნატვრა.

მაგრამ, ვაი საკვირველებავ! წარმოთქმის უმალვე სასწაულებრ ხელიდან გამისხლტდა ოთხყურა და თვალის დახამხამებაზე თავის ძირს დაეკრა.

ცა რომ თავზე ჩამომგრეოდა, იმდენი არ გამიკვირდებოდა.

„რაღაცა გაუგებრობაა მეთქი“; გავიფიქრე და კვლავ დავწვდი ვერცხლით ბალახს. მოვსწყვიტე.

გავიმეორე ჩემი ნატვრა.

მაგრამ ახლაც გამისხლტდა ხელიდან ბალახი და თავის ძირს მიეკრა.

გავოცდი. ხმა ვერ ამოვიღე, სული ვერ მოვითქვი.

ძალა მოვიკრიბე და მესამედ მოვწყვიტე უცნაური ოთხყურა.

იგივე შედეგი.

„სამჯერ!“ ზარდაცემულად წარმოვსთქვი.

„ნუ თუ ასეთია საბოლოო პასუხი განგებისა?!“

ერთხანს ვიდეგ გაშეშებული ოთხყურას წინ და ფართოდ დაღებული თვალებით შევსცქეროდი. თითქო არაფერი მომხდარიყო, ნაზად ირხეოდა ოთხყურა.

აზრი მომივიდა, იქნება შეუძლებელს რასმე ვნატრობდი და საჭიროა ნატვრის შეცვლა.

მოვწყვიტე ბალახი და ასე ვინატრე:

—ჩემი სატრფოს უმწიკვლო, სრულებით შეურყეველი-შეუწყვეტელი სიყვარული მეთქი.

ახლაც თავისი გაიმეორა ოთხყურამ.

მეორეჯერაც ასე მოხდა.

მესამეჯერ კი ასე ვსთქვი:

—აი, აქ რომ სწევს, აი ჩემი სატრფოს უმწიკვლო, სრულებით შეურყეველი-შეუწყვეტელი სიყვარული მეთქი!

ულმობელი ბალახი მაინც არ გამიჩერდა ხელში.

თითქო ტყვია მომხვდა გულში, წავბარბაცდი.

„სისხლი!“ კბილებში გაკრით წამოვიყვირე და სატრფოს მივვარდი.

იგი ისევ მკერდგაშლილი და თვალებდახუჭული პირაღმა იწვა. ახლა უთუოდ ეძინა. მუხლებზე დავეშვი მის წინ, ახლო მივიტანე თვალები და სახეში ისე ჩავაცქერდი.

—ნუ თუ მართალია განგება?.. უნდა მიპასუხო, გესმის?—გესლშერეული ჩურჩულით მივმართე.

თითქო პასუხად მძინარის ტუჩების მარცხენა კიდეზე ორმა ხაზმა ციმციმით წამოჰყო თავი, შეითამაშა, რამდენიმედ დანაწილდა და ბოროტ ღიმილად დააკვდა ტუჩების მთელს გაყოლებაზე.

შემათრთოლა.

წამი და კვლავ გაცოცხლდა საშინელი ღიმილი. ახლა ათას ხაზად და ათასფერად გაიშალა სატრფოს მთელს სახეზე და გულმკერდზედაც გადაეფინა.

იგი გამოუთქმელი დაცინვის გამოხატულება იყო.

დაჭრილი მხეცივით წამოვიგმინე და გააფთრებით წავატანე მას ხელი, რათა შემებოჭა, შემეპყრა... მომესპო იგი ცოცხალი საშინელება სატრფოს სახესა და მკერდზე.

ხელების წატანებისთანავე დავინახე, რომ მიზანს მივაღწიე... მაგრამ [illegible] ვე წამს ვიგრძენი, რომ იმ ღიმილთან ერთად ჩემი სატრფოც აღარ ი[illegible]

ფუნდ

არ მახსოვს, როგორ იმოქმედა ამან ჩემზე და გონწასული როგორ დავეცი განზე განგმირულივით. ის ღა ვიცი, რომ, როცა გამეფერკვიე, თავდამხობილი ვეგდე სატრფოსაგან რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე. თავი ავწიე. წამოვჯექი; მთის სიჩუმის სიმძიმილი სულს მიხუთავდა. შიში უნდა ყოფილიყო, ხან და ხან რომ გამეფებულს სიჩუმეს არღვევდა.

სიზმარივით მომაგონდა, რაც მოხდა.

„ნუ თუ მართალია?“ გავიფიქრე და წამოვდექი. ორიოდე ნაბიჯი გადავდგი სატრფოსკენ და... უმალვე დავდექ.

„მართალია“, დამიწივლა ყურმა.

მაშინ პირი გავაღე, ბლომად ჩავითქვი ჰაერი და დასაყვირებლად დავემზადე, მაგრამ ჩანთქმული ჰაერი უხმოდ ამოსკდა მკერდიდან.—საშინელს შიშს სულ მთლად გაენადგურებინა ჩემში ნებისყოფა.

დიდ ხანს ვიდექი ერთსა და იმავე ადგილს და ვერხვის ფოთოლივით ვცახცახებდი. ბოლოს ისტერიული ქვითანი დამაწყებინებია და იქვე ჩავემხვე თავით. ამან ცოტა შვება მომცა, და ისიც იყო ღონეს ვიკრებდი, რომ ვიღაცამ მოულოდნელად შიგ ყურში გესლნარევი დაცინვით ჩამჩურჩულა გარკვევით:

—„კურთხეულ იყოს სიყვარული, ვინაიდან იგი ერთად ერთი სიხარულია ამ ქვეყნად“.

ხმის კვალზე გავიხედე.—ზედ ჩემ ყურთან შრიალით ირხეოდა ჩემი ნაცნობი ოთხყურა. მის დანახვაზე უკიდურესმა ბრაზმა ამიტანა. ღონეც მომეცა, ნებისყოფაც გამეხსნა. არა მგონია, თუ ვისმე ოდესმე ისეთის ძლიერებით უთქვამს სიტყვა „საძაგელი“, როგორც მე მაშინ წამოვიყვირე! არა მგონია, თუ რომელსამე მეომარს ოდესმე ისეთის გულით მოექნიოს მტრისათვის ხმალი, როგორც მე მოვიქნიე მარჯვენა ხელი ცბიერი ბალახის შესამუსრად! ჰო, რა ულმობელად შევჭუჭმნე ხელის გულში ოთხყურა! რაც ჩემს კუნთებსა და ძარღვებს ღონე ჰქონდა არ დამიშურავს.

მცირედ გულმოჯერებული დაუბრუნდი ისევ ჩემს სატრფოს. გულმა არ მიქნა ახლო მისულვიყავ.—შორიდან გაუშვირე ოთყურიანი ხელი და დამნაშავე ბავშვივით წავილუღლუღე:

ჰა... მოვაკვდინე... მოვაკვდინე მეთქი...—და სლოკინით წამსკდა ცრემლები.

ერთ ხანს ვიტირე. შემდეგ მუხლები მოვიყარე, პირჯვარი გადავიწერე და იმის მოაზრება დავიწყე, თუ როგორ მოვქცეულვიყავი, საღამო მოახლოვებულიყო და დაყოვნება არ შეიძლებოდა.

ერთად ერთი აზრი მომივიდა თავში და უმალვე მას დავადექი:—გადავწყვიტე ადგილობრივი კომისარისთვის მეუწყებინა ყოველი, რათა შევეპყარ და დაუყოვნებლივად შესაფერისი ზომები მიეღო უბედური ჩემი სატრფოს წასასვენებლად. თავის თავად ცხადია, საქმეს კანონიერი მსვლელობა უნდა მისცემოდა.

ამ აზრით ავდექი და სირბილით დავეშვი კოხტა-გორიდან.

გზაზე რამდენჯერმე ვიგრძენი ოთხყურა ხელში, თითქოს მკბენდა თუ მჩხვლეტდა, თუ რაღაცნაირად მაღიზიანებდა. რა თქმა უნდა, იმდენჯერვე მაგრად შევჭუჭმნე, იმდენჯერვე გაუსრისე ეშმაკეული ფოთლები. მისგან თითქმის აღარაფერი დარჩა.

ოთხყურას კბენა თუ ჩხვლეტა იმდენად არ გამკვირვებია, რამდენადაც ის უცნაური გარემოება, რომ მრავალჯერ შემეცვალა გუნება და უცხო აზრები აღმეძრენ თავში. თითქო ვიღაცა ძალას მატანდა მეფიქრა არა ისე, როგორც მე მინდოდა არამედ ამ „ვიღაცასა.“

მაინცა და მაინც დიდი ძალა არ დამიტანებია. თავისთვის ამ უცხო აზრების გასაფანტავად. მაგრამ როცა ჩემ მიერ ჩადენილი უსაშინელესი მკვლელობის გამმართლებელმა აზრმა გამკრა და ხელი წაავლო ჩემის გადაჭრილის ნებისყოფის სადავეს, მაშინ კი ბეჯითად და ერთბაშად გავრეკე ჩემგან შორს ბოროტისული ფიქრები და მტკიცე ჩქარი ნაბიჯებით გავწიე კომისარის ბინისკენ.

ბაკურიანის პარკთან მოსეირნე მოაგარაკენი შეყრილიყვნენ. მათ შორის ბევრი ნაცნობი დავინახე. მყისვე გადაუხვიე გზას, რომ პარისპირ არ შევყროდი ვისმე, მაგრამ რომელღაცამ მომაძახა:

— ჰეი, რა ამბავია?.. რა მოგვიდა, კაცო, რომ გვემალები!—და რამდენიმე ნაცნობი ჩემსკენ წამოვიდა.

მაშინ ის იყო, რომ უცებ მოვტრიალდი. დაუახლოვდი ხალხს და გაუგებრად გამოცვლილმა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ისე მივმართე, როგორც აღნიშნული მაქვს ამ ამბის თავში...

ახლაც არ ვიცი, რამ იმოქმედა ისე ჩემზე, ან როდის და როგორ მოხდა ჩემში ისეთი ცვლილება, რომ განზრახულის ნაცვლად სრულიად შეუფერე-

ბლათ მოვიქეცი, სიმართლე დავამახინჯე და საარაკო ტყუილი სახითა და სიტყვებით მივმართე მოსეირნე მოაგარაკეთ...

როცა დავფიქრდები, ხშირად ვეჭვობ ცრუმორწმუნეობით: ვაი თუ ამის მიზეზიც იგივე ოთხყურა იყო, რომლის გამხმარ ღეროს და ფოთლების ორიოდე ნაფლეთს ახლაც კი ვატარებ ჯიბეში...

ლეო ქიაჩელი.

1918 წ. მარიამობისთვე.

კოჯორი.



ბ. ჯაჯანაძე.

სისხლი სინათლეამდე

მომქმედნი:

ანდრია, მძიმეთ დაჭრილი ჯარის კაცი.

სესია, მსუბუქათ დაჭრილი ჯარის კაცი.

სათნოების და.

რამდენიმე ჯ.-კ.

სანიტარები.

სათნოების დები.

მოჩვენებანი:

სესია.

ქალი-ცოლი.

სათნ. და.

მოხუცი.

გლეხი.

სამი ანგელოსი.

ნაწილი პირველი.

სურათი პირველი.

ბრძოლის ველი. სავსე მთვარის სინათლე, დროგამოშვებით არა სასიკეთო ხმაურობა. სესიას და სათნოების დას გამოჰყავთ მძიმედ დაჭრილი ანდრია.

ანდრია. ოო, ხელი გამიშვით, სული მეხუთება!

სესია (სათნ. დას). ააქ?

სათნ. და (ძლივს). მეც დავიღალე (დაუშვებენ).

სესია (იხედება). მტერი წინ მოიწევს.

ადრია (ტანჯვით). ა?

სესია. როგორ მოვიქცეთ?

სათნ. და. ჩვენ როგორმე უნდა შევასწროთ იმ ტყეში. თავს დავიფარავთ და საშუალებაც იქაა.

სესია. მაშ... მაგრამ მე უკვე არ შემიძლია დაგეხმაროთ... ამ დაჭრილ ხელს ვერ ვამუშავებ. თანდათან ვსუსტდები.

სათნ. და. მე ვერ მოვერევი. არა მაქვს ძალა.

სესია. მაშ... (სწუხს).

სათნ. და. თავს მაინც უშველე.

სესია (ჩაფიქრდება).

სათნ. და. ა?

სესია. მეცოდება. ბავშვობიდან ვიცნობ... ერთი სოფლისა ვართ.

სათნ. და. აჰ!

ანდრია. მიმატოვეთ... მიმატოვეთ!

სესია. რას ამბობ?

ანდრია. მიმ... თავს უშველეთ... მაგრამ...

სესია. მერე შენ...

ანდრია (ემჩნევა სულიერი ბრძოლა). სესია, მე ფული მაქვს.

სესია. კარგია.

ანდრია. ჰო... ჩემისთანა ღარიბ კაცისთვის სამუდამო ლუკმაა!

სესია. როგორ...

ანდრია (წყენით). როგორ ვიშოვე?

სესია. სადა გაქვს... აქ თუ?

ანდრია. წელში... ჩაჰყავი შენი ხელი ე, მაქ, უფრო ზევით.

სესია (ეძებს). ჩაკერილია?

ანდრია. გაჰხიე, გაჰხიე... ჰო, ეგრე, ქისა! გაშალე, ჰნახე, ა!

სესია. ოქრო... ამდენი!

ანდრია. დამანახე... ხელს შევავლებ! (გამოართმევს, ხარბათ) მშვენიერია! (აწვდის სესიას).

სესია. მე... ვხედავ.

ანდრია. ხომ გადასცემ ჩემს ბავშვებს?

სესია. განა მარტო მე უნდა გადავრჩე?

ანდრია. თქვენ იმ ტყეს შეეფარებით. შენი ჭრილობა მსუბუქია. ცოტა ხანს შეგასვენებენ... მოიარ სახლს, ნახავ ჩვენებს... (ჰქვითინებს).

სესია. გამაგრდი უფრო!

ანდრია (უცებ დაწყნარდა). აჰ! (აწვდის ქისას).

სესია (ნელა გამოართმევს).

ანდრია. შენ ისეთ მადლს მოიკიდებ! შემხედე... მე მთლად შენს სინდისს მივაბარებ ამ... ოქრო კი არა, ეს ობლების უკანასკნელი ლუკმაა!

სესია. თუ გადავრჩი.

ანდრია. მადლი დაგარჩენს.

სესია. ვინ იქნება ისე უზნეო რომ...

ანდრია. ისეთი სილარიბეა ჩემსას!.. (ნახევარ ქვითინით) ჩემსას სიმშილი ისე აცეცებს თვალს, თითქო მთელი ქვეყნის ცოდვას ჩემს პატარა ქოხში მოეყაროს თავი!

სათნ. და (მწუხარეთ). ოჰ!

სესია. ეს ლიტონი გადაეცემა...

ანდრია. მე მრწამს, მჯერა. (ისმის შორეული ზალპი) შენ ეხლა წახვალ?

სათნ და (სესიას). იგვიანებ.

სესია. მაშ, წავიდეთ!

სათნ. და მე ვრჩები.

სესია. რჩებით?

სათნ. და. საჭირო ვარ.

სესია (ანდრიას). შენ გესმის? ეს ქალი აქ რჩება, შენთან...

ანდრია. რჩება?

სათნ. და. ბოლომდე.

ანდრია. ბოლომდე? (თავს წამოწევს და უცქერის. სათნოების და შეჰხედავს პასუხათ).

სესია. მშვიდობით! (მიდის გაჩქარებით დახრილი, შემდეგ მიხოხავს).

ანდრია. მშვიდობის გზა! (დუმილია. ანდრია წამოწევს თავს და იცქირება საითაც სესია წავიდა). მიხოხავს, გველივით მიხოხავს. იქ კოხივით სცემს ტყვია... ა, წამოდგა და გარბის... ახ, პირჯვარი რათ არ გადისახა! სწამს თუ არა სწამს მაინც კარგია ასეთ დროის... (შეჩერდება. უცქერის) აა, აა, წაიქცა! მოკლეს? მიხოხავს! არც დაჭრილა? მარდათ მიხოხავს!... ძნელი სანდობი კია სინდისი, მაგრამ სხვა გზა თითქმის არ არის! (სიხარულ—მღელვარებით) ტყეში შევიდა! (მოწყვეტილი გაიშხლართება. დუმილია).

სათნ. და. სძინავს! მისუსტდა! შენ გესმის ჩემი ლაპარაკი?

ანდრია (ნახევრათ ახელს თვალებს). ა?

სათნ. და. შენ სადაური ხარ, შენი სამშობლო შორს არის აქედან?

ანდრია (თვალები დახუჭული აქვს). შორს...

სათნ. და. დიდ ტკივილებს გრძნობ? თუ...

ანდრია. არა.., ჰო... (უცქერის) ცოტა...

სათნ. და. ნუ დაღონდები ძლიერ!

ანდრია. ჰო... (დრო გამოშვებით ახელს თვალებს და გრძნობიერათ უყურებს სათ. დას).

ანდრია (მიაცქერდა და რაღაც უნდა სთქვას).

სათნ. და. ა?

ანდრია. შენ ძლიერ კეთილი ხარ...

სურათი მეორე.

(ეჩვენება)

იგივე მდგომარეობა. უფრო მელანქოლიური და მისიზმრული. შემოდის სესია მოხრილი და ჩაფიქრებული, მაგრამ მოელვარე თვალებით.

ანდრია (ეჭვიანათ უყურებს და კანკალით ეუბნება). სესია, ა, შენ ხარ?

სესია (მოკუმშულ წარბით). ეს ოქრო სად იშოვე?

ანდრია. რა გინდა!

სესია. სად იშოვე?

ანდრია. ოჰ!

სესია. თქვი!

ანდრია. ღმერთო!

სესია. შენ ტყვილა ახსენებ მის სახელს... მე კი მართლა მეშინია მისი! (იხედება ირგვლივ).

ანდრია (ჰქრთება). როგორა ხარ!

სესია (სიცილით). მე მოვერთვები... როდესაც ავწონე სინდისი და ოქრო, ოქრომ გადასძალა.

ანდრია. სესია!

სესია (შლის ქისას). სულ სისხლიანია... რა სიტყვაა: სისხლიანი!

ანდრია (თავს ჩაღუნავს). ჩემი ბავშვები ეხლა მოშივებულები დგანან ქუჩაში და სიცივით...

სესია. კმარა!

ანდრია. გენდე...

სესია (დაჯდება). ჩემი გული სხვა რამეა.

ანდრია. ქვაა?

სესია. ცხოვრება ბრძოლაა.

ანდრია. ოო, შავი ფიქრი!..

სესია. ხომ მიხვდი.

ანდრია. დამეხსენ.

სესია. რომ მორჩე?

ანდრია. დამხედე როგორ მწუხარე ვარ!

სესია. რომ მორჩე... ეს ოქრო შემრჩება?

ანდრია (კანკალით). შენ პირდაპირ არ მიყურებ თვალებში... იმიტომ ჰფიქრობ მასე! გამოიხედე!..

სესია. შენ თვითონ რა ვაჟკაცი ხარ (უცქერის).

ანდრია. ო... (თავს ჰხრის).

სესია (შეუწყალებლათ). გადაწყდა.

ანდრია. ცას შეჰხედე... მაღლა...

სესია. ოქრომ ჩემი თვალები ძირს დაჰხარა!

ანდრია. ა, ვიყვირებ... იმ ცისკენ გავიხედავ და ვიყვირებ.

სესია. ხმა მოკვდება სანამ იქ მიაწვევდეს.

ანდრია. რა... მაშ...

სესია (სდუმს).

ანდრია. ეჰ!

სესია (უმოწყალოთ). ცხოვრება ბრძოლაა!

ანდრია (სასოწარკვეთილათ). გადაწყვიტე?

სესია (დაადგება). ბრძოლაა... (მოიმარჯვებს ხიშტს. ერთ მხარეზე მელანქოლიური სახე ეცვლება ბინდს... ბინდის მხიარული თამაშია. ამ მხრიდან გამოჩნდება და შემოდის სათნ. და).

ანდრია (სათნოების დისკენ გაშლის ხელს). მომეშველე!.. მე მთლად დაჭრილი ვარ და მაინც, კიდევ, მკლავენ...

სურათი მესამე.

ანდრია წამოიგმინვებს. შეირხევა. მოწყალების და მახლობლათ ზის მთვარის ნათელში.

სათნ. და .გაიღვიძე?

ანდრია. შენ ხარ?

სათნ. და. ჰო.

ანდრია. მეშინია...

სათნ. და. ნუ...

ანდრია. აქ არავის გაუვლია?

სათნ. და. არავის. (დუმილია).

ანდრია. დარი გათენდება.

სათნ. და (იხედება მაღლა). მალე ინათებს.

ანდრია. შენ სულ არ გიძინია?

სათნ. და. არა. (დუმილია. ანდრია ჰხუჭავს თვალებს).

სათნ. და. როგორა ხარ...

ანდრია (ხშირი სუნთქით). შენ აქ იქნები?

სათნ. და. სულ. (დუმილია).

ანდრია (არა ბუნებრივ ხმით). ის ხე ყველაზე მაღალია...

სათნ. და. აქ ვიქნები... (დუმილია).

სურათი მეოთხე.

(ეჩვენება).

იგივე მდებარეობა ცოტა შეცვლით. წვიმიან საღამოის სინათლეა. შემოდის ახალგაზრდა გლეხი.

გლეხი. იმ ტყეს შენ ჰხედავ?..

ანდრია. არ ვიცი...

გლეხი. მგლები ღმუიან...

ანდრია. სად?

გლეხი. დაბურული ტყე რომ არის.

ანდრია (აკვირდება). ჰო, რა შავი ტყეა!

გლეხი. იმ ტყიდან მგლები გამოვლენ.

ანდრია. ა...

გლეხი. შეგჭამენ.

ანდრია. შენც... როგორ მგელივით კბილები გაქვს...

გლეხი. ჰმ...

ანდრია (აკვირდება). დათია! (კანკალით) მოუშორებელი მტერი!...

გლეხი. მიცანი?..

ანდრია. წადი... ველია დიდი.

გლეხი (თავის კატუნით). რათა... მე შენი კეთილი მეზობელი ვარ და... სასიხარულო ამბები...

ანდრია (უნდობლათ). სასიხარულო!

გლეხი (შხამიანათ). ვის აბრალებ შენს უბედურებას!

ანდრია. სიგლახავით არაფერი დამმართია!

გლეხი. შემიძლია ეს ფეხი დაგადგა გულზე...

ანდრია. გულში სისხლია დაგუბებული... ნუ იქ...

გლეხი. გამვლელ მეზობლებს ეზარება შენს ეზოში გადმოხედვა: ის ისე ნაღვლიანია და უსინათლო.

ანდრია. ჰო...

გლეხი. შენს შვილებს ჩემმა შვილებმა ქვები დაუშინა... შენს ცოლსაც მოხვდა დიდი ქვა თავში... სისხლი გადასქდა...

ანდრია. სოფელი?

გლეხი. სოფელს სად სცალია! მე შორი ახლოდან ვიცინოდი.

ანდრია (აღშფოთებით). თუ დამიდგა დღეები!

გლეხი (ბოროტ ღიმილით). ამაზე უკეთესი დღეები?

ანდრია. თუ გინდა დამადგი ფეხი გულზე!

გლეხი. შენსას ყველანი დაგლახებული ჰყრია... მათ სიშიშვლეს კედლებიც ვერ ჰფარავს... შენი ცოლი ბიასავით ჩამოყვითლდა და თავჩაქინდრულია... შენს პატარებს კი სიგამხდრით თვალები დაუდიდდა და შენზე ფიქრობენ... მაგრამ მე ჩავალ და ვეტყვი...

ანდრია. რას ეტყვი?

გლეხი. მე ვეტყვი რა მწუხარებით სცემს შენი გული... როგორ გიცქერენ ის შავი ყორნები უმწეოს და უბედურს... მე ვიტყვი რომ შენი კვნესა...

ანდრია (აწყვეტინებს). ნუ, ნუ იტყვი!

გლეხი. ვეტყვი ყველაფერს!
ანდრია. ნუ!

გლეხი. ტუჩებში დავიმალავ ღიმილს და ვილაპარაკებ. შენი ბავშვები კანკალით შეახებენ ხელს ერთმანეთს... იმათი პატარა გულში ერთგვარი ჯოჯოხეთი დატრიალდება და მათი დედა...

ანდრია (გააწყვეტინებს მუდარით). ნუ, ნუ ეტყვი, ცოდვაა!..

გლეხი. თუ გინდა არ ვთქვა ხელზე მაკოცე...

ანდრია. და არ იტყვი?

გლეხი. არა.

ანდრია (კანკალით). ა, გკოცნი...

გლეხი (გველური სიხალისით). კიდევ მაკოცე!

ანდრია. კიდევ... ა? ა! (კიდევ ჰკოცნის).

გლეხი. ჰმ!.. მე მაინც ვიტყვი...

ანდრია. ნუ...

გლეხი. ვიტყვი.

ანდრია. ააჰ! (ჰკანკალებს).

სურათი მეხუთე.

(ანდრია ძრწოლით ახელს თვალებს. სათნ. და დასცქერის.).

ანდრია. შენ დამცქერი ისევ!..

სათნ. და. ჰო...

ანდრია. არ თენდება?

სათნ. და. კი... მალე.

ანდრია. და ის... ჰო, მთვარე...

სათნ. და. რა? (გაიხედავს მთვარისკენ).

ანდრია. მთვარე დამცქერის.

სათნ. და. შენ ძილში ჩურჩულებ და სწუხხარ... რა გაწუხებს ისე? ძლიერ გტკივა?

ანდრია. გულში ძლიერ ღრმათა მაქვს...ჭრილობა...

სათნ. და. ნუ ჩაფიქრდები.

ანდრია. მე მენატრება ყველანი ვინც მიყვარს, ვინც მინახავს... (დუმილია. ანდრია ჰხუჭავს თვალებს).

სათნ. და. (აცქერდება. შემქრთალი). ეგრე ნუ ჰხუჭავ თვალებს!..

ანდრია. გავახელ... წყარო მაინც არ მოსჩანს... (არა ბუნებრივ ხმით). მე დამყურებს ერთი ანგელოსი... ორი ვარსკვლავია...

სათნ. და. რომელი ანგელოსი?

სურათი მეექვსე.

(ეჩვენება)

სადღაც სულ სხვა გვარ მდელოზე გდია. ალიონია. შორით მოდის ვილაც ქალი შალში გახვეული. ანდრია ნელა აწევს თავს. უცქერის მომავალს.

ანდრია. შენ შორით ნუ შემიარ. მე არა ვარ საშიშარი... არას გავნებ (ქალი შეჩერდება). მოიწი უფრო ახლო, გამიგონე... შორს საშინელი მინდვრებია. იმ მინდორზე მდიოდა მე თბილი სისხლი. ამიყვანეს, მათრიენ... ფეხით მომათამაშებდნენ ამ დაუსრულებელ გზაზე... ზოგი მოყვარულ სევდით, ზოგი კი—მტრულად მეკიდებოდა... და ბოლოს აქ... აი... მიმატოვეს... (ცოტა შეჩერდება). შენ ახლო მოიწი! მე მომწყურდა... საშინლად მომაწყურა წამებამ... და თუ ადამიანის გული გაქვს ერთი თასი წყალი მომიტანე!..

ქალი (ქვითინით). ერთი თასი!..

ანდრია. მიმატოვეს ამ. გრილ ალიონზე...

ქალი (აფარებს თავის შალს). დაიფარე, დაიფარე...

ანდრია. ა...

ქალი. ძლივს გიყურებ...

ანდრია. სადა ვარ!..

ქალი. აქ, ახლო სოფელში, ობლებია.

ანდრია. არ აწვდიან ობლებს პურს და შეშას?

ქალი. ღვთის ანაბარათ არიან!

ანდრია (თავს წამოწევს). ღმერთი!?..

ქალი. მე იმდენი ვილოცე მის წინაშე და...

ანდრია. მერე?..

ქალი. ცრემლები ვღვარე და — არაფერი.

ანდრია (ქალი ჩაიმუხლებს. ანდრია უცქერის). ხმა ძლიერ ნაცნობი გაქვს...

ქალი (ქვითინით). ჩემთვის მზე არ ანათებს.

ანდრია. იმდენი გაქვს ნაღველი?

ქალი. მაშ რამ ჩამიღამა თვალები!

ანდრია (თავს წამოწევს). შენ...

ქალი. ხომ მიცან, როგორ მაკვირდები...

ანდრია. აბა, დაილაპარაკე!

ქალი (აქვითინდება).

ანდრია. რატომა სტირი?

ქალი (წყნარათ). მე განა შენი ცოლი არა ვარ?

ანდრია (ხელს მოჰკიდებს ხელზე). ეს ხელი გულზე დამადევი...

ქალი. გული... რამ დაასუსტა...

ანდრია. სისხლიდან დაიცალა...

ქალი (ალერსით). მე წვეთ წვეთად მოვაგროვებ შენს სისხლს... და თუ სისხლი არ მოგროვდა... ჩემს ლიტრაში წვეთ-წვეთად მოვაგროვებ ცრემლებს...

ანდრია. ეგრე... გულზე მომეკარე... მთელი ქვეყანა შემოვიარე... ყველგან ეს სითბო მენატრებოდა... ეს სითბო...

ქალი. მე სიცოცხლე შენი სიყვარულით შევმოსე.

(დუმილია)

ანდრია. ასე რამ გაგაფითრა? ჩრდილივით...

ქალი. სიზმარი?

ანდრია. საბრალოვ!

ქალი. შუაღამით მელვიძება; გათენებამდე სიზმრებს ვხსნი.

ანდრია. ხომ მიგონებ?

ქალი. რა დამავიწყებს მას, ვინც ქუჩაში უმწეოთ მიგდებული მნახა... და უპატრონოს, სასოწარკვეთილს, დამიბრუნა სასოება და თავის სიცოცხლე შემომწირა!

ანდრია. მე მახსოვს...

ქალი. ჩემი სიცოცხლე უნდა გაეთელა ცხოვრებას... შენ შემმოსე ღიმილით და სიყვარულით... მაგრამ დღეს შენზე ფიქრებმა მომინელა! (დუმილია).

ანდრია. ბავშვები როგორა გვყავს?

ქალი. ცივი ქარები დაიწყო. (მწუხარეთ) ნეტა რამ დაჰფაროს მათი სხეული!

ანდრია. ძველი საცმელი ვერ უშოვე მაინც!

ქალი. ჩამოვითხოვე და არ მაჩუქენ...

ანდრია. რაო, რათაო!

ქალი. მეცინოდნენ. შენი ქმარი გაზეთებს ჰკითხულობდაო, ჩვენის-

თანა გლეხებს არ იტოლებდა, მოქალაქობდაო.

ანდრია. ცუდი არავისთვის მიქნია.

ქალი. დათია გველის წიწილასავით იყურება.

ანდრია. ცუდი არც მისთვის მიქნია!

ქალი. ჩვენ ღარიბები ვართ და კარგს ვინ დაგვიფასებს.

ანდრია. მაშ რაღა...

ქალი. შენ გელოდით.

ანდრია. რა...

ქალი. რამე...

ანდრია. იცი... მე ბევრი ოქრო შევაგროვე იქ... (კანკალით) ცოდვილი ხელებით ვიშოვე... ცოდვით! ოხ, ნუ მათქმევინებ როგორ ვიშოვე! ნეტავ არც მე ვიცოდე!...

ქალი. სადა გაქვს?

ანდრია. ახ, როგორ მოვიქანცე!

ქალი. ოქრო სადაა?

ანდრია. მგონი დავკარგე... და რა მეშველება!

ქალი. სიგლახე!

ანდრია. რა...

ქალი. რამე მოიფიქრე.

ანდრია. ჯერ მოვისვენო...

ქალი. ჭირი არ გვასვენებს!

ანდრია. მაშ თავი მოვიკლა?

ქალი. შემხედე, მე როგორ გაფითრებული ვარ!

ანდრია. გხედავ...

ქალი. წამების ჯვარი ვზიდე.

ანდრია. ჰო...

ქალი. ყველაფერი გავყიდეთ, რაც მოგვეძებოდა და ისე მოვათრიეთ სული.

ანდრია. მაინც მიხარია... რაკი სიცოცხლე...

ქალი. ყველაფერი გავყიდე... ბოლოს სინდისი დამრჩა და შენ როგორ გგონია...

ანდრია. მე არ მგონია, რავიცი.. (იჭვით) ასე ადრე სად მიდიოდი?

ქალი. ნუ მკითხავ!..

ანდრია. აი... ვილაცა სტვენს... მე კარგად მესმის...

ქალი. ჩვენი ცხოვრება ისე ცუდათ მოერთო... მე ჩაფიქრებისაც კი მეშინია. (ისმის სტვენა).

ანდრია. რა გარყვნილი სტვენაა!..

ქალი. ჯერ გაიგონე რა ტირილია სახლში...

ანდრია (ტირილით). გული... ო, გული...

ქალი. არ იფიქრო უცებ გადავდგი ეს ნაბიჯი. ჩემი გული მოიქანცა, დადნა, დაილია!

ანდრია. გონება დაკარგულს ბედნიერათ შეგხვდი... რომ არ შეგყროდი არაფერი არ დარჩებოდა ამ ქვეყანაზე!

ქალი. ყოველი სიტყვა ასწონე, გაზომე...

ანდრია. სული დამიჭერ!

ქალი. სახლში ორი დღის მშიერი ბავშვები დავტოვე, შეცივებულნი, დიდ ცაცხვის ძირში კი ჩარჩენი ფქვილს და ფართალს ჰყიდიან.

ანდრია. რას მიამბობ!

ქალი. ჩემი სული სჭკნება ამას რომ ვლაპარაკობ.

ანდრია. ამ ალიონზე ისე ურცხვი იყავი.

ქალი. ღმერთმანი!..

ანდრია. რამ დაგიბნელა გონება!

ქალი ორი დღეა არაფერი მიჭამია.

ანდრია. ამ რიჟრაჟზე რას გრძნობდი... როგორ გემორჩილებოდა ნაბიჯი!

ქალი. პირველი არ იყო... ეს ნაბიჯი... პირველი არ იყო.

ანდრია (აღშფოთებით). ა!

ქალი. ასეა...

ანდრია. შეშლილი!

ქალი (თავჩაქინდრული). სიცოცხლე მწარეა!

ანდრია. თავი ასწიე.

ქალი. რა...

(შორით მოდის ლამაზ მიმოხვრით სათნ. და).

ანდრია, შეჰხედე იმას, როგორ მოდის... ის ჩემი ანგელოსია.

ქალი ის...

ანდრია (სათნ დას). რა კეთილი ხარ... ყვავილივით მშვიდია და კეთილი...

ქალი. რატომ მოდის.

სათნ. და. სულ სხვა და სხვანაირი ველები შემოვიარე და მოვნახე ფერადი ყვავილები... ყვავილების მკერდში მე ვეძებდი ნამს, რათა მომეგროვებია შენთვის წყალი...

ანდრია. ო, მე მინდა შუბლზე დამასხა წყალი, მაგრამ ისე მწყურია, რომ ვერ გავიმეტებ შუბლზე დასასხმელად... უნდა დავლიო!..

სათნ. და. მაგრამ ნამი არ იყო... ყვავილების მკერდში მე ყველგან ოქრო ვიპოვე... აი, რამდენი ოქროა! (ჰყრის ოქროს) ოქროა.

ანდრია (ქალს). აკრიფე, ხელათ აკრიფე!

ქალი (ჰქვითინებს).

სათნ. და. მე აქ არ შემიძლია მოცდა. შორს მივდივარ. წამოხვალ ჩემთან?

ანდრია. კი.

სათნ. და. ის ქალი რატომ ჰქვითინებს?

ანდრია. გული მომიწამლა ისეთი მითხრა!

სათნ და. წამოხვალ ჩემთან?

ქალი. ბავშვები ცოცხალია... მე იმათთვის სულიც არ დამიშურნია!

ანდრია (ქალს). შენ გარყვნილი ხარ?

ქალი. ჰო.

ანდრია. თავი ასწიე, შემომხედე! შენ ეგებ სხვა ხარ... ეგებ ის არა ხარ... თვალებში... ჩაგხედავ...

ქალი (თავს აწევს მშიშარათ). შემხედე...

ანდრია (ჰქრთება). ნეტავ არ დაგინახავდე!

ქალი (მწარე ღიმილით).. მე მქონდა ერთ დროს სინდისი!..

სათნ. და. წამოდი ჩემთან! მე ყვავილ..

ქალი. ბავშვებთან წამოდი: ნალვლიანია ეზო უშენოთ...

ანდრია (ჰქვითინებს).

სურათი მეშვიდე.

ანდრია ჰგმინავს. სანთ. და აკვირდება.

სათნ. და. მტერმა დაიხია... მტერს დაახევინეს. მალე მოვა მაშველი რაზმი. შემომხედე!.. შენ ყოჩაღათ იყავი...

ანდრია (თვალს ახელს. უცქერის).

სათნ. და. მე ვარ...

ანდრია (იხედება ირგვლივ). ახ!

სანთ. და. მტერს დაახევინეს...

ანდრია. კარგია...

სათნ. და. კარგია.

ანდრია. სესია წავიდა...

სათნ. და. ის ჯარის კაცი?

ანდრია. ჰო...

სათნ. და. აი, ინათებს... (იხედება მაღლა). მოვა მაშველი რაზმი... და შენც გადაგიყვანებენ იქ, სადაც სესიაა.

ანდრია. ეს კარგია.

სათნ. და. მერე სამშობლოს ჰნახავ.

ანდრია. ჩემი სამშობლო ძლიერ თბილი და ლამაზია!

სათნ. და. ჰნახავ!

ანდრია (ისევ ჰხუჭავს თვალებს).

სათნ. და. ძლიერ სუსტად ხარ.

ანდრია (ხანდა ხან ახელს თვალს და უცქერის). გმადლობ...

სათნ. და. ა?

ანდრია. არაფერი... არ... მტკივა... (დუმილია. არა ბუნებრივ ხმით). სისხლი კარგათ მომბანეთ... (ისევ ახელს თვალს). მტერი ისევ მოდის!?..

სათნ. და. არა!

ნაწილი მეორე.

სცენა პირველი.

იგივე მინდორი უფრო მოსინათლებული.

ანდრია თავს წამოწევს. სათნ. და ზრუნვით დაუკავებს თავს.

ანდრია. არ შემიძლია...

სათნ. და (გაუშვებს ხელს და შესცქერის თვალებში). ბრძოლა უკვე შეწყდა. დაჭრილებს ჰკრეფენ. ცოტა ვაცადოთ და თუ ვერ მოგვაკვლიენ, თვითონ მე წავალ და დაუძახებ სანიტარებს.

ანდრია. შენ წახვალ?

სათნ. და. მაშ...

ანდრია. არა... მე ისე ცუდათ მაქვს გული... რაღაც ცხელი წვეთები მეცემა გულში... პატარა წყალი!

სათნ. და. არ შეიძლება. (დუმილია).

ანდრია. სად არის ის...

სათნ. და. ვინ?

ანდრია. შენ ძლიერ მეცნობილები...

სათნ. და. ჰო...

ანდრია. როდის მოდი... რა ამოიღებს ჩემი გულიდან ამ ნაღველს...

სათნ. და. შემხედე! აი თენდება უკვე. პირველი სინათლეა.

ანდრია (ხრიალა სუსტის ხმით). შენ ილაპარაკე... ეგრე ტკბილათ... ძილივით მოდის...

სათნ. და. მოისვენე... (დუმილია. სათნ. და წამოდგება ფეხზე, მიდის და იხედება შორს).

სცენა მეორე.

(ეჩვენება).

ანდრია შემოდის დიდ ტყეში შეწუხებული. ეკეცება წაქცეულ ხეზე. გვირაბიდან გამოდის მოხუცი.

მოხუცი (დარბაისლათ). **თეთრი** შვილდით ისარი ცაში ვისროლე, მაგრამ...

ანდრია. სად არის ცა!.. (იხედება მაღლა) სულ ფოთლებია...

მოხუცი. ზევით მხიარული ცაა...

მაგრამ მიწა ერთ ისარსაც არ უშვებს იქ...

ანდრია. რატომ... ეხ!..

მოხუცი. ყური დამიგდე, ერთ ამბავს ვიტყვი.

ანდრია. ჰო...

მოხუცი. მე ვიტყვი შრომის და უბედურების ამბავს.

ანდრია. ჰ...

მოხუცი. ამ ამბავმა ერთმანეთში შეადუღა ჩემი დიდი ტვინი და დიდი გული!

ანდრია. დამიწყე...

მოხუცი. ქვეყანაში... სადაც მშვენიერი ცა იცინის და ბატონი კანონებს სწერს... ქვეყანა...

ანდრია. მე თვალთ მიბნელდება...

მოხუცი (თავს აქნევს).

ანდრია. მოდი, ჩამოჯექ... მე უბედური დავრჩი ამ ქვეყანაზე!..

მოხუცი. ა?

ანდრია. გული არ სცემს... მინდა დავისვენო...

მოხუცი. აქ გვირაბია...

ანდრია. გული დამიშინდა... ეს გული...

მოხუცი. რა უშავს... (ცოტა დუმილია)

ანდრია. შენ ისე ჰგავხარ მამაჩემს! (ცოტა დუმილია).

მოხუცი. ბევრი იმწუხარე?

ანდრია. ბევრი...

მოხუცი. შრომობდი?

ანდრია. მე, მამით ობოლს, პატარაობიდანვე წელი მომწყვიტა მოჯამაგირობამ.

მოხუცი. მერე?

ანდრია. ნამოჯამაგირევი ფულით ყანა შევიძინე და წყალმა წაიღო...

სოხუცი. სხვა?

ანდრია. დედა მომიკვდა. წაველ ქალაქში... იქ ძლიერ ვმუშაობდი, წიგნებსაც ვკითხულობდი, ძლიერ ბევრს ვჰფიქრობდი მე ამ ქვეყნის და ჩვენი სიცოცხლის შესახებ!

მოხუცი (იცინის).

ანდრია. ნუ იცინი შენ...

მოხუცი რა გაიგე.

ანდრია. მე მივხვდი რომ მხოლოდ სიცოცხლეა საიდუმლოებით სავსე და არა სიკვდილი.

მოხუცი. მერე?

ანდრია (გმინვით). ოჯახს მოვეკიდე... სიღარიბე...

მოხუცი. სიხარული გინახავს?

ანდრია. ერთხელ, ქალაქში, ღამით სამუშაოდან მოვდიოდი. ქუჩაში ახალგაზრდა ქალი სტიროდა მარტო... მე მიველ... როდესაც მან თავი ასწია და შემომხედა გამაკვირვა სილამაზემ... დაუწყე ტკბილათ ლაპარაკი... მომენდო, დამიმეგობრდა. მეორე საღამოს ის ეკლესიაში შევიყვანე და ჯვარი დავიწერე... იყო ტკბილი დღეები... გაჰქრა. (დუმილია). ვშრომობდი. სახლი ავაშენე და დამეწვა... ერთი ბავშვი ყვავილით მომიკვდა... მერე ომში გამიწვიეს.

მოხუცი (ყურადღებით). მერე? (ღუმილია).

ანდრია (კანკალით). ცოდვა.. ეჰ!...

მოხუცი. ა?

ანდრია. გაჭირვებამ მოთმენა არ იცის... არა...

მოხუცი (მწუხარეთ). რას ამბობ!

ანდრია. მაგრამ ოქრო... მგონი დავკარგე... რა ვიცი...

მოხუცი. ჰო?

ანდრია. მე ეხლა რაღაც სიმძიმეს ვგრძნობ... ვერ ვერევი ჩემს სხეულს... საშინელ სიმძიმით ჩამომწოლიან ეს ხელები... ეს თავი... გული... რაა!?..

მოხუცი. შენ რომ გასწავლო... სიკვდილი უფრო ადვილია ვიდრე სიცოცხლე.

ანდრია. სიკვდილი...

მოხუცი. სულ უბრალოა...

ანდრია ვინ...

მოხუცი. ის..

ანდრია. მიაქვს ყველაფერი ..

მოხუცი. ის... მიიღებს ყოველ სიმძიმეს... აი... უბრალო მტვერსაც არ დაგიტოვებს...

ანდრია. ჰო...

მოხუცი. მოისვენებ...

ანდრია. შენ ვინა ხარ, იმ გვირაბის მეფე?

მოხუცი. იქ არ არის სიცილი ან ცრემლები.

ანდრია. ვინა ხარ?

მოხუცი. ათასი კითხვით მოდიან ჩემთან—მე ყველაფერი ვიცი!

ანდრია. მითხარი...

მოხუცი. არა...

ანდრია (გულ გრილათ). მოვკვდე.

მოხუცი. აი ეს მუქი ქვები... ჰხედავ?.. ესენი ისე მოვიდნენ აქ როგორც შენ, მასეთი ნაღველით და...

ანდრია. ეს ქვები?

მოხუცი. ეხლა სძინავენ... გაჰქრა სევდა, ლანდებივით მიჰყვნენ ფიქრებიც.

ანდრია. და...

მოხუცი. აი ის, მიწა იქ რომ ჰყრია... ერთ დღეს მოვიდა ისეთივე გულის ტკივილით, როგორც შენ... ხომ ჰხედავ მიყრილ მიწას... ისინი ცას უცქეროდნენ!

ანდრია. მიწა.. მიწა...

მოხუცი. შენ რომ ზიხარ მელზე, ეს სხეული ნაზ სხეულებათ მოვიდა, აქ... მე მახსოვს ბევრი წყვილი თვალი! ფიქრიანი გამომეტყველება... ისინი გულის ტკივილით იგონებდნენ წარსულს...

ანდრია. რას ამბობდი შენ პასუხათ!..

მოხუცი. მე ვარ ბრძენი და მხოლოდ ენით ვლაპარაკობდი.

ანდრია. რათ არ ლაპარაკობდი გულით.

მოხუცი. გული თვითონ ღმერსა აქვს და ის მან ჯოჯოხეთად გადაქცია.

ანდრია. როგორ... მითხარი... მხოლოდ უფრო ხმადაბლა მელაპარაკე.

მოხუცი. და ტირის თავის სამოთხეში.

ანდრია. ჰო...

მოხუცი. შენ მაინც მიწის ფერი გედება სახეზე...

ანდრია. რა დამაწყნარებს...

მოხუცი. რა ვიცი. შენი... ბავშვები გახსოვს?

ანდრია. მახსოვს. სამი ბავშვი...

მოხუცი. სიცოცხლე მთელი მდინარეა.

ანდრია. ვიცი...

მოხუცი. ა?

ანდრია (მისუსტებული). ამიყვანე აქედან მე... მოქანცული... და შემიყვანე იმ გვირაბში...

მოხუცი. იქ ქვასავით ღონიერია ძილი.

ანდრია. ჩემი მოგონება სამუდამო ძილზე უფრო ძლიერია...

მოხუცი. კმარა! (ცოტა დუმილია)

ანდრია (შედარებით ფხიზლათ). ათასი კითხვით მოდიან შენთან?

მოხუცი. ჰო.

ანდრია. და შენ ყველაფერი იცი... ა?

მოხუცი. ჭეშმარიტად.

ანდრია. რა სიჭირო იყო!

მოხუცი: რა!

ანდრია. სიცოცხლე, ასე უცნაური რომაა.

მოხუცი. მკითხე.

ანდრია. მე გკითხავ—რა საჭირო იყო ტანჯვა, ტირილი, სიცოცხლე, ასე უცნაური რომაა?

მოხუცი. ვინ იცის!

ანდრია. მაშ...

მოხუცი. სიცილიც?

ანდრია. მთელი ქვეყნის სიცილი არ ჰღირს ერთ უბედურ სულის დაუშრეტელ ქვითინათ... თავი ასწიე, მიპასუხე. რა საჭირო იყო...

მოხუცი ა?

ანდრია. ახ, ჩემი სევდიანი დღეები! ისინი ჯაჭვის რგოლებივით იკინძება ჩემს მახსოვრობაში... შენ სიკვდილის კარებს აღებ და იცი... მომიყევი რა საჭირო იყო ის ფიქრები, ცრემლი, ის დღეები, ღამეები... (შეჩერდება). ყველაფერს, რასაც უყურებ მე, ყველაფერს ყური აქვს ღიათ მაგ პასუხისთვის... როგორ დამუნჯდი! მე მოვიქანცე... (ხმა დაბლა, ძლიერათ) დაილაპარაკე! (დუმილია). როგორ გაქვავდი. (იკრებს ძალას. ძრწოლით) ა, შენ ქვათ იქეც?!...

მოხუცი (ძლიერად). არა!

ანდრია. ჰო...

მოხუცი. როდესაც ახალგაზრდა ღმერთი ქვეყანას ჰქმნიდა...

ანდრია. ჰ...

მოხუცი. მე ვიცინოდი.

ანდრია. რატომ?

მოხუცი. მზეც იცინოდა... მხოლოდ სიცოცხლემ დაიწყო ტირილი. და მე გავაკეთე ეს გვირაბი... მე ვარ ისე ძლიერი! (მაგრად ჰკიდებს ხელს მკლავში და მიჰყავს გვირაბისკენ).

ანდრია. ახ, მე საშინლად მტკივა, სადაც შენ ხელი მომკიდე! მტკივა... (შეჩერდება). გვირაბში კი სჯობს!

მოხუცი (დააყენა გვირაბის შესასვლელში). ყველაფერი...

ანდრია (თავს დახრის მორჩილების ნიშნად. ამ დროს ერთ მხარეზე მშვენიერ ფერადებში გამოჩნდება ანდრიას ცოლი, ძლიერ ახალგაზრდა სახით, ლამაზი და მომღიმარე). ჩემი ცოლი! მე არ მიშვებენ!

ცოლი. მე ძლიერ მხიარული ვარ და შენ ნუ დამალონებ... გაზაფხული აყვავდა! ჩვენს ბაღში. ყვავილები აპეპლდნენ და ვარდებმა დილის მზეს გაუშალენ ნამიანი მკერდები.

ანდრია. უნდა წავიდე!

მოხუცი. არ იქნება!

ცოლი. მთვარიანი ღამეები სავსეა სიცოცხლით! ბულბულები აჰგალობდნენ ფოთლებში, წყაროები ჩქრიალებენ ფერადი ქვებზე და მე ვიღიმები... ჩემი ღიმილი მშვენიერია!

ანდრია (ძლიერათ). უნდა წავიდე!

მოხუცი არა!

ცოლი. სიცოცხლევ, ჩემო სიცოცხლევ!

ანდრია. შენ ისევ ისე ხარ პირ-

ველად რომ დაგინახე და დაგიმეგობრდი. რაფერ დაბრუნდი იმ ბაგეში, სად არიან ბავშვები?!

ცოლი. აი... ეს სამი ვარდია ჩემ ხელში... (ასწევს სამს დიდ ვარდს, რომლებიც ბავშვებს გამოხატავენ). მე დედა-ვარდივით ვიცქირები ირგვლივ და არაფერს არ მაძლევს ქვეყანა სიყვარულის მეტს... მრცხვენია ბავშვივით.

ანდრია (ნაღვლიანათ). გამიშვი!..

მოხუცი (შეიყვანს უფრო ღრმათ გვირაბში).

ანდრია (ძლივს მოსჩანს სიბნელეში). გწყევლი!

ცოლი. მე პეპელასავით მინდა ვიფარფატო აქ, ყვავილებში, მაგრამ შენ სიბნელეში შედიხარ და გულში ჯოჯოხეთი ჩნდება... ე, მანდ, სად მიხვალ სიცოცხლევ, ჩემო სიცოცხევ!

ანდრია (ჰქვითინებს).

მოხუცი (ცივათ გაიცინებს).

(ბნელდება).

სურათი მესამე.

მოსინათლებულია. მინდვრის სიმწვანე და შორეული ტყე ახალ სინათლეში ირკვევა.

სათნოების და არ არის. მარტო ჰგდია ანდრია.

ანდრია (იხედება მაღლა). მე თვალები მექანცება... სად გაჰქრა იმდენი ვარსკვლავები... ა! (იხედება ირგვლივ) ა, შენ არა ხარ? (ნაღვლიანათ ჰხუჭავს თვალებს). მე ეხლა არაფერი არ მტკივა... მხოლოდ შენ კითილი ხარ... და ამიტომ მინდა აქ იყო... (ძლივს ახელს თვალს) მაინც მომშორდი?.. (დუმილია). ჩემი ოქრო მიწაში ჩაგდენ. (თვალ-დახუჭულია.. დუმილია). ახ, ბავშვებო, მოიტანეთ ცივი წყალი და დამასხით ხელზე... ჩემი გულიც ისე მოწყურებულია... მე თქვენი კოცნა მწყურია... სული მიხურდა ოჯახის სიყვარულით. მე შორეული მინდორი შევღებე სისხლით... (შემოდის ჯ. კ. და აკქერდება). ღამით ვღვრიდი სისხლს და არ ვიცოდი როგორი იყო მინდორი... დილას... დილას... გავხედე მინდორს და... და ისეთი მწვანე იყო მინდორი... და იმ მწვანე მინდორზე წითლად ეფინა სისხლი... წითლად დულდა ჩემი სისხლი! (ძრწის. ჰქვითინებს. ჯ. კ. მოწყენილი განაგრძობს თავის გზას).

სურათი მეოთხე.

(ეჩვენება)

ცა იხსნება და ეშვებიან საოცარი სინათლეები. სადღაც შორს მაღალი სიმღერა კანკალებს. თეთრი ღრუბელიდან ცალ-ცალკე ეშვება სამი ანგელოსი.

1 ანგ. (მხიარულათ). ანგელოსებო!

2 ანგ. (უფრო მხიარულათ). ანგელოსებო!

3 ანგ. (ძლიერ მხიალულათ). ანგელოსებო!

1 ანგ. (დინჯი ღიმილით). რაკი შევჩერდით, მივიდეთ და ვკითხოთ ამ კაცს—როგორ არის.

ანდრია. ძლიერ კარგათ... მაგრამ ძალა დამელია.

2 ანგ. ტუჩებზე ცოტა ოფლი გაქვს... ნაავადმყოფარ ბავშვივით.

ანდრია. მე პატარა რომ ვიყავი... მახსოვს ლამაზი დეიდა მყავდა.

2 ანგ. ჰო.

ანდრია. შენ ისა ხარ?

2 ანგ. რა სთქვი.

ანდრია. ის მოკვდა, მაგრამ შენ ძლიერ ჩამოჰგავხარ.

3 ანგ. სამოთხის იები მქონდა თითებზე—სად არის?

1 და 2 ანგ. არ იტირო!

3 ანგ. (მიბრუნდება ღიმილით ანდრიასკენ). აი, შეჰხედეთ!.. სამოთხის იასავით გაუხელია თვალები!

ანდრია. ერთხელ, საღამოს თვალი მოჰვკარ ლამაზ ქალწულს...

3 ანგ. ჰო...

ანდრია. როცა ახსენებდნენ ანგელოსს ის სახე წარმომიდგებოდა...

3 ანგ. მე დავჯდები და მოგისმენ. შენ ილაპარაკე.

ანდრია. შენი სახეა ის სახე.

3 ანგ. დააკვირდი ყველაფერს.

ანდრია. აქ უცნაური სიცოცხლეა? (ისმის არფის ხმები).

3 ანგ. ეს მხარე ძლიერ ვრცელია.

ანდრია. ცა ისეთია თითქო სიმღერას აპირებდეს!

3 ანგ. ჰო!

ანდრია. ეს ხმები?

3 ანგ. გულის ხმები.

ანდრია. მეც ღრმათ მიხარია... მაგრამ ერთ ველზე გათენების ჟამს მოდიოდა სისხლი... და დავსუსტდი.

3 ანგ. განა!

ანდრია, სიკვდილი მებრძოლა.

3 ანგ. თუ ყველაფერი არ წაგართვა ისე არ მოვა სრული ბედნიერება.

ანდრია. ყველაფერი?

3 ანბ. ა?

ანდრია. სად არის ჩემი პატარები!

1 ანგ. (სახით ჰგავს სათნოებ. დას). ყველაფერს დაჰკარგავს მიწიერი და მიიღებს სრულს ბედნიერებას...

ანდრია. მეცნობილები... შენ ხარ დიდათ კეთილი...

1 ანგ. ვთქვა ვინა ვარ?

ანდრია. სთქვი.

1 ანგ. თვით მაღალ ღმერთს ვუყვარვარ მე! და როდესაც შენ უდიდესი ნაღველით იყავ სავსე, ჩამომგზავნეს მე, იქ... ბრძოლის ველზე...

ანდრია. შენ იყავ ყველაფერზე კეთილი... ეხლა კი უფრო მშვენიერი ხარ... რა უყავ შენ ის სიკეთე, სიმშვენიერეთ გადააკეთე?

1 ანგ. (დაიხრება ახლოს. წიფელი ფერი გადაჰკრავს ჰაერს). მე სიმშვენიერით გამოვხატავ ყველაფერს!

ანდრია. რა უცნაური ადგილას ვგდივარ. ასე მგონია მესიზმრებით... და მისგან შორს ვარ... ის სადარის?

2 ანგ. ფაცხაში.

ანდრია. სად?

2 ანგ. ფაცხაში.

ანდრია. ნეტავ აქ...

1 ანგ. სამოთხის კარები გაიღება და ჩვენ წყნარ სიხარულით შევალთ სამოთხეში...

2 ანგ. ანგელოსები გაიცინებენ...

ანდრია. მაგრამ ის რომ არ იქნება მათში!

1 ანგ. (კიდე უფრო განათებული). მე მოგიყობი, როგორი ბედნიერებაა სამოთხეში!

ანდრია. ჩემთვის უფრო ძვირფასი იქნება სამოთხე ის რომ იყოს იქ!

2 ანგ. ა?

ანდრია. მე მირჩევნია ის საცოდავი სახე ტუჩებს ზევით რომ ორი სიმ-

წრის ხაზი აქვს და ჩემზე ფიქრით დაღონებულია!

3 ანგ. რისთვის.

2 ანგ. შენ უნდა ნახო ვარსკვლავების ფერხული...

3 ანგ. და წყნარი ყვავილები... (ისმის არფის ხმა).

2 ანგ. იქ, სადაც თვით ღმერთის მაღალი გულს აძგერებს სიმღერა.

ანდრია. გული... ღმერთის?

1 ანგ. (ღიმილით). ჰო...

ანდრია. მეშინია...

1 ანგ. რას ამბობ!

ანდრია (მწუხარეთ). ბნელში სინდისი უძლურია... მე ვიყავ მთვრალი და ფანჯარაში, უცებ მოვკარ თვალი ის კაცი რომ ოქროს ითვლიდა (ტირილ ნარევი), მე კი ჩემ ბავშვებზე ვფიქრობდი!..

1 ანგ. (მწუხარეთ). ა?

2 და 3 ანგ. (მწუხარეთ). ა?

ანდრია. მე ბნელ ქუჩაში ვიდექ მაშინ... (ქვითინით). ის გამოვიდა...

2 ანგ. რათა... რათა... აჰ!

ანდრია. ღმერთი არავის არ უყვარს... ყველას ეშინია მისი (გრძნობით). ეშინიათ მხოლოდ!

1 ანგ. მე ავტირდები ეხლა...

ანდრია. ჩაიხედეთ ჩემ გულში!

2 ანგ. ჩვენ მხოლოდ ცაში ვიხედებით...

1 ანგ. ცა ჩვენი სიყვარულის სამშობლოა!

2 ანგ. ჩვენი ცქერა აღვიძებს სამოთხის ყვავილთ... ისინი ახელენ თავის ფერად თვალებს და ღვთისკენ იცქირებიან...

ანდრია. ნუ დამტოვებთ აქ!

3 ანგ. შენთან მოვედით... ჩვენ ვართ სიმშვენიერის პეპელები, შენ-ხარ სული და უნდა წაგიყვანოთ სიმშვენიერეში...

ანდრია. განა შეიძლება ჩუმათ შეპარვა სამოთხეში?

3 ანგ. არა.

ანდრია. და მე უნდა მივიდე ღმერთთან, თაყვანი ვსცე? თქვენ ღმერთს თაყვანს სცემთ?

2 ანგ. ცოდვილო!

ანდრია (უკმაყოფილოთ). ჩემი სიხარული შეზღუდული იქნება სამოთხეში თუ შიგ ღმერთია, რომელიც თაყვანის ცემას მოითხოვს!

3 ანგ. ახ, რა სთქვი! მე ავტირდები... რომ შემეძლოს...

ანდრია. თავისუფლება, გესმის... თავისუფლება!

2 ანგ. ახ, რატომ!

ანდრია. იმიტომ რომ ჩემი გული ძლიერ მაგრად სძგერს... ეს მკერდი კი საპყრობილეა მისი... და გული ჩიტივით ასქდება თავის საპყრობილეს... ეს სამართალია? მომეცით თავისუფლება!..

1 ანგ. და შენ მადლობას ეტყვი ღმერთს?

ანდრია. არა!

1 ანგ. რატომ...

ანდრია. იმიტომ. რომ ჩემი სისხლი ღვინოთ გადაიქცა და ჩემი ხელები ისწრაფვის მოეხვიოს მთელ მშვენიერ ქვეყანას... მაგრამ ხელები ისე პატარა მაქვს... ერთ ბუჩქსაც ვერ შემოსწვდება... ამოიღეთ ჩემი უსაზღვრო სული ამ მოკუმშულ სხეულიდან! მე მინდა ხელები მოვხვიო მშვენიერ ქვეყანას და სხეული აპატარავებს ჩემ სულს... მომეცით თავისუფლება!..

1 ანგ. და შენ მადლობას ეტყვი ღმერთს?

ანდრია. არა.

1 ანგ. რატომ...

ანდრია. იმიტომ რომ... ეს ქვეყანა ისე ტანჯულია, ისეთი ნაღვლიანია და იმდენი წამებაა შიგ, რომ როდესაც გულში ჩავიხვევ მას, ჩემი სიყვარული ტანჯვათ გადაიქცევა... და მე რა უყო ამ უსაზღვრო ტანჯვას!?..

1 ანგ. მონახე სადმე... ერთი... სულ პატარა...

ანდრია. სულს, უსხეულო სულს, შეუძლია ცრემლების ფრქვევა?

1 ანგ. არა.

ანდრია. დაძინება?

1 ანგ. არა.

ანდრია. მაშ რა უყო ამ უსაზღვრო ტანჯვას!

1 ანგ. შენ მონახე რაც სიხარულია ქვეყანაზე და ის შეიშრობს შენს ტანჯვას.

ანდრია. სიხარული არის ქვეყანაში. (ტონ-შეცვლით) თქვენ მითხარით სად არის სიხარულის წყარო? (დუმილია). ნუ თუ ერთია სიხარულის და ტანჯვის წყარო?

1 ანგ. (განათებული. ნეტარათ). ნუ თუ ვერ მხედავ! (არფის ხმებია).

ანდრია. ჰო.

2 ანგ. (უთითებს) ხომ ხედავ იქ!...

ანდრია. როგორ ბრწყინვალეთ მოდიან!

2 ანგ. მოაქვთ ფრთები..,

(ფერადი სინათლით იღებება ცა. ისმის შორეული გალობა).

ანდრია. ჩემი გული ჟანგიდან იწმინდება და ეხლა ისეთია, როგორც დილის ჰაერი...

3 ანგ. და ნამიანი მარწყვივით გაქვს ტუჩები.

2 ანგ. თვალები იებივით...

ანდრია. ვინ დარგო ის იები?

1 ანგ. იქ იტირა ვიღაცამ შენისთანა თვალებით.

ანდრია. იმ საღამოს, პირველად... წმინდა ვიყავი მის სიახლოვეს! სად არის!

2 ანგ. შორსაა...

ანდრია. ვიგრძენ სიყვარული... და თრთოლვარე ხელებით ავკეცე მისი აშლილი თმა, სიცოცხლე შევწირე ჩემი!.. მაგრამ ცხოვრება ისე მკაცრია, სისხლი და ჭუჭყი მომახვია გულზე! ა... გესმით... რა მშვენიერია ის ალვები... ის მაღალი ალვები ასე მხიარულათ რას ჩურჩულებენ?

1 ანგ. ჩურჩულებენ, რათა უფრო მშვენიერი გამოჩნდნენ...

ანდრია. ის ყვავილები? ბავშვობას რომ მიყვარდა... და ახლა კიდევ უფრო საყვარელია... ღმერთმა შეჰქმნა? ირხევიან...

1 ანგ. ირხევიან... (ისმის შორეული სიმღერა).

ანდრია. აქ ხომ ცხოვრება არაა... თორემ საშინელი დუმილი იქნებოდა... ვის უნახავს ასეთი ღამე!.. ეს არის თქვენი სამშობლო? სად არის თქვენი სამშობლო?

1 ანგ. ჩვენი სამშობლო ქვეყანაზე დიდია...

ანდრია. ეა... ნუ თუ... როგორაა ისე...

1 ანგ. ჩვენი სამშობლო დიდი სიყვარულია!

ანდრია. ეს ღამე... მადიდებს და არ მასვენებს... მე ბედნიერი ვარ... რა უნდა!..

1 ანგ. მოგანახიებს რაც ბნელში სიხარული დაგიკარგავს...

ანდრია. ეს სიმღერა!?..

1 ანგ. ამოიღებს გულიდან და ისევ ჩადობს მანათობელ ფიქრს და სიყვარულს...

2 და 3 ანგ. ჩვენ წავალთ თეთრი ფრთების მოსატანათ. (მიდიან).

ანდრია. ფრთები ამ წამში! ჩემი სიყვარული წმიდაა... როგორც ის სისხლია წითელი მინდორზე რომ დავაფინე... შენ მერე შეისხი ფრთები? და ის გულის სიკეთე სიმშვენიერეთ გადააკეთე?

1 ანგ. გამიგონე...

ანდრია. მე ხან და ხან ვერც კი გხედავ... ისე იმალები შენს სიმშვენიერეში... შენ...

1 ანგ. მე...

ანდრია. ახ, როგორ მშვენიერდება! ღამე მიმზიდველია... ჩვენი ორი ანგელოსები წყვილ სანთლებივით თეთრათ მიდიან ამ სიბნელეში... ის მხარე კი მე მიცქერის...

1 ანგ. ეს ღამე სულს შეჰმოსავს... თავის ცისკრათ გადაგაქცევს-იცოდე...

ანდრია. ჰოო?

1 ანგ. შავ თვალებიდან მთელ სიმშვენიერეს წარმოშობს ღამე...

ანდრია. ჰო!

1 ანგ. რათა იგრძნო შენ როგორია ღმერთი!

ანდრია. ღმერთი?.. ის... ძლივს მახსოვს... მგონი... ვიღაც ლოცულობდა მის წინაშე... მაგრამ...

1 ანგ. (მხიარულათ). ის ღმერთი არ იყო!

ანდრია. არა... ის მგონი ლოდი იყო... აქ კი... სიმღერა... და ფერადი ცა...

1 ანგ. ერთხელ, ღმერთმა ოქროს სკამიდან მდუმარეთ გადაჰკიდა თავი და უცებ მოესმა შენი ტანჯვა.

ანდრია. საუკუნის ტანჯვას იყიდის ერთი წუთი. ასეთი წუთით... სიხარულს...

1 ანგ. (კიდევ უფრო გამშვენიერდება). მე და ბუნება... ერთხელ... გამიგონე... ჰო...

ანდრია. (ნელა წაბარბაცდება და ეყრდნობა რაღაც უცნაურ საგნებს). ეს უცნაური საგნები და ჩემი სიხარული... ა, ჰქვია მას... ღმერთი?

1 ანგ. ჰო...

ანდრია. შენი სახე... ეს დიდი ზეცა... და პატარა წყაროები. რაც კია ქვეყანაზე ტყის ლამაზ ჩრდილებში... ბავშვური სიხარული ბუნებაში მან შეჰქმნა?

1 ანგ. სულ...

ანდრია. ღმერთი...

1 ანგ. ბედნიერი ხარ.

ანდრია. ბედნიერება მის...

1 ანგ. ღმერთი მონაა.—

ანდრია. ვინ?

1 ანგ. მან შეჰქმნა სიმშვენიერე და თვითონ დაემონა მას!

ანდრია (ღიმილით). ა?

1 ანგ. შემხედე... სიმშვენიერეს... (ის მშვენიერდება. ყველაფერი ისე იცვლება თითქო გარემოებას 1. ანგ. აძლევდეს სილამაზის ტონს).

ანდრია. აახ!

1 ანგ. ჩემი ღიმილი აჩუქა ღმერთმა პატარა იას.

ანდრია სთქვი...

1 ანგ. და ერთ საკვირველ წუთს, ისე დიდებული, ისე მომხიბლავი წარვუდექი მე, რომ მან მთლად ჩასძირა ძალა ჩემს სახეში... და აი... იყო წამი... იყო წამი,—რომ ღმერთი აძრწოლდა... და ამ დიდებულ წამს გადაწყვიტა ღმერთმა შეექმნა სულიც!.. და...

ანდრია. ჰო... შენ ღმერთზე მელაპარაკები...

1 ანგ. ჩამოვიდა მიწაზე, ეცვა ჯვარს... და მან მონასავით დაჰხარა თავი... ისე დიდია... სიყვარული ღმერთის... და აი შეჰქმნა სული... შენ გამიგონე... მშვენიერი.

ანდრია. ვარსკვლავები როგორ ციმციმებდნენ მაშინ.

1 ანგ. მე რომ გადავფერე? (ისმის შორეული ზარი და სიმღერა. ცა ფერადდება).

ანდრია. ცა... ჩემი... ცა...

2 და 3 ანგ. (მოდიან). ჩვენ მოვიტანეთ ფრთები.

ანდრია (აღტაცებით ეგებება). მოვიშორე ძაძის სხეული! მიწიდან მივალ... ნათელი... ნათელი ვარ ბედნიერი... (წაბარბაცდება და აჩოქებს). ჩემი სისხლი სინათლეთ გადაიქცა! ლხინია... (ცას იის ფერი დაჰკრავს). მაგრამ სად არის ის სული, რომელიც გაიზიარებს ჩემს სიყვარულს... და რომლის ხასიათი, მშვენიერებას მირჩევნია... ერთი შემოხედვით გემსგავსება შენ!.. (ნაღვლიანათ) ახ, თქვენ მოსძებნეთ იქ, ჩინართა ჩრდილებში, ან სადმე ბნელ კუთხეში... ის სული... რომელიც გაფითრებულია ჩემზე ფიქრებით... მან გამიზიარა და შემათვისა სახე თავისი!

1 ანგ. თითქმის დაეცემა მის წინაშე). ცამ ჩვენ მოლოდინში იის ფერი მიიღო!.. (2 და 3 ანგ. ჰქრებიან).

ანდრია. შენ... შენაც კი მომაგონე... რომ ის სული... შეიძლებოდეს... თქვენ ამბობთ... თვითონ ღმერთმა ჰღვარა ამ ქვეყანაზე ცრემლი? ო... რას... ტანჯვას ასე შორს აქვს ძირი... (ბრაზით) მაშ მე მივალ და!.. (მშვიდდება). სიყვარული განამტკიცა დიდი წამებით... დაჰხატა თავისი... შეგქმნა შენ... გამოგაწყო მთელი ქვეყნის ფერადობაში, რომ ზეიმში წარუდგე ერთხელ? შენ...

1 ანგ. მე ვუბრძანე ღმერთს და მან სიცილი დააფრქვია სამოთხეში.

ანდრია. შენ უბრძანე ღმერთს, რომ მან მეც მაჩუქოს პატარა ღიმილი? მე მოვდივარ შენთან... შორს... მაგრამ მე ეგებ მომენატროს ოდესმე მასთან ტირილი... ჩვენი სიცოცხლე შეაერთა ათასმა წამებამ... მაგრამ მე როგორ ვიკითხო მწუხარე, როდესაც სიხარულით ივსება გული... ჩემი სული ალბათ მეცისკრეთ მოიწვიე

შენს ქვეყანაში... მაგრამ მე მივალ, მუხლს მოვიყრი, როდესაც შენს გვერდით შეჩერდება მაღალი ღმერთი... ა? (ბნელდება). რა... ბნელია? (გიჟ ქვითინით) სად...

სურათი მეხუთე.

(იგივე მინდორი. დილის სინათლე. დუმილია. შემოდიან სანიტარები. მზის წითელი სხივები ეფინება შემოსულებს. ანდრია ჰგდია ჩვეულებრივ ადგილას. სანიტარებს შემოჰყვება სათნ. და. სანიტარები ჰსინჯავენ ანდრიას უკვე უსულო გვამს. გადააქნევენ თავს. სათნ. და შექრთება. დუმილია. სანიტარები განაგრძობენ გზას. სათნ. და უკანასკნელად მოიხედავს გაფითრებული და რაღაც მწუხარებით... ის ძლივს მიდის.)

დასასრული.

კვ. 29 დეკ. 1918 წ.

★ ★ ★ ★ ★ ★ ★

★ ★ ★ ★ ★ ★ ★

ნ. ლეონიძე.

ერთი დრამის ეპილოგი.

★ ★ ★ ★ ★ ★ ★

★ ★ ★ ★ ★ ★ ★

ს ძლიერ ძველი და ძლიერ ჩვეულებრივი ამბავია. ჰეინეც კი იმღეროდა ასეთს რამეზე: ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვარდა; მაგრამ ქალი... რა ვიცი რა დაემართა ქალს!.. ღმერთმა იცის ქალის გზა და კვალი!.. ვაჟი სხვამ შეიყვარა. ვაჟს იგი სხვა არ უყვარდა მაგრამ მოხიბლული იყო სახის სილამაზით, თვალთა სიღრმავით, ხმის სინარნარით, სულის სინაზით.

1.

სქელ ჩრდილიან პარკიდან გამოვიდა ვაჟი. იგი თვალს აყოლებდა მიმავალ დიდ ხომალდს და ფიქრობდა: ნეტავი იმათ!.. მიდიან, სადღაც შორს... მოგზაურობის დროს, თითქოს კანს იცვლის სული. ახლა ჩილიში ან ინდოეთში წამიყვანა, შეიძლება...

— ახსენი ნავი!—გადაძახა ნაპირიდან მენავეს, რომელიც სთვლემდა და თან იმღეროდა, რაღაც ამ გვარს:

ლურჯი ფერი ქონდა ზღვას; ლურჯი თვალი ქონდა ქალს; დავენდე მათ სიტყვას—ნავი მივეც ნიავ-ქარს.

*
* *

აბობოქრდა ლურჯი ზღვა, გამიანჩხლდა ლურჯთვალა. ნავი სრულად დამემსხვრა—თავი მკვდარიც მეგონა.

*
* *

მოიწმინდა ისევ ცა; დაჩუმდა ზღვის ღრიალი; ნაპირს ზვირთმა გამრიყა; იქვე იჯდა ცქრიალა, იმღეროდა ნელ-ნელა.

*
* *

მას მერე არ ვენდობი არც ლურჯ ცას, არც წყნარ ზღვას; მას მერე ვერიდები თვალჟუჟუნათა წრეს.

* * *

* * *

ნაპირს მოადგა ახალგაზდა ქალი.

— მეტი არ არის ნავი?

— არა, ქალბატონო!

— საწყენია—ჟინიანათ სთქვა ქალმა და ბავშურათ დამანჭა სახე: წარ-ბები შეხუშა, ტუჩები წამოზიდა და ცხვირი შეაძრია.

— აქ დამიცადეთ... ახლავე მოვალ... გავასეირნებ ბატონს და გეახლე-ბით ერთ წუთში.

— ქალბატონო!—მიუბრუნდა ვაჟი ქალს—ნავი დიდია მოვთავსთებით, თუ გნებავთ.

ქალი ყოყმანობდა.

— ...თქვენ ვერ დამიშლით ხელს, და მეც ვეცთები, ჩემი არსებობა არ მოგაგონოთ... აქ აგარაკია, ნუ გერიდებათ...

— უკანასკნელმა შენიშვნამ წააქეზა, თუ ყმაწვილის ტკბილმა ხმამ იმოქმედა, ქალმა საშველად გამოწვდილ ვაჟის ხელს ხელი მოკიდა და მარდათ ჩახტა ნავში.

— დღეს ჩამოვედით... პირველათ ვხედავ ზღვას და მინდა ზღვაზე სეირ-ნობაც ვსინჯო—მოიბოდიშა ქალმა.

მენავე მარდათ უსობდა ნიჩბებს:

ვაჟს საჭე პირდაპირ, გაუხრელათ ეჭირა.

დაიკარგა სახლები; იკარგებოდა კოშკი. ზღვის სივრცეს ემატებოდა ხმელეთი, რომელსაც ღია ლურჯი ფერი გადაედვა. შორს ვით ჩრდილი მოს-ჩანდა მთები.

მენავემ ძალზე ერთი ორი მოუსვა; მერე ნიჩბები ფრთებივით ზე აკეცა; ნავი თითქმის არ ტორტმანობდა.

ვაჟი მკლავით დაყრდნობოდა საჭეს, ჭილოფის ქუდი მოეხადა და თვალ-ხილული თითქმის სთვლემდა.

ქალი თვალგაფაციცებული აქეთ-იქით იცქირებოდა თითქოს რასმე ეძებსო.

— რა უსაზღვრო სივრცეა!—ვერ მოითმინა ქალმა:

— ზღვა თქვენს თვალებზე უფრო ვრცელი არ არის—ისე სადათ უპა-სუხა ვაჟმა, რომ ქალი არც კი შემკრთალა. ქალს ქათინაურათაც არ მიუღია ეს სიტყვები.

★ ★ ★ ★ ★ ★ ★

— რა განცხრომაა და სალმუნება!

— იცით, თქვენ ზღვის ზვირთებზე უფრო ნაზი ხართ.

— რა ძლიერია, თვითნება და შიშის აღმძვრელი!

— როგორ ბობოქრობს ეგ თქვენი მკერდი, თქვენი გულის თქმა გრიგალ-ქარზე უფრო ძლიერია.

— თქვენ სულ ჩემზე ლაპარაკობთ—თითქმის წყენით, თითქოს წყენით, მგონი, წყენით უპასუხა ქალმა; მერე მიუბრუნდა მენავეს და უბრძანა:

— წადით პარკისკენ!

— ნუ გამირისხდებით! დამერწმუნეთ, თქვენი შეურაცყოფა არ მსურებია. მე მხოლოდ ვფიქრობ...ხმა მაღლა.

2.

ორივე სხედან ჩაფიქრებული.

შემოდგომაა. დამჭკნარი, გაყვითლებული ფოთოლი სცვივა და ოქროს თოვლად ეფინება მიტოვებულ ბაღის სილით მოყრილ გზებს. დაღონებულ მიწას მიბნედილი მთვარე მოწყენით დაცქერის. მოწმენდილ მუქ ცაზე მკრთალად ციმციმებს ვარსკვლავები. გაცრეცილ შტოთა შორის გამოკრთის მბჟუტავი ლამპები. ოდნავ ცივა.

მთელი ბუნება არე და მარე ბურუსში ახვევს ადამიანის სულს, თვალს გვრის ძილს და გონებას საოცნებოთ ამზადებს.

სიჩუმეა გრძელი, ვით მარტოობა.

— რათ არას იტყვით, რათ მოგიწყენიათ?—ეკითხება ქალი ვაჟს.

— სიკვდილს ვუყურებ, მისი მეფობა მადუმებს.

— მაგრამ არის რამ, რაც არა კვდება?

— მეც ისე მწამდა, მაგრამ შემცდარვარ.

...მეგონა,—ადამიანის სული ეძებს სხვა ათასის შორის თავის მონათესავე სულს. მეგონა—რა ნახავს სული მოკავშირე სულს, არ დაშორდება იგი არაოდეს. და ეს კავშირი მეჩვენებოდა უკუნიდან წარმომდგარ ძალათ, რომელიც უკუნისამდი სცოცხლობს...შევცდი...

ორივე დიდხანს იჯდა მდუმარე, მოდუნებული.

— ასეთს იარას ვერა რა არჩენს?..

— ერთად-ერთია მისი წამალი.

★ ★ ★ ★ ★ ★ ★

— მაშ მითხარი... სიამოვნებით თავს გადავდებ... შენ შემოგწირავ ნეტარების ალს, მწუხარებისა შემხუთველ ყინვას...

— ... ცოცხლივ სიკვდილი.—

— ეს რაღას ნიშნავს?..

— ჯერ ყმაწვილი ხართ... მერე გაიგებთ...

სიჩუმე გრძელი, როგორც სიკვდილი.

... როცა უნებლიეთ წარმომიდგება მისი მშვენიერი, შავი თმით შემოსილი თავი, ხელზე ლომპიერათ დაყრდნობილი, მგონია, თვით ნარგიზი, ია და ვარდი ფერადი თაიგულათ შეკონილი ვისმე ჩაუდგამს თეთრს თლილ მარმარილოს ყელ-კისერში-თქო... და ეს თეთრი ხელ-მკლავი, ვით მიმცურავი გედისა ყელი და ეს ნატყორცნი ისრები—ვით ნაქანდაკები თითები შემოეხვევა, უხეშს, ტლანქს, მოზვერივით სხვილ, მოწითალო და ოდნავ დანაოჭებულ კისერს!!. ამ თითებით დახრჩობას ნეტარებათ მივიღებდი... წარმოვიდგენ თუ როგორ ეხება ამ ბროწეულის კუკურს, ბაგეს რომ ეძახიან, ღლავის, ყურიდან-ყურამდი გაჭრილი პირი... ეს ტევრი თმა გიშრათ ბრწყინავი შეუერთდება ჟღალგარეულს, ნაღებავს ძაგარას!—ოცნებით გამოწვეული სურათი ღრღნის უხმოთ ჩემ გულს და კვნესა ენას ვერა სცილდება... მე ვიტანჯები—ის მეცოდება... ნეტავი ისიც თუ იტანჯება და ჩემებრ ნეტავი თუ ვეცოდები?..

სიჩუმე გრძელი, ვით ტანჯვა ქვეყნის...

— მაინც რა გიშველიდათ?

— ცოცხლათ სიკვდილი... თუ მოვკვდი მხოლოდ ხორცით, იქ სული დასევდიანებული იქნება—ვერ დაივიწყებს იგი, რომ იქ ხორცს, მის დიდიხნის მეგობარს, ქონდა იმედი, სასოება, სწამდა, რომ ნაწილი ბედნიერებისა უნდა რგებოდა საერთო მეჯლისში. მაგრამ რო მოვახერხებდე აქვე მოვკდე ცოცხლივ, დავკარგო სასოება და იმედი, მივცე ცხოვრების ტალღებს სათამაშო ფირფიტათ, არ გავანძრიო ხელი... ვით ნაფოტი დიდის ხისა ავყვე მდინარეს უსაჭოთ უიალქნოთ,—მაშინ ოჰ მაშინ,დამშვიდდება სხეული, თავს შეიკრავს იარა... არ შემიძლია!.. სჩქეფს ისევ სისხლი, იმედის ნაპერწკალი მატოქებს, ნაშუქი სხივი მოსალოდნელი ბედნიერებისა ჯერ არ გამქრალა და მიბნელებს თვალებს... გულს ჩუმათ ღრღნის და ღრღნის მოგონება...

ქალი ნელა უხმოთ ტირის...

ვაჟი ამჩნევს.

სიჩუმე გრძელი, ვითა ალერსი.

3.

მცენარეებით შუბურვილი აგარაკი განმარტოებით იდგა.
ქალის ოთახის სარკმელი ზღვას გადაყურებდა.
ქალი ხშირათ ტალღების ხმას ააყოლებდა იდუმალ ფიქრს.

ტყუილად ვფიქრობ, თითქოს იცოდეს უსიტყვოთ ჩემი მან აღსარება;
სულისა თრთოლა გულისა ძგერა
— არ გაეგება, არ გაეგება!..

4.

— რატომ არ მეკარებით ეს უკანასკნელი ხანია?—ეკითხება ქალი.
— უზომო თქვენდამი სიყვარულით...
— ?!— თვალები სიხარულით ელვარებს; ბაგენი სდუმან.
— ... მე მიყვარს თქვენთან ვიჯდე, გიცქიროთ თვალებში, ვსუნთქო ჰაერი, რომელიც თქვენ გეხებათ, ვგრძნობდე თქვენ სიწმინდეს, ვგრძნობდე თავს თავისუფლათ. მზის სხივის, მიწის ნოყიერების, სინესტის, ჰავის შეხამებაა საჭირო რომ ვარდი ყვაოდეს. მოვლა ყვავილის მე არ ვიცი, არც მომწონს ეს ხელობა; მე მხოლოდ ვეტრფი ყვავილის ფერს, მის სურნელებას, განსაკუთრებით კი მხიბლავს ვარდის ფოთლების ხავერდი. ამიტომ სჯობია შორს დაიჭირო თავი...

5.

ვაჟმა მიიღო შემდეგი მოკლე წერილი:

ყველა თქვენსავით არ აზროვნებს და თქვენ მიერ გალმერთებული ქალივით ვერ იმოქმედებს.

ვაჟი შიშმა აიტანა. ბუნდოვან სიტყვებმა აგრძნობია, რაღაც ცუდი ამბის მომასწავებელი.

— მე ვარ, მე ყველაფერში დამნაშავე... ჩემ მიერ უმნიშვნელოთ ნათქვამი სიტყვები მას ზოგჯერ ისრათ ხვდებოდა, ზოგჯერ კი მალამოთ ევლინებოდა.—ფიქრობდა ვაჟი და თავისთავზე აბობოქრებული წყრომა საზარელ სურათს უხატავდა...

ზღვის ტალღები ქალს ეალერსება, ნაზათ ათამაშებს, სამარადისო ნანას

★ ★ ★ ★ ★ ★ ★

„სულთათანა განისვენე“-ს უგალობს; მთვარე მკრთალ შუქს ფენს, ვით უქრობი კელაპტარი; ფრთა გაშლილი ანგელოზი ცაში, სამოთხისკენ მიაქროლებს უმანკო არსების უბიწო სულს...

ყმაწვილი წამოდგა. დინჯათ მიდიოდა; მიზანი გაზომილი ქონდა; აზრი დაშოშმინდა; გადაწყვეტილება შეუდრეკელი იყო. ჯიბეებში იწყობდა ქვას, მძიმესა და პრტყელ-პრტყელს, რომ ადვილათ არ ამოვარდნოდა. დინჯისავე ნაბიჯით შევიდა ზღვაში... წყალი წელზე სცემს, მკერდამდი მიწვდა... და ვაჟი ტყვიასავით წავიდა ძირისკენ... ჩვეულებრივი ლივ-ლივიც არ დაუწყია წყალს იქ, სადაც ადამიანმა გაათავა თვისი ტანჯული ცხოვრება...

6.

ორი თვის შემდეგ წმინდა სანთლებით ოდნავ განათებულ საყდარში, აღსავლის კარების წინ იდგა ქალი და ვიღაც უცნობი ვაჟი; მღვდლის სამგზის დაკითხვაზე—გსურს თუ არა ამ ვაჟთან შეუღლებაო, ეკლესიამ გაიგონა ქალის მტკიცე, წყნარი და დარცხვენილი—ნასიამოვნები პასუხი:

— მსურს!

ნ. ლორთქიფანიძე.



სანდრო ფანშიაშვილი

შორეული დედოფალი.

(La Princesse Lointaine)

დრამა ოთხ მოქმედებად ედ. როსტანისა.

თარგმანი გერმანულიდან.

მომქმედნი პირნი:

მელისანდე, აღმოსავლეთის დედოფალი.
ბერტრან დე ალამანონ, რაინდი და პროვანსელი ტრუბადური (მომღერალი).
ეოფრუა რუდელ, ბლეიელი ბატონიშვილი, ტრუბადური, აკვიტანელი.
მამა ტროფიმი.
ერაზმი, ექიმი ბატონიშვილისა.
სკარჩიაფიკო, ვაჭარი გენუეზელი.
მწვანე რაინდი, ხელმწიფე მანუელ კომნენის კარისა.
სორიზმონდე, სეფე-ქალი.
მენავეთა უფროსი
ტრობალდო
ფრანსუა
პეგოფა
ბისტაინ
ეუან
ბრუნო
მესაჭე
მარიას
} მეზღვაურნი.
ნიკოლოზ, სკარჩიაფიკოს მსახური.
მწირნი.
ახალგაზრდა მენავე, მემუსიკენი, მონანი და მენავენი.

მოქმედება სწარმოებს XII საუკუნეში ტრიპოლში და ტრიპოლის გარეშე, მაშინ, როცა ჯვაროსნობა იყო.

მოქმედება პირველი.

ხომალდის სახიხი, ანუ ბანი ხანგრძლივ და საშინელ მოგზაურობის შემდეგ. ემჩნევა, რომ ქარიშხალი ყოფილა: ადგრა დაფხრეწილია, ანძა გამრუდებული. აგრეთვე სჩანს ბრძოლის ნიშნები: სისხლის წვეთები და აქა-იქ მიყრილ-მოყრილი იარადი. ღამე ილევა. ნაცრის ფერი, უტხრესათელი ბინდი. გარიჟრაჟებულ ცაზე უკანასკნელნი ვარსკვლავნი ჩქრებიან. ჰორიზონტი ღრუბლებშია გახვეული. ფარდის აწევისას თანდათან თენდება.

გამოსვლა I.

მეზღვაურნი: ბრუნო, ბისტაინ, მარიას, პეგოფა, ტრობალდო, ფრანსუა და სხვები, მესაჭე, შემდეგ მენავეთა უფროსი და მამა ტროფიმი.

ფარდის ახდისას მოსჩანან მეზღვაურნი სხვა და სხვა ადგილზე მოსაქმენი: ზოგნი სხედან, ზოგნიც წვენან. ზოგნი დასაღვლებულნი, ჩათხრობილნი, ღონემოწყვეტილნი და გაფითრებულნი გამოიყურებიან, მოქანცულნი მუშაობით და გაჭირვებით. პეგოფა და ბრუნო აქანებენ მესამეს—სიტყტხლე მიხდილს. იგი თავით და ფეხებით უკავიათ.

პეგოფა და ბრუნო (სიდრმეში). ერთი... ორი... სამი... ჰუპ!

პეგოფა. ბარემ წინადვე გადაგვეგდო?

ბრუნო. იგი ტრიპოლის ნავთსაყუდარს ველარ მოახწევს.

პეგოფა (ქუდით სალამს აძლევს). იყავ მშვიდობით მეგობარო!

ბრუნო (იმზირება). უკვე თენდება! აგერ გამოჩნდა წითელი სხივი!

(წინ მოდგებიან).

ფრანსუა (გამოიდვიძებს და იმზირება). ვინ გადააგდეთ ხომალდიდან?
— დასწყევლოს, ცივა!

ბრუნო. ოდრიუ-მკვლელი!

ფრანსუა (შეჭხედავს ჩამონგრეულ საფარს). ჰხედავთ, ღელვისგან ყველაფერი გაოხრებულა!

ბისტაინ (წამოიხედავს). გვერდზე ჰკიდია იგი აფრა, სჯობს ჩამოვიღოთ!

ფრანსუა. იგი საბელიც ქარიშხალსა გაუწყვეტია!

ბისტაინ. პური, ახ, პური!

ბრუნო. მესანოვაგეს ნამცეციც არ მოეპოვება!

ფრანსუა. ო, ეს ჭრილობა! (წაბარბაცდება) ფეხზე ძლივს ვსდგები!

ჰმ, ეხლა თუნდაც ბარბაროსთა ნავიც მოგვადგეს,
თავს ვერ დავიცავთ, ჩვენ მათ ველარ გავუმკლავდებით!

ბრუნო. ეხ, თავის დაცვა? რაც უნდა მოხდეს, გზა გავიკვლიოთ!
ვაი იმ ნავსა, რომელიც კი ბრძოლას აგვიტეხს!

ბისტაინ. ჩვენ სარაცინის ზღვაში, ნეტა, როდის ვიქნებით?

მესაჭე. მე ვგონებ, მალე! თუ კი ქარი ასე იქროლებს!
ახ, ოღონდ ნემსი,ნემსი მქონდეს, რომ ჩრდილოეთით
გზას გვიჩვენებდეს.

ბისტაინ (მხრებს იწევს). ბანზე აგდებს იგი ჩვენ სიტყვას!

მესაჭე. იგი უმეტეს შემთხვევაში გზას უკვლევს კაცსა:
ქვაზედ უსვამენ—რკინას ქვა უყვარს—
ჩრდილოეთისკენ თავის თავსა აყენებს, მაშა!

მეზღვაურნი. ჰა!—სისულელეა!..—რაა ნემსი!.. ტუტუცი არის!

პეგოფა. ე, მგზავრობის დროს ნემსსა და ბედს თავი ანებე!—
ჰხედავთ, თანდათან როგორ თენდება?
ცოტა არ იყოს გულსაც ეშვება!

ბრუნო. ეგრე გგონია?... მაგრამ წყურვილი?

ფრანსუა. მერე, საჭმელიც არავითარი!

ბისტაინ. დიახ, რაც გვტანჯავს ყოველივე...

პეგოფა. ღმერთია ჩვენთან!

ტრობალდო (გაშოიგლის). თუ იგი მართლა საძულველია,
მაშინ ამ ჩვენსა მასხარაობას
ადგილიც ხომ არ უნდა ჰქონოდა.

ყველანი. ო, არა, არა! იგი ასული მშვენიერია!
— მშვენიერია!—

ტრობალდო. ეს ღმერთმა უწყის! მაგრამ ის უნდა, ჰო, ბისტაინ, ლამაზი
იყოს!

ბისტაინ. და უფრო მეტიც!
ჩვენ ყველამ მისთვის თავი განვსწირეთ,
მე წინააღმდეგ შემთხვევაში ბრაზით მოვკვდები!

ბრუნო. იგი ლამაზი უნდა იყოს...

მარიას. კარგია, კმარა!

ყველანი. ის ასეთია!—ო, ის ტურფა, მშვენიერია!

ერთი ნიჩბის მსმელი. ჭეშმარიტს ვამბობ, მახინჯის გამო

ასე გაწაფვით არ მოვუსვამდი!

პეგოფა. მოსმის დროსაც კი ის მასზე ფიქრობს.

ნიჩბის მსმელი. და მარად მასზე!

ბისტაინ. ე, დედოფალი ხომ ყოველთვის მშვენიერია!

მესაჭე (მხრის აწევით). თქვენ მხოლოდ მასზე ლაპარაკობთ?

პეგოფა. და მისი მარტო სახელიც კი მხნეობას გვაძლევს
და დაღლილობას მთლად აქარწყლებს.

მესაჭე. ახლა თქვენც გჯერათ, რომ იმ იშვიათ ფრინველს ვნახავთ როდისმე, არა?

ბრუნო. ბატონიშვილმა აღგვითქვა, რომ სეფექალებთან და დედოფალთან
თქვენც მიგიყვანთო და ამ რიგად სალამს ვუძღვნიო:
„აი უმზირეთ! ამ ერთგულთა აქ მომიყვანეს
და თქვენს წინაშე მუხლს ვიდრეკ მე მოწიწებითო!“

მესაჭე. იქმნებ გგონიათ, დედოფალი თქვენც გესაუბროთ?

პეგოფა ჩვენ რომ მას ვნახავთ: ესეც ბევრია! მისგან შეჰქმნიან ერთ არსებასა.

ახალგაზრდა მენავე. მისი თვალები!

მესაჭე (მოუბრუნდება).
გინდა მასში რამ ამოიკითხო?

ახალგაზრდა მენავე. ჩუმად!

პეგოფა უფროსი!

მენავეთა უფროსი (ის კი იყო გამოვიდა და ყურს უგდებდა).
ჯერ ხმელეთს, ხმელეთს მიახწიე, შენ, თანამგზავრო!
უნდა იკოცხლოს ბატონიშვილმა.

ყველანი. ხომ არ გამხდარა უარესად?—საწყალი!—ვაგლახ!

ბრუნო. უბედურობა არის სწორედ, უბედურობა!

მენავეთა უფროსი. ჰხედავთ, ხომალდზე ის ოთახი დახურულია,
და მეგობრები რუდელისა იქა ფხიზლობენ,
მარად ზრუნავენ მის შერყეულ მყუდროებისთვის.

პეგოფა. ჯერ კიდევ გუშინ საღამოთი მღეროდა იგი!

ბისტაინ. სიმღერებში ხომ იგი დიდი ხელოვანია!

ფრანსუა. რა ჰქვიან იმას, ზედ რომ დამღერის?

მესაჭე. მას ჩანგი ჰქვიან! ჭეშმარიტად ჟღერს საუცხოოდ.

ბისტაინ. მით ცურაობა გვიადვილდება!

პეგოფა. ირხევა მისგან ჰაერი და წამით სულს ვითქვამთ!

მენავეთა უფროსი. ბატონიშვილის სულიერი მამა აქ მოდის!

პეგოფა. ახ, კარის მღვდელი!..

მამა ტროფიმი (შემოდის, ტანთ ატვია დახეული ანაფორა. ცისკენ განცვიფრებული და შემკითხველის თვალით იმზირება. მუხლს მოიყრის).

ბრუნო. აი ხუცესი! მას არაფერი არცა აშინებს,
არცა აშფოთებს
და არც უკარგავს სასოებასა.

ფრანსუა. დიახ, ეგ არის თავისუფალი და ღირსეული ადამიანი!

ბისტაინ. ჩვენ ყველანი რომ მაგ ხუცესს ვგავდეთ...

მენავეთა უფროსი. უკანასკნელი ვარსკვლავი ჰქრება!

ბისტაინ. გარიჟრაჟია! (თუნდება).

მამა ტროფიმი (დაჩოქილი ლოცვით).
ჰოი წმინდაო ღვთის მშობელო, დედავ ქალწულო!
შენა ჰმფარველობ და ამხნევებ ამ მეზღვაურებს.
გზა გაუკვლიე ამ ჩვენს ნავსა ნავთსაყუდრისკენ,
მსგავსად გედისა და ეს ჩვენი ბატონიშვილი
სდებს წმინდა აღთქმას, თუ გადარჩა ამა მგზავრობას,
ვერცხლშეჭედილი სურათი შენ, შენ შემოგწიროს.
გზა წაგვიმართე ღვთისმშობელო, დედაო ღვთისავ!

მესაჭე. ფაჰ! სხვა არაფერი, ოღონდ ერთი ნემსი კი მქონდეს!

ბისტაინ. ჰე, შე ურწმუნო! ეს რას გაკლებს... გმობა რად გხდება?

ერაზმი (გამოჩნდება დახეულ წამოსასხამით და ატრემლებულის სახით).

მეზღვაურნი (იცინიან გაკილვის კილოთი).

ბრუნო. ის ყრმა-მოხუცი სახეს იღმანჭავს.

ფრანსუა ექიმი!

ბისტაინ. რა ამბავია?

გამოსვლა II.

მამა ტროფიმი, ერაზმი, უკან მეზღვაურნი.

ტროფიმი. ჰა? როგორ ატყობთ, ექიმო, ჩვენს ბატონიშვილსა?

ერაზმი. ეს ღამე ცუდად გაატარა... ეხლა ჩასთვლიმა.
ბერტრანსა ჰლვიძავს! გაიხედეთ, მამაო ტროფიმ,
შორსა და ახლოს ღრუბლის მეტი არაფერი სჩანს!

(გაბრაზებული).

ვინმე ექიმი სალერნიდან, ერთი მიბრძანეთ,
მე აქ რას ვეძებ, ან რა მინდა ამ ჯოჯოხეთში?
ჩემი კათედრა და ბუხარი, ჩემი წიგნები
ყველა სახლშია! ამ ზღვის ქარმა მთლად დამიწეწა
ტანზე მანტია, განვიძარცვე, ქუდიც დამეხა...

ტროფიმი. მაგრამ მაინც ბატონიშვილი...

ერაზმი. ჰ, უსაქმო ბატონიშვილი!

ეგ მომღერალი რას ეძიებს ამ განსაცდელში?
როს მასთან მიველ, ის ნებივრად და ავად იყო...
დამშვიდებული ვფიქრობდი, რომ მისთვის ხანგრძლივად,
ბეჯითად მევლო, აქ კი არა, იქ შინ, ხმელეთზე.
ო, ეს მგზავრობა ვაისა და ვაგლახს ჰქმნის ჩემთვის.

(თანდათან უფრო გაჯავრებული აქეთ-იქით გაიელვის).

აი ეშმაკმა კი დახრუკოს ის ჯოჯოხეთში
ანტიოხიის მწირი ერი, სიდან პირველად
იგი ამბავი მივიღეთ ჩვენ. ვახშმის ხანს მოჰხდა.
ილაპარაკეს პირველად იმ მელისანდეზე,
შემდეგ კი იმ დიდ რაიმუნდსა და ჰოდიერნას
გარდასავლზე. „ყვავილიო აღმოსავლეთის“
ჰბოდავდნენ მწირნი. ეხლაც ვხედავ, თუ იმ მსხვილ ბერსა
რა რიგის ცეცხლით ენთებოდა იმ დროს თვალები.
და ამნაირად ჩაუნერგეს იგი მას გულში.
ასე შეუჩნდნენ სიმღერებით. და როგორც მგოსნებს
სჩვევიათ ხოლმე შეყვარება ღრუბლის, ჰაერის,
ბატონიშვილმაც შეიყვარა იგი ასული
და თვის მიჯნურად, გულის სატრფოდ გამოაცხადა.
სდნებოდა იგი სიყვარულის სევდაში ორს წელს
და, მხოლოდ მასზე ოცნებობდა, მას ერთს უმღერდა.
გახმა, ჩამოდნა და დასასრულს ახლოვდებოდა,
სიკვდილის პირად მყოფი კიდეც გამოემართა,
რათა ეხილა მისი სახე მხოლოდ და ერთხელ!

ტროფიმი. ოსტატო ერაზმ!

ერაზმი. და აი, ეხლა თვის სამარეს ამ ზღვაში ჰპოვებს!

და მეგობარი მისი ბერტრან დე-ალმანონი,
როცა კი ყველა არ ურჩევდა რუდელს ამ საქმეს;
ის ერთად ერთი შეაქებდა მგოსნის სიყვარულს
და აქეზებდა—ეხლა ტანჯვა თვითც გამოსცადა—
ის უძახოდა საუცხოვოს ამ ჩვენს ხეტიალს,
იგი ჰნათლავდა უდიდესსა საკვირველებად.
მაგრამ ეს ყველა სისულელე თვალთ აბმა იყო.
და თქვენც, ხუცესი, ამ საქმეში რომ ჩაერიეთ,
იგი აკურთხეთ და დაჰსახეთ ეს წმინდა საქმედ...
ეს საკვირველი არ არის რომ მე მასთან მოვხვდი,
მაგრამ თქვენ, მამას სულიერსა, ერთი მითხარით,
მოგეტევებათ?
იქ, სად რაინდნი თავსა სდებენ ჯვაროსნობაში,
ეს კი ამ წმინდა ქვეყანაში კერძო გულისთვის,
კერძო საქმისთვის ასე რიგად მოესწრაფება,
ვით სიყვარულის ვინმე მწირი და ჩანგზეც მღერის
„ბრძოლა იმ წმინდა საფლავისთვის ჩემი მიზანი
სულ არ არისო!“

ტროფიმ. ვინ უწყს აქ კიდევ სხვა რა დიდი ზრახვა იფარვის.

ერაზმ. ქალის თვალთათვის ქანაანში მიემგზავრება!

ტროფიმ. მერწმუნეთ, ღმერთს ეს სათნოდ მიაჩნს...

ერაზმ. ახ, ნუ თუ მართლა? რას ჰხედავს მასში?

ტროფიმ. სიდიადეს და რჩეულობას!

ერაზმ. ჰოო?

ტროფიმ. ამიტომ მე მრწამს, ყოველ მის საქმეს,
რაიც ესოდენ დიადია და უანგარო,
თან ახლავს კიდეც რჩეულობა და სიდიადე.
ეს სულ ერთია: ჯვაროსნობა თუ ესრეთ წმინდა
სიყვარულისთვის გამოჭრა და თავის განწირვა!

ერაზმ. წმინდა სამარით წყეულთ განდევნას, ანუ მის დაცვას
და ამნაირად სიყვარულისთვის
მოგზაურობას, ერთმანეთს უდრი?

ტროფიმ. მის დაცვას ღმერთი არ საჭიროობს,
და რომ უფალსა ეს ასეც ჰსურდეს,

ერთ ქერუბიმსაც შეუძლიან ფრთის ერთის დაკვრით
ურჯულოთ გროვა მოაშოროს წმინდა სამარეს.
არა, რაც მას ჰსურს, იგი სულის დასახსნელია.
რასაც რაინდნი მიელტვიან აღტაცებითა,
რომ მტერთაშუბებს ეგებიან მსხვერპლთა შეწირვით,
—რასაც კი მხოლოდ გაჭირვება მოაქვს ჩვენთვისა,—
ეს სულ სხვა არის, ხოლო რასაც ბატონიშვილი
იმ ქალისათვის მოკრძალებით ამ ჟამად ჰბედავს,
ეს რჩება მისის სულისათვის სამარადისოდ.
თუნდ იგი აღარც არსებობდეს, ის მაინც მუდამ
ლურჯსა სივრცეში იცხოვრებდა, იარსებებდა.
მწარე ტანჯვაში, სიყვარულში კვლავ იშვებოდა.
კარის მსახურნი მან სიტყვათა მომხიბვლელობით
და სიყვარულის ძლიერებით გამოიტაცა.
და ეხლა, ჩემო, საყვედური მას არ ეკუთვნის.
ბატონიშვილი რასაც ეხლა ღრმად თვის გულში გრძნობს,
მას სულს უმაღლებს. სიყვარული ესრე დიადი
დიახ, გზას გვიკვლევს მარად ცისაკენ
და გვხდის რჩეულად.

ერაზმ. ჰმ!

ტროფიმ. ერთიც!
ეს მენავენი, რანი იყვნენ ან ნიჩბის მსმელნი?
განა არ იცი?—ზღვის ყაჩაღები!
ესენი მას არ გამოყოლიან
მძიმედ დატვირთულ ყაჩაღის სულით,
მოსდევენ არა მძარცველობისთვის,
არამედ მისთვის, რომ ბატონიშვილს
მზის ქვეყანისკენ გზა გაუკვლიონ!
პიროობა უკვე შეკრული იყო
და იმ ტურფაზე მათში არც ერთმა არრა იცოდა,
ეხლა ყველანი სიყვარულის დიადის ლტოლვით
გატაცებულან!

ერაზმ. ეს გახარებთ?

ტროფიმ. ეს მაფრთოვანებს!

ჩვენი ხომალდი არ მისცურავს რამე სარფისთვის,
ანუ ჯილდოსთვის. ჩვენი ლტოლვა უანგაროა.
ყველა ჩვენგანი იმედოვნებს, მასზე ოცნებობს,
ბატონიშვილი იმ მშვენიერს რომ ბოლოს შეეხვდეს.
ველურ გულს ეხლა ნაზი ლტოლვა ერთიან იპყრობს.
მგოსნის მიჯნური რჩეულად ჰხდის ყველა მათგანსა
და ოცნებობენ, რომ მგოსანმა იგი იხილოს.
ეს მწირნი არსნი დიდებულსა ესწრაფვებიან
და სადა გულით პატივს სცემენ მშვენიერებას.
მგოსნის ოცნება ღირსეული, დიახ, სხვებისთვის
გაუგებარი, ადგილს ჰპოვებს მათ სადა გულში.

ერაზმ. ეგ სისულელე მესაჭესაც კი
ბრაზით ახელებს, გულში აცინებს.

ტროფიმ. იგი მესაჭე, მაგრე რიგად სადა არ გახლავთ!

ერაზმ. მერე, რას აქნევთ თქვენ ამათგან?

ტროფიმ. ძალიან ბევრსა!
ციური სხივი სულში სპობს ბოროტს!
დიდი მიზანი გხდით ღირსეულად.
და ვინც იგემა სიტკბოება დიდის მიზნისა,
ბოროტს და საძრახს იგი ველარ დაუბრუნდება.
მაღალ ოცნებას საძრახისი ზრახვა თან არ სდევს.
თვითონ შენც გული დიდებულათ აგიძგერდება!
განცვიფრებული მიმზერ და გიკვირს
ეს საუბარი! მაგრამ ასეა!
მიყვარს ყოველი დიდებული და უმაღლესი.
არგონავთები რა არიან, თუ შეგადარებთ
ჩვენს თავს მათთან? ეს ხომალდი რაინდთ გალობა
და სიყვარულის ჰანგი არის. ეს მგოსანს მიჰყავს
და მიაცურებს ჩანგის ხმასთან ნაზშეწყობილად.
და ეს მეკობრე მეზღვაურნი, რომელთაც თვისი
თავი დაიპყრეს, ჰმორჩილებენ წინამძღვარ-მგოსანს.
დიდებულია ეს მიზანი ზექვეყნიური,
ის საუცხოვო დედოფალი და ეს იმედი
რომ ნაპირს მივალთ და მას ჰნახავს მიქანცულ თვალით!—

დიდი ცოდვაა, ჩემო, მხოლოდ უმოძრაობა!
სათნოებაა...

ერაზმი. რა?

ტროფიმი. ზეშთაგონება! (გაეცლება).

ერაზმი. ჰმ! ეს ხუცესი ასე მსჯელობდეს...
(ფიქრის შემდეგ)
მაგას განდევნა მალე უსწრობს ეკლესიიდან!

(ბერტრან გამოდის ხიმალდის ოთახიდან. დაძონძილ ტანისამოსშია).

ბერტრან (ერაზმს). ბატონიშვილს გამოელვიძა.

ერაზმ. წავალ, მივხედავ! (შედის).

გამოსვლა III.

მამა ტროფიმი, ბერტრან და მეზღვაურნი.

მენავეთა უფროსი (პეგოფას, რომელიც ნიჩაბს თავს ანებებს).
მოუსვი ნიჩაბს!

პეგოფა. სამი დღე-ღამე უნაწილო ვარ!
აწ აღარ ძალმიძს...

ბრუნო (ძლივს სუნთქავს). ო, წყურვილი მკლავს!

ტროფიმი (ბერტრანისკენ გაემართება და ხელს მოუჭერს). მსურს გითხრა: შენის ერთგულობით განცვიფრებულვარ!

ბერტრან. ეს ჩემი გული ნაზი არის. მალე ეგზნება.
ჩვენი მგოსანი მასულდგმულებს და შთამაგონებს.
და მის კვალს მივსდევ. ტრუბადური არ ვიქმნებოდი,
რომ ამ სიმღერის ბრწყინვალება არა მხიბლავდეს.
(შენსავეებს)
მხნედ, მეგობრებო! მხნედ! გავიჭრათ!
და გარდვიტანოთ განსაცდელი. ველოდეთ მიზანს!
(ტროფიმს)
ჩემის ცხოვრებით ვიყავი მე უკმაყოფილო,
მობეზრებული, რომ სიტყვებსა ვკინძავდი მხოლოდ,
რათა მე მათში ბრწყინვალება აღმომეჩინა,
და ვერთობოდი ლექსის თხზვითა, ვით ბურთაობით,
ეხლა კი ვიცი, უკეთესი ვარ, ვიდრე ვიყავ!

ტროფიმი. აწ შენი ზრუნვა მომაკვდავისთვის...
შენი მხნეობა...

ბერტრან. მე პოეტი ვარ...
მოგზაურობის მნიშვნელობა მე კარგად მესმის,
მოშაირობა თუნდაც რამე არ მიზიდავდეს,
რამე ახალი...

ტროფიმი. შენი მხნეობა, შვილო ჩემო, სწორედ ნამდვილი
მხნეობა არის! რად ამცირებ შენს მოქმედებას?

ბერტრან. არა, ეგ თქვენი ქება მრცხვენის, ღირსო მამაო!
ეს ჩემი გული იშვიათია
და ქვეშევრდომი მრავალთა მრავლის.
დიდ საქმისადმი მსწრაფლ ვიქმენ მე წაქეზებული.
ეს ასე არის, რადგან გავლენა მალე მიზიდავს!
თვით მე მაკვირვებს, თუ რაოდენი რამ შევწირე ამ
მოგზაურობას!
თავგადასავლის ესრეთ ძიებას!
სხვანი აქ მძიმედ მოიქცეოდნენ,
როგორც კეთილის, ისე სხვა ბოროტ მოქმედებაში!
მეტად აფასებთ მსწრაფლ შთაგონების
დამყოლ არსებას: მხოლოდ პოეტი, მე პოეტი ვარ!

მენავე (დაბლა მწოლი სვის უფროსს ეუბნება, რომელსაც ჭსურს უშველოს).
ო, არა! მეტი მე აღარ ძალმიძს!

მენავეთა უფროსი (ბერტრანს). თქვენ რა გამხნევებთ, კვლავ მოგვასმინეთ!
(მეზღვაურნი ბერტრანს შემოეხვევიან).

პეგოფა. მე შიმშილი მკლავს: ილაპარაკე მის ოქროს თმაზე!

ბრუნო. მე წყურვილი მკლავს: ილაპარაკე იმის თვალებზე!

ფრანსუა. ხშირად ნაღველი, მწარე სევდა, თუ გაჭირვება
ჩვენის გულიდან შენის ზღაპრით განგიფანტნია,
როს გიანბნია იმ მშვენიერ ქალთ დედოფალზე.
(გარს შემოეხვევიან დაღლილნი და დაქანცულნი მოწყვეტილ მოძრაობით).

ბერტრან (ჩანგზე). მსურს ერთხელ კიდევ ამბით დაგატკბოთ და გაგახაროთ.
მაშ ყური მიგდეთ, ჩემნო ერთგულნო:
მის ოქროს თმაში მზე ილიმება;
მთვარესა სძინავს მის მონარნარე თვალის ღამეში.

როდესაც მისი ლამაზი სახე
დალალთა შორის ნაზად გამოკრთის,
უმალ რაინდნი ერთგულებისა ფიცსა სტეხავენ
და ცრემლს აფრქვევენ ტურფა ასულნი.

რამ იდუმალი ჯადო მფარველობს
მისსა სიყვარულს შეუდარებელს.
იქმნებ იგია გრძნეული არსი?
ან იქმნებ არის ბედნიერება და ნეტარება?

კრძალვით სავსეა და მხიარული,
მის არსებიდან, რხევაქცევიდან
მომდინარეობს ცხოვრების წყარო.
რასაც აკეთებს, ვარდებრ ნაზია;
და მისი სიტყვა სხივის ტალღაა.

ასულსა მზისას, ფრანგთა მოდგმისას,
ტურფას, ღვთაებრივს, რჩეულს, იშვიათს
აწ ვუძღვნით ქებას.
ის ქალი სცხოვრობს სხივების კოშკში.
სახელად ჰქვიან მას მელისანდე!

პეგოფა. ეგრეა, ეგრე, რასაც კი ამბობს;
თუმც ყველაფერი კარგად არ მესმის,
მაგრამ რომ იგი უნდა იყოს ძალიან ტურფა
და მშვენიერი, ამას კი ვგრძნობ და კიდეც ვხედავ!

ბრუნო. ეხლა კი კარგად წავა საქმე... ჰო, ასე, ასე!

ყველანი (გამოცოცხლდებიან).

ფრანსუა (ნიჩაბს უსვამს). ჰეი, თამამად!

მესაჭე. თქვენ ამით ყველას ასულელებთ. თქვენისთანები
ამ მოაჯრიდან...

ბერტრან. მე და რუდელი, ვასულელებთ ჩვენ ორნი მაგათ?
ვინ შთაბერავდა მოთმინებას, ჩვენ რომ არ ვიყოთ?
ყოველ ხომალდზე ქარიშხალსა, გაჭირვების დროს

უფრო მეტს ჰშველის, მეტს აკეთებს მგოსანი, ვიდრე
ნავის მესაჭე, ნავის გზისა მაჩვენებელი...

პეგოფა (შესაჭის გასაბრაზებლად დაცინვით).
და მით უმეტეს თუ კი მენავე ისეთი ფლიდი,
გაიძვერაა, როგორც ეგ არის.

ბერტრან. ზღვიდან ღრუბლები არ იდარებს...

მენავეთა უფროსი. ჯერ მზე ამოხდეს.

ბრუნო (შესაჭეზე უთითებს). მხნედ, მხნედ იყავით!

მესაჭე. კარგი, გაჩუმდი! ახ ნეტამც კი ნემსი მქონდეს და!

პეგოფა. ეგ შენი სიბრძნე ძლიერ სუსტია!
ჩრდილოეთისკენ კი იხრება, მაგრამ სევდასა,
მოწყენილობას ვერ აქარწყლებს! იგი ჩვენ სულსა ვერ ჩაგვიდ-
გამდა!

ბრუნო. იგი ვერც მშივრებს მოგვალხინებდა?

ფრანსუა. იგი ვერც წყურვილს გადაგვიგდებდა.

ბისტაინ. ვერც დაშორებულ მამულის სევდას მოგვიყუჩებდა,
მის ნიავს აქ ვერ მოაქროლებდა.

ტრობალდო. ის შენი ნემსი ჩვენსა თვალებსა ვერ მოჰხიბლავდა,
ვერ გვიჩვენებდა აღმოსავლეთის ბრწყინვალებასა
და მის საუნჯეს, რომელის გამოც ეხლა მივცურავთ!

პეგოფა. რომ გულს საამოდ დარჩენოდა, არას გვეტყოდა
იმ დედოფალზე.

ტროფიმ. აქეთ მოჰყავთ ბატონიშვილი.

ბატონიშვილი (გამოჭყავთ საავადმყოფო ტახტზე მწოლი. სახე არეული აქვს, სხეული მოწყვეტილი. გამხდარია. ტანთ ძველი ტანისამოსი აცვია. მო-უსვენრად არის, სიტხეში მეოფი, მხოლოდ აგზნებულის თვალებით არაჩვეულებრივად იმზირება).

ბერტრან. ნიჩბებს მოუსვით. მეზღვაურნო!

ბატონიშვილი (მოწყვეტილი ხმით). მე ვიდრე მასთან მივახლოვდები,
უკვე სიკვდილის მსხვერპლიც გავხდები!

გამოსვლა IV.

იგინვე და ბატონიშვილი.

ბატონიშვილი. სალამი შენდა, ფერმიხდილო დილის ცისკარო!
ვიდრე საღამო კვლავ მოგისწრობს, მსურს მასთან ვიყო,

აღმოსავლეთის დედოფალთან, რომელიც თვის თავს
სახელს უწოდებს ტკბილ თაფლისას: მელისანდესთან!
რომელს ჯერ კიდევ მაშორებენ ზღვისა ტალღანი.
ჰოი, შენ, ტურფავ, უკანასკნელო
კოკორო დიად ბალდუინისავ,
შენ, რომელიც კი მეფე მანუელს
მეუღლედ ჰსურხარ! ო, როდის, როდის
უნდა აღმოჩნდეს ტალღათა შორის
იმ შენის ქვეყნის ოქროს ნაპირი,
მოვერცხლილ ქაფით გარშემორტყმული?
როდის ვიხილავ შენსა ტრიპოლის
და შენის სათნო მართველობით გაბრწყინვებულსა?
ცის კამარაზე ზმანების ქალაქს
მიშენებს ღრუბელთ ფერადი გუნდი!—
ჰოი, მცურავო შენ, საპყროობილევ!—
მაშ უნდა მოვკვდე, დავლიო სული,
ვიდრე ნიავი ჩემს შემკრთალ სულსა
იმედს მოჰბერავს?
ო, ნეტამც, ნეტამც შემესუნთქა იმ ნაპირიდან
გამოქროლილი სურნელება ნაზ მირსინისა,
რაიც მის ტურფა ქვეყანაში მუდამ იშლება!

მესაჭე. მოიცათ, ერთი, ეს ღრუბლები გადაიფანტოს.

ბატონიშვილი. ო, ნეტამც ვნახო, ვიდრე მოვკვდები,
რომ ვიოცნებო თვით სიკვდილშიაც.

პეგოფა. მას ინახულებთ!

ბატონიშვილი. გმადლობ იმედის აღმძვრელ ხმისათვის!
მაგრამ აწ რაღა დამრჩენია მე?
ო, ღმერთო ჩემო!
დღეს კი პირველად წამერთო სასო!
ოჰ! დედოფალო! ო, მელისანდე!..
გადამაცურეთ, მოუსვით ნიჩბებს,
ვიდრე სიკვდილი ბოლოს მომიღებს!

ბრუნო. მას ინახულებთ!

ბატონიშვილი. ბრუნო... პეგოფა... და შენ ფრანსუა რემოლარელო,

შენცა ტრობალდო კალფატელო! თქვენც, რომელთაც კი
ჩემის გულისთვის განუცდელი ტანჯვა მიიღეთ,
მარიას... ჟუან პორტუგალელო... და შენცა ლიუც...
დიდად მავალებთ—თქვენ ყველას გმადლობთ.

პეგოფა. აბა რას ბრძანებთ! თავს ვგრძნობთ ამაყად...
ეს, ამისთანა მოგზაურობა...

ბრუნო. ეს დიდებული მოგზაურობა
გვინერგავს გრძნობას სიამაყისას.

ბატონიშვილი. მართალი არის! თქვენ კეისარი სიმდიდრით ვერ მოგისყიდებდათ,
ო, ვერა-მეთქი, მაგრამ, აჰა, დაგბყოლიათ
რუდელმა თვისი სიყვარულით... თვისი მიჯნურით!..

ტროფიმი (უსიტყოვდება). გამხნევდი შვილო!

ბატონიშვილი (ნაზად უღიმის). ო, ჩემო ტროფიმ, წმინდა მოძღვარო!
გამარჯობა!

(ერაზმს)

მთლად დაგგლეჯიათ საექიმო ტანისამოსი...
ეხლა ნახევრად იერი გაძევთ ნასწავლ კაცისა!

ერაზმ. ბატონიშვილო...

ბატონიშვილი. (ხელს უწვდის) არ გასჯავრდე...ამით ვიხუმრე!

(ბერტრანს)

შენ მეგობარო საყვარელო, ძმავ უკეთესო
თვით ღვიძლ ძმაზედა! კეთილშობილო,
ვინც გადასწყვიტე ჩემთან ერთად მოგზაურობა,—
ირგვლივ ყველანი იცინოდენ, მხოლოდ შენ ერთი
ჩემსა მიზანსა ამართლებდი და თან გამომყე...
მოგზაურობა ბრძნულად მიგაჩნდა—ახლა კი ვკვდები—
დაშორებული ყველაფერსა; რაც კი ერთხელ
ჩემად მიმაჩნდა, ჩემი იყო, ის ალარ არის...

ბერტრან. არა, ნუ მოსთქვამ,
და ნურცა ჰნაღვლობ!

ბატონიშვილი. არა, არ მოვსთქვამ და არცა ვნაღვლობ,
არცა ჩემს მშობლებს, არც ჩემს სასახლეს
და არც სამშობლო აკვიტანიას...

ო, მე მოვკვდები შორეულ ქალის მოსიყვარულე.

ერაზმ. იგი ყველაფრის მიზეზია, ის შორეული!

ბატონიშვილი. კურთხეულ იყოს იგი ამისთვის!
ჩემი ოცნება ფრთას ისხავს და მიფრინავს მაღლა
შორს, შორს და ვგონებ იკარუსის ბედი შემშურდეს,
რომელმაც მზისკენ ფრთაფარფატით სივრცე გასერა.
თუმცა ვერ მისწვდა, სიყვარულის ერთგული დარჩა.
და მეც ის მიყვარს, მშვენიერი, იგი მიზეზი
ასეთ მშვენიერ სიკვდილისა. მიყვარს მხურვალედ
ზღვის საფლავამდის, სადაც ჩემსა დასასრულს ვპოვებ...

ერაზმ. ეგ სიყვარული მაინც რჩება გაუგებარი!
მან როგორ უნდა გაგიტაცოთ, რასაც არ იცნობთ?

ბატონიშვილი. დიახ, თუ გული დიად ნებისგან
და სურვილისგან ცეცხლებრ იგზნება,
ის ალარ უყვარს, რასაც კი იცნობს—
მხოლოდ შორეულს მიესწრაფება.

(თავის საწოლზე გასწორდება)

ნუ თუ ამაოდ შევიმოსე სამოგზაუროდ
და ნუ თუ ხელთა ამაოდ ვიპყარ კვერთხი მწირისა?
ო, ჩემო ჩანგო! ნუ დააყოვნებ,
გამოეც ჰანგი, რაც უკვე სწყდება,
რომ ღირსეულად დავაგვირგვინო
საბრალო მწირი ჩემი სიცოცხლე!
მას თუ ვერ ვნახავ, დაე სიმღერით
დავლიო დღენი, რომ მის მშვენებას
უკანასკნელად კვლავ ქება ვუძღვნა...

(საწოლზე ჩამოკიდებულ ჩანგს იღებს და აწყობს)

ენა მებმება... მხოლოდ ოცნებობ...
დაე სიმებმა აწ ხმა გამოსცეს...
ეს იყოს ჰანგი უკანასკნელი...
და რა ვიმღერო?
პირველო ჰანგო სატრფიალოვ, მისთვის შეთხზულო!
აწ აღმოითქვი და მომღერალი მელისანდესი
ამ წუთი სოფელს მშვიდობას ეტყვის.

(ჩანგზე დამღერის)

სატრფო არ არის იშვიათი რამე არსება.
თუნდ შავგვრიმანი, თუნდა ქერა, თუნდ ნათელსახე,
რომელთ ადვილად სურვილი სწვდება.
ამგვარი ტურფა სულ ადვილად მოიპოვება...
—მე კი დამწვარვარ იმ შორეულ დედოფლისათვის
და ამ ჩემს სულსა სამუდამოდ ის ეყვარება.

———

დიდი სახელის ღირსი არ არის ის ერთგულება,
რაიც ადვილად საყვარელსა უახლოვდება
და მოკრძალებით მის წინაშე მუხლებზე სდგება,
ემორჩილება და ხელებზე ეამბორება...
—მე კი დამწვარვარ იმ შორეულ დედოფლისათვის
და ამ ჩემს სულსა სამუდამოთ ის ეყვარება.

———

და საყვარელი, როს არ აგებს სამაგიეროს,
მხნეობას აძლევს, ჰსურს წმინდა გულს მას ერთს უმღეროს.
მიუხედავად მრავალგვარის დაბრკოლებისა,
მთელ სიცოცხლეში სიყვარული გქონდეს ერთისა,
თუნდ არც იცნობდე,
ეს მაღალ გულთა ლტოლვა არის და მისწრაფება...
—ო, მე დამწვარვარ შორეულის დედოფლისთვისა
და ამ ჩემს სულსა სამუდამოდ ის ეყვარება!

———

და სიყვარული ჩვენთვის მხოლოდ ოდნავ ცნობილი
ეს ღვთაებრივი არის სურვილი.
მისთვის ეძიებ მიანიჭო ხორციელება
რომელს სიზმარში წარმოიდგენს ნაზი ოცნება,
რადგან სიზმარი არის ცხოვრება,
სხვა კი—ამაო და მალეც ჰქრება...
—ო, იმ შორეულ ქვეყანაში ის ერთი მიყვარს,
ის შორეული დედოფალი კვლავ მეყვარება!..

(მოწყვეტილი საწოლზე გადაესვენება).

ახ, აღარ ძალმიძს!.. ხელი აღარ მემორჩილება!

ხმა ჩემი სწყდება, იჩქმალება ცხარე ცრემლებში
და ველარ ვპოვებ ჩანგის სიმებს... აწ დავჩუმდები...
ახ, მელისანდე! სამუდამოდ ჩემს იმედს იქმნებ...

ხმა (ანძის კალათიდან). ხმელეთი! ოქროს ქვეყანა!

(ძლიერი მოძრაობა).

ბატონიშვილი (თავის საწოლიდან წამოვარდება და სდგას სელებ-აბერობილი). **მარიას**. აგერ, გაჰხედეთ!

ბრუნო. მართლა ხმელეთი!

ფრანსუა. გაუმარჯოს! მოუსვით იქით!

ბისტაინ. დილას ღრუბელი გვიფარავდა.

ჟუან. ოქროს ქვეყანა...

ტრობალდო. და ლურჯი მთები.

პეგოფა. აგერ, ტრიპოლის!

ბრუნო (გიჟივით აქეთ-იქით დარბის). აწ მოსვენება...

ფრანსუა. ხმელეთი, ტრიპოლის!

მარიას. ჰხედავთ კიდეზე ბზის ხეებსა?

ბისტაინ. ჯერ ვერც ერთს ვხედავ...

ფრანსუა. ე, როგორ არა!

ტრობალდო. ჰხედავთ, ზღვის ჩიტი.

პეგოფა. მთლად ეს მხარე წაბლის ფერია. ლომის ტყავსა ჰგავს.

მესაჭე. ეს ტრიპოლია! მაშ რა გეგონათ,
სად მიგიყვანდით?
თეთრი ღრუბლები და ბუჩქნარები.

ყველანი. გაუმარჯოს მესაჭეს!

პეგოფა. დილის სხივებით როგორ ბრწყინავს იგი ქალაქი!

ბრუნო. აგერ, ფრინველი ალისფერი!

ფრანსუა. მაგას ალისფრთას ეძახიან...

ტრობალდო. ჰგალობს...

ბისტაინ. თავს დაგვტრიალებს!

ტრობალდო. აგერ, სადგური!

ბისტაინ. აგერ, ტრიპოლის!

ბატონიშვილი. და მელისანდე??

(ღონემიხდილი ბერტრანის მკერდზე დაეცემა).

მენავეთა უფროსი. გადაისროლეთ ღუზა იქით!

ბერტრ. (მას შემდეგ, რაც ტროფიმოვ ერთად ბატონიშვილს ლოგინში დააწვენს).
მას სული ჰხდება. უნდა ნაპირს გადავიყვანოთ!
მენავეთა უფროსი. არა! ზღვის ქვები ამ ჩვენ ნავსა დააზიანებს.
ცოტა კიდევ რომ მივუახლოვდეთ,
ძირი ნავისა ლამს ჩაეფლობა.
ბერტრან. თვალი დახუჭა.
(ერაზმს, რომელიც მის წინ არის დახრილი)
სუნთქავს თუ არა?
ერაზმ. აწ უკეთესად, მაგრამ მაინც
ცუდია მისთვის...
ბერტრან (სასოწარკვეთილი). აწ დახანება აღარ იქმნება...
ბატონიშვილი. ო, ბერტრან, ბერტრან! გავიგე შენგან
ხმა მაღლა თქმული!
ვიცოდი, სიკვდილს ვერ ავცდებოდი.
უნდა ხმელეთზე გადამიყვანოთ
ახლავე, ჩქარა! ო, იქ წამიყვათ!
თორემ ჩემს სულსა აქ განვუტევებ,
როგორცა მოსემ დალია სული
ოდეს თვის მიზანს მიუახლოვდა.
ბერტრან (ერაზმს ჩუმად). შესაძლო არის გადაყვანა?
ერაზმი არა, არასგზით!
ბატონიშვილი (წინააღმდეგ დაბეჯითებით).
ახ, ბერტრან, ბერტრან! მსურს, მსურს იგი ჩქარა ვიხილო!
ერაზმი (სასმელს აწვდის). ჯერ მოიკრიფეთ თქვენი ძალა, ბატონიშვილო!
მოლონიერდით, ისაზრდოვეთ, სულით დამშვიდდით...
შემდეგ შეიძლებთ...
ბატონიშვილი (ბერტრანს). გამიგონე: მიმიყვა მასთან!
ეს რადაც უნდა არა ღირდეს, ბერტრან, მიმიყვა!
მაინც ხელიდან წასული ვარ, ბევრს ნულარ ზრუნავთ...
სიკვდილი დღეს თუ ხვალე მისწრობს, ეგ სულ ერთია,
მე ვაჟკაცი ვარ, ყველაფრისთვის გამზადებული.
განა ვერ შევძლებ მასთან მისვლას, გამაგებინეთ!?
ერაზმ. ვერა!
ბატონიშვილი. ო! ბერტრან! მიშველე რამე!

ერაზმ. მაგრამ თუ თავსა მოუვლით, არ ილაპარაკებთ,
არ შეაწუხებთ თქვენსა თავსა, ბატონიშვილო,
მაშინ თქვენ უმალ გამოკეთდებით
და შორეული სიზმრის არსება...

ბატონიშვილი. ო, არა, არა, ექიმები მუდამ სცრუობენ.
ბერტრან, მსურს იგი მალე ვიხილო!

ბერტრან (მტაცებელთ, დაბეჯითებით). ჰნახავ, ძვირფასო!

ბატონიშვილი. ჰო, მაგრამ როგორ?

ბერტრან. დიახ, მას ჰნახავ! გეფიცები! შენთან მოვიყვან!
მე მასთან წავალ, შეეეედრები.

ბატონიშვილი. ო, ჩემო ბერტრან!

ბერტრან. ადამიანის მწუხარებას ის უმალ იგრძნობს.
დიახ, შენ იგი უნდა ჰნახო, ვიდრე ვარსკვლავნი
აინთებიან. აწ დამშვიდდი, ბატონიშვილო!
მას შენის წმინდა სიყვარულის ამბავს მივუტან!

ბატონიშვილი. ო, ჩემო ბერტრან!

ბერტრან. მას ვეტყვი: ერთი ფრანგის მგოსანი
ქარიშხალსა და ზღვის დაბრკოლებას
არ შეუდრკა და აქ შენთვის იგი
მოსცურდა-მეთქი! ვიტყვი, რომ მისთვის
მოისწრაფოდი, ვით ჯვაროსანი
გაჭირვებისა და შავ სიკვდილის შეუშფოთებლად.

ბატონიშვილი. და იგი მოვა?

ბერტრან. მოვა! იყავ დარწმუნებული.
განა მე ამის თავდები არ ვარ?
ჰე, აბა, მარდად! ნავი მომიტათ!
პაწია ნავი!
მე იმ დედოფალს ამბავს მივუტან!
აბა, მცურავნო! მე თვით მოვუსვამ!
მოკლე გზა არის, გადავცურდებით.
შენსა დედოფალს მე აქ მოგიყვან!
აწ მშვიდად იყავ!..

ბატონიშვილი. ო, თუ კი, ბერტრან, მას აქ მომიყვან...

ბერტრან. იგი იქმნება ამ ხომალდზე. გჯეროდეს ჩემი!

ბატონიშვილი. და აგრე რიგად წარსდგები მის წინ...
ციხის მცველები, როცა გნახავენ...
ბერტრან. ეგ მართალია, (ერთ მენავეს) ჩემი აბჯარი
და იარაღი თან წამოიღე!
ბატონიშვილი. მოიცა, გითხრა... აი, ეს ყუთი...
ძვირფასეულნი... ეს მას წაუღე
სიყვარულის ძღვნად... სამკაულები...
ყელსაბამები...
ბერტრან, მიჯნურის მოციქული სანუკველია,
ვიდრე მეფისა... შეიმოსე, ბრწყინვალედ იყავ...
არ შეაფერხო შენი გზა ბერტრან!
მენავეთა უფროსი (ბერტრანს).
სასახლე მისი საპოვნელად ძნელი არისო,
ამასთანავე ნაპირიდან შორსაცა სდგასო.
იმ გალავანთან ჰნახავ ვისმე გზის მაჩვენებელს.
არ დაგზარდება სახლის პატრონი,
ვინმე თავისით გზას მიგასწავლებს,
ტანისამოსი გამოიცვალე, ბედსაც გისურვებ!
ბატონიშვილი. უთხარ დედოფალს, აეჩქაროს, ვიდრე სიკვდილი...
ერაზმ. ბატონიშვილო, იყუჩეთ-მეთქი!
ეს დიდად გავნებთ! ეგ რა იქნება,
თუ კი ჩემს რჩევას ყურს არ დაუგდებთ?!
ბატონიშვილი. სულ აღარაფერს ვიტყი, არა!
(ბერტრანს)
ყური დამიგდე....
ბერტრან. ნუ ჰლაპარაკობ!
ბატონიშვილი. აღუძარ გული, მჭერმეტყველი იქმენ შენ მასთან.
ლამაზი სიტყვა გამონახე... მაგრამ სჯობს ისევ
ხმამაღლა უთხრა, აღვიარო მხოლო სიმართლე:
თვით სიკვდილამდის ვგრძნობ მისდამი მოკრძალებასა.
მტკიცე სიყვარულს. დაე მას, ჩემს ღვთაებას ემცნოს
ჩემი ტანჯვა და მწუხარება. თუნდ ორ წელიწადს
კვლავ ვიტანჯები და თავადი სიყვარულისა
შემდეგ მოვკვდები, ოღონდ ორის წუთით მეჩვენოს!

ბერტრან. კარგია, კარგი! მოისვენე!

ბატონიშვილი. აჰა, აწ ვსდუმვარ.—
მაგრამ ყველაფერს უცბად ნუ ეტყვი
რომ არ შეწუხდეს... აწ დავჩუმდები...
ალარას ვიტყვი....
შენ უნდა იგი ჯერ მოამზადო...
ლექსი უმღერე, ეხლახან ჩანგზე
გაფითრებულმა რომ დავამღერე;
იგია სარკე ჩემის ლტოლვისა...
— არა?

ბერტრან. მხნედ იყავ! მაშ მას ვუმღერო?

ბატონიშვილი. ხომ კარგად უმღერ?

ბეტრან (იძულებითი მხიარულებით).
და ლექსის ერთი უნებური შეცდომა მოგვსპობს.
არა, ყოველი სიტყვა მისთვის უნდა ჰრეკავდეს
და მოქარგულის ფერადებით გადმოდიოდეს.

ბატონიშვილი. მოვედ ჩემს გულთან... იქმნებ იყოს უკანასკნელი!..
(ერთიშანეთს ეხვევიან).

ტროფიმ. აქ მუხლს მოვიყრი, ვილოცავ, ვიდრე
დაიყოლიებ და აქ მოიყვან!

ერაზმ (ჩუმად ბერტრანს).
შესაძლო არის, ორ დღეს იცოცხლოს,
აბა, ვინ იცის? შესაძლო არის,
ამლამვე ჩვენი ბატონიშვილი...
ან იქმნებ ერთის საათის შემდეგ
ყველას ხელიდან გამოგვეცალოს...

მენავეთა უფროსი (ჩუმად).
თუ რამე მოჰხდა, მაშინ ხომალდზე,
შავს აფრას უმალ ძელზე აღვმართავ.
უბედურების ნიშანია მეზღვაურთათვის,
თეთრის აფრით კი ვმოგზაურობთ.

ტროფიმ (აცილებს).
რომ უეჭველად, უსიკვდილოდ აქ მოიყვანო,
ეცადე, შვილო, ნურას დაჰზოგავ, დაიყოლიე.

ბერტრან. მაშ კარგი! ვიდრე შავი აფრა აღიმართება!
(ხომალდიდან გადადის და ბატარა ნავში ჯდება. ისმის ჯაჭვების ჩხრიალი. მესაგენი ნიჩბებს უსვამენ და წყალი შხაფუნებს).

ბატონიშვილი. ჩემი საკაცე იქ მიიტათ. დარწმუნებულმა
ვიცი, ის მოვა...

ბერტრანის ხმა. მე ვიქმნები მაგის თავდები!..
მშვიდობით! ეხლა მოისვენე. ნახვამდის, ძმაო!
(მწყობრი ხმა ისმის ნიჩბების მოსმისგან).

ბატონიშვილი. უეჭველია მას მოიყვანს!— რა მშვენიერი
დილა გათენდა!.. აგერ როგორ მისცურავს ნავი! —
რასაც ბერტრანი ითავებს ხოლმე
ის ბედნიერად სრულდება კიდეც!

ბრუნო. ის მოვა ჩვენთან!

ფრანსუა. ამ ხომალდზე!

პეგოფა. ხორციელის მშვენიერ სახით!

ტრობალდო. სულ ახლოს!..

ბერტრანის ხმა (შორიდან იძახის).
იყავ მხნედ! მოვა! მალე... მალე შენი ღვთაება!

ბატონიშვილი. უკვე შორიდან ისმის მისი ხმა!
რა მყუდროდ სძინავს ამ ზღვისა ტალღებს.
კვლავ აღარ მესმის ხმა მენიჩბეთა.
აქ მომასვენეთ. მსურს კიდისაკენ ვიმზირებოდე!
აღარას ვიტყვი.
მსურს თვალი მუდამ იქით მეჭიროს...
მას მოველოდო, ვიმედოვნებდე!..

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეორე.

მშვენიერი დარბაზი ნახევრად რომაულსა და ნახევრად აღმოსავლეთის გემოზე მოწყობილი. სიღრმეში დიდი შუშაბანდია, რომლიდანაც მოსჩანს ტერასსა და უფრო შორს ზღვა და ზეცა. მარჯვნით ერთი გაღებული კარია, საიდანაც მოსჩანს სვეტები და აუზი შადრევანით. მარცხნით ძოწეულით მორთული კიბეებია. მის მაღლა—ოქროს კარი. ბრწყინვალე მარმარილოს ბლიტაზე და კიბის თავზე სუმბულთა კონებია მილაგებული. სავარძელზე მრავლად აღაგია ბალიშები. კარის ახლოს კედელზე ჭკიდია დიდი ნაჯახი ძვირფას ოვლებით მოჭედილი.

გამოსვლა 1.

მწირნი.

ფარდის ახდისას ფანჯარა დახურულია. წინ მწირთა გუნდი სდგას. ტანთ აცვიათ სადა, უხეში ანაფორები. თვითეულს კვერთხი უჭირავს და ბზის შტო: კანტვიფრებულნი არიან გარეშო ბრწყინვალებით და ჩურჩულებენ.

1 მწირი. ჯერ იგი ქალი არსადა სჩანს, კარში რომ შეგვხვდა!

2 მწირი. რა სიჩუმეა! ძირს სუმბულის შრიალი ისმის.

3 მწირი. ჩუმად! არ გესმით?—არაფერია!
ჩუხჩუხი ისმის შადრევანისა.

4 მწირი. კარგად არ მახსოვს, თუ მერამდენე
მორთულ დარბაზში გამოვიარეთ.

1 მწირი. ეს მეშვიდეა.

2 მწირი. ესდენ იშვიათ კენჭების ცქერით თვალი მომეჭრა.

3 მწირი. ოქროს ფრინველნი ვერა ჰნახე... რო ციალებდნენ?..

4 მწირი. ვხედავდი ხალებს და ბალიშებს თივთიკოსანსა...
ტურფად მოკაზმულს...

2 მწირი (შესამეს). არ შეგიხედავს გოლიათისთვის?

3 მწირი. იმ კარებთან რომ უკმეხად შეგვხვდა?

1 მწირი. ბედის მძებნელი რაინდია. მეტად გაქნილი!
(ამ დროს აივანზე გამოჩნდება მაღალი რაინდი ლურჯ აბჯარში ჩასმული).

2 მწირი (ჩურჩულით ბირველს მხარს წაჭერავს).
ჩუმად! აქ არის! იქ, შენს უკან სდგას!

3 მწირი (ჩუმად რაინდზე თვალით ანიშნებს). რაინდის ფარი ზურმუხტში არის...

4 მწირი. მის ხმლის ტარზედაც თვლები ბრჭყვრიალებს.
(რაინდი ჭქრება).

2 მწირი (ცახცახებული).

აჩრდილებრ გაჰქრა!

1 მწირი (განაგრძობს).

ერთი ამაყი, დაუნდობელი ბუმბერაზია,
იგი ხელმწიფე მანუელმა კომნენთგვარისამ
აქ გამოგზავნა მთელის სოფლის შიშად და შარად,
რომ მის საკოლოს უდარაჯოს ამ სასახლეში.

2 მწირი. და განა იგი მანუელის საკოლო არის?

1 მწირი. ხელმწიფე იგი ამ ასულსა არც კი ენდობა.
დიდ ეჭვში არის. თითქმის ქალმა მისი გვირგვინი
არც კი მიიღო ნებისყოფით და ეხლა მეფე
ბიზანტიისა დიდ შიშშია, რომ ქალის გული
არვინ მოსტაცოს. ეს მებრძოლი—ასე ამბობენ—
მიტომ სდარაჯობს, რომ სასახლეში ყრმა-ახალგაზრდა
არ შემოიჭრას.

3 მწირი. მერე, მე ხომ ახალგაზრდა ვარ?

1 მწირი. ისეთი, ვისაც მოწონება და სახელი აქვს.

4 მწირი. სჩანს დიდის ძალის პატრონი არის.

1 მწირი. ვიშ, ქრისტე ღმერთო!

(ნაჯახზე უჩვენებს)

ვინ შესძლებს დაძვრას ამ ნაჯახისას?

4 მწირი. დალახვროს ღმერთმა!—
ერთი ჭაბუკი მშვენიერი სწორედ ეხლახან
ნაპირს გადმოხტა,—გენუელებს და იქ მყოფ ზანგებს
ის უბრძანებდა, სასახლის ეზო ეჩვენებინათ—
ეხლა კი სწორედ ის ყმაწვილი დაკარგულია.

3 მწირი. იგი იძახდა გახელებული
და თან ჰფიცავდა: მასთან მივალო!
აქეთ წამოსვლას რა ეშმაკი აიძულებდა?
და მას ხუმრობა სრულებით რომ არ ემჩნეოდა!
თუნდ ნაძლევსა ვსდებ შეასრულებს იგი თვის ქადილს!

(რაინდი ამ სასად კვლავ გამოჩნდება. უკანასკნელ სიტყვებზე მიმოირეკვა და შსწრაფულ ჭქრება. ბერნი ხმაურობაზე უკან დაიხევენ).

1 მწირი. ყურს თუ გვიგდებდა?

2 მწირი. ეხლა უბრძანებს ყოველი კარი დაუხშოს უცხოს.

3 მწირი. ერთი შენცა! და ის ახალგაზრდა
ჯერ გენუელებს იარაღს სძღვნიდა.
დამშვიდდით! იგი გაქნილი მელა
სკარჩიაფიკო იმ ჭაბუკს უკვე
გააფრთხილებდა და არც ურიგო
რჩევას მისცემდა—მათ მანუელი
არ უნდათ მეფედ—სკარჩიაფიკო
მოხარულია იმ ყრმა მეტოქით,
რომლის წინაშეც მეფე შიშით ჰკრთის—
და ჰკრთის სწორედ რომ საფუძვლიანად!

1 მწირი. წინწილ-ებანთა ხმა მომესმის! ასული მოდის!
ჩუმად იყავით.

გამოსვლა II.

იგინივე, სორიზმონდე და შემდეგ მელისანდე.

სორიზმონდე (კიბის მაღლა, გახსნილ ოქრის კარის წინ).
თქვენ, მოგზაურნო, საფრანგეთს რომ კვლავ უბრუნდებით,
რომელთ შემოვლეთ ტირუსი და ანტიოხია!
თქვენი სურვილი დედოფალმა აწ შეიწყნარა
და გინახულებთ.

1 მწირი. მაშ გვინახულებს! ვით გვეგონა, ის არ გამართლდა!
ჩვენ მგზავრობის დროს მისი სახე სულს განგვიმხნევებს!

სორიზმონდე. იგი აღივსო სიამაყით, რომ თქვენ მაგნაირ
იმედით სავსე დედოფალთან მობრძანებულხართ!
იგი ჯერ კიდევ წირვაზე სდგას.
(ისმის ზარის რეკვა)
მაგრამ, ის უკვე გამოსულა.

მებრძოლი. დედოფალია!

სორიზმონდე. აქ მობრძანდება!

(იღება ოქროს ჭიშკარი. გამოჩნდება დედოფალი ძვირფასს თვლებით მოჭედილ წამოსასხამში (მანტიაში). თავზე მარგალიტის სამკაული აქვს. მის ირგვლივ ერმეებს სუმბულის კონები მოაქვთ).

1 მწირი. ეს იგი არის!

2 მწირი. მადლმოსილია, ვიდრე ვგონებდი!

3 მწირი. მთლად მარგალიტის სამკაულშია!
მის ირგვლივ თითქოს ბაღი იყოს ყვავილებისა!

4 მწირი. მაშ რაც გვიამბეს, ჭეშმარიტება ყოფილა იგი.
ფერს ჰკარგავს თითქმის სუმბული და მარგალიტთ მძივი
მშვენიერ სახის ბრწყინვალებით და სხივოსნობით.

1 მწირი. იგი მშვენიერ ელენესავით ჰხიბლავს და იპყრობს მოხუცის გულსა!

მელისანდე (კიბის მაღლა).
ბედნიერნი ხართ, კვლავ საფრანგეთს დაუბრუნდებით.
უმალ ოცნების ფრთა გესხმებათ, ოდეს იდარებს,
რომ გაეშუროთ ხომალდისკენ და გზა განაგრძოთ.
გაივლის ხანი და იხილავთ თქვენსა სამშობლოს,
პროვანსის მხარეს, ცამოწმენდილს, ნათელღრუბლიანს.
მე შურით ვუმზერ ამგვარ თქვენსა ბედნიერებას.—
ვით ეს ყვავილნი უცხო მხარეს გარდიშლებიან
და არ უწყიან სამშობლოსი, ისე სჭკნებიან,
მეც ასე ვყვავი უცხო მხარეს და მათებრ ვსჭკნები!
(რამდენსამე საფეხურს ჩამოსდგამს).
ოჰ, ნეტამც ფრთანი შემასხა მხრებზე,
ო, ნეტამც თქვენთან ერთად შემეძლოს
სამშობლოსაკენ მსწრაფლ გადმოფრენა.
ახ, მე ობლად ვარ აღმოსავლეთში,
ბედმა აქეთკენ რა გადმომსტყორცნა,
აქ დღეს ვაღამებ უსიხარულოდ!
თქვენ ინახულებთ სამშობლო ქვეყნის
ნაპირს მშვენიერს ზღვიდან აღმოზრდილს,
ხოლო მე იგი უნდა მიყვარდეს,
რაც არ იქნება ჩემი არასდროს.
და სიყვარულის ღელვით აღვსილვარ,
რისთვის? ვისგამო? არა, არ ვიცი!
მე მას არ ვიცნობ!
(უკანასკნელ საფეხურზე ჩამოვა და მწირთა შორის გაჩერდება).
როგორც ქრისტესთვის მოგზაურთ შეჰფერს
ისე გიპყრიათ ეგ ბზის რტოები.

(ერმეს სუმბულს გამოართმევს).

წაიღეთ თან ეს ნაზი სუმბული
და მაგ თქვენს ბზისა რტოს შეუერთეთ.
დაე, ეს გქონდეთ ჩემად სახსოვრად,
მან წარგიმართოთ გზა სამშობლოსკენ,
რომლის ასული მე თვითონა ვარ!

1 მწირი. ბზა ნიშანია გამარჯვებისა,
ეს მოგვაგონებს ტანჯვით მგზავრობას.
ხოლო სუმბული სულს უკარნახებს
შენს სათნოებას და სილამაზეს!

2 მწირი. ბზა ნიშანია ჩვენის ტანჯვისა,
რაც გამოვცადეთ მგზავრობის ჟამსა.
ხოლო სუმბული, შენგან მოძღვნილი,
ჩვენ მოგვაგონებს შენს მშვენებასა.

3 მწირი მშვენიერების ჰოი, სუმბულო!
გწირავთ მადლობას!...

4 მწირი ო, მშვენიერო, ნაზო სუმბულო!
ნორჩო სუმბულო! იყავ მშვიდობით!

(წასასვლელად გაემართებიან).

მელისანდე ყველას გისურვებთ კეთილს მგზავრობას!

(მწირნი გადიან. გაღებულ ფანჯრიდან სჩანს, თუ ისინი როგორ თანდათან ეშორებიან. მელისანდე ფანჯარას აღებს და მათ ერთხელ კიდევ ეჩვენება ერმანი სუმბულს მაგიდაზე სდგამენ და ძველი ყვავილნი თან მიაქვთ).

მწირნი (მიმავალნი შუშაბანდიდან).

იყავ კურთხეულ! იყავ კურთხეულ!

(მელისანდე გამომშვიდების ნიშნად ხელს უქნევს და შემდეგ წინ წამოვა. ერმანი გადიან).

გამოსვლა III.

მელისანდე და სორიზმონდე.

სორიზმონდე. რა მოკრძალებით თაყვანსა გცემდნენ!
რაოდენ ნაზის კეთილ მოპყრობით...
რა სათნო იყავ დღეს, დედოფალო,
ასე თუ ვისმე ამაყ სისხლისას

თავისი თავი უჩვენებია!

მელისანდე. შენ კარგად იცი, ასე კეთილი
მოწყენილობის გამო ვარ მხოლოდ.
(სერვიულ სისწრაფით პორფირს გადაეხსნის).
ჰოი პორფირო, შეეჭედილო ძვირფასის თვლებით:
სადაფით, ლალით, იაგუნდით, სულსა მიმძიმებ!
ესრეთ ამაო ზიზილებით, ესრეთ ძვირფასის
ყალბოქრომკედით, ამაყ-სიმძიმე-სამკაულით,
რაიც დაბლა მხრის, ო, ბრწყინვალე წამოსასხამო,
შენ, იმ მეორის სანუკველო ოცნების სახევ,
რომელიც მტანჯავს, მაგრამ ტანჯვა ტკბილია ჩემთვის,
რომელს ჩემს გულში ვატარებ და თვალით ვერ ვხედავ,
რომელიც მარად ჩემს სულს იპყრობს და გულსა მსჭვალავს,
დამსხლტი მხრებისგან!

(წამოსასხამი გაეხდება და გამოჩნდება თეთრის სამოსით. სორიზმონდე აიღებს პორფირს).

მას შენთან ერთად ვერ მოვიშორებ!

(სორიზმონდეს სხვა სამკაულებსაც აძლევს).

წაიღე, აჰა, ეს მარგალიტნიც
და ყოველივე სანიღაბო შესამკობელი!

(დრმად სუნთქავს და ომაში სუმბულის გვირგვინს იკეთებს).

ეს მეტად მიყვარს, ამ სუმბულთა ნაზი გვირგვინი
მარგალიტივით მოციალებს ღამის ცვართაგან.

(სავარძელში გადაესვენება)

დიახ, კეთილმყო მოწყენილობამ!

(სიჩუმე).

მოწყენილობამ, ჭეშმარიტად, მყო გულკეთილი.
და როს მშვენიერს, სურნელოვანს სუმბულს ვარიგებ
და ჩემსა ღიმილს—ამას მხოლოდ განზრახით ვჰჩადი—
სულ უნებურად და უმიზნოდ დაბლა ვხრი თვალებს.

სორიზმონდე. და რას მოელით იმ ბერთაგან?

მელისანდე. სიმღერას, ჩემო!
სიმღერებისთვის ვმადლობ იმ მწირთა:
რადგან შეეიქმენ დღეს ძვირფასი უძვირფასესზე,

რომელიც უყვარს ტრუბადურსა, ჟოფრუა რუდელს,
ზექვეყნიურის საუცხოვო სიყვარულითა.
დიახ, მგოსანმა სანუკველმა, რომელიც მე მყავს
იქ, საფრანგეთში, შემიყვარა ლექსთა ბგერაში
და ეს შენ იცი, თუ რამდენად საამო არის
განმარტოებულ და ობლად მყოფ ჩემის გულისთვის.
(ფანჯარისკენ უჩვენებს)
ეხლა ეგ მწირნი, რომელნიც კი საფრანგეთს ჰნახვენ,
ქებას მოჰფენენ ჩემთა თვალთა, ჩემის სახისას
და შეყვარებულ გულისათვის ამას სხვა რა სჯობს?

სორიზმონდე. ამას რუდელიც ხომ გაიგებს! ასე ვართ ქალნი.

მელისანდე. იქნება იყოს საუგო, რომ მან გაიგოს,
თუ ჩემი სული განდგომილი, მარტოკა მყოფი,
ზღვის გამოლმიდან ვით საუბრობს თვის საყვარელთან?

სორიზმონდე. წმინდა საქმეა!

მელისანდე. დიახ, და მისი სიამაყე სიყვარულისა
ჯერ კიდევ უნდა გაეფურჩნოს და გაულრმავდეს
და რომ ის მწირნი აქ მივიღე პატივის ცემით,
სწორედ მე მიზნად ესა მქონდა—არა კეთილი
განწყობილება. წმინდა ზრახვა ჩემი ეს არის,
რომელსაც გულში საიდუმლო ზრუნვით ვინახავ.
მსურს ჩემი თავი მის შაირში ნათელი იყოს,
იმის ლექსებში ჩემს მშვენებას, თუ სათნოებას
მწიკვლი არ ჰქონდეს. მისთვის ვიყო მიჯნურთ-მიჯნური.

სორიზმონდე. ო, რომ მარად ჟამს ცრუოცნებით საზრდოობ, ჩემო!
მაგრამ თუ იგი აქ მოვიდა, მომეწონება.

მელისანდე. მიყვარს მე მასში სიყვარული, მიყვარს მე მისი
სული... ო, მიყვარს!

სორიზმონდე. ეგ კი, აბა, კარგად არ მესმის!
თუ კი მან აგრე მოგხიბლა და მოგაჯადოვა
რამე თილისმით მისი სახეც რომ დაგენახა,
თუ რაოდენად ლამაზია და მოხდენილი...

მელისანდე. გარკვეულ გრძნობას ეძიებ შენ...

სორიზმონდე. თქვენ კი ბუნდოვანს.

და რომ თქვენ ჰფლობდეთ იმნაირსა თილისმა ბეჭედს,
რომლით შორიდან შეგძლებოდათ მისი დანახვა,
მაგრამ თქვენ უკვე გაგაჩნიათ: თქვენი ოცნება!
იქ სული თქვენი სიამოვნებს ბუნდოვან გრძნობით!

მელისანდე. დიახ ჩემს ბაღში სასახლის წინ, მკრთალ მთვარის შუქზე
როდესაც მესმის ბზების შორის სიოს ჩურჩული.
როდეს წყლის პირად დაღვრემილი ვზივარ მარტოკა
და ზღვის ტალღებზე მიმოცურავს სურვილის ნავი,
რომლის შემკობილ მხარეს ცელქად ეთამაშება
დღე ვარდოსანი, ანუ ნელი საღამოს სხივი;
როს ჩანგის ძალით ჩემგან თქმულ ლექსს ნაზ ფრთებსა ვასხავ,
ანუ როს მარტო ვრცელ დარბაზში ჩავიკეტები,
და მყუდროდ, ჩუმად თვალზე ცრემლნი მომდინარებენ,
—ო, სასურველო ჩემო ტანჯვავ!—დასასრულ ოდეს
ყვავილსუმბულთა სურნელების მომხიბლავ ტალღას
შევუცურდები და სიზმარი იდუმალობის
ჯარებსა მიღებს, სინამდვილე ამ დროსა ჰქრება
ჩემწინ თანდათან; ეძინება ჩემსა გონებას
იმ შადრევანის ერთხმოვანის წყლისა ჩქერითა.

სორიზმონდე. დიახ, ჩვენ მხოლოდ ახალგაზრდა გმირი გვაკლია,
გვაკლია მხოლოდ აბჯრის ბჭყვრიალი,
დეზთა წკრიალი,
მაგრამ ის თქვენი საშინელი დარაჯი გმირებს
ახლო არ უშვებს... თქვენ იცინით! თუმც უარს ამბობს,
მაგრამ დარაჯად არის იგი დაყენებული,
როგორც ვეშაპი საგანძურთან, ან სალაროსთან!
მას შემდეგ, რაცხან ეგ აქ არის, ვეღარვინ ჰბედავს
იმ შენის ჭიშკრის, შენის კარის დარაკუნებას.

მელისანდე. როგორც აჩრდილი საშინელი სვინდისის მცველად...

სორიზმონდე. მეფე მანუელ ეჭვიანობს...

მელისანდე (მხრების აწევით). თავს მაგისთვის ნაკლებ იწუხებს!

სორიზმონდე (მის ფეხთა წინ ბალიშზე ჯდება).
და თქვენ კომნენსა მართლა თუ ხელს...

მელისანდე. ეს რას დაუშლის? ქმარს ხომ სატრფო არ ეწოდება?

სორიზმონდე. თქვენთვის ხომ იგი მოსაწყენი იქმნება...

მელისანდე. ძლიერ!

სორიზმონდე. განა ოსმალოს შეუძლიან თქვენს გულს მიგიხვდეთ?

მელისანდე. ახ, მოითმინე! უკეთეს გზას ვერ ავირჩევდი.
მასზე უკეთესს ვერც ვპოვებდი. ერთხელ მას ჩემი
ტანჯვა შევჩივლე და ჩემს ჩივილს სიცილით შეეხვდა,
ეხლა კი ვეძებ, როგორც ხშირად ზოგნი სჩადიან,
ბედის თამაშსა. მხოლოდ მასთან მე მომეცემა
საშუალება, სულის თვისტომს დავუახლოვდე.

სორიზმონდე. და თუ ოდესმე არა მარტო სულის რჩეული
თქვენს მოპოვებას მოისურვებს?

მელისანდე. საკმარისია
ჩემად მფარველად უჩინარი ის მეგობარი.

სორიზმონდე. არა მფარველი ანგელოსი, „სატრფო თქვენის სიყვარულისა“.

მელისანდე. ყველგან, ყოველთვის უხილავად ის ჩემთან არის.
როდეს ნაპირზედ ტალღა სჩქეფავს, ვსდგევარ კიდესთან,
სალამსა მიძღვნის ის ოცნებით ნაზ-ფრთა-შესხმულსა.
ამას მე ღრმად ვგრძნობ და ზღვის ნიავს მადლობას ვწირავ.

სორიზმონდე. მერე, იმ მგოსნის მადლობელი რის გამო ღა ხართ?

მელისანდე. ო, ბევრ რამისთვის! მე მას ვმადლობ, ვიქმენ ამაყი,
აღსავსე კრძალვით, ვიძირები ოცნების ბინდში,
და ჩემსა მიზანს მაღლა ვაფრენ, და ზე ვამაღლებ.
ჩემის ოცნებით, ჩემის თრთოლვით, ამ თვალთა ცრემლით
და ჩემის სულის ღელვით ვმადლობ—მხოლოს მას ერთსა!

სორიზმონდე. მადლობას ესრეთ სიყვარულით უნდა უძღვნიდეთ?...
ხან და ხან ვნანობ, რომ შეიტყეთ მისი ტრფიალი!...

მელისანდე. და მეც ხან და ხან!

(ადგება).

დახშული არის ეს ჰაერი, ვით ქარიშხლის წინ.
აწ სული ჩემი მეხუთება.

(სორიზმონდეს ჭსურს მაგიდიდან ყვავილები აალაგოს).

არა, დასტოვე!
ეგ ყვავილთ კონა ჩემი არის, ჩემთვის გაშლილა.

სორიზმონდე. სუმბული ისეც ბლომადა გაქვთ თქვენ ამ დარბაზში.

იგი ყველანი თამამნი და წმინდა-ნარნარნი
გულს შეაცდენენ...

მელისანდე. მართალს ამბობ! ნორჩნი, ცბიერნი,
წმინდანნი, ვიდრე სერაფიმის ნათელი სკიპტრა,
ძლიერნი, ნაზნი, სურნელებით შემაცდენელნი.
(ჯონას იდებს და ათვალიერებს)
შენ მართალს ამბობ! საუცხოოდ ნაზნი არიან.
მათი სითეთრე მე მაღელვებს, თითქმის ავად მხდის.
მე ცუდს მირჩევენ: „იყავ მარტო და ამაყიო!“
ყვავილნი, ვარდნი მზიან დღეში მე მეტად მიყვარს.
(ჭეშმარიტებით)
ახ ამ სურნელმა რა საოცნებო,
ავადმყოფური სურვილი მე გულს შთამიღვარა!
(ბრძოლებითი უდარდელობით)
არა, სიცოცხლე მწყურიან მე! დრო მოვკლათ რითმე.
გენუეზელი სკარჩიაფიკო აქ დავიბარე.
თვისის იშვიათ სამკაულით გამართობს იგი.
ჩემს ბალიშთათვის ვეძებ დროის გასატარებლად
უცხო არშიებს, ვეძებ ფერმკრთალ აბრეშუმქსოვილს.
(ბალიშებზე გადაწვება).

სორიზმონდე. ო, ქალბატონო, გაიძვერა იგი ვაჭარი,
როცა კი მოდის, თქვენს უცნობლად გატყუებთ მუდამ
და სულ არ აქცევთ ყურადღებას მის სიცბიერეს!
მიტომ არ უნდათ სხვა ვაჭრებსაც მეუღლე იქმნეთ
მანუელისა, რომ თქვენ ამით მოგიშორებენ,
თქვენ, რომელსაც კი გიყვართ ლექსი და ოცნებობა.
და მუდამ უხვად გასცემთ ხოლმე ნაყიდ საგანში.
დიახ, ამიტომ თქვენს დანიშვნას ცერად უმზერენ.
იმათ იციან, თუ კომნენი რასაც დააწევთ!

სეფე-ქალი (შემოდის). თქვენი ნახვა ჰსურს ლორჯ რაინდსა და ნებას ითხოვს აქ შემოსვლისას.

მელისანდე (მხრების შერხევით). შემოვიდეს, აქვს ამის ნება.

გამოსვლა IV.

იგინვე და რაინდი, რომელიც ხან ფანჯარას უმზერს, ხან გალერეას. სხანს,

რადაცისთვის გულში მსრუნველობს.

რაინდი. იმედი არის მომიტევებთ რომ დავაყოვნე
და მსწრაფლ ვერ მოველ მისაღებად თქვენის ბრძანების.—
სამარადისოდ ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

მელისანდე (დიმილით).
ჩემი ბრძანება,—დიახ თქვენ ხომ ჩემს მფარველად ხართ!..

რაინდი. მე? დედოფალო...

მელისანდე. ვიცი, მაგას თქვენ ხომ უარჰყოფთ!
ჩემი ბრძანება?—ზღვის წაპირზე გასეირნება...

რაინდი. დიახ!

მელისანდე. მაშ ნავსა უკვე გაამზადებდით.
ყვავილებითა და მუსიკის დამკვრელებითა?

რაინდი (თავსზიანად). როგორც ყოველთვის, დედოფალო!

მელისანდე (წამოდგება). მაშ შეგვიძლიან
ახლავ ნავისკენ გავემართოთ!
(სორიზმონდეს)
აბა, მომიტა წამოსასხამი!

რაინდი (უცბად).
არა! ახლავე, დედოფალო, არ შეიძლება.
(მელისანდე განცვიფრებული უმზერს).
დიდათა ვსწუხვარ, ჯერედ უნდა აქ მოიცადოთ.

მელისანდე. ვიშ!.. რათა? რისთვის?

რაინდი. მცირე ხანსა ვიდრე მზე ჩავა.

მელისანდე. მართალს თუ ბრძანებთ?

რაინდი. ქვეშევრდომი ვარ ხელმწიფისა, ფიცით შეკრული.
დღეს უნდა მეტად ფრთხილად ვიქმნე სადარაჯოზე.

მელისანდე. რა მოჰხდა განა?

რაინდი. შემინდეთ, უნდა ჩავაყენო ყველგან მებრძოლნი,
ამ კარებთან კი, დედოფალო, მე უნდა ჩავდგე.

მელისანდე. საკუთარ ჭერქვეშ ტყვედ უნდა ვიქმნე?

სორიზმონდე (ფანჯრიდან გარედ იყურება).
ვიშ, ღმერთო ჩემო! დარაჯები ჩამდგარან ყველგან!

მელისანდე. ჩემი ამალა?

რაინდი. მოკლე ხნითა ყველა ჩავკეტე!

(გალერეაზე უჩვენებს)
ამ აივნიდან არ დავიხევ თავით ცოცხალი
და მათ ვერ მისცემ რამ შესაფერს განკარგულებას!

მელისანდე. მაშ ასე, ტყვედ ვარ? სორიზმონდე, სასაცილოა!
ჩვენს თავსა ჰხდება რაღაც არა ჩვეულებრივი.—
მაგრამ, მითხარით, რისთვის სჩადით? რა ამბავია?

რაინდი (თავს უხრის).
ვერაფერს გეტყვით, მაპატიეთ, დუმილი მმართებს.
(მიდის და კარიდან უკანვე ბრუნდება).
ცოტას გადარჩა არ დამავიწყდა!
მევახშე იგი გარეულ იცდის, გენუეზელი,
თვით ებრაელზე უფრო მელა...

მელისანდე. სკარჩიაფიკო?

რაინდი. დიახ, თვისის სამკაულებით... ჰსურს თქვენი ნახვა.
მას შემიძლიან ნება დავრთო თქვენთან მოსვლისა.

მელისანდე. მართლა? რაინდი აწ იმდენად მოწყალე არის,
რომ ნებას მისცემს აქ მოსვლისას სკარჩიაფიკოს
და მით მეც შვებას მომანიჭებს?

რაინდი. დიახ, მიიღებთ, ხოლო ჩემის თანადასწრებით.
(კადის).

სორიზმონდე. აი რა მოსდევს დანიშვნასა მეფე კომნენზე.

მელისანდე. რა უნდა მოჰხდეს?

გამოსვლა V.

მელისანდე, სორიზმონდე, სკარჩიაფიკო, რომლის წინად საქონლით დატვირთული მსახური ნიკოლოზი მოდის. რაინდი კარის გასაღებთან გულხელდაკრეფილი გაჩერდება

სკარჩიაფიკო (ცბიერი, მსწრაფად ლაპარაკობს, შუაში ცალი თვალი რაინდისკენ აქვს).
ო, ასე ტურფა არაოდეს არ ბრძანებულხართ!
თქვენი ღიმილი სიყვარულის ღვთაებისაა.
(ნიკოლოზს, რომელიც შეკრულ ნივთიერებას ჭხსნის)
ჩქარა, ნიკოლოზ, გადმოაწყე ამოსარჩევად.
(მელისანდეს)
სხვა და სხვა გვარი საუცხოვო ნივთიერება!

მელისანდე. ოჰო, ყოველ დღე ძვირფას საგნებს იძენ თან-და-თან.

სკარჩიაფიკო. ჩემზე ღარიბსა, რჯულის მადლმა, კაცს ვერა ჰნახავთ.
მელისანდე. შე მატყუარავ!
განა სიმდიდრე არ მოჰხვეჭე ჯვაროსნობის დროს.
ფუი! გცხვენოდეს!
გამორჩენისთვის გაიჭერი წმინდა ქვეყანას!
სკარჩიაფიკო. ფრანგებს სახელი და დიდება!
მელისანდე. და შენ კი ოქრო!
სკარჩიაფიკო. წმინდა გიორგის გეფიცებით, აგრე არ არის.
გადასახადი გვანადგურებს. სულს გვხუთავს სწორედ.
ის წისქვილიც ხომ ჩამომართვეს.
(შეპარვით).
მას დამიბრუნებთ,
ხომ, დედოფალო?!
მელისანდე. მოხარული იქმნები ამით!
სკარჩიაფიკო (უჩვენებს სხვა და სხვა საქონელს).
აი ეს ქისა, რა ძვირფასად არის ნაქსოვი.
(ხალს გადაჭმლის)
ესეც სპარსული ხალიჩა! იჰფ! დიდებულია!
(ხალიჩას ირხევს და ისე უჩვენებს).
გენუეზელებს აჯილდოვებს ასკალონელი
ყოველ წელიწადს ას ოქროთი, ოღონდ მივართვათ
ამგვარი კარგი საქონელი და მით ვაჭრობას
ხელი შევუწყოთ.—იგი თქვენთვის საუცხოვოა.
არ დიწუნებთ...
მელისანდე. ჯერ ვინ იცის!
სკარჩიაფიკო (ეუთს უჩვენებს). მოგწონთ ეს ყუთი!
მელისანდე. ვიშ!
სკარჩიაფიკო (მის წინ იჩოქებს და საქონელს ამოაწყობს).
ეს ოქრომკედი მოსულიდან; მარგალიტები
ბაის ქვეყნიდან. სპილოს ძვლიდან უცხო ნივთები.
(ჩუმად)
მისმინეთ ხოლმე, რასაც ჩუმად აწ მოგახსენებთ.
(ხმა მაღლა)
ეს აბრეშუმის ქსოვილები...

(ჩუმად)
ახალგაზრდა ვინმე რაინდი...
(ქსოვილს ჭშლის)
რა ფერები აქვს...
(ჩუმად)
ალყას არტყავს ირგვლივ სასახლეს!
(მაღლად)
ეს სურნელება...

მელისანდე (იქით).
მესმის, განაგრძე!

სკარჩიაფიკო (ჩუმად).
თქვენამდის მოსვლა უძნელდება!
(ხმა მაღლა)
ამბრა—დაჰყნოსეთ!
(ჩუმად)
ჰსურს გესაუბროთ—(მაღლა) ტირისის ფარჩა!

მელისანდე. სახელი მისი? ან ვინ არის?

სკარჩიაფიკო (ჩუმად).
არ ვიცი, ვგონებ ტრუბადურია! (მომღერალია).

მელისანდე (ოდნავ შეჭკივლებს და მსწრაფლ თავის ხმას გულშიგე ჭკლავს).
ახ, ღმერთო ჩემო!—რა ფერი აქვს, რა კარგი არის!

სკარჩიაფიკო (ჩუმად).
არ შეუძლიან საიდუმლოდ მოვიდეს თქვენთან?

მელისანდე (ჩუმად).
ო, არა! არა!

სკარჩიაფიკო. ეგვიპტური ჩითი, მიტკალი!

მელისანდე (ჩრუმად).
საიდან მოდის?

სკარჩიაფიკო (ჩუმად).
საფრანგეთიდან! დიდი ხანი არ არის, რაცხან
ნაპირს გადმოხტა—ამაყია, მსგავსად მეფისა
და მშვენიერი, ახოვანი, როგორც პარისი!—
მაგრამ ეს გმირი აქ რომ სდგას და აღარ გვშორდება?
—კის-ბენ-ომირით მოტანილი ძირკვეულობა!

მელისანდე. როგორც ვეშაპი უმოძრაოდ სდგას ერთ ადგილას.
ვერას გავხდები.
სკარჩიაფიკო (ხმა მაღლა).
კესი და შტახში სურნელოვანი!
მოტანილია აქსუმიტელ მეფის ქვეყნიდან.
(ჩუმად)
იგი ყრმა ამბობს, დახანება აღარ ძალმიძსო
და მზადაც არის თუნდ ის ერთი ასს შეებრძოლოს.
მელისანდე (ჩუმად).
მერე?
სკარჩიაფიკო (მაღლა).
ნექტარი!
(ჩუმად).
ძალას იხმარს, თუნდაც არ დართოთ
მას, თქვენ ნება... იერიშით...
(მაღლა).
—მკურნავი სითხე...
ეს ბალზამია არაბული, ჭრილობას არჩენს.
(ადგება და ბარგს უწვდის)
დასასრულ თქვენის კბილებისთვის პროვანსის თხილი.
მელისანდე. ძალიან კარგი! დასტოვე აქ. ეხლა კი წადი.
მაგას ყველაფერს ვყიდულობ მე!
(იქით)
თითქოს მესმოდეს ხმაურობა, სულ ახლოს, ახლოს...
სკარჩიაფიკო (საქონელს აწყობს).
უფრო უკეთესს საქონელსა მალე მივიღებ!
(მელისანდე მოუთმენლად ანიშნებს წასვლას).
უკვე მივდივარ! (შებარვით).
გადასახადს მაშ გააუქმებთ!
მელისანდე. ჰო!
სკარჩიაფიკო. ლამაზია ვით პარისი. ნახვა თვალს მოსჭრის.
(შებარვით).
მფარველობასა და შეწევნას მივიღებთ თქვენგან?
მელისანდე. მაგასაც! კარგი!

სკარჩიაფიკო (თავისთვის).

მე ჩემი ყნოსვა, მოხერხება კვლავ გამომადგა.

რა კარგი ვქენი, რომ იმ ჭაბუკსა გზა გავუკვლიე.

ჰა, ჰა, ეხლა მანუელსა ვუჩვენებთ სეირს!

(კარებთან შეჩერდება, მობრუნდება თავაზიანი თავის დაკვრით)

მაშ ასე იყოს: ასი ოქრო ყოველწლიურად...

(გადის, რაინდიც მისდევს).

გამოსვლა VI.

მელისანდე, სორიზმონდე და შემდეგ ლურჯი რაინდი.

მელისანდე (სორიზმონდეს).

გაიგე, რაც სთქვა?

(სორიზმონდე თავს უქნევს)

ახალგაზრდა მომღერალია.

სორიზმონდე. ღელვილსა გხედავ, დედოფალო!

მელისანდე. მე? სულაც არა!

სორიზმონდე (გახუმრებით).

ალარ ბრძანდებით მოწყენილი?

მელისანდე (საწოლზე გადაეშვება).

როგორ? რას ამბობ...

თავი ანებე სისულელეს...

(შორს ბუკის ხმაა).

გესმის? ბუკის ხმა!

სორიზმონდე (ფანჯარასთან).

ეს იგი არის! ბუკის ხმით გამცნობთ...

მელისანდე. რა მენაღვლება! მერე, მე რა? სულ ერთი არის!

სორიზმონდე. რა ტურფა ყრმაა, ახოვანი!

მელისანდე. ასე შორს ჰხედავ?

სორიზმონდე. დიახ, ვხედავ! იგი იძახის!

მეფის დარაჯნიც საბრძოლველად ეგებებიან.

პირველ ჭიშკართან შემოჭრილა.

მელისანდე. და მერე, მე რა?

(სიჩუმე).

მერე, სთქვი იგი რას იზრახავს?

სორიზმონდე. გზა გადულობეს!

მელისანდე. ახ, უბედური! უკან იხევს?

სორიზმონდე. არა, მხნედ იბრძვის.

მელისანდე (იდაყვზე დაყრდნობილი).

მართლა?

სორიზმონდე. წრე გაარღვია!

მეფის მებრძოლნი უკან იხევენ.

ვიშ, ღმერთო ჩემო!

ის უკვე შიგნით შემოიჭრა და კვლავ მხნედ იბრძვის.

მელისანდე (უფრო წამოიწევს).

მართალს თუ ამბობ?

სორიზმონდე. ძალით მოარღვევს...

(ბუკის ხმა უფრო ახლოს ისმის).

გესმით, ბუკს უკრავს...

მელისანდე (წამოვარდება).

როგორც როლანდი!

სორიზმონდე. ბრძოლით აპობს, აქეთ მოილტვის.

მელისანდე (ფანჯარასთან სორიზმონდეს უკან).

ხომ არ მარცხდება?

დავარდა...

სორიზმონდე. შუბი გაუტყდა... კვლავ წამოდგა.

მელისინდე. ხმალი იშიშვლა...

ახ! ღმერთო ჩემო!

(უკან წამობარბაცდება).

სორიზმონდე. რა მოგდით, ქალო!

მელისანდე. მისი თვალები! შემომხედა და დამინახა.

სორიზმონდე. ეგ უკეთესი. გადაუგდეთ თქვენი სახელო,

როგორც ჰშვრებიან ჯირითის დროს!

მელისანდე (ფანჯრიდან იხედება. სახელოს იგლეჯს).

იბრძოლეთ მედგრად ო, რაინდო!

მიიღეთ ჩემგან იგი ნიშანი!

ამ თეთრ სახელოს ფერი უცვალეთ!

თქვენ თქვენი სისხლი დაიცავით, მტრისა დაღვარეთ!

ეს ვერცხლებრ თეთრი ჩემი სახელო

კვლავ დამიბრუნეთ სისხლისაგან გაწითლებული.

(სახელოს დაბლა ჩააგდებს).

ბერტრანის ხმა. ვფიცავ სიცოცხლეს!

(გარედ ხმაურობა და იარაღის ჩხარუნია).

მელისანდე (წინ წამოვა).

ის სასახლეში შემოიჭრა.

(სორიზმონდე ფანჯარას ჭხურავს. სიჩუმე).

ხმა აღარ ისმის!.. მთლად მიყუჩდა... რა უნდა მითხრას?

სორიზმონდე (გალერიიდან მნიშვნელოვნად).

ერთი უყურეთ!

(შემორბის შეიარაღებული მონა, სისხლიო მოსვრილი და რაღაცას ეუბნება ლურჯ რაინდს).

რაინდი. ძალიან კარგი!

(კედლიდან ნაჯახს იღებს და დამშვიდებული ეუბნება მელისანდეს).

ნება მომეცით ეს კარები მხოლოდ მცირე ხნით
დავხურო... ასე!

(კარებს ჭხურავს. ისმის კლიტის ჩხარუნი. სიჩუმე).

მელისანდე. რა უნდა მოჰხდეს... ახ, ნახევრად მკვდარი ვარ თითქმის!

(ისმის ხმაურობა თანდათან ახლოს, სასახლეში).

—ახლოვდება... იგი აქ არის.

ო, მას რაინდი მოჰკლავს... მოჰკლავს... საბრალო ბავშვი...

(ხმაურობა კარის უკან).

კართან იბრძვიან... კიდევ როგორ დიდხანს გაუძლო...
აგერ კვლავ ბრძოლა... ვიღაც დაეცა...
(ისმის დაცემის ხმა. კარი იღება. მელისანდე უკან იხევს).
ახ! შემოამტვრია.

(კართან ბერტრანი გამოჩნდება. ხელში ხმალი უჭირავს. შუბლზე ერთი ჭრილობა აქვს. წითლად შეღებილ სახელოს ფერხთა წინ უგდებს).

მელისანდე. ახ! თქვენ, რაინდო! რა გსურთ მითხრათ?

ბერტრან. ლექსი!

გამოსვლა VII.

მელისანდე, ბერტრან, სორიზმონდე.

ბერტრან (ცალ მუხლს მოიდრეკს).

სატრფო არ არის იშვიათი რამე არსება,

თუნდ შაგვრიმანი, თუნდა ქერა, თუნდ ნათელსახე,
რომელთ ადვილად სურვილი სწვდება.
ამგვარი ტურფა სულ ადვილად მოიპოვება...
—მე კი დამწვარვარ იმ შორეულ დედოფლისათვის
და ამ ჩემს სულსა სამუდამოდ ის ეყვარება!

დიდის სახელის ღირსი არ არის ის ერთგულება,
რაიც ადვილად საყვარელსა უახლოვდება
და მოკრძალებით მის წინაშე მუხლებზე სდგება,
ემორჩილება და ხელებზე ეამბორება...
—მე კი დამწვარვარ იმ შორეულ დედოფლისათვის
და ამ ჩემს სულსა სამუდამოდ ის ეყვარება!

მელისანდე (განაგრძობს).

და საყვარელი როს არ აგებს სამაგიეროს,
მხნეობას აძლევს, ჰსურს წმინდა გულს მას ერთს უმღეროს.
მიუხედავად მრავალგვარის დაბრკოლებისა,
მთელს სიცოცხლეში სიყვარული გქონდეს ერთისა,
თუნდაც არ იცნობდე,
ეს მაღალ გულთა ლტოლვა არის და მისწრაფება...
—ო, მე დამწვარვარ შორეულის დედოფლისთვისა
და ამ ჩემს გულსა სამუდამოდ ის ეყვარება!

და საყვარელი ჩემთვის მხოლოდ ოდნავ ცნობილი,
ეს ღვთაებრივი არის სურვილი.
მისთვის ეძიებ, მიანიჭო ხორციელება,
რომელს სიზმარში წარმოიდგენს ნაზი ოცნება,
რადგან სიზმარი არის ცხოვრება,
სხვა კი ამაო და მალეც ჰქრება...
—ო, იმ შორეულ ქვეყანაში ის ერთი მიყვარს,
ის შორეული დედოფალი კვლავ მეყვარება!

ბერტრან (განცვიფრებული).

თქვენ ეგე ლექსი საიდან იცით?

მელისანდე. ეს ჩემთვის არა ერთს უმღერნია!

ბერტრან. იცით აგრეთვე...

მელისანდე. რუდელმა შეთხზა!

ბერტრან. მაშ გაიგებდით სიყვარულსა და მის ტრფიალზე.

მელისანდე. ო, გთხოვთ მიამბოთ მის სიყვარულზე!

ბერტრან. გეცოდინებათ ერთგულობა, ნაზი სიწმინდე
მისის ტრფობისა და ღვთაებრივ სიყვარულისა.

მელისანდე. მე მის სიყვარულს გულის სიღრმით ვეტრფოდი ხოლმე;
როდეს ტალღები ხმაურობდენ ჩემ წინ კიდესთან,
ვიცოდი, მისის სიყვარულის ძახილი იყო
და მე მიხმობდა; ხშირად ოდეს დღის სიცხის შემდეგ
საღამო ნელი მოჰბერავდა, ვგრძნობდი მე მაშინ
თუ მისი სული ჩემს სულს როგორ ეფსოვებოდა.

ბერტრან (ძალა მიხდილი). ო, ღმერთო ჩემო!

მელისანდე. განა თქვენ ეს საამოდ გრჩებათ!

ბერტრან. ო, დიდად! გმადლობთ! რადგან იგი... სისხლით ვიცლები.

მელისანდე. მუხლთ ეკვეთება! სორიზმონდე, ვუშველოთ ჩქარა!

სორიზმონდე. აქ დავაწვინოთ... (ტახტზე აწვენენ).

მელისანდე (სასო მიხდილი). ახ! ჩქარა! წყალი! სურა მეთქი, ვერ გაიგონე?

სორიზმონდე (სურა მოაქვს და ბერტრანის წინ მელისანდესთან მუხლს იერის).
როგორ გაფითრდა! აპოლონივით მშვენიერია!

მელისანდე. სისხლი სდის შუბლით... შესახვევი. მოიცა! აი!
(გულიდან სამოსის ნაჭერს იგლეჯს და მით უხვევს).

სორიზმონდე. თქვენის სამოსით... გულმკერდიდან...

მელისანდე. არაფერია!
—მესმის, აბჯრის ქვეშ გული უძგერს—იგი ბალზამი,
ასე სთქვა, არჩენს ჭრილობასო, მოიტა ჩქარა!—
მას ეს უშველის... აი, ასე... აწ კი სიჩუმე!
—ნუ გაუჭუჭყავ სურნელებით ლამაზ საყელოს!..
—ჩუ!—ფრთხილად იყავ ვიდრე თვითონ არ გაიღვიძებს!
—ისე ატარებს იგი თმასა, როგორც პროვანსში...—
—მის ლოყებს, ჰხედავ, უბრუნდება ისევ სიცოცხლე...
—იგი ღრმად სუნთქავს... ამოძრავებს თვალის ქუთუთოს!
—მან ხელი ჩემი ჩაიკონა...

სორიზმონდე. მსწრაფლ მოკეთდება.

მელისანდე. ვიშ თვალებს ახელს! რა მსხვილი და რა ნათელი აქვს!

ბერტრან (თვალებს აღახელს და მელისანდეს უმზერს). სიზმრად ხომ არ ვარ? მე ფლორი ვარ, ეს—ბლანშეფლორი!*)

თუ მე ჭრილობამ სიკვდილსა მიმცა
და სამოთხეში ახლა ვიღვიძებ?

მელისანდე. გესმის, რას ამბობს?

სორიზმონდე. უბრუნდება იგი სიცოცხლეს.

ბერტრან (თავი მელისანდეს შიშველ მკლავზე უძევს).

არა მახსოვს რა. რო დავსუსტდი... ეს ნაზი ხელი
ჩემსა ლოყებთან...
(მელისანდეს ჭსურს ხელი მოაცალოს).
ო, ნუ ამაცლით; დაე აქ გქონდეთ!

მელისანდე. აჰა მანდ გქონდეთ!

ბერტრან. ასე მხურვალე და მასთან ცივიც!

ო, ტურფა ხელო, ნაზო, ნარნარო! შიშველო ხელო!

მელისანდე (ხელს უკან გაიმსტაცებს). ახ, მართლა იგი შიშველი არის!

ბერტრან (გონს მოდის). თქვენ ვინ ბრძანდებით ტურფა ასულო?

მელისანდე. რაინდო, ეს თქვენც მოგეხსენებათ,

ეს მე ვარ იგი, რომლისთვისაც ლექს ჰკითხულობდით,
მაგრამ დაეცით გულწასული, ლონე მიხდილი.

ბერტრან (უკან იხევს). ო, არა! არა! დედოფალი თქვენ არ ბრძანდებით!

მელისანდე. დიახ ის მე ვარ!

ბერტრან. თქვენ? დედოფალი? არა, არა!—ვაი ჩემს თავსა!

და მე საბრალო? ღმერთო ჩემო!.. მაშ ავუჩქარდეთ
ვიდრე ჩვენ დრო გვაქვს... (ჭსურს წამოდგომა, მაგრამ არ ძალუძს).
გამოაღეთ იგი ფანჯარა!
მითხარით, რა სჩანს... მე არ ძალმიძს...

მელისანდე (სიღრმეში ფანჯარას აღებს). აყვავებულსა ტერასას ვხედავ.

ბერტრან. შემდეგ?

მელისანდე. ლურჯ ზღვასა.

ბერტრან. ზღვაზე? ო, ღმერთო, მომეც მხნეობა! ფრანგთა ნავს ჰხედავთ?

მელისანდე. ერთი პატარა ხომალდია... გუშინ არ იყო!

ბერტრან. იგია ჩვენი! ხომალდზე აფრა?

*) თქმულების გმირები არიან.

მელისანდე. მხოლოდ მერცხლები დანავარდობენ.

ბერტრან. მაშ შავი აფრა არა სჩანს მასზე?

მელისანდე. არა, თეთრია, ვით ფრთა ზღვის ჩიტის.

ბერტრან. მაშ აწ დრო არის, ავეჩქაროთ, ო, ავეჩქაროთ.
ტურფა ასულო! გამომყეთ თან. ნულარ ვახანებთ!
თქვენის იქ ყოფნით სიცოცხლისა ძალას მოიკრეფს...
დეე არ მოკვდეს, ვიდრე არ გნახავთ!.
მერე თუნდ სოფელს ნეტარებით დასტოვებს იგი.

მელისანდე. ერთი უყურე, მის თვალებში ცრემლები ბრწყინვენ.

ბერტრან. ო, ნეტარებით!—ეს ქალია ვარსკვლავთ ვარსკვლავი!
ყვავილთ ყვავილი! მის წინაშე ფერსა დაჰკარგავს
მისი ოცნება და უკუ ჰყრის ნაღველს და სევდას.
როცა ამ შუბლის ბრწყინვალებას თვალით იხილავს,
და მისი თვალნიც ღვთაებრივსა სხივს მოაფრქვევენ.
და გაუღიმებს ტკბილის ბაგით, ნუგეშის ცემით,
მაშინ ყველაფერს დაივიწყებს, რაც კი იტანჯა.
მას მისი თვალი, მისი ბაგე, სახე ნათელი
ჯერ არ ენახა, მაგრამ ჩანგზე გრძნობით უმღერდა
და აწ რას იგრძნობს, ოდეს თვის წინ ნამდვილად ჰნახავს.
ის უკანასკნელ დღეში არის, ო დედოფალო!
მოდით და ნახეთ ავადმყოფი თავის საწოლზე,
გამომყეთ თანა, ნეტარება იქმნება მისთვის
რა თვის წინაშე ღვთის ხატებას ცხადად იხილავს.
და ამა ხილვით თვისი თვალი თუნდაც დახუჭოს!.
დაე ამ ხილვამ დაუმშვიდოს მღელვარე სული,
გარდმოუვლინოს მყუდროება და ტკბილი ძილი.
ამაყის გულით უკან იხევთ?.. უარს ნუ იტყვით!
ო, ღვთაებრივო, დედოფალო! აღმოსავლეთის
ნორჩო ყვავილო, წოდებულო თაფლსაებრ ტკბილად:
მომყევით ვიდრე, თვალი თვისი არ დაუხუჭავს,
რათა იხილოს საყვარელი თვისი ღვთაება!

მელისანდე (უკან დახეული). ჰაბუკო, ვისზე ჰლაპარაკობთ გატაცებული?
ვისთვის მთხოვთ?..

ბერტრან. რუდელისთვის! თქვენის მგოსნისთვის!
ვინც ამ ჟამად წევს მომაკვდავი, ვინც თქვენ შეგიპყრათ
თვისის ციურის სიყვარულით—როგორც თქვენ ბრძანებთ—
ოჰ, ჩქარა! ჩქარა! ო, გამომყეთ, ვიდრე სულს დაჰლევს!
მას ფიცი მივეც...

მელისანდე. თქვენ, რაინდო, მაშ—თვით ვინ ბრძანდებით?

ბერტრან. მისი ერთგული მეგობარი, მისი ძმა ბერტრან
დალამანონი! ო, აჩქარდით! წამოდით!

მელისანდე. არა!

ფარდა.

მოქმედება მესამე.

იგივე დარბაზი, რომელიც მეორე მოქმედებაში იყო ფანჯარა დიაა. ჭახჭახამზიანი შუადღეა. იატაკზე და ირგვლივ სუმბულის ნაცვლად წითელი ვარდებია მოფენილი.

გამოსვლა 1.

ბერტრან და სორიზმონდე.

სორიზმონდე. ველაპარაკე, რათა ერთხელ კვლავ გინახულოთ.
რყევაში იყო, მაგრამ მაინც იმედი გქონდეთ.

ბერტრან. ვადა სრულდება... დაყოვნება არ შეიძლება.

სორიზმონდე (თავის ქნევით ფანჯარასთან მიდის).
ესეთი რამე...

(გარეთ იხედება).

ბერტრან (ერუდ).
აფრას ჰხედავთ?

სორიზმონდე. კვლავ ბრწყინვალე-თეთრს!
— აგერ, ლურჯ გმირის მეგობრები ზღვისკენ მიდიან,
მთლად დათალხულნი... აგერ უკვე ნავში სხდებიან.
ახ, როცა მივლენ გმირის გვამით მეფე კომნენთან,
რა განრისხდება! მონა ეტყვის: საქმე საგმირო
ამ რაინდისა იყო მეტად სანაქებოო.

ბერტრან (ოცნებაში წასული).
მისი თვალები, ნაზი თვალები
რა უცბად ცივად შემომაჩერდა.
რაღას ნიშნავდა მკაცრი უარი?
(სორიზმონდეს)
თქვენ როგორ ჰფიქრობთ?

სორიზმონდე (გაუგებარ რხევით).
აჰ!

ბერტრან. რისთვის სთქვა ესდენ მკაცრი უარი?

სორიზმონდე (ჭხედავს, თუ ვით იდება ოქროს ჭიშკარი).
იგი აქ მოდის!

ბერტრან. დაითანხმეთ, გემუდარებით!

სორიზმონდე (ბერტრანს გარედ აცილებს).

იქ მოიცადეთ! და იიმედეთ!
(გამოჩნდება მელისანდე და დაბლა ჩამოდის. ოხრავს).

გამოსვლა II.

მელისანდე და სორიზმონდე.

მელისანდე. მოდი აქ ჩემთან, სორიზმონდე! ყური დამიგდე!
მითხარ, რას ჰფიქრობ ჩემზე, მითხარ!

სორიზმონდე (გაურკვევლად).
აჰ!..

მელისანდე. ეს ნაადრევი დილის წყენა, მკაცრი უარი!
რადა ან რისთვის? დიდს ქარიშხალს თუ მომისწავებს!
ხატის წინ ვიდექ და ვილოცე... სანთელიც დავდგი!
მითხარ: ჩემს უარს არ ჰქონია მიზეზი, არა?
მითხარ, ეს იყო ცუდი სულის განწყობილება.
ჩემს გულს სტანჯავდა მწარე სევდა, რადგან ოცნება
დამემსხვრა? შევცდი? რადგან ვიქმენ მოტყუებული?
და ის უარი უმიზეზოდ იყო ნათქვამი.

სორიზმონდე. მიზეზი გქონდათ, კარგად იცით...

მელისანდე. ჩუმათ! ნუ ამბობ
ასე ხმა-მაღლა!

სორიზმონდე (სიჩუმის შემდეგ დიმბლით).
ბრძანდებოდეთ დამშვიდებული!
ვიცი, ასეა თქვენის საქმის გარემოება:
შიშმა შეგიპყრობთ, რომ ოცნებით თქვენ სხვას ჰფიქრობდით,
სინამდვილით კი სხვა გაიგეთ. ვინც თქვენ გეგონათ
რომ საოცნებო და ჯანმრთელი ტურფა არსება,
მას თქვენ შეჰხვდებით მოტეხილსა, ავადმყოფს, დასჯილს,
უდროოდ ტუჩებ ჩაყვითლებულს—თქვენ კი გინდოდათ
თქვენის მაღალის სიყვარულის გმირი მგოსანი
მუდამ თქვენს სულში ყოფილიყო აყვავებული,
ხოლო არ გსურდათ დაგენახათ გლახ მომაკვდავი
სახე მიმკრთალი, რომელს სულით შეჰყვარებიხართ.

მელისანდე (გამოცოცხლებული).
ახ! დიდად გმადლობ!—

სწორედ ეგ უნდა ყოფილიყო მიზეზი, დიახ!
შენ მართალს ამბობ!
უარის თქმისთვის საბაბი მქონდა!
—ეხლა იმ რაინდს დამიძახე! სთხოვე აქ ბერტრანს!

სორიზმონდე (სიცილით).
რა საჭიროა დაძახება, თუ უარს ამბობთ!

მელისანდე. არა... მოვიდეს! გულმა არ უწყის რა გადასწყვიტოს,
ისეა იგი დაბნეული თვის სისუსტეში.
მინდა ვუსმინო, რის თქმა ჰსურდა!

სორიზმონდე. ძალიან კარგი!

მელისანდე. ვინ იცის, ეგებ გული მოლბეს მისის თხოვნითა!...

(სორიზმონდე გალერეიდან ბერტრანს მოსვლას ანიშნებს. ბერტრან შემოდის. სორიზმონდე გადის).

გამოსვლა III.

ბერტრან, მელისანდე.

ბერტრან. ო დიდად გმადლობთ, ნება დამრთეთ სალაპარაკოდ.
თხოვნა და მხოლოდ მუდარა მძევს მოვალეობად
ვიდრე ხომალდზე თეთრი აფრა აღმართულია,
ვიდრე ჯერ კიდევ ცოცხალია ბატონიშვილი.

მელისანდე (ბალიშებში მჯდარი, მიშვებული თავმაღ).
და იქმნებ იგი აგრე რიგად ავად არც იყოს,
როგორც მომითხრობთ!

ბერტრან. აგრე ნუ მსჯელობთ, მცირე დრო მაქვს თქვენს დასაყოლად!

მელისანდე. გისმენთ, მიანბეთ.

ბერტრან. სწორედ ეხლახან თქვენს წინაშე უგრძნობლად ვიდექ.
და უცბად გაჰქრა მშვენიერი ოცნების სახე.
მხოლოდ „არაო!“ მომესმოდა ესდენ სასტიკი,
სად სიხარული მხოლოდ უნდა გამღიმებოდა.
სიზმარში მყოფი ჩემი თავი მეგონებოდა,
რომ ჩემსა ირგვლივ მაგ სამოსთა შემბოჭი სუნი
არა მდგარიყო, მსგავსი სუნი კლეოპატრისა,
რაიც ჰაერში ირხეოდა, თუმცა თქვენ ამ დროს
აქ აღარ სჩანდით, თქვენი კვალი დარჩომილიყო,

მელისანდე (დიმილით ხელს უწვდის, რაიც სამაჯურებით აქვს შემკული).
იქმნებ ეს იყო, სურნელება აღმოსავლეთის,
შეზავებული მუშკამბარი სანდელის წვენთან,
რომელს ვატარებ სამაჯურის პაწია თვლებში?
(ბერტრანი მუხლს უყრის და ხელზე აკამბორებს)
სწორედ მიგიხვდით? გამოვიცან?
ბერტრან. დიახ, ეს არის!
შეზავებული თვით თქვენსავე სურნელებასთან!
მელისანდე (რაკი ბერტრანს ადგომა ჭსურს).
უკვე მიჰფრინავთ? მუხლმოყრილი ჩარჩით-ჩემ წინა!
ბერტრან (კვლავ მუხლს უყრის).
და იგი სული, ნარნარი და ნაზ სიყვარულის
ღელვით აღსავსე; იგი ტრფობა ზეღვთაებრივი
და აგზნებული: რჩეულისა, დიდებულისა!
მე მწირმა უნდა მოგახსენოთ, მასზე რომ გამცნოთ,
ღირსი ვარ თქვენს ყურს მოვასმინო მისი ამბავი?
მელისანდე. ილაპარაკეთ მხოლოდ მასზე.—გიყვართ თქვენ იგი?
ბერტრან. როგორც სიცოცხლე საკუთარი! და მისი სულით
აღტაცებულვარ. ფერმიხდილი, სნეულად მყოფი
ძველ ექიმთაგან მორტეს მხარეს მოვიდა ჩვენთან.
ვიცოდი, იგი სიკვდილს ჰყავდა თავის ბრჭყალებში,
მაინც შორეულ დედოფლისთვის გულით აგზნებულს
ჭსურდა: ენახეთ, ვიდრე თვის სულს განუტევებდა.
მეც გამიტაცა და გამოვყე მის კვალს უშიშრად.
მელისანდე. და მანც თქვენ გულით შეგიყვარათ?
ბერტრან. გულით მხურვალით!
თვისი ოცნება, თვისი ფიქრი მან მეც შთამბერა
და იქმნა ჩემი საყვარელი ძმა, მეგობარი,
მასწავლებელი. მწირი ხალხი მას დასცინოდა
როდეს წამოსვლა დააპირა თქვენს სანახავად,
მხოლოდ მე ვიყავ ერთად ერთი, ხელს ვუმართავდი.
მელისანდე. ძალიან კარგათ მოქცეულხართ, თამამო გმირო!
ბერტრან. პირველად ნავი მოსცურავდა მთლად უგზო-უკვლოდ,
მაგრამ, როდესაც ცოტაოდენ გზა წარგვემართა,

და თქვენკენ ტალღას მოარღვევდა დაუცხრომელად,
დილიდან ვიდრე საღამომდის მშვენიერ ლექსებს
თქვენს სადიდებლად მამღერებდა წკრიალა ჩანგზე.

მელისანდე. მერე, თქვენი ხმა რა ტურფა და მომხიბვლელია!

ბერტრან. ერთდროს უყვარდა ტურფა ალდა გმირსა როლანდსა,
ტრისტანს—იზოლდე, ნაზი ფლორე—რაინდს ბლანშეფლორს,
დიახ, უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ამ რიგად
არ ჰყვარებიათ, როგორც რუდელს, ჩენს ბატონიშვილს,
უყვარს მხურვალედ მელისანდე. მე თვით მოწმე ვარ,
თქვენთვის მას როგორ თეთრად ღამე უთენებია
და გულით კვნესა თუ ვედრება, თქვენდამი ლოცვა,
დაღლილს, დაქანცულს ღრმა სულიდან აღმოჰხდენია.

მელისანდე. და თქვენ, რაინდო, მარად ჟამსა მისთვის ფხიზლობდით?

ბერტრან (წამოვარდება გატაცებით).
ო, როგორ შევძლო, აგიწეროთ ის გაჭირვება
რაიც, ასულო, გამოვცადეთ მგზავრობის ჟამსა,
როდეს რუდელი მაგ თქვენს ღიმილს ესწრაფებოდა,
როდეს ჩვენ მცურავთ აგვერია გზა იმ ვრცელ ზღვაში
და ათასგვარის დაბრკოლებით: შიმშილ წყურვილით
შევიწროვებულთ, სასტიკი, მძაფრი ქარი—გრიგალი
ცივსა სამარეს გვიმზადებდა მღელვარე ზღვაში.
რუდელის რწმენა მტკიცე იყო, როგორც სიკვდილი,
იმედს და სასოს არ ჰკარგავდა, მხნედ იყო მარად
და თვისის ქცევით გვინერგავდა ჩვენცა მხნეობას.
ერთ დღეს ნაპირსა მივადექით და მოსვენებას
ვლამობდით იქა; მხარე იყო ყვავილოვანი;
ბატონიშვილი მოგვიწოდებს კვლავ გზა განვაგრძოთ,
კვალად მივყევართ ახალ ტანჯვა-გაჭირვებისკენ.
ჩვენი ხომალდი კვალად ებრძვის მძაფრსა ქარიშხალს.
და ის კი იყო ქარიშხალი ჩადგა, მიყუჩდა,
ვხედავთ, ჩვენ თვალწინ აღიმართა ოსმალთა ნავი,
სასტიკი ბრძოლა აგვიტეხეს და ჩაიძირნენ.
კვლავ წინ მივსცურავთ, არა ვსდგებით. ბოლოს შიმშილმა
ყველაზე მეტად შეგვაწუხა და მენავენი

ძალამიხდილნი ბარბაცებდნენ. ანძა გაგვიტყდა.
დაიხა აფრა. სიკვდილს ებრძვის ბატონიშვილი,
და უცბად ისმის: ხმელეთიო! აბა, იფიქრეთ!

მელისანდე (ათრთოლებული).
შენს თავს აძლევდი განსაცდელსა!

ბერტრან (განცვიფრებული).
ჩემს თავსა?

მელისანდე (ცოტხლად, მხურვალედ).
შენს თავს!
და მხოლოდ მისთვის,—მხოლოდ მისთვის,—ო, რარიგ მომწონს!
ნება მომეცი მის მაგიერ მადლობა გითხრა.

ბერტრან. მე... დედოფალო....

მელისანდე. ო, რაინდო, არ გსურს გამოსტყდე!
კრძალვით აღსავსევ, რა გიქნია ავადმყოფისთვის?
შენ, მეგობარი და რაინდი თავდადებული...
შენს გვარს არავის შევხვედრილვარ ჩემს სიცოცხლეში,
არავის ვცნობდი... გამოგყვები... წავალ ვუბრძანებ,
ნავი მზად ჰქონდეთ... წამოგყვები.... დიახ, მოვდივარ..
(ბერტრანი შემკრთალია. რადაცა ჰსურს სთქვას)
ნუღარას იტყვი... ო, შენ,... არა! ო, ღმერთო ჩემო!
(სიჩქარით გადის აღელვებული).

გამოსვლა IV.

ბერტრან და შემდეგ სკარჩიაფიკო.

ბერტრან. თან წამომყვება,— ის უარი მან განგებ მითხრა!..
შესაძლო არის? როს სიკვდილი ჩვენ თვალწინ გვიდგას
და ჰსურს დაგვამხოს, დედაკაცი გვეთამაშება
და მომაკვდავსა უკანასკნელ მხნეობას აძლევს
თვისის ცბიერის ხელოვნებით და მოხერხებით.
(ფანჯრისკენ)
ო, მხნედ, მხნედ იყავ მეგობარო, ბატონიშვილო!
შენ, რომელიც კი ელოდები ზეცის ასულსა!
ის მოვა შენთან და მოჰკვდები სრულს ნეტარებით.

სკარჩიაფიკო (უკანასკნელ სიტყვების დროს შემოდის).

როგორ? თქვენ განა თვით არა ხართ ბატონიშვილი?
ბერტრან. მე? სულაც არა!
სკარჩიაფიკო. აგრემც ეშმაკს თან წავულივართ!
ვაგლახ, ჩემს იმედს სამუდამოდ ბოლო ეღება.
ბერტრან. რომელ იმედზე ჭლაპარაკობ?
სკარჩიაფიკო. როცა კი გნახე
ესდენ თამამი, გავიფიქრე: ჰი, ეს არის,
ვინც შეგვყრის-მეთქი ნეტარებას, ბედნიერებას!
ბერტრან. ბედნიერებას?
სკარჩიაფიკო. ჰოო—მეთქი! ასე ვფიქრობდი:
აი, მგოსანი მოვიდა და მტერი შემუსრა,
ვინც კი ჩვენ საქმეს გვიჭირვებდა, გვავიწროებდა,
მოვიდა-მეთქი და ქორწილსაც გადიხდის-მეთქი.
ბერტრან. რაო? ო, ღმერთო!
სკარჩიაფიკო. რა ნეტარება იქმნებოდა! მაგრამ რას ვხედავ...
იგი ხელმწიფე მანუელი თვისის მცველებით
ვენეციელებს, გენუელებს კარგად არ სწყალობს.
მას ვეჯავრებით! და რას გვიზამს აქ რომ დამკვიდრდეს?
დავიღუპებით! და ჩვენ მწირნი ვერას გავაწყობთ
და ვერცა შევცვლით ჩვენს უკულმართ გარემოებას.
ჩვენ მოქალაქეთ მყუდროება, სიმშვიდე გვწყურის.
ჩვენსა მფარველად და ბატონად მგოსანი გვსურდა.
ის იმგოსნიდა, ჩვენც ჩვენს საქმეს გავაკეთებდით,
მყუდროდ და მშვიდად ვივაჭრებდით! ო, რარიგ დიდი
ბედნიერება იქმნებოდა, ორი არსება
შეყვარებული ავიდოდა სამეფო ტახტზე...
ჩვენც თავისუფლად მიგვიშვებდნენ...
ბერტრან. რომ როგორც გსურდათ,
თქვენ თქვენს ნებაზე გენადირნათ ამღვრეულ წყალში!
სკარჩიაფიკო. დიახ! ახ, არა! მაინც ჩემს აზრს კარგად მიმიხვდით!
ბერტრან. ძალიან კარგად!
სკარჩიაფიკო. აწ რუდელი გარდაიცვლება
და სულ ამაოდ ჩაივლის ეს მოგზაურობა!
ბერტრან. ამაოდ! ოგორ? ეს გმირული თავის განწირვა,

ლტოლვა სულისა, სარგებლობას არას იძლევა?

სკარჩიაფიკო. ჩვენთვის არაფერს!

ბერტრან. სადა მენავეთ ეს შეიგნეს, ხოლო მევახშეს
ვერ შეუგნია და დიდ მიზანს ფულს ანაცვალებს
და უანგარო დიდსა საქმეს ასე ამცირებს,
ამბობს: აბა რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვისო.
მამაო ტროფიმ, ნეტა ერთი შენც გაგეგონა!

სკარჩიაფიკო. ის დაწყევლილი მანუელი მას რომ მეუღლედ
მალე გაიხდის!..

ბერტრან. არაოდეს! ეგ არ მოჰხდება!

სკარჩიაფიკო (თავისთვის).
ერთი უყურეთ.

ბერტრან. არა—მეთქი, ო, გეფიცები!
ასეთს მშვენიერს ვერ გაიხდის იგი მეუღლედ!

სკარჩიაფიკო (თავისთვის).
იქმნებ რომ საქმე აქ როგორმე გამოვაკეთო!
(ხმამაღლა)
ის უბედური თვის სასურველს ვიდრე მიახწევს,
გარდაიცვლება.
(ბერტრანი ფიქრში წასულია. სკარჩიაფიკო მას უახლოვდება)
ჩვენს ასულსა მგოსნები უყვარს
და ბატონიშვილს გაუწვდიდა ხელს სიხარულით.
ფრანგებიც უყვარს—თქვენ ფრანგიც ხართ და მგოსანიცა!—
მერე კეთილად დაასრულეთ მოგზაურობა.
—სხვა დანარჩენიც თქვენ მის გულში მოინადირეთ—
ჰო და ის კვდება. ასე არის. ხანმოკლე არის
ჩვენი სიცოცხლე. სიკვდილი კაცს არ შეიბრალებს.
ასეა-მეთქი. ხან ჯილდოს ვერ ეღირსებიან
და გამარჯვების პირველ წუთსვე იხოცებიან—
ამიტომ უნდა ცოცხალს დარჩეს დიადი ჯილდო!
თქვენ ირგეთ იგი...

ბერტრან. შავი აფრა რომ დავინახო,
ვაგლახ ნიშანი სიკვდილისა...

სკარჩიაფიკო. ბავშვი ჰყოფილხარ!

შენ სხვისთვის ჰზრუნავ, იმ ვილაცა მომაკვდავისთვის,
რომელიც მხოლოდ კერძოდ თვისთვის ზრუნავდა მუდამ.

ბერტრან (მოუბრუნდება და აცქერდება. სკარჩიაფიკო უკან იხევს).
რაო? აწ რა სთქვი?

სკარჩიაფიკო. არაფერი!

ბერტრან (ულში ხელს ჩაავლებს).
შე საზიზღარო!

სკარჩიაფიკო. მოიცა! ეჰე!
ჩემს რჩევას ასე აჯილდოვებ? სწორედ მაკვირვებ!

ბერტრან. მოგსპობ, გაგსრესავ!

გამოსვლა V.

იგინვე, მელისანდე, სარიზმონდე და კარის ქალები,
რომელთაც შელისანდეს ჰორფირი, გვირგვინი და სკიპტრა მოაქვთ.

მელისანდე. რა ხმაურობა არის აქა?

ბერტრან. შე გველო, შენა!

სკარჩიაფიკო. ძალიან კარგი! გველი ვიყო. ვინც მე გამსრესავს,
ამასაც ვნახავ...

ბერტრან. შენი კბენა მე რას დამაკლებს...

სკარჩიაფიკო. შიგ გულში გიკბენ... ჩემის ნეშტრით გულში მოგწვდები.

მელისანდე. შე უსირცხვილოვ, ჩემ სტუმარსა როგორ უბედავ
ამგვარ მუქარას? აწ კი შენი სახსენებელი
აქ აღარ იყოს. სამბრძანებლო დასტოვე ჩემ
ვიდრე ინათებს, და თუ კიდევ აქ დაგიყვია,
დავაკიდვინებ შენს ცბიერს თავს სახრჩობელაზე?

სკარჩიაფიკო. ამ მხრიდან მსდევნით!.. დავიღუპე...
(ბერტრანს)
ესეც ფრანგული უმადურობა!
მაცალეთ, შური თუ არ ვიძიო? (გადის).

მელისანდე (ბერტრანს).
ჰხედავთ, განვდევნე იგი თქვენის გულისათვისა.

ბერტრან. მაგ კაცმა სწორედ...

მელისანდე. გაგაბრაზათ! არ მოგეწონათ!
ეს ჩემთვის იყო საკმარისი... ეხლა წავიდეთ!

თქვენ წინ წაბრძანდით, ჰნახეთ ნავი თუ გაამზადეს...
ახ წადით-მეთქი!
(ბერტრანი მას დიდხანს უმზერს არეული და შემდეგ მსწრაფულ გადის).

გამოსვლა VI.

მელისანდე, სორიზმონდე და ამალა.

მელისანდე. ჩემი გვირგვინი!.. დედოფალი უყვარს მას ჩემში.
და დედოფლურის მორთულობით უნდა ვეჩვენო.
მომეცით სკიპტრა! ახ, ძლივს ვსდგები...თავს ძლივს ვიმაგრებ!—
(სცდილობს ბორბალი წამოიხსნას, მაგრამ კვლავ უკან აძლევს ამალას).
თან წამოიღეთ იგი ნავზე... ჩქარა! აჩქარდით!—
იგი თანდათან ჯოჯოხეთურ ტანჯვას მიმატებს,
თანდათან უფრო მხრებსა მწყვეტავს სამკაულითა.
ნავზე ჩამაცმევთ...
(ამალა გადის და სამკაულები თან გაქვს. სორიზმონდეს)
ჰგონებ თვალებს მე დავუხუჭავ ჩემსა მოტრფიალს?

სორიზმონდე. იმისი ნახვა, დედოფალო, თქვენ ცუდად გაგხდით.
ისევ სჯობია ექიმი ან მღვდელი გავგზავნოთ.

მელისანდე. შენი გულცივი მსჯელობა მე სულსა მიშფოთებს.
მაგრამ მეც კი ვგრძნობ: მასთან წასვლა არა მსურს, არა!
არ მსურს ვიხილო მომაკვდავი, გაფითრებული,
როცა მშვენება და სიცოცხლე ჩემს წინ არსებობს?

სორიზმონდე. მაშ დარჩით მასთან, ამ ნორჩ ყრმასთან! აწ თავი თქვენი
რაღაც სულიერ კავშირიდან ანთავისუფლეთ.
რაკი სხვა გიყვართ, ვიღას ძალუძს?..

მელისანდე. რაკი სხვა მიყვარს?—მართალი ხარ, ეს უკვე გითხარ!

სორიზმონდე. რად იქმნით თქვენთვის მწუხარებას, ტანჯვა-ვაებას,
როდეს შეგეძლოთ მისცემოდით ტკბილსა ცხოვრებას!
დასტოვეთ თქვენი ოცნება და ფუჭი სიზმარი
და დაუბრუნდით აწ ნამდვილსა ბედნიერებას!

მელისანდე. ყვავილთ დობილი სორიზმონდე ასე სისწრაფით
ალიგზნო უცხო ჭაბუკისგან, რომელსაც წელან
ელაპარაკა მხოლოდ ერთხელ.

სორიზმონდე. ჩვენს იძულებითს

უარის ყოფას ბუნება სჯის...

მელისანდე. რადგან სიცოცხლე
კვლავ დავუბრუნე, რადგან იგი გამოვაბრუნე...

სორიზმონდე. რადგან ფერმკრთალი მისი შუბლი ლამაზი იყო...

მელისანდე. და მისი სუნთქვა აგზნებული... არა, ეს არა!
მჯეროდა იყო იგი ჩემი ბატონიშვილი...
ახ, რისთვის ვსცრუობ... სიყვარული განა არ იყო,
რამაც მე უმალ შემაცურა ნაზ ოცნებაში?
თვისის ნაზის ხმით, მშვენიერის მომხიბვლელის ხმით
ოდეს წარმოსთქვა სანუკველმა ჩემი სახელი,
აღმიძრა გული, სიყვარულით შემიპყრო სული
და მეც მეგონა... დავუჯერე ჩემს გულში იმედს...

სორიზმონდე. ეგ ასე გახლავს!

მელისანდე. რა მოხარული ვიქმნებოდი, რომე გამეგო
აქ მეოცნებე წამოსულა ჩემს სანახავად...
ჩემი მგოსანი... მაგრამ ეხლა მართლაც აქ არის,
ღონე მიხდილი, მოწყვეტილი და მომაკვდავი!
მიძახის თვისთან, მაგრამ წასვლა მასთან აღარ მსურს,
რადგან მას კარგი მოციქული აურჩევია...

სორიზმონდე. დიახ...

მელისანდე. ძალიან კარგი! სორიზმონდე, ამას მიმხვდარხარ?
მისი შავი თმა და მისი ხმა სულის შემპყრობი.
ახ თვითონ იგი რა თამამი, გამბედავია.
და მისი მზერა... და ღიმილი მშვენიერ ბაგის
გაურკვეველი, ვით ღიმილი უმანკო ბავშვის.
— ო, სიყვარულო, იმორჩილებ ჩემს სიამაყეს!

სორიზმონდე თქვენ იგი გიყვართ, მაშ აქ დარჩით! გონიერება
აწ ამას გირჩევთ!

მელისანდე. ბრმაა, ბრმაა გონიერება.
იგი სჭვრეტს მხოლოდ ნათელ საგანს, მაგრამ, ახ, ღმერთო!
არსებობს კიდევ უცხო რაღაც, რაც გულსა სტანჯავს
და იმედს ართმევს... იდუმალი... ო, სორიზმონდე!
მან მე ოცნებით, ცხადის სიზმრით ამივსო გული,
ის ჩემთვის კვდება, იგი მიყვარს, მისთვის ცრემლს ვაფრქვევ.

სულის თვისტომი... მეორე კი ჩემი კერპია...
იგი მსურს ჩემთვის... და ამრიგად სული ვალალებს...
შუა მეყოფა...

სორიზმონდე. შეგიძლიანთ ერთხელ ეჩვენოთ,
ნახოთ ის ნავზე და შემდეგ კი...

მელისანდე. გონიერების
რჩევაც ეგ არის! ცბიერება და მოტყუება!
რომ იგი მოკვდეს, მე სხვას გავყვე. ასე არ ჰფიქრობ?
ო, არა, არა! არ ვიკადრებ მაგრე მოქცევას.
ბედნიერებას ვერ ვიყიდი ცბიერებითა.
მაღალ სიყვარულს ვოცნებობდი... ასეთიც უნდა
დარჩეს მარად ჟამს, გამსჭვალული იდუმალობით.

სორიზმონდე. კიდევ ოცნება ბუნდოვანი...

მელისანდე. ნეტა ბერტრანი რას იქმოდა, მან რომ იცოდეს
მისდამი ჩემი სიყვარული? რას გარდასწყვეტდა?

სორიზმონდე. მაშ ასე!..
აბა თუ იგი ერთგულებას უღალატებდა,
თუნდ ჰქონდეს ლომის სიძლიერე მას ხასიათში!

მელისანდე. მართლაც ბედითი გამარჯვება ეს იქმნებოდა.
მაგრამ სურვილი ამნაირი ვის არ ჰქონია,
ის არც ღირსია დედაკაცად იწოდებოდეს.
გიყვარდეს კაცი, რომელს თვით ჩვენ პატივს ვუკარგავთ,
რომელმაც ჩვენთვის თავი დასდო დაუზარებლად,
მაინც რომელი დედაკაცი გულში არ ჰფიქრობს
თუნდ წუთიერად დასტკბეს უცხო, ტკბილის ნაყოფით,
როგორც დალილა, ან ომფალე ამას ფიქრობდა.
სად არის იგი ბედნიერი, ვინც არ ოცნებობს
რაინდის გული მოიზიდოს და არ ეძიებს
მასში ფარულსა სიხარულსა. რა განცხრომაა,
პილადე გყავდეს მიყრდნობილი მხურვალე მკერდზე
და ორესტი კი მას ელოდეს სიკვდილად მყოფი.

გამოსვლა VII.

ბერტრან და მელისანდე.

ბერტრან (შემოდის). ნავი მზად გახლავს, დედოფალო, და ჩვენ გვიცდიან.

მელისანდე (თავისთვის).

ო, რა ძნელია კაცს აცდენდე...—ძალიან კარგი.

(სორიზმონდე გადის).

ბერტრან. რად მიმზერთ ეგრე განცვიფრებით, აღელვებული,

და თქვენი ხელი რისთვის თრთოლავს მაგ სამკაულზე?

მელისანდე. და რომ მიზეზი მქონდეს მე და თან არ წამოგყვეთ?

ბერტრან (მსწრაფულ).

ო არა, ეგ არ შეიძლება!

მელისანდე. მაინც ვაყოვნებ...

და ვერა ვბედავ თან წამოსვლას. გული მიღელავს.

და თუ სხვა ვინმე გულით მიყვარს...

ბერტრან (გრძნობიერ).

თქვენ? გიყვართ? არა!..

მელისანდე. რა გულუბრყვილოდ ჰლაპარაკობს!—მე მართალს ვამბობ:

მიყვარს და იგი სიყვარული მე აქ მაკავებს!

ბერტრან. გიყვართ? სხვა გიყვართ? ვინა? მითხარ მისი სახელი!

დაუყონებლივ მოვკლავ! მოვკლავ!

მელისანდე. მაგას არ იზამთ.

ბერტრან (მოთმინებიდან გამოსული).

მისი სახელი!

მითხარ სახელი!

მელისანდე. მაშ უნდა გითხრა?

ბერტრან. ახ, მითხარ! ჩქარა!

მელისანდე (სიყვარულით აღვსილი, სეფდიანი, ოანდაოან უახლოვდება).

გითხრა?

ბერტრან (გულმოკლული უკან იხევს).

ახ, ნუ! ნუ! ნულარ მეტყვი!

(ხმალს ამოიღებს)

მას არ ვაცოცხლებ!

მელისანდე. არა! თქვენს თავსა არ მოიკლავთ! მე თქვენ მიყვარხართ!

ბერტრან. ვოი, რაინდო, ერთგულების გამტეხო შენა!

მელისანდე. არა, არა ხარ შენ გამტეხი ერთგულებისა!

ბერტრან. ვარ!—რადგან ვიგრძენ ნეტარება ფარულად გულში.

მელისანდე. შენის ღალატით მაშ ვამაყობ.

ბერტრან. არა, არ მინდა
გავქურდო იგი მომაკვდავი... ახ, თან გამომყე,
შენი გული ხომ კეთილია!...
მელისანდე. მიტომც აქ ვრჩები!...
ო, რომ დავძლიო ეხლა ჩემს თავს და თან გამოგყვე,
ვინ იცის, იქმნებ დამიმშვიდდეს ღელვილი სული,
მაგრამ ეს არ მსურს.... ულირსობას მე ვერ ჩავიდენ...
შენ კარგად იცი, ბერტრან ჩემო, დიდიხანია
მე მას ველოდი, იგი იყო ჩემი ღვთაება,
საუკეთესო მეორე „მე"; ეხლა შენ ხარ სულის სიცუდე,
რომელიც მიყვარს და ვაღმერთებ...
და რომელს უნდა ხელში მივცე მე ჩემი თავი,—
შენ გეკუთვნოდე!—ჭეშმარიტად, რუდელი თვალით
არ ძალმიძს ვნახო, არაოდეს! ჩვენ აქ დავრჩებით!
უკეთუ კვლავ არ მაიძულებ თან გამოყოლას...
ბერტრან. მეც მსურს... რუდელი... ტკბილო ქალო... არ ვიცი რა ვქნა...
—არა, ნუ მიმზერთ სიყვარულით ალსავსე თვალით!
იგი ლურჯია თუ ცისფერი... მშვენიერია.
ცვალებადია... ვერ ჩავსწვდები თვალების სილრმეს.
მასში გზნებაა ნათელ მზისა... ღვთის რისხვაც არის...
მასშია ბინდი, ლრუბლებისგან შემოლამება...
ტბას ემსგავსება, რაიც სახეს სილრმით უჩვენებს...
მუდამ იცვლება ტალღასავით... ო, მეშინიან!
(უკან იხევს შემკრთალი)
ო, მეშინიან იმ ფანჯრისა.. თუ დავინახავ...
მელისანდე (შიირბენს ფანჯარასთან, ჭიურავს და გაჩერდება ზურგშებრუნებული).
აწ ველარაფერს დაინახავ... დავხურე იგი.
სულით და ხორცით მე მეკუთვნი... ვივიწყოთ ყველა...—
განა არ არის მშვენიერი ჩემი სასახლე?
ბალზამის სუნი შეისუნთქე... აი ვარდები...
— უწინ სუმბული შეამკობდა ამ ჩემსა დარბაზს,
აწ კი წითელი ვარდი ირგვლივ მოფენილია.
შენ აქ დარჩები, სამუდამოდ ჩემთან დარჩები!
—დახურულია ის ფანჯარა... ნულარას ჰშიშობ!—

ოცნების ყვავილს ფერმიხდილსა აწ მოვიშორებთ
და ღრმად დავყნოსავთ სიყვარულის ნამდვილს წითელს ვარდს.
სხვა ჩვენს გარეშე რა არსებობს? სულ არაფერი!
არა ვიცით რა... არც ის ვიცით უწინ რა იყო.
შენი სიცოცხლე მხოლოდ ჩემთვის მომდინარეობს.
სიმართლე არის მხოლოდ ჩვენი წმინდა კავშირი...
რის გამო გვმართებს შეერთებულთ მონანიება?
მიზეზი არ გვაქვს, საყვარელო, რამეს ვუკრთოდეთ.
ვინ სთქვა, რუდელი იმ ხომალდზე ცოცხალიაო.
არავის უთქვამს! აგზნებულის ტრფიალის გარდა,
სხვა, ყველაფერი ჩვენთვის, ჩემო, ამაოთ არის!
ჩვენი ვნებაა მხოლოდ მტკიცე... ო ჩემო ბერტრან!
როდესაც გავხსნით იმ ფანჯარას, გაგვეცინება,
რადგან რაღაცა აჩრდილისა ჩვენ გვეშინოდა.
ჩვენება იგი არ არსებობს.... იმ შავის აფრის
რაღაც ნიშანი—ზღაპარია! ივიწყე, ბერტრან?—
დაე ფანჯარა, იყოს მუდამ ასე დახშული
და ნურაფერზე ნულარ ჰფიქრობ, ო, საყვარელო!
მაშინ კვლავ შიში ჩვენ აქ ველარ შემოგვეჭრება.
ჰხედავ, იმ ფერად ფანჯარიდან მზე გველიმება,
სხვა არაფერი! საყვარელო, ო, ჩემო გმირო!

ბერტრან. თქვენ მხოლოდ ჰფიქრობთ ფანჯარაზე, მასზე ჰსაუბრობთ!

მელისანდე. სიყალბეს ვჩადი! ვლაპარაკობ ძალიან ცუდად!—
მე შენ მიყვარხარ!—ლაპარაკი მხოლოდ შენზე მსურს...
აწ მხოლოდ შენზე, მხოლოდ ჩვენზე ვილაპარაკოთ!...
რა რიგ გიხდება, საყვარელო, ეს ყელსაბამი...
შენ ეგ სახსოვრად ვინ მოგიძღვნა?

ბერტრან. ბატონიშვილმა?

მელისანდე. მაშ მოიგლიჯე!

ბერტრან. მეგობარო, ო, ჩემო ძმაო!
მიტომ მომიძღვენ სამკაული, რომ მით შენ მიჯნურს
მოვსწონებოდი?

მელისანდე. მოჰსულიყავ ეგრე თამამი
მხოლოდ დახეულ ტანსაცმელში, სისხლით მოსვრილი,

გამარჯვებული, დაბრკოლებით, წვიმა-ქარიშხლით
შეწუხებული, მაგ ყელს, ნაცვლად სამკაულისა,
ამ ჩემის კოცნით შეგიმკობდი! უკან ნუ იხევ!
მიჩვენე შენი საყვარელი, ლამაზი სახე!
თვალებს ჰხრი დაბლა... სტყუი, სტყუი! შენცა გიყვარვარ..
იცი რომ...

ბერტრან. ვიცი, მაგ შენმა ხმამ მომაჯადოვა...
(ფანჯარა ქარისგან ანაზდეულად გამოიღება).

მელისანდე. ფანჯარა ქარმა გამოაღო.

ბერტრან. ღიაა იგი.

მელისანდე. წადი, დაჰხურე.

ბერტრან. არა, არა! არ შემიძლიან.
ვშიშობ შავს აფრას დავინახავ აფრიალებულს.

მელისანდე. ისე დახურე, რომ ზღის კიდეს არ გადაჰხედო.

ბერტრან. მაგრამ მე მაინც ვერ მოვითმენ და გადავხედავ.

მელისანდე (წამოდგება და კედელ-კედელ ფანჯარას უახლოვდება).
ასე კედლიდან... მძიმე-მძიმედ მიუახლოვდი...
(კედელ-კედელ წავა ფანჯრისკენ, მცირე ხანს დაყოვნებს. ვერ გაუბედნია ფანჯრის დახურვა. შემდეგ ისევ უკან-უკან იხევს. ბერტრანის ახლოს საკარძელზე დაუმხობა).
არა, აქ დავრჩეთ! აქედან ვერას დავინახავთ...
აქ განვისვენოთ სიყვარულის ხელსა ტალღებში.
ისე მოვიქცეთ, როგორც სხვები მოიქცეოდნენ,
თუ კი გვსურს ვიყვნეთ ბედნიერნი.

ბერტრან. რა გსურს სთქვა მაგით?

მელისანდე. რომ ამა ქვეყნის ბედნიერნი შიშით ჰგონებენ,
ვითომც ზურგს უკან გაღებული ფანჯარა იყოს
და იმ ფანჯრიდან მოჰქროლავდეს რაღაც სიცივე.
რომ იქ ზღვის პირად ნავი სდგას და ის მოუწოლებს
მასთან იჩქაროს, აასრულოს მოვალეობა;
მაგრამ ბალიშში ჩაფლობილნი ველარას ჰხედვენ...
ველარას ჰხედვენ... ეშინიანთ ღია ფანჯრისა.
და სულში ჰგრძნობენ და სვინდისსა მხოლოდ უქეჯნის
რადგან ხომალდზე, აუშვიათ ის.... შავი აფრა...

მიტომ სცდილობენ ჩაიმალონ პირი ბალიშში,
რადგან ვერც ერთი ტკბილს სიზმარსა, ნაზსა განცხრომას
თავს ვერ ანებებს; აიხედავს, ფანჯარას ჰნახავს...
ღია ფანჯარას, რომლის მზერაც ყოველ სიამეს,
ყოველ განცხრომას ანადგურებს... არც ერთს არა ჰსურს
მკვლელის სახელსა უწოდებდნენ, გამქურდველისას...—
ჩვენც ბალიშებში ჩავიმალოთ სახე, ძვირფასო,
და ნუ მივაქცევთ ყურადღებას, გარედ რაც ჰხდება.
(ხელებს მოჭიდავს და გადაწოლილი თავისკენ ეზიდება).

ბერტრან. კარგი! აქ დავრჩეთ! მაგრამ ვაი! შეგიძლიან კი...
ო, დედაკაცო! თან გახლავს კი სულის სიმშვიდე,
რასაც ორივე ვსაჭიროებთ ყველაზე მეტად?
ზეცას ესეთი ძალა ჩვენთვის არ მოუცია.

მელისანდე. რისთვის? მიყვარხარ!.. ო, მიყვარხარ!... მიყვარხარ, ბერ-
ტრან.

(ფანჯრიდან ხმაურობა ისმის).

ბერტრან (შეშფოთებული).
რა ამბავია?

მელისანდე. ხმაურობენ, სხვა არაფერი!
კარის მსახურნი თამაშობენ....

ხმები (გარედ).
აბა თუ დასთვლით!
ეს ერთი... ორი... აგერ მერვე...

მელისანდე. არაფერია!
განა არ გესმის? კამათლობენ... და თავს ირთობენ.

ხმები (გარედ).
ტრა-ლა-ლა! ეს სოფელი როგორ იცინის!

ბერტრან. ო, მელისანდე! ვინ დაგარქვა წინასწარველის
გამჭრიახობით ეგ სახელი... რარიგ მიყვარხარ...

ხმები. გაჰხედეთ იმ ზღვას, ვით იცინის... ერთი გაჰხედეთ!

ბერტრან (აკანკალებული).
ო, მაცხოვარო! რას ჰხედავენ, რა უნდა იყოს?

მელისანდე. რა უნდა იყოს, მეც არ ვიცი!

ერთი ხმა. ჰხედავთ იმ ხომალდს?

ბერტრან. ხომალდზე იყო ლაპარაკი.

მელისანდე. ყურს ნუ დაუგდებ!

ბერტრან. არ შემიძლიან! იგი ხმები...

მელისანდე. რას იძახიან? არაფერი არა მესმის-რა.

ბერტრან (სასომიხდილი).

ახლა ხომ ჰხედავ!

მელისანდე. ჰო, ვხედავ ხომალდს, სხვა არაფერს; ვხედავ მისცურავს...

ერთი ხმა. ერთი გაჰხედეთ, შავი აფრა როგორ ფრიალებს!

(ბერტრან და მელისანდე ღრმად შემკრთალნი არიან)

მე უნდა ნაპირს მივეშურო!—თქვენც გამომყვებით?

(ფეხის ხმაურობა და ძახილი მისწყდება. მელისანდეს და ბერტრანს ერთმანეთისათვის ვედარ შეუხედნიათ, გაფაფეულნი მძიმე-მძიმედ ჰსუნთქავენ. დიდი სიჩუმე.)

მელისანდე (ჩამკვდარის ხმით).

ეხლა?

ბერტრან. ეხლა? რა? არაფერი!

(უნებურად მელისანდეს ცხვირსახოცს იღებს, რომელიც მელისანდეს ბალიშზე დარჩა და ჰსუნავს)

რა საამოა.

რაო, რა ბრძანეთ? რისი არის ეს სურნელება?

მელისანდე. მუშკ-ამბარისა!

ბერტრან (ცხვირსახოცს ჰკოცნის).

ჩემის ბაგით მე მას ვეხები,

და ვკოცნი... ვკოცნი...

(მაღალის ქვითინით უცბად იატაკზე დაეცემა.)

ვაგლახ! ვაგლახ! ცრემლო, იდინე!

ის მოკვდა! მოკვდა! მეგობარი, ძმა საყვარელი!

აღარ არსებობს! რა ვქმენ? რა ვქმენ? არ აღუსრულდა

სურვილი, ლტოლვა!

რა ვქმენ, ვაგლახ! რა ვქმენ თქვენის

წინადადებით! თქვენის თხოვნით...

მელისანდე. საშინლებაა!

მაგრამ ძვირფასო, აწ ჩემი ხარ, ჩემი ხარ მარად.

ბერტრან. მას ვუღალატე.

მელისანდე. დიახ, ჩემი სიყვარულისთვის.

ბერტრან. აქ საამაყო არა არს-რა. რაინდის სახელს
აღარ ვატარებ, მე ბავშვი ვარ უხასიათო,
უნებო არსი, რომელს ძალუძს ღალატი მხოლოდ,
ვინც ყოველგვარსა გავლენასა მსწრაფლ ჰმორჩილდება.
დღეს დილით ვიყავ აღჭურვილი გმირულის ძალით
და ახლა ვიქმენ სურნელებით დამონებული!
მე ჩემს თავს ვიცნობ—წუთიერის მონას საბრალოს!
მეუბნები თუ შენი ვიყო. მაგრამ კი სცდები!
რა ვარ! ფოთოლი, ნელ ქარში რომ მიფრინ-მოფრინავს,
დაუდგრომელი წვეთი, ნამი, სად მზისა სხივნი
მოთამაშებენ; შენს ხელშია მხოლოდ მგოსანი!

მელისანდე. აზრს გაკარგვინებთ თქვენ მაგგვარი მონანიება!

ბერტრან. დიახ, სჩანს ამით: არ ვშობილვარ გმირად, რაინდად
რომელთაც ძალუძთ გარდიტანონ დანაშაულიც
და შეცოდებაც... მარად, მარად მონანიება
ჩემი სისუსტე—სიგლახეა. ესდენ სუსტი ვარ,
რომე არ ძალმიძს რამ განზრახვა დავაგვირგვინო,
კარგია იგი, თუ ავია—ეგ სულ ერთია,
ის ერთგულება, მეგობრობა, ამდენი ტანჯვა
მიტომ ვითავე, რომ ბოლო დროს, უკანასკნელ წუთს
გამოვსულიყავ მოღალატე და მივცემოდი
მონანიებას...

მელისანდე. ბერტრან! ბერტრან! აბა, რას ამბობ?

ბერტრან. ახ, ნეტამც შენთვის საზიზღარი შევიქმნებოდე,
ისე ვით თავი საკუთარი თვით მეზიზღება,
რადგან მე შენგან მოვჯადოვდი; შენის გულისთვის
ძმას ვუღალატე, რათა შენი გიჟური ვნება,
შენი სურვილი მე უგუნურს კმაყოფილ მეყო.

მელისანდე (დრმად შეძრწუნებული).
ჰა, ასე! მხოლოდ დედაკაცსა ჰხედავდი ჩემში!
განა მე მაგას ღალატისთვის, ასრეთ ქცევისთვის,
ამ ჩემს სიყვარულს, ამ ჩემს გულს არ შევთავაზებდი?
ნუ თუ მე ვიყავ მარტო იმ ტკბილს სიზმარში, მყოფი?

—ო ამისათვის დავლუპე მე ყოველი კარგი?

ბერტრან (მოთმინებიდან გამოსული).

დიახ, შენ იყავ, შენ იყავ, რომ ასე დამლუპე...
(აქვითინებული მის ფეხთა წინ დაეშხობა)
ო არა! არა! მე ამის თქმა სულაც არ მსურდა!
ვაგლახ! ხომ ძალგიძს მაპატიო? ხომ მომიტევებ?
რაც მოჰხდა, მოჰხდა! ყოველ ცოდვით ძალუძს შენ ბაგეს
მე კვლავ გამკურნოს.. მაგ შენს სახეს ნუ მომაშორებ.
შენმა ოქროს თმამ დამიფაროს მწარე ქეჯნანი.
არ შემიძლიან და არცა მსურს მარტოკა დავრჩე.

მელისანდე. აწ გვიან არის! მიიყუჩე საძრახი გრძნობა!
—ვაი ჩემს თავსა მიტომ მოჰხდა ეს საშინელი!—
მაგრამ მე შენ რა, უბედურო, გისაყვედურო,
სად ჩემს თავს უფრო მეტად ვხედავ მოჯადოებულს?
შენს მკერდს არ ვიყავ მიყრდნობილი თავ-დავიწყებით.
გული საბრალო შუა მქონდა მე გაყოფილი
და იგი ჰგრძნობდა, ნათლად ჰგრძნობდა თვის მწუხარებას.
ო, სულო ჩემო, სულო ჩემო მოუსვენარო,
სადა ან როდის შეეყრები შენს მოსვენებას?
მუდამ მშიერი და მუდამ ჟამს მოწყურებული
სად ჰპოვო პური, ანუ წყალი, ო, სულო ჩემო,
რომ მისგან იქმნე ერთხელ მაინც მიყუჩებული?

ბერტრან. მაშ აღარაფრის იმედია... ყველა განქარდა?

მელისანდე. სულ აღარაფრის!

ბერტრან. მელისანდე!

მელისანდე. ო, ბერტრან! ბერტრან!

ბერტრან. ბატონიშვილო, ო, რარიგად უნდა გეტანჯნა!

მელისანდე (ფანჯარისაკენ გაეშურება).

ო საყვარელო მომღერალო აწ გარდაცვლილო,
ნუ ნუ წარსდგები სამჯავროს წინ ჩვენის ცოდვებით.
(ხმა მაღლა)
ბერტრან! რას ვხედავ! თეთრი აფრა ფრიალებს ნავზე.

ბერტრან. ო, ღმერთო ჩემო!

(ესეც ფანჯარისაკენ მივიდა).

ის შავი აფრა ლურჯ რაინდის ხომალდზე იყო:
ჩვენს ხომალდზე კი კვლავ თეთრია... თეთრია, თეთრი!

მელისანდე. თეთრად ფრიალებს ლურჯ სივრცეში იმედის სხივად.
ო, ღმერთო ჩემო! ფრიალებდეს ეგრე ხანგრძლივად!
შენ, სიყვარულის მომღერალო! შენთან მოვდივარ.
შენთან მოვდივარ მეგობარო, ბატონიშვილო.
მეტად ძვირფასი შეიქმენ შენ ჩემთვის დღეიდან,
ვიდრე ყოველი ბოროტება, რაც მოვიქმედე.
რაც შენ ჩემს მიჯნურს დაგაწიე!—აბა, წავიდეთ!

ფ ა რ დ ა .

მოქმედება მეოთხე.

იგივე დეკორაცია, რაც პირველ მოქმედებაში იყო. ვარდის ფრად დაჭკრავს სადამო ჩამავალ მზის სხივებისგან. იქვეა ბატონიშვილი ყოფრუა რუდული სავადმყოფო საწოლზე. უფრო გაყვითრებული ვიდრე იყო. თვალნი ხმელეთისკენ აქვს მიყრდნობილი. არის უმოძრაოდ. მის გვერდით თვალ-ყურის მდევნელი ექიმი ერაზმი სდგას, საწოლის დაბლა მამა ტროფიმი მუხლმოყრილია. სახე ხელებში აქვს ჩამალული. მარჯვნით და მარცხნით მენავენი სდგანან. მეტად აღელვებულნი არიან სკარჩიაფიკოზე, რომელიც უქუდოდ, ხელებ დაგრეფილი შუა სცენაზე მყოფი ბატონიშვილისკენ იმზირება. დიდი დრტვინვა და უკმაყოფილება. მესაჯე მენავეებს აკავებს, რომელთაც ჭსურთ სკარჩიაფიკოს მისცვინდნენ.

გამოსვლა 1.

ბატონიშვილი, მამა ტროფიმი, ერაზმი, სკარჩიაფიკო და მენავენი.

სკარჩიაფიკო. ამასაც გეტყვით: ერთმანეთი მათ გულით უყვართ,
სწორედ მიზეზიც ეს არის რომ იგვიანებენ.

მენავენი. დაჩუმდი თორემ... მოგაგლიჯე საზიზღარს ენა!

(ბატონიშვილი ხმელეთს თვალს არ აშორებს. მის სახეზე არავითარი მოძრაობა არ არის).

მენავეთა უფროსი (მენავეებს).
ბარემ ბოლომდის ათქმევინეთ.

მენავენი.—არა! ეყოფა!—ბატონიშვილს მოგვიკლავს იგი!
—რად მივცეთ ნება?—

სკარჩიაფიკო (ბატონიშვილს).
დიახ, ბერტრანი, მეგობარი თქვენი ერთგული...

პეგოფა. სცრუობ... გვატყუებ...

სკარჩიაფიკო. არა-მეთქი. ისიც და ისიც...

ბრუნო. მაგას არ იზამს დედოფალი...

ფრანსუა. მე მატყუარავ!

მენავეთა უფროსი. სთქვას, დააცალეთ!.

სკარჩიაფიკო. უპატიოსნო...

ბისტაინ. ეგ შენა ხარ!

სკარჩიაფიკო. თქვე სულელებო!
(ბატონიშვილს)
დიახ, ის თქვენი მეგობარი დედოფალს ჰყვაროობს,

და თქვენ კი გულით ელოდებით... მაგრამ ამაოდ...

ერაზმ. რასაც თქვენ აქა ჰლაპარაკობთ, მას ეს არ ესმის...

სკარჩიაფიკო. ეს იქმნებოდა საშინელი სასჯელი მისთვის
რომ ყველაფერი ესმოდეს მას...

ერაზმ. მას ეს არ ესმის.
არც შეუძლიან მომაკვდავმა პასუხი გაგცეს...
სიცოცხლის ნიშანს მხოლოდ თვალნი აშკარავებენ.

სკარჩიაფიკო. უნდა შეიტყოს...

ერაზმ. ვერ შეიტყობს, მას აღარ ძალუძს...

სკარჩიაფიკო (მენავეთა უფროსს).
რა სიბრმავეა!—
მაგრამ როდესაც მოღალატე აქ თქვენთან მოვა
და შენანებით მუხლს მოიყრის თვის მეგობრის წინ,
უთხარით მაშინ, რომ რუდელმა შეიტყო შენი
საძრახი საქმე და სწყევლიდა შენს საქციელს-თქო!

მენავეთა უფროსი (მენავეებს).
ეს საზიზღარი მომინდვია თქვენთვის... დაახრჩეთ!
მაგისთვის პასუხს არვინ მოგთხოვთ!

სკარჩიაფიკო. რაო?

მენავენი. სიკვდილი!
მაგ მატყუარას და ცბიერსა წააძრეთ ყინწი.

პეგოფა. მაგას არასდროს დედოფალი არ იკადრებდა.

სკარჩიაფიკო. მაგრამ...

ბრუნო. თავი ანებე მაგ შენს „მაგრამს!“ ნებას არ მოგცემთ
შეურაცხყოფა მიაყენო ჩვენსა დედოფალს.

ფრანსუა. იგი აქ მოვა!

ბისტაინ. ჭეშმარიტად იგი აქ მოვა!

ტრობალდო. ჩვენი რაინდი პატიოსან სიტყვას არ გასტეხს.

სკარჩიაფიკო. ჯერ მომისმინეთ... და შემდეგ სთქვით...

პეგოფა. ვინ მოგისყიდა!
რამდენი მოგცეს ჩვენის თავის მოსატყუებლად?

სკარჩიაფიკო. უგუნურებო...

ბრუნო. მაგ ცრუ ამბავს უნდა ვერწმუნოთ?

სკარჩიაფიკო. მაგრამ მაინც კი...

მარიას. ყველაფერი გინდა წარტაცო
ჩვენს ბატონიშვილს?
სკარჩიაფიკო. მაგრამ მე ხომ...
ფრანსუა. გინდა შენ იმათ,
ვინც მხოლოდ მისით სულდგმულობენ და მას ელიან,
წმინდა იმედი განუქარწყლო!
სკარჩიაფიკო. მაგრამ ხომ იგი...
პეგოფა. შენ გინდა ჩვენსა სულის კერპსა, დიადსა სახეს
რომ ჩირქი მოსცხო...
სკარჩიაფიკო. მე მხოლოდ მინდა აგიხილოთ ეგ ბრმა თვალები.
ტრობალდო. ექიმობისთვის დიდად გმადლობთ...
სკარჩიაფიკო. ჭკვაზედ შეჰშლილხართ.
ჟუან. თუ ჭკვაზედ შეშლა ჩვენ თვითონ გვსურს?
ფრანსუა. შენ გინდა იგი შორეული მეფის ასული
ჩვენ გამოგვტაცო? შენს თამაშას ეხლავ გიჩვენებთ,
როცა დაგკიდებთ თოკით მაღლა იმ მაღალ ძელზე.
პეგოფა. არა, სჯობია მაგ საზიზღარს თავი მოვკვეთოთ.
ბრუნო. არა, ვაწამოთ მძიმე-მძიმედ.
ფრანსუა. ჩვენში მაგგვარებს
ფეხებსა სჭრიან.
სკარჩიაფიკო. ო! ო!
ბრუნო. ენას ჰგლეჯავენ.
სკარჩიაფიკო (ჩაწყვეტილ ხმით). ო!
ტრობალდო. ცხვირსაც აჭრიან
სკარჩიაფიკო. არა! არა!
პეგოფა. მე ჩრდილოეთის
მენავეებთან ასე ვნახე: იქ დამნაშავეს
ხელს ულურსმავენ შუა ადგილს ხომალდის ძელზე,
შემდეგ ჰშოლტავენ და გაწევას აიძულებენ
რომ იმ ლურსმანმა ხელის გული შუა გაუყოს.
სკარჩიაფიკო. ღვთის გულისათვის, შემიბრალეთ! ხეს ნუ გამაკრავთ.—
პეგოფა (ცივად).
ხანდახან ძელზე რჩება ხოლმე ხელის ნაწილი.
სკარჩიაფიკო (ჭსურს თავი გაინთავისუფლოს).

გენუეზელი ვაჭარი ვარ და მოქალაქე...
(მესვენი უშვებენ და უკან იხევენ).

ბრუნო. რაო?

ბისტაინ. ჰოო?

ტრობალდო ეშმაკის კერძი?!

პეგოფა. გენუეზელი მოქალალაქე ყოფალა იგი.
(თავს უკრავენ).

სკარჩიაფიკო (დამშვიდებული დაცინვით). აჰა!.
(დამშვიდებული თამამათ ირგვლივ ათვალიერებს)
მე ვარ-მეთქი გენუეზელი.
(კიდევ თავს უკრავენ)

ბრუნო (ხმას აიმაღლებს).
მერე? რას ვაქნევთ.
(უცბად საველოში ხელს ჩაავლებს)
ჩვენ რა მაგით?

სკარჩიაფიკო (ხმა შემკრთალი).
რაო? რას ამბობ?

ფრანსუა (ხელსა ჭკრავს მოაჯირისკენ).
წადი, გაკურდი გენუისკენ...

სკარჩიაფიკო. მიშველეთ! ვაი!

ტროფიმ (გაეშურება მათკენ).
აბა რას ჰშვრებით! არა! კმარა!

პეგოფა. არა უშავს რა. შეკერილი არ არის პარკში,
რომ ვერ იცუროს...

სკარჩიაფიკო (მოაჯირის სვეტს მაგრა ეკვრება).
ფული მაქვს ბლომად.

მენავენი. წყალში! წყალში!

სკარჩიაფიკო. რაც მაბადია,
ოქროს და ვერცხლსა, ყველაფერსა მხოლოდ თქვენ მოგცემთ.

მარიას. ჰაიდა!
(წყალში გადაგდებს).

ტროფიმ. რა ჰქმენით, შვილო!

ბრუნო. ვაბანავებთ!

ფრანსუა (ტროფიმს). თავი ანებეთ.

მას ცურაობა შესძლებია.

სკარჩიაფიკო (დაცინვით). ჰხედავთ, მივცურავ!

ბისტაინ. მაშ მომიცადე!

(ისარს უმიზნებს).

ტროფიმ. არა, ნუ იზამ!

მენავეები. დაუმიზნე! არ ააცდინო!

(ყველანი ზღვისკენ იტყორებიან მხოლოდ ერაზმი სდგას ბატონიშვილთან, იგი ვერ ამჩნევდა რაც ჭხდებოდა).

ერაზმ. ბატონიშვილი! აქ მოჰხედეთ! მოჰხედეთ ჩქარა!

(ყველანი ბატონიშვილს შემოუხვევიან. ნელნელა ხელს მაღლა სწევს და შორს უთითებს).

ტროფიმ. ალბად იგი თუ რამეს ჰხედავს.

პეგოფა. რაცხას გვანიშნებს!

ბრუნო. და არც შემცდარა! ერთი გაჰხედეთ!

რალაც წითელი, ოქროს ფერი გვიახლოვდება.

ფრანსუა. ნავი მოსცურავს წითელ აფრებით...

(ისმის მუსიკის ხმა).

ბისტაინ. ჰხაროობდეთ, ხალხო!

მართლა სტყუოდა გენუეზელი.

იგი მოსცურავს... იმისი ნავი

შემკული არის ფერად ყვავილით,

ვით გაზაფხულის ტურფა წალკოტი.

პეგოფა. როგორ ციალებს მისი ნავი, ერთი გაჰხედეთ!

ბრუნო (დარბის აქეთ იქით და სხვებს ხელს ჭკრავს).

ეს იგი არის! გეუბნებით, იგია-მეთქი!

(შემოსავალში მეზღვაურნი ჩადგებიან, ზოგნი მოაჯირზე ადიან, ზოგნი მაღლობზე და ქუდებს აქნევენ).

ტროფიმ (მუხლებზე დაემხობა).

გმადლობთ, უფალო ზეციერო! შენ მოეც ძალა

და უსასოოდ არ დასტოვე ბატონიშვილი.

შენ დააცალე მისი ნახვა, ჰოი უფალო!

(მუსიკა ახლოვდება).

პეგოფა. გვიახლოვდება. ჰხედავთ რარიგ წითელი აფრა

ლაღად ფრიალებს..

ბრუნო. აბრეშუმის ბაირაღები.

ფრანსუა. ჰხედავთ, ის ნავი მორთულია ფერად ყვავილით:
ბისტაინ. ვისმე უნახავს ჩვენთაგანსა მაგგვარი ნავი?
თითქოს წალკოტი ახლოვდება ყვავილოვანი.
ტრობალდო. რა სიყვარულის ჰანგს უკრავენ საკრავზე, გესმით?
ბრუნო. თვით მენავენი რა კოხტად ჰყავს მას მოკაზმული!
პეგოფა. ერთი გახედეთ!
ყველანი. ჰხედავთ დედოფალს?—შენა ჰხედავ?—აგერ გარშემო
ნათელი დაჰქრის ძოწეულის სახურავის ქვეშ.
ჟუან. რა ლამაზია!
მენავეთა უფროსი. რა სწორედ მოჰქრის აქეთკენ ნავი...
რა შეურხევლად!.. ხალიჩები მას უკან მოსთრევს.
ერაზმ. ჩანგი, ებანი და ცხრა-ძალი რა ტკბილ ხმასა სცემს.
ტროფიმ დედოფალია საბათიდან!
მარიას. ასწიეთ ხელი! ანიშნეთ, ხალხო!
ყველანი (ხელებს იქნევენ სალამის ნიშნათ).
კრძალვით იძახეთ: მელისანდე!—კურთხეულ იყოს!
დღეგრძელი იყოს!—გაუმარჯოს ტურფა დედოფალს!
ერაზმ. აწ მე რაღა ვქმნა... ხმა ყელში მწყდება!
(იძახის)
იყოს კურთხეულ! გაუმარჯოს!
(ტროფიმს უბრუნდება)
მეც ხომ ვიძახი!
ტროფიმ (ხელს ხელში უჭერს).
და ეგ თვალები, მეგობარო, ცრემლით გევსებათ.
მენავეთა უფროსი. იგი ხომალდი აქეთ მხარეს უნდა მოადგეს.
ჩქარა აჰყარეთ მოაჯირი... მიასუფთავეთ!
(მენავენი ცულებით მოაჯირს აჭერიან და შემოსავალს აგანიერებენ)
ტროფიმ. ბატონიშვილი! წამოსასხამი... მისი მანტია!
უნდა მოვკაზმოთ... ეს საწოლი აქეთკენ მოდგით,
რომ ავადმყოფი დედოფალმა უცბად არ ნახოს...
საბრალოს თვალი ელულება...
მენავეთა უფროსი. უკვე ახლოა.
პეგოფა. ფეხქვეშ დაუგოთ ხალხო, ჩვენი ტანისამოსი.
აბა, გაშალეთ!

(ტანისამოს სწრაფულ იატაკზე ჭფენენ)

ყველანი (მიყრუებულის ხმით).

ჩუმად!—ხელს ნუ მკრავ!—ნუ მაწვები... ჩუმად გაჩერდით!

სალამი მივცეთ!—მუხლთ მოვუყაროთ!—ჩუ! მოდის! მოდის!

(დრმა სიჩუმე. მუსიკის ხმა სწყდება. დედოფალის ნავი ჩუმად უახლოვდება ხომალდს. იქიდან ჭხედავენ ადგმეულს სურნელებას. სახურავიდან გამოჩნდება მელისანდე. იგი მტირე ხანს უმოძრაოდ გაჩერდება).

ერთი მენავე. წმინდა ასული. მოგვიახლოვდა!

(ოსმალელ მონებს შემოაქვთ დიდი, ძვირფასი ხალიჩა, რათა დედოფალს ფეხთ ქვეშ გაუფინონ, მაგრამ დედოფალი მათ ანიშნებს შეჩერებას).

გამოსვლა II.

იგინივე, მელისანდე, სორიზმონდე, დედოფლის
ამალა და ბავშვები, მონები და სხვები. შემდეგ
ბერტრან.

მელისანდე (მოძრაობაში მოდის).

არა! ნუ გინდათ!

დაე ამ მწირ ტანისამოსზე

იქმნეს გზა ჩემი გაკვლეული. ეს მირჩევნია...

(წინ მძიმე-მძიმედ მოდის, გარემო სასახლობით შემკრთალი და გაკვირვებულია. დედოფლის ამალა უკან მწყობრად სდგება. მემუსიკენი ნავზე რჩებიან. ერაზმი და ტროფიმი ბატონიშვილს ეფარებიან, რათა დედოფალმა არ ნახოს. თვით ბატონიშვილი ღონემიხდილია და თვალებ დახუჭული. დედოფალი შეძრწუნებულია).

ო, ეს ხომალდი! უბედურნი მე მუხლს მიყრიან!

ცრემლსა აფრქვევენ საბრალონი!—ნუ თუ სიზმრად ვარ?—

განა შემეძლო ესეთი რამ წარმომედგინა?

(მესვეებს)

თქვენ, გულკეთილნო!

პეგოფა. გაიგონეთ, როგორ მოგვმართა?

მელისანდე. თქვენ უბედურნო, დაკონკილსა ფარაჯებში ხართ!

მრავალ-ტანჯულნო! მე, მე ძალმიძს განა მივაგო

მათ სიხარული? მივუყუჩებ ან ვისმე ტანჯვას?

ო, რარიგ გული მეკუმშება, რარიგად მსტკივა.

განა შემეძლო ყველა ეს მე წარმომედგინა,

ან' მივმხვდარიყავ. რაც მიამბო მე შინ ბერტრანმა
რაა ამასთან? სიტყვა ამას ვით გამოჰხატავს?
ეს უნდა მხოლოდ საკუთარის თვალით ვიხილოთ...
(უნებურის ძრწოლვით)
მაგრამ თვით იგი?.. თვით რუდელი სად იმყოფება?

ტროფიმ. ნუ შეჰშინდებით, დედოფალო... თუ მას მომაკვდავს...
აწ მისი სახე ისე რიგად...

მელისანდე. ახ! მისი სახე...
არა უშავს რა... ძალა შემწევს...

ტროფიმ (ერაზმთან ერთად გვერდზე გადგება).
მაშ ინახულეთ!
მობრძანდით ახლოს...

მელისანდე (რუდელი შეჭხედავს).
ღმერთო ჩემო!
(აქვითინებული მუხლებზე დაეცემა)
ჩემის გულისთვის... ჩემის გულისთვის!

(ჩუმად სტირის. ბატონიშვილი თვალებს ახელს და უმზერს. მისი თვალები გამსხვილდება, უფრო ანათებს, ვიდრე წინად. მის სახეზედაც ღიმილი გადაირბენს).

ერაზმ. ერთი უმზირეთ!

მელისანდე. ღიმება! ო, ეს ღიმილი!
როგორ შემეძლო დამეშვა მე, რომ ეს ღიმილი
ჩემს სიცოცხლეში არ მენახა... ო, სულო ჩემო!

ტროფიმ. იგი შევმოსეთ საბატონო ტანისამოსით...
უსასოობით და არც ეჭვით ეგ არ აღვსილა,
ვითომც თქვენ მასთან, დედოფალო, არ მოხვიდოდით...
ეხლა ეგ ველარც ლაპარაკობს, ყურთაც არ ესმის...
ჩვენ გვეგონა, თუ იგი თვალით ველარც ჰხედავდა,
მაგრამ პირველმა დაგინახათ აქ მომავალი.

მელისანდე (კვლავ მუხლმოყრილი უმზერს).
ასეთი დიდი სატანჯველი და არც ეჭვობდა...

პეგოფა. არა, ასულო!

ბრუნო. მისებრ იმედს არც ჩვენ ვკარგავდით.

მელისანდე. თქვენც მისებრ?

მენავეთა უფროსი (მენავეებს).

ჩუმად! ეშმაკმა კი წაგიღოთ, აჰა!

ფრასუა (გულმხურვალედ).

მიუხედავად გენუეზელ მატყუარისა!

მელისანდე (შემკრთალი).

სკარჩიაფიკო...—ნუ თუ იგი აქ, მასთან იყო?

ბერტრან (ის კი იყო გამოჩნდა ხომალდზე).

ის საზიზღარი!

ტროფიმ (მელისანდეს).

მისთვის ყური მას არ მოუკრავს...

ბატონიშვილი (მიმწყდარ ხმით).

ახ, როგორ არა! გავიგონე, რაც მან გიამბოთ!

მელისანდე. ო, ღმერთო ჩემო!—რა იფიქრეთ?—ვაი სირცხვილო!

ბატონიშვილი (მოკრძალებით).

ვფიქრობდი მხოლოდ: ეს მასხარა რას ჰბედავს-მეთქი!
მისთვის არც კითხვა, არც პასუხი არ მიმიცია.
თქვენ უნდა ჩემთან, ჩემთან მოჰსულიყავით.
მიყუჩებული ნაპირისკენ ვიყურებოდი.
დათვლილი არის ჩემი წუთი, სუნთქვა მიმწყდარი,
სალაპარაკო ძალას მხოლოდ თქვენთვის ვზოგავდი...

მელისანდე. ოჰ ზეციერო!

ბატონიშვილი. იმ მასხარისთვის ყური სულ არ მითხოვებია!
სულ ნაპირისკენ მიპყრობილი მქონდა მე თვალი,
რადგან ღრმად ვგრძნობდი, მხოლოდ იქით უნდა მემზირნა,
რომ ჩემს უსიტყვო მზერას თქვენ აქ, აქ მოეყვანეთ
ვიდრე მას ძალა, სასოება კიდევ შესწევდა,
აუცილებლად მოეზიდნე, თუნდაც თქვენ გზაზე
მომჯადოები დაგხვედროდათ და მოეხიბლეთ...

მელისანდე. ო, ღმერთო ჩემო!

ბატონიშვილი. და აწ ჰხედავთ, ჩემმა ძახილმა,
ჩემმა ძახილმა ჩემთან ახლოს, აქ მოგიყვანათ!

(ბერტრანს უმზერს)

ბერტრან! ო, გმადლობ! მომეც ხელი?

(ბეტრანს ტროფიმი ხელით აიძულებს მისვლას. ბერტრანი ხელს აძლევს).

სწორე არ არის,

მე არ შემეძლო გულში მცირე ეჭვი გამევლო
ურცხვის სიტყვაზე, ვინ ამბავი ჩვენ მოგვიტანა,
ცილის წამება, აბა როგორ მაიძულებდა
ეგ შენი გული ჩამერაცხა მე მოღალატედ.
ო, არა, არა! ერთ წუთსაც კი არ დამიშვია
რამ ცუდი ფიქრი მეგობრობის შეურაცხმყოფი.
(ბერტრანი ხელზე ჭოცნის).

მელისანდე. ო, ღირსეული, დიდი რწმენა...

ბატონიშვილი. და იგი რწმენა...
აწ ჯილდოვდება... თქენ მოხველით ჩემი ოცნება.
სულის მიჯნური დედოფალი აწ ჩემთან არის...
(დაღლილი თვალებს ჭუჭავს).

ერაზმ. ძალა წაერთოო... ლაპარაკი მას აუძლურებს.

ბერტრან (ერუდ ტროფიმს).
არ შემიძლიან.—გულს მაწვება... უნდა იცოდეს...

ტროფიმ. რას ამბობ, შვილო?
(ბერტრანი თავს დაბლა ჭხრის)
არა, შვილო, ბევრს ჰფიქრობ შენზე.
მონანიებით გსურს სვინდისი შეიმსუბუქო,
მისი წამი კი დაამძიმო უკანასკნელი?
არა, დაჩუმდი! გარდიცვალოს დამშვიდებული!

ბერტრან. მაგრამ მაინც ხომ გაიგებს, თუ ვით მოვატყუე.

ტროფიმ. სასუფეველში როს გაიგებს შენს შეცოდებას,
მაშინ ყველაფერს მოგიტევებს იგი სულგრძელი.

მელისანდე. ო, ღმერთო ჩემო! დაე იგი გონსა მოვიდეს
და მე ვუჩვენებ თუ, ამ რწმენის ღირსი ვყოფილვარ.
მისი სიცოცხლე უნდა იყოს ტკბილი ოცნება.
მე მის სიკვდილსა ნეტარებით გამოვისყიდი!
დაე გაიგოს, რომ მეც იგი მიყვარს და ვეტრფი.
და შემდეგ მწარედ ჩემს ცოდვასა მოვინანიებ.
დაე მის ირგვლივ ყვავილები წვიმებრ სცვივოდეს,
და სურნელება აღკმეული ზეცას სწვდებოდეს,
და მემუსიკეთ ააჟღერონ ჰანგი მხიბვლელი,
და ჩვენს სიყვარულს ხმა შეუწყონ წმინდა, ნარნარი,

რათა სიცოცხლის წუთი მისი უკანასკნელი
იყოს, საამო, სანატრელი, როგორც სიზმარი.

ერაზმ. იგი გონს მოდის!

(მუსიკა უკრავს. ყვავილები წვიმასავით ეყრება. სურნელებას აკმევენ).

მელისანდე (მისკენ დახრილი).

ბატონიშვილო ჟოფრუა რუდელ!

ბატონიშვილი. არ ვოცნებობდი?

მელისანდე. მომიწოდებდით და მეც მოველ, ბატონიშვილო!
ეგ თქვენი წმინდა ერთგულება სიყვარულისა,
თქვენი სახელი და დიდება ჩემთვის არა ერთს
მწირსა მოგზაურს უმღერნია საფრანგეთისას.
ჩვენ ვგევართ ყვავილს, ორ ყვავილსა აქაურ ბზისას,
რომელნიც სივრცით ერთმანეთსა დაჰშორებიან,
სულიერად კი ერთმანეთთან იმყოფებიან.
თქვენი სალამი ნიავს ჩემთვის მოუტანია,
და თუ ოდესმე დაგიღვრია ცრემლი თვალთაგან
სულში მიგრძვნია თითქოს იგი მკერდს დამცემოდეს.
—მხოლოდ თქვენ გსურდათ შორეული უცნობი გეცნოთ.
თქვენ მეძახოდით და მეც მოველ, ბატონიშვილო!
აწ თქვენ წინ მხედავთ, საყვარელო, და ჩემს გარშემო
იკმევა ნელი სურნელება დამათრობელი.
აგრეთვე ყვავილთ ნაზი სუნი თავს დაგვტრიალებს,
ზართა გუგუნი, შეწყობილი საკრავთა ხმანი
დღევანდელ დღესა გვილოცავენ ქორწინებისას.

ბატონიშვილი (დაბნეული).

ნუ თუ რასაც ვგრძნობ, რასაც ვხედავ სინამდვილეა?

მელისანდე. როგორცა ჰხედავთ თქვენ წინ თქვენი დედოფალია!

ბატონიშვილი*. ვხედავ სანუკველს და ჩემს თვალსა ვეღარ ვაშორებ,
იგი მოსულა თვისის ძვირფას სამკაულებით,
მისი ნაწნავნი ორ მდინარეს ემსგავსებიან,
ბეჭდის ბრწყინვაში ილიმება უკანასკნელად
ჩემი სიცოცხლე აწ დამტკბარი სანახაობით.
ეგ ტურფა ძეწკვნი ამძიმებენ ბროლის კისერსა.
თქვენი ღიმილი საუცხოვო! ო, ეგ ღიმილი!

თქვენი სიტყვები ჩუჩულებენ, ვით წმინდა წყარო
და ვით სასმელი, მოგზაურსა წყურვილს უკლავენ.
თვალებს ჩავსცქერი და მანცვიფრებს მე მისი სილრმე...
რამდენი გრძნობა, სათნოება შიგ იხატება:
ო, ეგ თვალები რა ღრმა არის, ნაზი, ცისფერი.

მელისანდე (თითზე ბეჭედს უკეთებს).
აჰა, მიიღეთ ეს ბეჭედი ამეტისტისა!
ვით მისი ფერი—ჩვენი ბედიც იყო მწუხარე.
(ველზე ძეწკვს დაჭიდებს)
აჰა, ეს ძეწკვი, ბეჭედია ზე სათავადო.
(თმებს იშლის, მის გარშემო ჭფენს)
აქ კი ჩემის თმის ტალღა გქონდეს გარს შემორტყმული.
დაე, ეს იყოს ოქროს ვერძი, ჩემო იასონ,
ეს გასაჩუქრებს ამდენ ტანჯვა-მწუხარებისთვის!
ო, სიყვარულის სანუკველო, ტკბილო რაინდო,
ეს ლურჯი ზღვა რომ შენ, ვით მწირმა, გადმოიარე—
აჰა ეს ხელნი, სიმღერებში რომ ადიდებდი!
ჩემის ხმით იყავ მოხიბლული, მან მოგიყვანა
ჩემს სიახლოვეს, ახლა იგი მხოლოდ შენთვის ჰრეკს.

ბატონიშვილი. ხომ არ გაძრწოლებს მომაკვდავის თვალიდან მზერა?

მელისანდე. აი შენს თვალებს ჩემი ბაგე ეამბორება.

ბატონიშვილი. ხომ არ გაძრწოლებს ბაგე ჩემი გაფითრებული.

მელისანდე. ამ შენს ბაგესაც ჩემი ბაგე აწ ეკონება.
(სიჩუმე).

ბატონიშვილი (უძახის).
ბერტრან!

(ბერტრანი უახლოვდება. ბიტონიშვილი მელისანდეს ეუბნება და თან მესაფეებზე უჩვენებს)
მე მათ აღვუთქვი ერთგულება მათი მეამბნა,
—აწ შენ უამბე—ჩემთვის როგორ თავდადებულად...
(ლაპარაკი უძნელდება. ბერტრანს ასიშნებს რათა განაგრძოს).

ბერტრან. ო, რომ განჭვრეტდეთ, დედოფალო, მათ გარეგნობას!
შიგ გული უცემთ მეტად სადა და ლმობიერი.
მაგათ უშველეს ბატონიშვილს აქ, თქვენთან მოსვლა.
პატივსა სცემდეთ, შეიყვარეთ მისი ერთგულნი.

მელისანდე. ჩემო მიჯნურო, მათ ვუღიმი მადლობის ნიშნად.

ბატონიშვილი. მცივა... ახ, მცივა...

მელისანდე. საყვარელო, აწ ჩემის სუნთქვით
სხეულს გაგითბობ! ამ ჩემს მკერდთან კიდევა გცივა?

ბატონიშვილი. რაღაცა შიშმა ამიტანა... ნუ განმშორდები.

მელისანდე. როგორც პაწია ბავშვს არწევენ მზრუნავ მკლავებში,
ეგრეე შენ გარწევ, საყვარელო ბატონიშვილო!

ბატონიშვილი. ახლა კი აღარ მეშინიან...

მელისანდე. ამ ჩვენს მშვენიერ სიყვარულზე ჰგონებდე, რუდელ!
ჰგონებდე, თუ ვით შეგვაქებენ შთამომავალნი,
რომ შენთან მოველ და შენი ვარ მე მელისანდე.
ო, ერთხელ კიდევ მითხარ, ჩემო რა გვარ გიყვარვარ,
რაოდენ სიღრმით!..

ბატონიშვილი. უკვე ვკვდები...

მელისანდე. უმზირე მკერდზე ჩემს სამკაულს, ძვირფასო ჩემო!

ბატონიშვილი. ღვთაებრივია... მაგრამ ყველა ჩემწინ ბნელდება...
ჩემი სიცოცხლე სადღაც მიჰქრის...

მელისანდე. მაგრათ მომკიდეთ.
ხელი მომხვიე. დაე ეს თმა გადაგეფინოს.

ბერტრან. დიახ, თქვენი თმა... საამოა ამ თმისა სუნი...
ჩემთვის...

მელისანდე. ღირსო მამაო! უკანასკნელ საშველს მოუხმეთ...
თქვენ გითმობთ ალაგს...

ტროფიმ. დედოფალო, არა, მანდ დარჩით.
სიყვარულისთვის ვინც თავს სწირავს, ცხონებულია.

მელისანდე. ჟოფრუა, ჩვენი სიყვარული ხომ ტურფა იყო?
ორივეს სული მაღლდებოდა ნათელ ზეცამდის.

ბატონიშვილი. მსურდა ამ ხელით შეეხებოდი შენს წამოსასხამს;
მაგრამ ამაოდ... ხელი ჩემი უკვე ცივდება,
თვისის შეხებით ველარ არჩევს ოქროს, ძვირფას თვლებს.
ხელი გაცივდა!.

ტროფიმ. მოდით, ვილოცოთ!
(ყველანი შეშოიკრიბებიან).

მელისანდე (სასოწარკვეთილი).

ოჰ! ღმერთო ჩემო!

ტროფიმ. Proficiscere anima*)

(ჩუმად ლოცულობს).

ბატონიშვილი. ვაგლახ აწ ვკვდები.

მელისანდე (შეშუსიკეთ).

ჩანგს ჩამოჰკარით, ააჟღერეთ, რომ მისმა დაკვრამ
მლოცველთა ხმანი მიაყრუოს!

(ერუ და ნაზი მუსიკა).

ბატონიშვილი. ილაპარაკე, მელისანდე! ეგ შენი ხმაც ხომ
მუსიკა არის. ოცნებობდი მე მომკვდარიყავ
მაგ ტკბილ საუბრის მუსიკაში...

მელისანდე (მოეხვევა).

ამ ჩემს სიყვარულს აწ შენ მოგაგებ.

ტროფიმ. Deus clemens**)

(მუსიკის ხმა მლოცველთა ხმას ჩქმალავს).

ბატონიშვილი. ილაპარაკეთ, მითხარ, მითხარ, რათა შენმა ხმამ
მიჩქმალოს ის ხმა ნააბისა, აქეთ რომ მოდის...
ილაპარაკეთ, რომ სიკვდილში სიამე ვპოვო.
და მისი შიში, საყვარელო, შემიმსუბუქდეს.

ტროფიმ. Libera Domine...

(ლოცვის ბუტბუტი და საკრავთა ხმები).

მელისანდე. ჩემო ძვირფასო, ოცნებაში გხედავდი მუდამ
და საღამოთი ბზის ჩრდილ ქვეშე, როცა ლურჯ სივრცეს
ვაშტერდებოდი, ვსაუბრობდი სულის თვისტომთან—
შენთან, ძვირფასო, მეგობრო!

ბატონიშვილი. ილაპარაკე...

ტროფიმ. ...Ex omnibus periculis***)

მელისანდე. როდეს აქეთკენ მოვდიოდი სუმბულთა შორის,
ერთმა მათგანმა მოკრძალებით თავი დახარა,
თითქოს შანიშნა, სიყვარული შენი ვიცი,
და მეც ვფიქრობდი, ღირსი მხოლოდ იგია-მეთქი,

*) შეიწყალე სული
**) ღვთის მოწყალებით
***) ყოველ გვარსა განსაცდელისგან

რომ შეუტყვია საიდუმლო სიყვარულისა.
მეც ვჩურჩულობდი, მიყვარს მეთქი ბატონიშვილი.

ბატონიშვილი. განაგრძეთ კვალად, მუსიკაა თქვენი ტკბილი ხმა.

მელისანდე. იმ ყვავილს ვუთხარ: მიყვარს მეთქი ბატონიშვილი,
რადგან ის წმინდა იყო ჩვენის სიყვარულივით.

ბატონიშვილი. ჩემი სიცოცხლე აწ კი მიჰქრის... ნეტარებაში
ბოლო მეღება... გმადლობ, ღმერთო! გმადლობ მიჯნურო,
ო, მელისანდე! ამნაირი ბედნიერება
ვის ჰღირსებია, რომ ენახა ქალთ დედოფალი,
ეთეროვანი, შორეული, მპყრობი ტახტისა.

მელისანდე (მკლავზე არწევს).
ბედნიერია ვინც დასტოვა თვისი ქვეყანა
და მიზანს გაჰყვა საუცხოოს და არ უმზირა
ერთ ადგილს მყოფმა ვით სჭკნებოდა გული თანდათან.
ჩემი ამბორი მიტომ არის აწ შენთვის ტკბილი,
რადგან მე თქვენი დაჲ ვარ, მასთან შეუცნობელი.
თქვენსა სიყვარულს სინამდვილე ვერ გაამწარებს,
მუდამ დავრჩები შორეული, მუდამ ერთგული,
რა დაგიხუჭავთ ჩემის ხელით მაგ ნათელ თვალებს.
აწ მხედავთ ესდენ გაბრწყინვებულს და უაჩრდილოს
და მხედავთ ასეთს პირველად და უკანასკნელად.

ბატონიშვილი. ჩემთან მოხველით, დედოფალო! იყავ მშვიდობით,
ჩემო ძვირფასო დედოფალო!

ტროფიმ. Libera Domine...

მელისანდე (წამოდგება და უჩვენებს ზღვას ჩამავალ მზის სხივებით გაბრწ-
ყინვებულს. თვითონაც მზის სხივებში არიან გახვეულნი).
ჰხედავ, ვით კვდება თავადი და ტკბილი მგოსანი.
შენ წინ ვიხრები, საყვარელო, და შენი მკერდი
ჩემ მკლავებშია. სიყვარული და ნეტარება
გარსშემორტყმია. შენზედ არის კურთხევა ღვთისა.
შენს ირგვლივ არ სდგას არც სანთელი და არც სხვა რამე
რაც მიცვალებულს კუბოს უმკობს. შენსა გარშემო
ყვავილებია და ხმა გესმის წინწილ-ებანთა.
შენ შეჰმოსილხარ ჩამავალ მზის წითელ სხივებით

(ბატონიშვილი კვდება. მელისანდე მას საწოლზე ასწორებს. ტროიმი მიცვალებულს უახლოვდება).

მელისანდე. ნუ დაუხუჭავთ ჯერ მას თვალებს... ჯერ კიდევ მიმზერს.

სორიზმონდე (საშინლად).

თქვენი თმა ხელში უკავია და აღარ უშვებს!

მელისანდე. დაე წაიღოს ჩემი თმა თან....

(შის ხანჯალს იღებს და თმას იჭრის. რუდელის ხელი უსიტყვოდ ხელოთ ქირს დაეცემა).

ბერტრან. ო, არა! არა! ეს კი სწორედ მეტის მეტია!!

მელისანდე (პირმოუბრუნებლად).

ვინ ლაპარაკობს?

ბერტრან. ბევრი მიაგეთ!

მელისანდე. ბერტრან, შენა სთქვი?

აწ მე უარმყო, ეს უნდა იყოს შენი მიზანი!
ზეწარი ჩემი სიცრუისა ჩამოვიხიე
და შევუერთდი ჩემის სულით მეგობრის სულსა.
დიახ, ამ ჟამად გარდავიქეც სულ სხვა არსებად,
და ჩემი წმინდა მოქმედება ზიდავს სხვა ნაყოფს.—
რა იყავ უწინ, შენ ყვავილო, შენცა ოცნებავ...
ყოველი ისე მაცდური რამ აღფრთოვანება.
აწ მე შევიგენ გაზაფხული სულ სხვანაირი,
თვითდავიწყების გაზაფხული, რომელიც მარად
ჰყვავის და ჰყვავის იმ უწმინდეს კარმელის მთაზე,
რომლისკენ უნდა გავიკვლიო ახლა გზა ჩემი!

ბერტრან. ვაი, ჩემს თავსა!

მელისანდე (შენაგეებს). თქვენ მენავენო! თქვენი საქმე პირნათლად ჰყავით!

რად იმზირებით დაღვრემილნი, გულჩათხრობილნი.
გშიანთ? გწყურიანთ? ან გაკლიათ ტანისამოსი?
აი, მიიღეთ ამ მანტიის სამკაულები...
(მანტიიდან ძვირფას ქვებს ჭგლეჯს და აძლევს)
ძვირფასი თვლები, ალმასები, მარგალიტები...
მიიღეთ იგი... აღარ არის ჩემთვის საჭირო...
მიიღეთ იგი... მაგრამ თქვენთვის ეს არა კმარა.
ერთგულობისთვის საჩუქარი თუ კი არსებობს
და იგი არის სიყვარული, მე თქვენ მიყვარხართ.

ეს ცის დანაკი, ეს ზურმუხტი—ყველა მიიღეთ.
ჩემს გულსაც იმ თვლებს, ამ ძვირფას თვლებს თან ვატან-მეთქი!
—რა ღვთაებრივად შემსუბუქდა ჩემი სამოსი!

ბერტრან. მელა? მე რა ვქნა?

მელისანდე. გაუძეხ მათ ჯვაროსანთ ომში.

ყველანი (ირაღს იშიშვლებენ).
ქრისტეს ჯვარისთვის თავი დავსდოთ... ვანთავისუფლოთ!

მელისანდე. იბრძოლეთ მედგრათ და საფლავი იხსენით წმინდა.

მენავეთა უფროსი. ეს ხომალდი კი ხვალე დავსწვათ, რომელიც მგოსანს
ამდენი ხანი ემსახურა...

ტრობალდო (ბერტრანსა უთითებს).
ჩვენი მოთავე ეს იქმნება. ეს გაგვიძღვება
და მხნეთ ვიბრძოლებთ ქრისტეს ჯვარისთვის... და სამარისთვის!

ბერტრან. და იქ მოვსტეხავთ წმინდა ბზის რტოებს!

მელისანდე (თავის ხომალდისკენ გაემართება).
აწ კი მშვიდობით... ცრემლს ნუ აფრქვევთ! ამ ჩემმა სულმა
ჰპოვა მშვიდობა... სიდიადე გულმა შეიცნო.

ტროფიმ (მუხლ მოდრეკილი).
სიყვარული ესრე დიადი,
დიახ, გზას გვიკვლევს მარად ცისკენ და გვხდის რჩეულად!

ფ ა რ დ ა .

1914 წ. 6 მაისი, ლეიპციგი.



2

დავით კაკაბაძე.

სამხატვრო წერილები.

ჩვენი გზა.
სურათის პრინციპი.
შექა ოპიზარი.
ძველი ცოცილისი.
საქართველოს ღერბი.
დრამაცეიული სცენა.

საქართველოში მხატვრობას ჯერჯერობით თითქმის არავითარი ყურადღება არ ჰქონია მიქცეული. ამიტომაც ჩვენი მხატვრობა ძლიერ უფერული იყო. თვით მხატვრებს აუტანელ პირობებში უხდებოდათ და ეხლაც უხდებათ მუშაობა. საჭიროა, რომ ამ არა ნორმალურ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და მხატვრობა ფართო ასპარეზზე გამოვიდეს.

ჩვენ ამ დასაწყისით გვსურს, რომ მხატვრობას მიეცეს ჩვენში ცოცხალი სახე. ცხადია, მხატვრობას უნდა ჰქონდეს თავისი ცალკე ბეჭდვითი სიტყვის ორგანოც, მაგრამ ეს ეხლანდელ პირობებში შეუძლებელია.

ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ, რომ ამ პირველ ნაბიჯის შემდეგ მხატვრობის საქმე ჩვენში გამოცოცხლდება.

დ. კ.

ჩვენი გზა*).



ხატვრობას უკავია ხელოვნების ყველა დარგში დიდათ მნიშვნელოვანი ადგილი,—ანუ უფრო მეტიც: მოწინავე ადგილი. თანამედროვე ხელოვნების მეცნიერებაში ეს აზრი თითქმის უკვე მიღებულია. და მართლაც, გავიხსენოთ მთელი კაცობრიობის ხელოვნების ისტორია, ჩავუკვირდეთ ხელოვნების განვითარების ხანას და დავინახავთ, რომ ხელოვნების სხვა და სხვა დარგში მხატვრობას ყოველთვის მოწინავე ადგილი ეჭირა. თანამედროვე ხელოვნება კი ამ აზრს სრულიად ადასტურებს. ხელოვნების საფუძველია მისი პრინციპი, რომლის ფარგლებში ის ისხამს ფორმას. რომ ადამიანმა ხელოვნების ფორმას მიაღწიოს, საჭიროა მას ჰქონდეს განსაკუთრებული აზრი, პრინციპი, რაზედაც მან უნდა ააგოს თავისი შემოქმედების ფორმა. სწორედ ეს პრინციპები იღებენ თავის განსაკუთრებულ სახეს მხოლოდ მხატვრობის საშუალებით. გავიხსენოთ ის რაც უფრო ადვილი მოსაგონებელია—მე-XIX საუკუნე და თანამედროვე მე-XX საუკუნის დასაწყისი—ხელოვნების ყოველი მონაპოვარი ამ ხანაში, ყოველი პრინციპი გამომჟღავნდა **მხატვრობაში**. იმპრესიონიზმმა, სიმბოლიზმმა და თანამედროვე ფუტურიზმმა, თავისი განსაკუთრებული სახე მიიღო ჯერ მხატვრობაში და შემდეგ ამით სარგებლობდენ ხელოვნების სხვა დარგებიც.

ყოველ ერს აქვს თავისი ხელოვნება, განსაკუთრებული, ეროვნული; თუ კი კაცობრიობა, როგორც ერთეული, არსებობს, მაშინ ხელოვნებაც ყველასათვის ერთია. იყო დრო, როდესაც საქართველოს ხელოვნებამ მიიღო თავისი განსაკუთრებული ფორმა და მსოფლიოს ხელოვნებაში მას თამამად ეჭირა თავისი ადგილი. ჩვენი წარსულის მწერლობის და ხუროთმოძღვრების სიდიადე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. რაც შეეხება მხატვრობას, უნდა ითქვას, რომ ის არ ჩამოუვარდება ხელოვნების სხვა დარგებს ჩვენში. ჩვენი წარსულის მხატვრობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, და ფორმები, რომელში-

*) ჩვენი მხატვრული „credo“ და მეთოდი დამთავრებულ მხატვრული ფორმის შექმნისათვის პირველად აღვნიშნეთ ჩვენ მიერ პეტროგრადში გამოცემულ დეკლარაციაში: „Сдѣланныя картины“ 1914 წელს.

ამ წერილის მიზანია მხოლოდ უმთავრესი დებულებების წამოყენება. ჩვენი შეხედულების უფრო ვრცლათ განმარტებას და დასაბუთებას შევეცდებით მომავალში ამ ჟურნალის ფურცლებზე.

დ. ჯ.

დაც მხატვრობა ისახებოდა, იმდენად მნიშვნელოვანი და ახალია, რომ საზოგადოთ მხატვრობაში მას ბადალი თითქმის არც კი მოეპოვება. ამას ამოწმებს ჩვენი საეკლესიო მხატვრობა, რომელიც დაკავშირებულია ბიზანტიურ ხელოვნებასთან და ერთ დროს მასთან ერთი გზით ვითარდებოდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ფორმაში ჩვენმა საეკლესიო მხატვრობამ ბიზანტიურ ხელოვნებას გადააჭარბა და წინ გაუსწრო, მაგალითად, კომპოზიციის მხრივ. ჩვენი მხატვრობა ამ მხრივ მშვენიერ ნიმუშებს იძლევა და ბევრად წინ უსწრებს ბიზანტიურ მხატვრობას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: საქართველოს უჭირავს შუა ადგილი აღმოსავლეთის და დასავლეთის შორის. ეს აძლევდა მას საშუალებას განსაკუთრებულ ფორმების შექმნისთვის.

ჩვენი დროისთვის ქართველებს შეგვრჩენია მხოლოდ ორი დარგი: მწერლობა და ხალხური მუსიკა. მხატვრობა კი დიდი ხანია თითქმის არ არსებობდა. ამის მიზეზი იყო, სხვათა შორის, ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. ჩვენი ქვეყნის აღორძინებას უნდა მოყვეს მხატვრობის აღორძინებაც. აღორძინება კი მაშინ იქნება, როდესაც ჩვენ მოვნახავთ ქართული მხატვრობის „ენას“, იმ „ენას“, რომელიც ჰქმნიდა ჩვენი წარსული მხატვრობის ფორმას. ეხლა კი ეს მხატვრული „ენა“ თითქმის დაკარგულია, ვამბობ—თითქმის—რადგან ხალხში ის რამოდენიმეთ მაინც შენახულია. ამ მხატვრულ „ენის“ აღდგენის მხრივ ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა.

რა საშუალებას მივმართოთ, რომ თანამედროვე ქართული მხატვრობა შეიქმნას? უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ჩვენ დაუბრუნდეთ ჩვენს ბუნებას და შევიგნოთ იგი. გასაოცარი ფორმისაა ჩვენი ბუნება; მისი მოხაზულობა ახალი ფორმის მომცემია. რამდენადაც ბუნებას აქვს გავლენა მხატვრული ფორმის სახეზედ, იმდენათ ჩვენი წარსული მხატვრობა დაკავშირებულია ბუნებასთან. საზოგადოთ ფერადების შეგნებაში, მათი სიძლიერის გაგებაში, მათი თვისების გარჩევაში—ჩვენს ბუნებას დიდის სამსახურის გაწევა შეუძლია. ჩვენი ხალხის ცხოვრება, ზნე-ჩვეულება დაგვეხმარება ბუნების შეგნებაში, ფერადების სიძლიერის გაგებაში და, თვით ხალხის ფერადებზედ შეხედულებას დიდი დახმარება შეუძლია გაგვიწიოს. ტრადიციის დაცვისათვის და ქართული მხატვრული პრინციპების გაგებისათვის საჭიროა შევიგნოთ ჩვენი წარსული მხატვრობა. საჭიროა შეგნება არამც თუ წარსული მხატვრობის, არამედ ხუროთმოძღვრებისა, ქანდაკებისა და მწერლობისა. აქ ჩვენ დაგვეხმარება მეცნიერება, რომლის მეთოდის საშუალებით ჩვენ უფრო მალე მივაღწევთ მი-

ზანს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ხელოვნებაც მეცნიერებაა და ცოდნა ხელოვნების წინმსვლელობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. საჭიროა შეგნება თანამედროვე მხატვრული და საზოგადოთ ხელოვნების მონაპოვართა ფორმისა. მართალია მე-XIX საუკუნემ ვერ შექმნა დიდი მხატვრობა. პირიქით მხატვრობა მუდმივი კრიზისს განიცდიდა, მაგრამ მაინც, ამ ხანამ მოგვცა დიდათ მნიშვნელოვანი მხატვრული მონაპოვარნი. მეცნიერებამ ბევრად ხელი შეუწყო წარსული კაცობრიობის ხელოვნების შეგნებას და ბევრი ახალი რამ მონაპოვარნი აღმოუჩინა. ამ მხატვრული მონაპოვართა—პრინციპების ცოდნა გაუადვილებს მხატვარს ჩვენი ბუნების შეგნებას.

მხატვრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია აღორძინების გზას დაადგეს, როდესაც იგი მხოლოდ წმინდა მხატვრულ მიზნებს ემსახურება. ეს ჩვენ კარგათ უნდა გვახსოვდეს. რითი განირჩევა მხატვრობა ხელოვნების სხვა დარგებისაგან, თუ არა თავისი მხატვრული მიზნით? ამის მიხედვით ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ, მხატვრობას მიეცეს ნამდვილი მხატვრული მიზნები, და მხოლოდ ამ ფარგლებში იყოს მისი განვითარება. მხატვრობის საშუალება, რომლითაც იგი თავის ფორმას ქმნის, არის ფერადები და ნახაზობა. იდეა კი მხოლოდ აზრია ყველა ხელოვნებისა, და ამიტომ ის ყოველ შემოქმედების ნაწარმოებში არსებობს. ფერადები და ნახაზობა მხატვრული საშვალებანია იდეის გამოსახატავად. ჩვენ, მხატვრებმა, ამას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. ფერადების თვისებების გაგება, ნახაზობის არსებითი მნიშვნელობის შეგნება, ნახაზობის და ფერადობის ერთმანეთთან დაკავშირების ზომა, ყველა ამას დიდის ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს მხატვარი.

ჩვენი წარსულის ხელოვნებაში ნახაზობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ნახაზობის არაჩვეულებრივ სიდიადეს ვგრძნობთ ჩვენი ხელოვნების ყველა დარგში. ხუროთმოძღვრებაში ნახაზობა მარტივი, სწორი და სიმეტრიულ ფორმაშია დაცული. ამასვე ვხედავთ ჩვენ მხატვრობაში. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სპარსული ხელოვნების დაღი ჩვენს მხატვრობას მაგრად აზის. ეხლა გავიხსენოთ ჩვენი ოქრომჭედლობა, ხატების მოჭედილობის სახეები, ჩუქურთმები—განა მათში ნათლად არა სჩანს ნახაზობის სიდიადე, მისი ბრწყინვალე განვითარების ფორმა? ჩავუკვირდეთ მწერლობას. ჩვენი წარსულის მწერლობის საუკეთესო ნიმუშები საუცხოო ნახაზობის სახითაა შესრულებული. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ „ვეფხის ტყაოსანი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; მისი ნახაზობა გასაოცარი მოქნილობისაა და განუწყვეტელი. ჩვენი ხალხური სიმღერაც ამტკიცებს ხალხის მიერ ნახაზობის საუკეთესო სა-

ხის შეგნებას. აბა დააკვირდით ჩვენ ეროვნულ მუსიკალურ ჰანგებს, მუსიკალურ რიტმს და ნათლად დაინახავთ მოქნილ და განუწყვეტელ ნახაზობას. ჩვენი ბუნება დიდათ მდიდარია ნახაზობით და ბუნების დაკვირვებითი შეგნება ჩვენ მიგვიყვანს ნახაზობის საუკეთესო ფორმამდი. ჩვენი თანამედროვე მხატვრობა ნახაზობის საუკეთესო ფორმად უნდა იქცეს.

ფერადობასაც ჩვენში განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ჩვენი ძველი მხატვრობა დამყარებულია ფერადების სიძლიერის განმტკიცებაზე. ამას მოწმობს როგორც საერო, ისე საეკლესიო მხატვრობა. ხელოვნების სხვა დარგები—მწერლობა, მუსიკა, ხუროთმოძღვრება, ადასტურებენ ჩვენ მიერ ფერადების სიძლიერის შეგნებას. თანამედროვე მხატვრული მონაპოვარნი ფერადების სიძლიერის შეგნებაში დიდათ მნიშვნელოვანია და კიდევ ახალ გზებს გვიჩვენებს. და რომ შევადაროთ ჩვენი მხატვრობის ფერადობის სიძლიერე თანამედროვე მხატვრულ მონაპოვართან, მაშინ დავინახავთ, თუ რას მიაღწია ჩვენმა მხატვრობამ ამ საკითხში. ჩვენი ბუნება ფერადების სიძლიერის შეგნებაში დიდათ ხელს გვიწყობს. აბა დააკვირდით ჩვენს ბუნებას და დაინახავთ ყოველ ფერადის ძალას, მის თვისებას. თვით ხალხში ფერადების ძლიერების გრძნობა ჯერ კიდევ არ დაკარგულა. დავაკვირდეთ რა სახის ფერადებისაკენ მიისწრაფის ხალხი, რა ფერადებს აკავშირებს ერთმანეთში, როგორ ზომას იჭერს ფერადების შეხამებაში, როგორი ფერადებით ისახება მათი გრძნობა. აღსანიშნავია, რომ ხალხი ძლიერი და მუქი ფერადებისაკენ მიისწრაფვის; შავს და თეთრს ფერადს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სხვა ფერადებთან შედარებით ეს ორი ფერი თავის სიძლიერით პირველ რიგში სდგას.

ყოველი ხელოვნება ისახება თავის განსაკუთრებული ფორმაში, და კერძოთ მხატვრობას აქვს თავისი ფორმა. მხატვრულ შემოქმედებას მაშინ ექნება ნამდვილი მხატვრული სახე, თუ კი ის მხატვრულ ფორმაში არის ჩამოსხმული. რა ნაწარმოებია ის, თუ ფორმა არ უვარგა. არა მგონია, რომელიმე სხვა დარგში ისე ნათლად მოსჩანდეს ფორმის მნიშვნელობა, როგორც მხატვრობაში. ამ გარემოებას ჩვენმა მხატვრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. აქ ხელს შეგვიწყობს თანამედროვე მხატვრული მონაპოვარნი, სადაც ფორმამ საუცხოვო სახე მიიღო. სეზანმა, ბრაკმა და პიკასომ ამ მხრივ ბევრი რამ მოგვცა. ჩვენი ბუნების სახე ფორმის სიმარტივეშია. მარტივი ფორმა დამახასიათებელია ჩვენი წარსულის მხატვრობისა და ხუროთმოძღვრებისათვის.

ჩვენი მომავალი მხატვრობის შექმნისათვის საჭიროა, რომ ჩვენ მტკიცე გზას

დავადგეთ და ვეცადოთ, რომ მხატვრობის განვითარება სწარმოებდეს მხატვრული ფორმის, ფერადების და ნახაზობის ფარგლებში.

ჩვენი ახალი მწერლობა თითქმის უკვე დაადგა თავის ბუნებრივ გზას. „ცისფერი ყანწებით“ იწყება ეს ხანა. მათ მიზნადა აქვთ დასახული, რომ მწერლობა წმინდა მიზნებს ემსახურებოდეს, სცდილობენ გააღრმავონ თანამედროვე პოეზიის ფორმა, მისცენ პოეზიას ნამდვილი მისი მოხაზულობა და ეძიებენ ქართულ პოეზიის სიტყვის სიძლიერეს. ამ ხაზამდე მხატვრობა და თანამედროვე პოეზია ერთად უნდა მიდიოდენ. „ყანწელების“ შეხედულობა ეროვნულ სულზე, ჩვენი ხელოვნების თვისებაზედ და ამ ნიადაგზედ დამყარება თავისი შემოქმედებისა, ჩვენ მიგვაჩნია მიუღებლად. თავის შემოქმედებას „ყანწელები“ ამართლებენ შკოლის საშუალებით, სახელდობრ სიმბოლიზმით. შემოქმედებას უნდა ამართლებდეს თვით მისი ნაწარმოები, მისი ფორმა. მათ სთქვეს: „ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი. სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღაბისა, ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“. კიდევ ამბობენ: „ცისფერი ყანწები“ სიმბოლიურად აღნიშნავენ ჭეშმარიტ ქართულ მსოფლ-მხედველობასო.*) ჩვენ კი ვიტყვით, რომ ქართულ სულს სრულებით არ შეეფერება ამგვარი სიმბოლიზმის ნიღაბი და სიმბოლიზმის აუცილებლობა ჩვენში მეტად საეჭვოა. ჩვენი მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მქანდაკებლობა და მწერლობა ამას მოწმობს.

სიმბოლიზმი, როგორც შკოლა და როგორც მეთოდი რომანტიზმის იდეალოგიის შედეგია. „ცისფერი“ კი ფერია რომანტიზმისა, ჩვენს დროში რომანტიზმის იდეოლოგია უკვე იწურება ფუტურიზმით. ფუტურიზმს, როგორც უკანასკნელ ხანას რომანტიზმის მეფობის დროისა, მაგრად აზის რომანტიზმის დაღი. ჩვენი მხატვრობა ამ გზით ვერ წავა, მას არ ეკნება „ცისფერი“ ფერი.

ხელოვნება ისახება შემოქმედების ფორმაში. შემოქმედების ფორმა კი იმაზედაა დამოკიდებული თუ როგორი გზით მიუვალთ ჩვენ შემოქმედების სახეს ფორმის მიცემაში. ამ მიზნისათვის ხელოვნებაში არსებობს ორი გზა, ორი მეთოდი—კლასიციზმი და რომანტიზმი. კლასიციზმი და რომანტიზმი, როგორც ორგვარი მეთოდი, ხელოვნებაში მკაფიოდ გარკვეული სახეა. მთელი მე-XIX საუკუნე რომანტიზმის მეფობის ხანაა და ამიტომაც ხელოვნება მუდმივ რყევას განიცდიდა. ჩვენი ახალ მხატვრობის დამთავრებულ ფორმის შექმნისათვის ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, იმ მეთოდს, რომელმაც შექმნა ბრწყინ-

*) იხ. „ცისფერი ყანწები“.

ვალე ხანის მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მქანდაკებლობა და მწერლობა, იმ მეთოდს რომელმაც შექმნა ბრწყინვალე სპარსული ხელოვნება, ინდოეთის, ჩინო-იაპონიის მხატვრული ფორმა, საუცხოვო მქანდაკებლობა კუნძულ პასხისა, ეგვიპტის, ძველი საბერძნეთის, ახალ ბიზანტიის, იტალიის რენესანსის და მე-XVI და XVII საუკუნოების ევროპის ქვეყნების ხელოვნება. კლასიციზმი როგორც მეთოდი შეურყეველი გზაა შემოქმედების დამთავრებულ ფორმის მიღწევისათვის. ამ მეთოდის საშუალებით ჩვენი ახალი მხატვრობა მიიღებს თავის ბუნებრივ სახეს და განამტკიცებს ნამდვილ ქართულ მხატვრულ სულს.



დავით კაკაბაძე.

,,ნახაზობა''
(შავი ფანქარი. 1913 წ.)

სურათის პრინციპი.

ნიდი და ღრმა სიტყვაა სურათი, თუ კი მას ჩვენ სრული მისი მნიშვნელობით ავიღებთ.

პირველი შეხედვით სურათში მნიშვნელოვანია მისი გარეგანი მხარე. თუ როგორია გარეგანი მხარე—ოთხკუთხიანი, მრგვალი, სამკუთხიანი და სხვა—ამაზე დამყარებულია სურათის შინაგანი ფორმა.

ცხადი უნდა იყვეს, რომ დამოკიდებულება სურათის გარეგანი და შინაგანი ფორმათა შორის დიდია; გარეგანი ფორმა წინასწარ სახავს სურათის შინაგან ფორმას.

რას ნიშნავს სურათის გარეგანი და შინაგანი ფორმა?

გარეგანი ფორმა თვით სურათის სტრუქტურაა; მას სახავს სურათის სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთში დამოკიდებულება, სურათის სიბრტყეების ერთმანეთში დაკავშირება.

შინაგანი ფორმა ისახება სურათის ნაწილების შემადგენლობით, მისი სიბრტყეების თვისებებით.

სურათში ყოველი მისი ნაწილი, ყოველი სიბრტყე, ყოველი ხაზი და ყოველი ფერი უნდა იყვეს თავის ადგილას, და ზედმეტად არც ერთი სურათის ნაწილი არ უნდა სჩანდეს.

მხატვარი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს მხატვრული ფორმის და პრინციპების ამორჩევაში, და მხოლოდ მაშინ შეძლება ექნება დაიცვას სურათის პრინციპი.

უნდა ვაღიაროთ, რომ სურათის სახელს აქვს თავისი ფასი.

სურათის სახელში უნდა მოსჩანდეს მთელი მისი შემადგენლობა, რადგან სურათის რკალი მისი სახელით იჭედება.

მხატვარმა უნდა შეურიგდეს ყველა ხელოვნების მონაპოვარს, რადგან მისი უარყოფა ხელოვნების უარყოფას ნიშნავს.

პრინციპი—ფორმაა.

კანონი (წესი)—საშუალებაა პრინციპის ასრულებისა.

სურათის ყოველივე ნაწილი, ყოველივე სიბრტყე, ხაზი, ყოველივე ფერი უნდა იყვეს დადასტურებული მხატვრის პრინციპით და კანონით.

როდესაც სურათის რომელიმე ნაწილს დაუსვამთ კითხვას—რისთვის? პასუხი უნდა გამომდინარეობდეს ბუნებრივათ თვით სურათის შემადგენელ ნაწილებიდან.

ცხოვრების სიმშვენიერე და მისი ფასი გამოიხატება ადამიანის შრომაში, რაც აძლევს მას საშუალებას შექმნას თავისი ცხოვრება.

სურათიც უნდა იყვეს შესრულებული ბეჯითი და საღი მუშაობით, რადგან სურათის თავიდათავი ფასია მასზე დახარჯული ადამიანის დიადი შრომა, რომელშიაც ისახება მხატვრის სული.

სურათის პრინციპი მოითხოვს დამუშავებას სურათის გარეგანი და შინაგანი მხარეებისას.

როგორიც უნდა იყვეს პრინციპი და კანონი, რომლითაც მხატვარი ხელმძღვანელობს, სულ ერთია სურათი მაინც მოითხოვს დიად შრომას.

სხვადასხვა მხატვრული მიზნისათვის მხატვარი უნდა სარგებლობდეს როგორც ხელოვნების მონაპოვარით, ისე უკვე ცნობილ პრინციპებით და მეცნიერულ საშვალებებით.

რომელიმე პრინციპის გამოსახვა სურათში უნდა იყვეს დაყვანილი თავის უკიდურეს ფორმამდე და იმ ხაზამდე, სანამდი სურათის კომპოზიცია ისაზღვრება. ამ საშუალებით იქმნება რკინის რკალსავით მოქნილი სურათის ფორმა. რასაკვირველია ეს მოითხოვს დიდ შრომას, რომლის დაღი სურათზედ რჩება. სწორედ ამით ისაზღვრება სურათის ფასიც.

მხატვრის შრომა უმთავრესად იხარჯება ფერადების დამუშავებაზე, როდესაც მათი თვისება იმდენათ რთულდება, რომ ერთი ფერადის საშუალებით შეგვიძლია მივიღოთ სხვადასხვა ტონი. აი ამ საშუალებით იხსნება ფერადების ამოცანა.

მხატვარმა არას დროს არ უნდა დაივიწყოს ის, რომ მისი შრომა ფერადებზეა დამყარებული.

ამიტომ მხატვარის ყურადღება უნდა იყვეს მიპყრობილი არამც თუ მარტო ფორმის და იდეის გადმოცემაში, არამედ ფერადების დამუშავებაშიც.

ფორმის თვისებაა—მისი სიმძიმე და სიმსუბუქე, გამჭვირვალება და გატანილობა. ამავე თვისებებით ისახება ფერადებიც.

სურათის შექმნა მოითხოვს მხატვრისაგან დიდ წინდახედულობას, რომელიც არ მიცემს მას საშულებას შემთხვევითი ხაზიც იხმაროს. მხატვარი უნდა სცდილობდეს, რომ ყოველი მისი პრინციპი გაღრმავებული და დაცული იყოს და აზროვნებასთანაც შეთანხმებული.

ვლ. გუდიაშვილი.

„შოთა რუსთაველი“
(შავი ფანქარი. 1917 წ.)

რომ სურათმა თავისი ნამდვილი სახე მიიღოს, რომ მისი ყველა პრინციპები დაცული იყვეს, ამისათვის საჭიროა სრული მხატვრული ტეხნიკური მხარის ცოდნა—რა ნაწარმოებია ის, თუ სუსტად შესრულებულია!

მხატვრობის ტეხნიკურ მხარეს ჩვენს დროში ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევენ. ეს ერთი უმთავრესი მიზეზია, რომ თანამედროვე მხატვრობამ ძლიერ ცოტა სურათები შექმნა.

პორტრეტს სურათების რიგში უკავია განსაკუთრებული ადგილი.

ის თავისუფლება, რომლისაკენ ადამიანი ყოველთვის მიისწრაფვის, ძლიერ შეზღუდულია მხატვრისათვის პორტრეტში.

პორტრეტში უნდა იყვეს გამოსახული სახე იმ ადამიანისა, რომელიც იხატება.

ადამიანი, როგორც მსოფლიოს სრული დამთავრებული სხეული, უახლოვდება ქვეყნის ყველა საგანს.

მაგრამ ადამიანი, როგორც ინდივიდი, უახლოვდება მხოლოდ ზოგიერთ შესაძლო საგნებს.

პორტრეტი ინდივიდის სახეა და ამავე დროს თანამედროვე ცხოვრების სახეც.

პორტრეტში საჭიროა გამოხატული იყოს არამც თუ გარეგანი, ინდივიდუალური სახე ადამიანისა, არამედ შინაგანი სახეც. ამას გარდა პორტრეტში გამოხატული უნდა იყვეს სახე საზოგადოთ ადამიანისა.

თანამედროვე ქართულ მხატვრობაში ჯერ სურათი არ ყოფილა.

ეს იმის ბრალიცაა, რომ ჩვენი დროის ქართული მხატვრობა ნამდვილ მხატვრულ მიზნებს არ ემსახურებოდა.

ჩვენ გვაქვს დასახული მიზნათ შეძლებისამებრ ქართულ მხატვრობაში სურათის სახე შევიტანოთ.

ბექა ოპიზარი.



ექა ოპიზარი იყო შესანიშნავი ოქროს მქანდაკებელი ჩვენი ისტორიის ბრწყინვალე დროში, მე XII საუკუნეში.

საქართველოს ცხოვრებაში მე XII საუკუნეს უკავია განსაკუთრებული ადგილი. ეს იყო დრო საქართველოს ბრწყინვალებისა. ამ დროს საქართველო უზრუნველყოფილი იყო როგორც გარეშე მტრისაგან, ისე შინაურ ცხოვრების მყუდროების დარღვევისაგან. ჩვენმა ხელოვნებამ და მეცნიერებამ ამ დროს მიაღწია თავის შესანიშნავ განვითარებას. ხუროთმოძღვრებამ მოგვცა საუკეთესო დამთავრებული ფორმა, რომლის სახით საქართველოს ამაყად უკავია თავი. მწერლობამ ხომ ამ დროს საუცხოვო დამთავრებული ფორმამდი მიაღწია. იმ დროინდელ მეცნიერების დაწინაურებას კი მოწმობს იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მოღვაწეობა. ამ დროს როდესაც ხელოვნების ორი დარგი მწერლობა და ხუროთმოძღვრება ყვავოდა, შეუძლებელი იყო ხელოვნების რომელიმე სხვა დარგს არ ჰქონოდა აყვავების ძალა. მართლაც ოქროს მქანდაკებლობამ ამ დროს მიაღწია თავის შესანიშნავ ფორმას, და ამ დარგის ერთ შესანიშნავ ხელოვანად უნდა ჩაითვალოს ბექა ოპიზარი.

ბექა ოპიზარის ცხოვრების და ვინაობის შესახებ ჯერ-ჯეროობით არაფერი არ ვიცით. როგორც მისი სახელი მოწმობს, ბექა უნდა ყოფილიყოს ოპიზიდან, რომელიც მდებარეობდა კლარჯეთში, შავშეთის წყლის ჩრდილოეთ-დასავლეთით. ჯერჯეროობით ბექას ნამდვილი ნაწარმოები მხოლოდ რამდენიმე ვიცით, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როდესაც ჯეროვნად შესწავლილი იქნება ბექას ქანდაკების ფორმა, მისი სახე და ტეხნიკური მხარე, ბევრი სხვა ნაწარმოები მიემატება მის სახელს.

ნამდვილი არა საეჭვო მის ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს ანჩის მაცხოვრის კარედი ხატის სამოსელი და გელათში დაცული წყაროსთავის სახარების ყდა*). ამას მოწმობს თვით ქანდაკებებზედ წარწერა. ეს ნაწარმოებები წარმო-

*) ანჩა, ბერთა და ტბეთი მდებარეობენ შავშეთში, ხოლო წყაროსთავი კი სამხრეთ ჯავახეთში.

ადგენენ საუცხოვო ნიმუშებს ოქროს მქანდაკებლობისა და თავისი სიდიადით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ხელოვნების ამ დარგში. ამ ნაწარმოებიდან სჩანს, რომ ბექა ოპიზარს საუცხოვოთ ჰქონია შესწავლილი ოქროსმქანდაკებლობის ტეხნიკა და მისი მხატვრული სული დიდ განვითარებამდის ასულა.

საზოგადოთ ოქროს-მქანდაკებლობას ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, და მას აქვს თავის განსაკუთრებული ფორმაც. პრინციპი, რომლის ფარგლებშიაც აქ მომწყვდეულია ფორმა, გამომდინარეობს ქანდაკების და მხატვრობის ფორმის შეთანხმებისაგან. საზოგადოთ ხატების მოჭედილობა ბარელიეფის პრინციპებზედაა დამყარებული. ბარელიეფს თავისი ფორმით უკავია შუა ადგილი მრგვალ ქანდაკების და მხატვრობის შორის. ქანდაკების სრული ფორმა აქ შეზღუდულია სიბრტყით, რომელზედაც სახე იქანდაკება, და მხატვრობის სახე ბარელიეფში იმაში გამოიხატება, რომ ფორმები სიბრტყეზედ ლაგდება. პერსპეკტივის პრინციპი არსებობს მხოლოდ მხატვრობაში, მრგვალ ქანდაკებას კი ეს არ სჭირია, რადგან იქ საგანი არ ლაგდება სხვა და სხვა სიბრტყეზედ. ბარელიეფში, თუ საგანი სხვა და სხვა სიბრტყეზედ ლაგდება, აუცილებელი საჭიროა პერსპეკტივის დაცვა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ბარელიეფში მხატვრული პერსპეკტივის ნამდვილი პრინციპი სრულიად არ იხმარება, ამიტომ პერსპეკტივისათვის მას თავისი ფორმა აქვს შემუშავებული. თუ ფორმა ბარელიეფში ერთ სიბრტყეზედ ლაგდება, მაშინ ფორმა იქანდაკება ერთი სიბრტყიდან გამომდინარე კანონის მიხედვით. ის თანდათანობითი სიბრტყეების დალაგება, რომელიც მრგვალ ქანდაკებაში არსებობს, ბარელიეფში უკვე სხვა სახითაა შეცვლილი. ბარელიეფში არსებობს ერთი უმთავრესი სიბრტყე, რომელზედაც ფორმა ისახება. სულერთია ერთი თუ რამდენიმე სახეა გამოსახატავი ბარელიეფში, ყველა ამ სახეების ფორმა ერთ უმთავრეს ბარელიეფის სიბრტყის იქით ვერ წავა. სწორეთ ეს ზღუდავს ბარელიეფის სახეს და ბარელიეფის დედა აზრი, მისი განვითარება და მისი სილამაზე ამ სიბრტყის და სახეების ერთმანეთში ზომიერ დალაგებაშია. ბარელიეფის ერთგვარი საუკეთესო ფორმები ჩვენ მოგვცა ასირიის და ეგვიპტის ხელოვნებამ. მის შემდეგ ძველმა და ახალმა საბერძნეთმა ახალი ფორმა მისცა ბარელიეფს და იტალიის რენესანსმა დონატელოს სახით კიდევ ახალი ფორმა დაგვანახვა.

სწორედ ბარელიეფის დარგში ბექას შემოქმედება დიდათ მნიშვნელოვანია. როგორც მის ნაწარმოებიდან სჩანს, მას ჰქონია ამ საკითხში დიდი ცოდნა. სრული მისი ნაწარმოების შესწავლა ჩვენ დაგვარწმუნებს, რომ ბარელიეფის ფორმას ბექამ თავისებური სახე მისცა, და საზოგადოთ იმდროინდელ ქანდაკე-

ბაში ბექას სული ნათლად ბრწყინვალებს. მისი ანჩის მაცხოვრის კარედის ხატის სამოსელი ამას მოწმობს. ბარელიეფის სიპრტყის დაცვა, სახეების სიბრტყესთან და ერთმანეთთან დაკავშირება, მხატვრული ფორმის შეთანხმება ბარელიეფის კანონებთან, სახეების სიბრტყეზე განაწილება—ყველა ეს საუცხოვო ბარელიეფის სახითაა შესრულებული და წარმოადგენს საუკეთესო სახეს ბარელიეფის ისტორიისათვის. ჩვენ ეხლა არ შეგვიძლია სრული დახასიათება მივსცეთ ბექა ოპიზარის ნაწარმოებს, რადგან ტეხნიკური მხარე ეხლა ხელს არ გვიწყობს. საჭიროა აღწერასთან ბექას ნაწარმოების დასურათება მიყვებოდეს. ეს ეხლა ტეხნიკურის მოსაზრებით შეუძლებელია. ჩვენ განძრახვა გვაქვს შემდეგში სრული გამოკვლევით და დასურათებით გადავხსნათ ბექა ოპიზარის სული და საზოგადოთ ჩვენი ოქროქანდლობის ხანა. ეხლა მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ უმთავრესი თვისება ანჩის ხატის სამოსელის ბარელიეფისა გამოიხატება ორიგინალურ ფორმაში, რითაც განირჩევა ეს ფორმა იმ დროინდელ ბიზანტიურ ფორმიდან. ისიც აღსანიშნავია, რომ ამნაირი ფორმას ვერც ბიზანტიურ ხელოვნებაში ვპოვებთ. თვით სამოსელის არშიას ხომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხატების მოქედილობის სახეების განვითარებისათვის*).

მეორე მისი უეჭველი ნაწარმოებია წყაროსთავის სახარების ყდა, რომელიც გელათშია. რომ ეს ნაწარმოები ბექას ეკუთვნის, ამას თვით მასზე დაცული წარწერა მოწმობს. ქვეშ, იესო ქრისტეს და ღვთის მშობლის შუა სწერია: „ᲥᲔ ᲨᲔ ᲝᲥ.ᲛᲥ ᲓᲔᲚᲘ: ᲑᲔᲥᲐᲯ ᲝᲞᲘᲖᲐᲠᲘ“. როგორც ყდის ბარელიეფები, ისე მისი საზოგადო მოკაზმულობა, არშია, საუცხოვო ფორმითაა შესრულებული. აქ უფრო დაცულია ბიზანტიური ფორმა, ვიდრე ანჩის ხატზედ. საერთო მოხაზულობის სახით და ტეხნიკური შესრულების მხრივ ეს ნაწარმოები წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს**).

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ტბეთის სახარების ყდა. ამ სახარების ყდა წარმოადგენს საუცხოვო ბარელიეფის ფორმის სახეს, და თავისი დამთავრებული ფორმით ბევრად წინ უსწრებს ზემო აღნიშნულ ყველა ნაწარმოებს. არა მგონია იმ დროინდელ ბარელიეფის ფორმაში მოიპოვებოდეს იმისთანა სახის ფორმა, როგორიცაა ღვთისმშობელი ამ სახარების ყდის წინა პირზედ. მთელი

*) ხატების მოქედილობის სახეების შესახებ და მათი განვითარების მოკლე ისტორია იხილეთ ჩვენი „ქართულ ხატების მოქედილობის სახეები“—პეტრეს ქალაქის უნივერსიტეტის სამეცნიერო წრის კრებულში.

**) გელათის ორივე სახარების შესახებ იხილეთ: Кондаковъ и Бакрадзе. „Опись памятниковъ древности Грузіи.“

მისი ტანი საუცხოოდ გადმოგცემს მის ტანჯვას, სამოსლის მოხაზულობაში საუცხოოდ დაცულია სხეულის ფორმა, და არც ერთი ზედმეტი ხაზი არ არღვევს ფორმის სიდიადეს. ეს სახე უნდა ჩაითვალოს ქართულ ბარელიეფის სიამაყედ. ზედ წარწერით ნათლად არა სჩანს ვისი მოჭედილია ეს ყდა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს ყდა შესაძლოა მოჭედილი იყოს ბექა ოპიზარის მიერ. სახეების ფორმა, შესრულება და კუთხეების არშიათა სახეები ძლიერ წააგავს წყაროსთავის სახარების ყდას და ეს გვარწმუნებს, რომ შესაძლოა ეს ორი სახარება ერთი ოქროსმქანდაკებლის მიერ იყოს მოჭედილი. ეს აზრი უფრო მისაღები ხდება იმ გარემოებით რომ ორივე სახარების გადამწერელი და ყდების მოჭედილობის შემკვეთელი ერთი და იგივე პირებია. ტბეთის სახარების ყდის მოჭედილობაზედ ასომთავრული ხუცურით სწერია (პეტრე და პავლეს სახის შუა):

:ქ:რლთაჯ
:ბრძ
ნა მოძ
ღრმნ:თ
ქნ მნ:
დასხდო
მი: სყდ
რთა

:ზა: დღ
სა: გნკთ
ხვსსა: მშნ:
მხ: მქმნთ: სულ
თა: სწყლობლსა;
ინე: მტსა:
:სფრელსა:
ან

უკანასკნელი სიტყვები სრულად იკითხება ასე: იოანე მტბევარსა საფარელსა, ამინ. ეს პირი არის ყდის მოჭედილობის შემკვეთელი.

წყაროსთავის სახარების ყდის მოჭედილობაზედ, მაცხოვრის სახის ქვეშ ასომთავრული ხუცურით სწერია:

ქ: შენდა: მომართ: შევსწჯრავ: მეუფეო.
და: ღო: ყთა: არსთა: უნდოი: იე: მტი.

უკანასკნელი სიტყვები იკითხება ასე: იოანე მტბევარი.

ორივე სახარების გადამწერელი (როგორც სახარებების მინაწერებიდან სჩანს) არის მწერალი იოანე ფუკარელის ძე. *)

მე XII საუკუნეს ეკუთვნის დიდათ მნიშვნელოვანი ხახულის ღვთის-მშო-

*) ცნობები ტბეთის სახარების შესახებ იხილეთ: „Матеріалы по археологіи Кавказа випускъ 12.

ბლის ხატის მოჭედილობა. თუ კი ჩვენ ბექა ოპიზარის ცნობილ ნაწარმოების სახეები სავსებით შევისწავლეთ, მაშინ ხახულის ხატის სიდიადე და მნიშვნელობა ნათლად დაგვენახება.

როგორც სჩანს საუკეთესო ოქროსმქანდაკებლობის ნაწარმოები ბექა ოპიზარის ხელს ეკუთვნის. მისი მქანდაკებლობა დამთავრებულ ფორმას წარმოადგენს და ყოვლად შეუძლებელია, რომ მას არ ჰქონოდა გავლენა ჩვენს ოქროსმქანდაკებლობაზედ. მე XII საუკუნის ოქრომჭედლობის ფორმა თითქმის მე XV საუკუნემდი ინახებოდა და ბექა ოპიზარის სული, როგორც საუცხოვო ფორმათა შემქნელი ჩვენთვის სანატრელი დარჩა.

გელათში არის მეორე სახარება, სახელდობრ—ბერთას სახარება, რომლის ყდა მოჭედილია იმავე სახით, ფორმით და შესრულებით, როგორც წყაროსთავის სახარების ყდა. მასზე წარწერიდან სჩანს რომ ეს ყდა მოჭედილია ბეშქენ ოპიზარის მიერ. რა დამოკიდებულებაა ბექას და ბეშქენ შორის არ ვიცით. ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ეს ორი სახარების ყდა ერთმანეთს ძლიერ წააგავენ. იგივე ფორმა, იგივე სახე და იგივე შესრულება. შესაძლოა ეს იმას მოწმობდეს, რომ მაშინ არსებობდა ოქროსმქანდაკებლობის ერთი ქართული შკოლა. ამ შემთხვევაში ბექა ოპიზარის სახელი ჩვენთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.



ტბეთის სახარების წიწა ყდა.

წყაროსთავის სახარების ყდა.
მოჭედილია ოქროჭედლის შექა ოპიზარის მიერ.

ძველი ტფილისი.

რასდროს კაცობრიობის ცხოვრებაში სიძველეს არ ჰქონია იმდენი ყურადღება მიპყრობილი, როგორც ეხლა, ჩვენ დროში. მე-XIX საუკუნეში მეცნიერებამ სიძველის ნაშთების შესწავლაში დიდათ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ამის გამო ჩვენ ეხლა უფრო სწორი წარმოდგენა გვაქვს კაცობრიობის კულტურაზედ.

სიძველეს აქვს თავისი სილამაზე. ჩვენი ეხლანდელი გრძნობა ყოველ სიძველის ნაშთებში პოულობს ერთგვარ სილამაზეს. ამის უმთავრესი მიზეზია, წმინდა მხატვრული თვალსაზრისით რომ ავხსნათ, სიძველის ფაქტურა. ფაქტურას ახასიათებს ფორმის გარეგანი მხარე, მისი გარეგანი გარსის თვისება, ფორმის ზედაპირის ხასიათი. არსებობს ადამიანის გრძნობა, რომელიც ადამიანს ფორმის ფაქტურისადმი მიიწვდის. პირველყოფილი ადამიანი ფაქტურას იმდენათვე ეტანებოდა, რამდენათაც თანამედროვე კულტურული ადამიანი. საზოგადოთ ადამიანის ცხოვრებაში ფაქტურას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. სიძველის ფაქტურას ქმნის დრო, რომლის მიზეზით ყოველივე ფორმის გარეგანი გარსი იცვლება. სწორედ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ნამდვილი ძველი საგანი ყოველთვის განირჩევა ახალი მისი მიბაძვისაგან. ფაქტურის სახის შესწავლა და დაკვირვება არასდროს არ შეაცდენს ადამიანს ძველი და ახალი საგნების გარჩევაში.

წმინდა მხატვრული გრძნობის გარდა სიძველისადმი სიყვარულს ჩვენ გვიკარნახებს წარსულ ცხოვრების და კულტურის ცოდნა. ჩვენი წინაპრების სული კიდევ დარჩენილია სხვადასხვა ნაშთებში, რომელმაც ჩვენამდი მოაღწია. სიძველის ნაშთებში ჩვენ ვკითხულობთ წარსულის ცხოვრებას.

ძველ ტფილისს ჩვენი წარსულის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იმ ნაშთებში, რომლებმაც ჩვენამდი მოაღწია, კიდევ ნათლათ სჩანს წარსული ცხოვრების სახე. ამბობენ, რომ ჩვენ საერო ხუროთმოძღვრების ნაშთები თითქმის არ შეგვრჩენიაო. მაგრამ გაიარეთ ძველ ტფილისში, და იქ ნახავთ რამდენათ უსაფუძვლოა ეს აზრი. როდესაც იმ ვიწრო, ყრუ და დაბნეულ ქუჩებში დაიარებით, სადაც კიდევ შერჩენილია ძველი ტფილისის სახლები, სიძველის სიდიადის გრძნობას განიცდით. ზოგ ადგილას შეხვდებით საუცხოვო

მოხაზულობის შენობას. შენობის გარეგანი მხარის გარდა, მათი შინაგანი მხარეც მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს.

აუცილებელი საჭიროებაა, რომ ძველი ტფილისის ნაშთებს ეხლავე სათანადო ყურადღება მიექცეს. საჭიროა ეს ნაშთები ეხლავე შესწავლილი იქნეს მით უმეტეს, რომ ზოგი შენობა სიძველისაგან ძლივსღა სულს ღაფავს, და შორს არ არის ის დრო, როდესაც რომელიმე ვერაგული ხელი მას დაანგრევს, რომ მის ნანგრევებზე ააგოს ეხლანდელი სარგებლიანი შენობა. თუ კი ჩვენ ძველი ტფილისის სიძველეების შენარჩუნებას ეხლავე ხელი არ მოვკიდეთ, მერმე უკვე გვიან იქნება.


14



დავით კაკაბაძე.

„ძველი ტფილისი“
(ფანქრით ნახატი. 1918 წ.)



დავით კაკაბაძე.

„ძველი ტფილისი“
(ფანქრით ნახატი. 1918 წ.)

საქართველოს ღერბი.

(კონკურსის და შესრულების შესახებ).

ახელმწიფოებრივი ღერბი არის სიმბოლიური გამოხატულება სახელმწიფოს არსებობისა. ამიტომ ღერბის სახე უნდა გამოხატავდეს სახელმწიფოს არსებითი ელემენტებს, მისი ტრადიციული ნიშნებით. ჩვენი სამშობლოს ღერბიც სწორედ უნდა ყოფილიყო შესრულებული ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ისტორიის და ტრადიციის მიხედვით. სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი ღერბი, უკვე მთავრობის და პარლამენტის მიერ დამტკიცებული არ შეეფერება თავის დანიშნულებას. ამ მიღებულ სახით ღერბის ცხოვრებაში გატარება ჩვენ მიგვაჩნია შეუწყნარებლათ. მიზეზი ღერბის უვარგისობისა არის ის არა ნორმალური პირობები, რომლის ფარგლებში ხდებოდა ღერბის შემუშავება.

როგორც ვიცით ღერბის შესრულებისათვის მთავრობამ გამოაცხადა კონკურსი. კონკურსი იყო გამოცხადებული განსაკუთრებულ პირობების აღნიშვნით. ამ პირობების შემუშავებაში იღებდა მონაწილეობას ქართველ მხატვართა საზოგადოებაც. ცხადია, რომ კონკურსის პირობები იმისათვის არსებობს, რომ ამ პირობების ფარგლებში უნდა მოხდეს მისი შესრულება, და ეს პირობები სავალდებულო უნდა იყვეს, როგორც კონკურსში მონაწილეობის მიმღებთათვის, ისე მათთვის, ვინც კონკურსს აცხადებს. თუ კი ამ პირობებს არც ერთი მხარე ანგარიშს არ გაუწევს, მაშინ იბადება კითხვა: რისთვისაა საჭირო ეს პირობები?

სწორედ ჩვენი ღერბის შესრულების კონკურსი მოხდა არაშესაფერ პირობებში, და ეს არის უმთავრესი მიზეზი ღერბის უვარგისობისა. მთავრობამ დაარღვია კონკურსის უმთავრესი პირობები. პირველი პირობა, რომელიც უკვე კონკურსის შედეგს სწყვეტდა, ეს იყო დამფასებელთა შემადგენლობა. კონკურსის პირობის მიხედვით დამფასებელთა კოლეგია უნდა ყოფილიყო შემდგარი მთავრობის, პარლამენტის, მეცნიერთა და მხატვართა საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. მთავრობამ ეს პირობა დაარღვია: დამფასებელთა შორის არ იყო მოწვეული არც მეცნიერი და არც მხატვარი. კონკურსის ნამდვილ დაფასებას კი აუცილებლად ესაჭიროებოდა როგორც მეცნიერი, ისე მხატვარი. მთავრობამ კი მთელი კონკურსის დაფასება მარტო თავის თავზე იდვა. ამ უმთავრეს პირობის დარღვევას, რასაკვირველია, მოყვა სხვა პირო-

ბების დარღვევაც, რადგან დამფასებელთა შემადგენლობაზედ იყო დამყარებული სხვა პირობების დაცვა. კონკურსის მეორე პირობა იყო, რომ ღერბი შესრულებული ყოფილიყო ქართული სტილის მიხედვით. მიღებულ პროექტში ქართული სტილი სრულებით არ არის დაცული. მესამე პირობა აღნიშნავდა, რომ ღერბის შესრულების დროს უნდა ყოფილიყო დაცული ზოგადი ღერალდიული წესი. მიღებულ პროექტში კი არც ერთი უმთავრესი ღერალდიული წესი არ არის დაცული. ჩვენი ღერბის სახეს შეადგენს თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. დამფასებელთათვის სრულებით შეუმჩნეველი დარჩა, რომ მიღებულ პროექტში ცხრა მნათობი იყო.

მიღებული ღერბის სახე შესრულებულია შარლემანის მიერ. შესწორების შემდეგ ღერბის სახე წარმოადგენს შემდეგს: თეთრი გიორგი ცხენზედ მჯდომარე შვიდი მნათობით მრგვალ ფარზედ. ღერბისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო გარეგნული მხარეც, და, რასაკვირველია, ქართული ღერბი უნდა ყოფილიყო შესრულებული ქართული სტილის მიხედვით. ჩვენ ვამტკიცებთ და ვიმეორებთ, რომ შარლემანის მიერ შესრულებულ ღერბის სახეში სრულებით არ არის დაცული ქართული სტილი. პირიქით, **გიორგის სახე შესრულებულია რუსული საეკლესიო-სახატო რიგის მიხედვით**. იყო დრო როდესაც საქართველოს ხელოვნება ბრწყინვალე ხანას განიცდიდა. მან შექმნა განსაკუთრებული თავისი ფორმები ხელოვნების ყველა დარგში, და კერძოდ მხატვრობაში კი თავისი რიგიც შეიმუშავა.

ჩვენ გვაქვს როგორც საერო, ისე საეკლესიო მხატვრობა. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ ჩვენი ღერბის სახე რუსულ რიგზედ იქნეს აგებული, როდესაც ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი სტილი. გიორგის პირის სახე, მისი საზოგადო მოხაზულობა, მისი ხელების მოძრაობა შესრულებულია ეგრედ წოდებულ შეერთებულ „მოსკოვის“ და „ნოვგოროდის“ მე-XV—XVI საუკუნის მხატვრობის რიგზედ. ვინც იცნობს მოსკოვის და ნოვგოროდის მხატვრობის რიგს, ის ადვილათ დაინახავს შარლემანის მიერ შესრულებულ გიორგის სახეში ამ მხატვრობის სახეს. ეს რუსული სტილი კი განსაკუთრებით დაცულია გიორგის პირის სახეში, როგორც საზოგადო მოხაზულობაში, ისე ფორმის მხრივ.

გიორგის ცხენის ნახაზობაშიც დაცულია მოსკოვ-ნოვგოროდის რიგი, მხოლოდ აქ უფრო თავისუფლადაა ნახმარი ეს რიგი. ცხენის თავის და ფეხების ნახაზობაში ნათლად არის დაცული ეს რუსული რიგი, მხოლოდ ცხე-

ნის ტანის სხვა ნაწილი კი შესრულებულია თავისუფალი ნახატობით. *)

ფარი, რომელზედაც მოთავსებულია გიორგი, წარმოადგენს მხოლოდ უბრალო მრგვალ სახეს, რომელსაც არავითარი ნიშანი არ ახლავს ქართული სტილისა. ცხენის ძირს, მის ფეხების შუა, მოთავსებულია არაბულ კამარის მზგავსი მოხაზულობა, მაგრამ რისთვის, ან რად ესაჭიროება აქ ეს სახე—ყოვლად გაუგებარია.

საზოგადოთ ღერბი უნდა იყოს შესრულებული ღერალდიული წესების მიხედვით. ღერალდიული წესების დაცვა იმისათვისაა საჭირო, რომ ეს აადვილებს ღერბის ხმარებას. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი ღერბიც სრული ღერალდიული წესების მიხედვით ყოფილიყო შესრულებული, და ამით ჩვენი ღერბი ყველასათვის გასაგები ყოფილიყო. მაგრამ მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ღერალდიული წესები მხოლოდ ზოგადათ ყოფილიყო დაცული. მიღებულ ღერბის ნახატში კი არც ერთი უმთავრესი ღერალდიული წესი არ არის დაცული. მაგალითად, ფერადების ხმარებაში ღერალდიკას აქვს შემუშავებული ერთი წესი. არსებობს წესი ლითორების ხმარებაშიც. ეს წესები აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაცული, რადგან ამაზედ დამოკიდებულია ღერბის გრაფიკული გამოხატვა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მიღებული ღერბის ნახატი ცხოვრებაში გატარდეს, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვით მთავრობა მალე დაინახავს ამას.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ჩვენი მოსაზრება საქართველოს ღერბის შესახებ. ჩვენის აზრით საქართველოს ღერბი უნდა ყოფილიყო შესრულებული ქართული სტილის მიხედვით, მაგრამ საერო რიგისა, და არა საეკლესიო. (ძველი რუსეთის საერო მხატვრული სტილი ჩვენ არ ვიცით, რადგან მას ეს არც ჰქონია, ჩვენ კი გვაქვს როგორც საერო, ისე საეკლესიო მხატვრობა). თეთრი გიორგის ფორმას უფრო შეეხამება საერო მხატვრული სტილი ვიდრე საეკლესიო. შვიდი მნათობი მთავრობის მიერ დამტკიცებულ ღერბში გამოსახულია ხუთი ვარსკვლავით, მზით და მთვარით. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ყველა მნათობები უნდა ყოფილიყო ერთი სახის, მაგალითად ვარსკვლავისა. ეს იმ მოსაზრებით, რომ ბერძნულ მითოლოგიის გარდა, შვიდ მნათობს ჩვენში ადგილობრივი მნიშვნელობაც ჰქონდა, როგორც სახეს შვიდი სამთავროისა. ამიტომ, ჩვენს დროში საჭიროა, რომ ყველა მნათობებს ერ-

*) ერთ ადგილობრივ ჟურნალში ცნობა იყო, რომ საზავო კონფერენციაზე საფრანგეთში მიმავალმა ჩვენმა დელეგაციამ თან წაიღო მიღებულ ღერბის ნახატი, რომ საფრანგეთის ჟურნალ--გაზეთებში მოათავსონ. ევროპას ვაცნობთ საქართველოს ღერბს რუსული სტილით ნახატს, ვითომც ქართული მხატვრული სტილი არ არსებობდეს...

თი სახე ჰქონოდა, რაც აღნიშნავდა უპირატესობის მოსპობას. ამით შევიტანდით ჩვენ ღერბის ფორმაში ახალ სახეს.

ჩვენ გვსურდა, რომ საზოგადოებისათვის გაგვეცნო კონკურსისათვის წარმოდგენილი ღერბის ყველა ნახატები, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება, რადგან კონკურსი იმნაირ პირობებში სწარმოებდა, რომ ჩვენ შეძლება არ გვქონდა გვენახა ყველა ნახატები და გვესარგებლა მათი. საზოგადო კონკურსის წესით კი კონკურსის გათავების შემდეგ ყველა პროექტებს საჯაროთ გამოაფენენ, რომ საზოგადოებამ თავისი მსჯავრი დასდოს.

ქართული დრამატიული სტუდია.

ანამედროვე ჩვენი ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ ყველა ხელოვნების დარგი ეხლა ძიების ხანას განიცდის. ეს დიდათ სასიამოვნო მოვლენაა. ეს უკვე ნიშნავს ხელოვნების აყვავების ხანის მოახლოვებას. ჩვენი თეატრალური ხელოვნებაც ფიქრობს ამ გზას დაადგეს. დრამატიულ სტუდიის დაარსების მიზანი სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. მან უკვე დაგვანახვა ჩვენ თავისი ნაწარმოები. პირველი მისი გამოსვლა ბრიეს მუსიკალური დრამით „სარწმუნოებით“ დაიწყო. მეორე წარმოდგენა იყო სუმბათაშვილის „ღალატი“. ამ ორი წარმოდგენიდან ნათლად დავინახეთ, რომ სტუდიას ეხლანდელი სახით არ აქვს შეძლება ჩვენი თეატრის ახალი ფორმის შექმნისათვის. მიზეზი სტუდიის ამგვარ შედეგისა არის ის, რომ მას არა აქვს დასახული ნამდვილი თეატრალური მიზანი, რომ მისი მუშაობა არ წარმოებს ნამდვილი თეატრალური ნიადაგზედ, რომ მას არა აქვს ერთი გარკვეული თეატრალური პრინციპი.

თეატრალური სტუდია ეს იგივე შკოლაა, სადაც საშკოლო სისტემის საშუალებით უნდა ისწავლებოდეს თეატრალური ხელოვნება. თანამედროვე ევროპის თეატრალურმა ხელოვნებამ დიდი ნაბიჯი გადადგა თეატრის ფორმის გაღრმავებაში. ეხლანდელი თეატრალური ხელოვნება სრულ მეცნიერულ ნიადაგზედაა დამყარებული და უკვე შემუშავებულია თეატრალური პრინციპები და მეთოდიკა, რომლის საშვალებით ევროპის თეატრმა მიაღწია თავის სრულ ფორმამდი. ჩვენი თეატრის უნუგეშო მდგომარეობა სწორედ იმაშია, რომ ის აგერ რამდენიმე ათეული წელიწადია ერთ წერტილზედ სდგას. მისთვის უცნობი იყო ევროპის თეატრალური გზები. აი სწორედ ამისათვის საჭიროა ჩვენში თეატრალურ საქმის ჯეროვნად დაყენება. საჭიროა ნამდვილი თეატრალურ პრინციპებზედ და მეთოდიკაზედ დამყარებული მუშაობა და მხოლოდ მაშინ ჩვენ შეგვეძლება ჩვენი თეატრის ახალი ფორმის შექმნა.

სწორედ ეს ჯერჯეობით არ აქვთ შეთვისებული სტუდიის მეთაურებს

და ეს არის მიზეზი მათი უნუგეშო მდგომარეობისა, რომელიც უფრო ნათლად „ღალატის“ წარმოდგენიდან სჩანს.

რაც შეეხება სტუდიის მიერ დადგმულ წარმოდგენებს, შეგვიძლია შემდეგი ვსთქვათ. თეატრალურ ელემენტებში რეჟისორს უკავია განსაკუთრებული ადგილი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ თეატრის მხატვრული ფორმა წარმოდგენაშია და წარმოდგენის წესიერად დაყენება რეჟისორის საქმეა. დრამა ისე დადგმული უნდა იყვეს, რომ ყველა თეატრალური საშვალებანი დრამის დედა აზრს აშუქებდეს. ყოვლად შეუძლებელია, რომ დრამა ერთ რითმზე აგებული იყვეს და მისი წარმოდგენა კი მეორე უცხო რითმზე, ან და სრულებით ურითმოთ წარმოებდეს, როგორც ეს იყო „სარწმუნოება“-ში. დრამის და წარმოდგენის რითმის დაცვა რეჟისორის საქმეა. თეატრალურ რეჟისორის მნიშვნელობა ჩვენთვის უფრო ნათელი იქნება, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ რეჟისორის მადლიანი ხელი ჩვენ ცხოვრების ყველა დარგში მოსჩანს. ისტორიული სინამდვილე წარმოდგენის გარეგნულ მხარეში იმდენათ უნდა იყვეს დაცული, რამდენადაც ამას მოითხოვს ის თეატრალური პრინციპი, რომელზედაც დამყარებულია რეჟისორი. ყოველ დროის ნამდვილი ცხოვრების ცოდნა ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ გვაქვს საშვალება მხოლოდ გავეცნოთ იმ დროინდელ ცხოვრებას ხელოვნების და არხეოლოგიური ნაშთებით. ამ საქმეში მეცნიერება სწორ გზაზედ დაგვაყენებს. მაგალითად, ჩვენ უკვე გვაქვს ერთი წარმოდგენა ეგვიპტის ხანის ცხოვრებიდან. და თუ კი „სარწმუნოების“ წარმოდგენაში რეჟისორს უნდოდა ჩვენთვის ეჩვენებინა ეგვიპტის ცხოვრების ხანა, ეს მიზანი სრულიად მიუღწეველი დარჩა. მაგალითად, იაუმას ცოტა რიგზედ თამაში სრულ დისონანსად გამოსჩანდა სხვა მოთამაშეთა შორის. უმთავრესი მოთამაშენი კი თავის როლს ასრულებდნენ იმ რიგზე, რა რიგზედაც საზოგადოთ თამაშობენ ჩვენი ძველი მამა-მსახიობები თანამედროვე როლებს. მოთამაშეთ სრულებით დავიწყებიათ, რომ „სარწმუნოება“ ეგვიპტის ცხოვრებიდანაა. რაც შეეხება მასიური მოქმედებას, ბრბოს თამაშს, ეს ხომ ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ბრბოს აუტანელმა, ხანგრძლივმა განგაშმა ძალზედ მოღალა საზოგადოება. „სარწმუნოების“ წარმოდგენაში დიდი გაუგებრობა დასტოვა მუსიკალურმა დახასიათებამ; მუსიკალური დახასიათების რიტმი სრულებითაც არ შეეფერებოდა წარმოდგენის რიგს. რად ესაჭიროება დრამას მუსიკა, თუ კი ის დრამას ვერაფერს შემატებს. ეს რეჟისორს კარგად უნდა გაერკვია. ტყვილად კი არ ჰქვია ბრიეს დრამას „მუსიკალური დრამა“.

მეორე სტუდიის წარმოდგენამ—სუმბათაშვილის „ღალატმა“—უფრო

ნათლად დაგვანახვა სტუდიის ყველა სუსტი მხარეები. ამ წარმოდგენაში არამც თუ ახალი ფორმა ვერ დაგვანახვეს, არამედ ვერც მამა-მსახიობების შედარებითი კარგ ფორმას მიაღწიენ. მათი თამაშში მხოლოდ ის სჩანდა, რომ სტუდიის მიზანია ვითომც მამა-მსახიობთან შეჯიბრება. ეს ცუდი ნიშანია. აქ შეჯიბრებით არაფერი არ გაკეთდება, რადგან მამა-მსახიობები ამ გვარ შეჯიბრებაში ძლიერი გამოდგებიან, მათ ტრადიცია ხელმძღვანელობს. საჭიროა ახალი ფორმის, ახალ პრინციპებზედ დამყარებული შკოლის შექმნა, მეცნიერული მეთოდის საშუალებით სწავლა, წინდახედულობა და არა უკან მზერა.

პერსონალურად სტუდიის მსახიობთა თამაშის შესახებ ჯერჯერობით არაფერს ვიტყვით, რადგან შეუძლებელია ახალგაზრდა მსახიობთა თამაშობის უნარი დააფასო, როდესაც მათ იმისთანა ძნელ საქმეს აკისრებენ, როგორც არის ბრიეს „სარწმუნოების“ და „ღალატის“ შესრულება. აქ ახალგაზრდა მსახიობები კი არ არიან დამნაშავენი, არამედ სტუდიის ხელმძღვანელნი. მსახიობის დაფასება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მას მისთვის გარკვეულ მდგომარეობაში ხედავთ.

როგორც სჩანს, ჩვენი თეატრის აღორძინებას იმ სახის სტუდია, როგორიც ეხლა არის, ვერ შესძლებს. საჭიროა ნამდვილი თეატრალურ პრინციპებზედ დამყარებული შკოლა, ან სტუდია; საჭიროა ნამდვილი გამოცდილი თეატრალური მეთოდით ხელმძღვანელობა. ხელოვნებაც მეცნიერებაა და ამიტომ თეატრალურ საქმეს მეცნიერული მხარე უნდა უწყობდეს ხელს. აჩქარება ამ საქმეში არ არის საჭირო. საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა და, როგორც ყველა ხელოვნებაში, მსხვერპლის გაღება.





3.

3

მალაქია ტორელიძე.

სუბიექტივიზმი თუ ობიექტივიზმი.

ფ. ქ.

რავალ-გვარია ის საგნები, რომელთა ცოდნა ადამიანისათვის აუცილებელია და ამის მიხედვით, მრავალ დარგათ იყოფა მეცნიერება, რომლის დანიშნულებაა მათი ახსნა და გაგება. ადამიანის გარეშე მყოფი ბუნება და თვით ადამიანი, როგორც ნაწილი ამ ბუნებისა, საზოგადოება და მასში აღმოცენებულნი ადამიანთა ურთიერთობანი, ენა და სხვადასხვა იდეოლოგიური ფორმები—ყველა ეს შეადგენს მეცნიერების საგანს და ყველა ამის შესწავლას განსაკუთრებულათ ემსახურება მისი სხვადასხვა დარგი; ბუნების-მეტყველება და საზოგადოებრივი მეცნიერება—ეს უმთავრესი დარგებია, რომელნიც თავის მხრივ იყოფიან უფრო წვრილ დარგებათ.

ერთი თვალის გადავლება საკმარისია, რომ თანამედროვე მეცნიერებაში ორი მიმართულება დაინახოთ. მიმართულება, რომელიც ცდილობს გამოიკვლიოს და შეისწავლოს ესა თუ ის მოვლენა იმ სახით, როგორც ის არსებობს, სრულიად დამოუკიდებლად ადამიანის პირადი თვისებიდან, იწოდება **ობიექტიურ** მიმართულებათ; ობიექტივიზმი გვერდზე სტოვებს ადამიანის სიმპატია—ანტიპატიას საკვლევ საგნებზე და ცდილობს იპოვოს მიზეზობრივი კავშირი თვით მოვლენათა შორის. ამით განისაზღვრება მისი მიზანი და ამას იქით ის არ მიდის. პირიქით, **სუბიექტივიზმი** თავის კვლევა—ძიების დროს გამოდის ადამიანის სულიერი ვითარებიდან, მის გრძნობათა **თვ**ისებებიდან და ამის შესაფერათ აშენებს თავის ახსნა-განმარტებას ამა თუ იმ მოვლენაზე; სუბიექტი აქ გამოსავალი წერტილია, ქვა-კუთხედია, რომელზედაც მყარდება მოვლენათა შესწავლა და ცოდნა. ობიექტივიზმი და სუბიექტივიზმი ძირეულათ უარყოფენ ერთი მეორეს და, თუ სახეში არ მივიღებთ ეკლეკტიურ სისტემებს, რომლებიც მათ შეერთებას ცდილობენ, თანამედროვე მეცნიერებაში ისინი წარმოადგენენ ორ უმთავრეს მიმართულებას, რომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული.

მეცნიერების ის დარგი, სადაც ობიექტივიზმმა პირველათ მოიკიდა ფეხი და გამეფდა—არის ბუნების მეცნიერება. გარეშე ბუნება უმთავრესი პირობაა ადამიანის ცხოვრების და მის კეთილდღეობის. ის აძლევს მას მის სიცოცხლისთვის აუცილებლათ საჭირო ყოველ-გვარ მასალას,—ის მისი კეთილ-მყო-

ფელია. ის ემუქრება და ანადგურებს მის სიცოცხლეს თავისი სტიქიური მოვლენებით,—ამ მხრივ ის მისი შეუბრალებელი მტერია. ამიტომ ბუნების მოვლენათა კავშირი, მათი რეგულიარობა და კანონებრივი მიმდინარეობა იმ თავითვე იქცევს ადამიანის ყურადღებას, ხდება საგნათ მისი კვლევისა და რამდენათაც ის მოვლენათა შორის პოულობს მიზეზობრივ კავშირს, იმდენათ ის შეგნებულათ ეგუება მათ და, წინათ მონა, ახლა მათი ბატონი ხდება.

ასეთ კვლევაში ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი მოასწავებს ადამიანის შესაფერ გამარჯვებას ბუნებაზე; ეს მისი სიცოცხლის მეტი უზრუნველ-ყოფაა, მისი კეთილ-დღეობის მომატებაა. ბუნებისგან დამოკიდებულება ამით არ ისპობა, ხოლო მისგან დამონავებას კი ბოლო ეღება. ადამიანი ვერ შეუშლის მეხს ჩამოვარდნას, ის მხოლოთ მეხის ამცილებელ მანქანას გაუკეთებს თავის სახლს და შიგ არხეინათ მოიკალათებს ჭექა-ქუხილის დროს. მზის დაბნელება მასში ცრუმორწმუნეობის შიშს ვერ გამოიწვევს, ის სულის საქმეს არ შეუდგება და სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდება; ის გაცილებით ადრე განსაზღვრავს საათს და წუთს როგორც მზის დაბნელების დაწყებისა, ისე მის გათავებისა და წარბშეუხრელათ განაგრძობს თავის საქმეს. ეს კიდევ ცოტაა. ის არა თუ მარტო ეგუება ბუნების გამანადგურებელ ძალებს,—ის მათ თავის სასარგებლოთ იყენებს. მდინარეს, რომელიც მას სხვა დროს ახრჩობს, ის წისქვილებს აბრუნებინებს, ტივებს აზიდვინებს, ყანებს არწყვევინებს. საერთოთ, ბუნების ძალთა კარგათ გაცნობით ის ახალ-ახალ იარაღს იძენს იმავე ბუნებასთან უკეთ საბრძოლველათ და თავის კეთილდღეობის წარსამატებლათ. ბუნების ცოდნა აუცილებელი პირობაა მისგან ადამიანის ემანსიპაციისა.

კაპიტალიზმის განვითარება, რომელიც ისტორიაში წარმოადგენს საარსებო ნივთთა უმაგალითო მასიურ წარმოებას და მაშასადამე ბუნების ძალთა მასსიურ ექსპლოატაციას, აუცილებლათ გულისხმობს ბუნების მეცნიერების მძლავრ განვითარებას. და ეს ასეც იყო. თავის უმაღლეს განვითარებას მან კაპიტალიზმში მიაღწია. წარმოებაში არსებული შრომის განაწილება მეცნიერების ხვედრიც შეიქნა, მრავალ დარგათ დაყოფილი ბუნების მეცნიერება მტკიცეთ დაემყარა ბუნების კანონთა ცოდნაზე და ადამიანს ხელში მისცა მის საიდუმლოებათა მისაგნები, ჯადოსნური გასაღები. აქ ობიექტივიზმი სასტიკათ დაცულია; ბუნება ბუნებითვე იხსნება და რაიმე სულს, ან რაიმე მის გარეშე მდგომ ძალას არ საჭიროებს; მის მოვლენათა კანონებრივი მიმდინარეობა საუცხოო საშუალებას გვაძლევს მომავალი მოვლენებიც გამოვიცნოთ და საჭიროებისამებრ კიდეც გამოვიწვიოთ ივინი, ადამიანის (სუბიექტის) ფსიხიკის, მის სულიერ ვითარე-

ბის და. თვისებათა შესახებ აქ ლაპარაკიც მეტია—ბუნების მოვლენები სრულიად დამოუკიდებელია მათგან.

საზოგადოებრივი მეცნიერება ადამიანთა საზოგადოების მოვლენათა შესწავლას ისახავს თავის მიზნათ: ის არკვევს ერთის მხრით მის მასსიურ მოვლენათა ხასიათს, მეორე მხრით თვით ინდივიდუმის მდგომარეობას და მის როლს საზოგადოებაში; ცდილობს აუცილებლობის კავშირი იპოვოს ამ მოვლენათა შორის და მათ ურთიერთობაში კანონებრივი დამოკიდებულება აღმოაჩინოს. ეს დარგი მეცნიერებისა იმავე კაპიტალიზმის განვითარების ხანაში ეწია თავის აღორძინებას და ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებას. კაპიტალიზმმა გადალახა ნაციონალური ზღუდეები და თავის ძლევა-მოსილ მსვლელობაში არც ერთი კუნჭული არ დასტოვა დედამიწაზე ხელუხლებელი. მან აღმოაჩინა განსხვავებულ პირობებში მცხოვრები სხვადასხვა ხალხნი, მათი წარმოების სხვადასხვა წესი და საზოგადოებრივ ფორმების მრავალ-ფეროვნება, რაიცა საუკეთესო მასალას და პირობებს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მეცნიერების სისტემატიურათ შემუშავებისათვის. მეორე მხრით, ინტერესი მეცნიერების ამ დარგისადმი დაიბადა და საგრძნობელი გახდა სწორეთ იმ ხანაში როდესაც ცხოვრების საზოგადოებრივი პირობები ბორკავდენ ცხოვრების ნორმალურ განვითარებას, და მით იწვევდენ საზოგადოების პროგრესიულ ნაწილში მისი შეცვლის სურვილს; და ეს ინტერესი მით უფრო ცხოველი იყო, რამდენათაც ეს პირობები საზოგადოებრივი ცხოვრებისა ვითარდებოდენ ადამიანის ნებისა და მისი შეგნებისაგან დამოუკიდებლათ და რამდენათაც მათი არსებობისა და ზედ-გავლენის შედეგები რაღაც ულმობლათ და თან ადამიანის მოქმედებისაგან სრულიათ დამოუკიდებლათ და მისტიურად ისახებოდენ თანამედროვეთა თვალში.

რა როლი უჭირავს პიროვნებას საზოგადოებაში? საზოგადოება ჰქმნის პიროვნებას და არა პირიქით,—ამტკიცებენ მეთვრამეტე საუკუნის ენციკლოპედისტები; პიროვნება—ეს ნაყოფია გარეშე პირობებისა, მაშასადამე, პიროვნება უძლურია თავისი ცხოვრება უკეთ მოაწყოს, მისი ავიც და კარგიც გარეშე (საზოგადოებრივ) პირობებზე ჰკიდია; მისი გასწორებაც და საერთოთ ცხოვრების უკეთ მოწყობაც შესაძლებელია მხოლოთ თვით საზოგადოების სხვა-გვარათ გარდაქმნით. ერთი სიტყვით, გარეშე, ობიექტიური პირობები—აი მიზეზი და წყარო თვით პიროვნების (სუბიექტის) ყოველ-გვარ სიავ-კარგისა.

როგორც კაპიტალის ინტერესების გამომხატველნი, მაშინდელი მეცნიერნი დაინტერესებულნი იყვნენ საზოგადოების გარდაქმნაში, მაგრამ როგორ უნ-

და მოხდეს ეს გარდაქმნა? ამ კითხვაზე პასუხი მათ ვერ მისცეს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მათ ვერ მისცეს, **სწორი პასუხი** და მაშინდელ ობიექტიურ პირობებს თუ მივიღებთ მხედველობაში, ეს შეუძლებელიც იყო. კითხვა ისმება, —რა არის საზოგადოებრივი განვითარების მთავარი ღერძი, მისი წინ-წამწევი ობიექტიური პირობა? კლასთა ბრძოლა,—გვეუბნება თანამედროვე მეცნიერება. მაგრამ სწორეთ ამის დანახვა და დაფასება შეუძლებელი იყო მაშინ. და აი მეთვრამეტე საუკუნის მეცნიერნი, ეს უკიდურესი მატერიალისტები, ამ კითხვაზე იდეალისტურ პასუხს იძლევიან, თავის მკაცრ ობიექტივიზმს სუბიექტივიზმით აწყალებენ და მით აშკარა წინააღმდეგობაში ვარდებიან. კლასთა ბრძოლის მაგივრათ მათ წამოაყენეს პიროვნება; განათლებული მეფე ან რომელიმე ძლიერი ამა ქვეყნისა, რომელსაც საზოგადოების სადავე ხელში უჭირავს, წარმოადგენს მათ თვალში იმ ძალას, რომელიც თავის სურვილისამებრ გარდაქმნის საზოგადოებას. როგორც ვთქვით, ეს წინააღმდეგობა საესებით აიხსნება იმ ისტორიული პირობებით, რომელშიაც ამ მეცნიერებს მოუხდათ მოღვაწეობა.

მართალია, კლასთა ბრძოლა დიდი ხნის ამბავია და პირველყოფილი კომუნიზმის დარღვევის შემდეგ ის წარმოადგენს მთელი ისტორიის მუდმივ და აუცილებელ ელემენტს, მაგრამ მისი თვალსაჩინოთ დანახვა და მეცნიერულათ გამოკვლევა შეუძლებელი იყო, სანამ იგი არ გამოცხადდა თავისი აშკარა და კლასიკური ფორმით,—ეს მოხდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, როდესაც გამძლავრებულმა და ძველ საზოგადოებრივ ჩარჩოებში ვეღარ დატეულმა კაპიტალმა მედგარი იერიში მიიტანა თავის მოსისხლე მტერ—ფეოდალიზმზე, სძლია და დაასამარა იგი. კლასთა ბრძოლის ეს ფორმა უჩვეულ და უმაგალითო იყო ისტორიაში და ამ დღიდან მან მიიპყრო კიდეც საზოგადოების მკვლევართა ყურადღება. ხოლო ბურჟუაზიის წარმომადგენელთ არ დასცალდათ ამ ფაქტის (კლასთა ბრძოლის) შესაფერათ გარკვევა და დაფასება. კლასობრივმა ინსტინქტმა თავისი გაიტანა და ობიექტიურ ბურჟუაზიულ მკვლევართ კალამი ხელიდან გააგდებინა. ისინი აღარ იყვნენ დაინტერესებულნი იმ წყობილების შეცვლაში, რომელიც დიდი რევოლიუციის შემდეგ დამყარდა; ამ ხანათ კლასთა ბრძოლის მიუდგომლათ დაფასება მათ თვალ-წინ უყენებდა კომუნიზმის საშიშარ აჩრდილს და აზრთა ლოლიკურ მსვლელობას შუა გზაზე აწყვეტინებდა. თითეულ მათგანს, რაც გინდ ჭეშმარიტი და დასაბუთებული აზრი არ გამოეთქვა კლასთა ბრძოლაზე, მაინც არ ეხერხებოდა მისი მეცნიერულ სიმაღლეზე აყვანა და თავის სისტემა-

ში მის გამოუყოფელ რგოლათ გადაქცევა. ობიექტიური პირობები თანამედროვე საზოგადოების არსებობისა კლასთა ბრძოლის იდეით გაშუქებული— შეუწყნარებელი ბურჟუაზიისაგან, გახდა ხვედრი იმ კლასისა, რომელსაც არამც თუ არ ეშინოდა კლასთა ბრძოლისა, არამედ მთელი მომავალის იმედებს ამაზე ამყარებდა. ამიტომ მოხდა, რომ პროლეტარიატის იდეოლოგმა სრული ანგარიში გაუწია კლასთა ბრძოლას, უფრო შორს გაიხედა და დაინახა ის რის დანახვის ნებას არ აძლევდა ბურჟუაზიულ იდეოლოგებს მათი კლასობრივი ინსტინქტი.

პოლიტიკურ ეკონომიაშიაც იგივე მოხდა, რაც საერთოდ ისტორიულ მეცნიერებაში. სანამ კლასთა ბრძოლა—კაპიტალის წინააღმდეგ მიმართული— სუსტი და დაფარული იყო, მანამდე ბურჟუაზიულ ეკონომისტებს შესწევდათ უნარი ობიექტივურათ გამოეკვლიათ საქონლის წარმოების დროს გამეფებულ საზოგადოებრივი მეურნეობის კანონები. „ავიღოთ ინგლისი. მისი კლასიკური პოლიტიკური ეკონომია განუვითარებელ კლასთა ბრძოლის ხანას ეკუთნის. უკანასკნელი დიდებული წარმომადგენელი ინგლისის კლასიკური ეკონომიისა, რიკარდო, შეგნებულათ იღებს თავისი გამოკვლევის გამოსავალ წერტილათ კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას, ხელფასის და მოგების, მოგების და მიწის რენტის წინააღმდეგობას და ამ წინააღმდეგობაში გულ-უბრყვილოთ ხედავს ამ საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ კანონს. ამასთან ერთათ ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ პოლიტიკურ ეკონომიის დარგში მიაღწია თავის უკანასკნელ, გარდაუვალ საზღვარს„*). თანამედროვე წყობილება ბურჟუაზიულ ეკონომისტებს მიაჩნიათ საქვეყნოთ და ერთათ ერთ შესაძლებელ წყობილებათ, და რამდენათაც მათ ამ მხრით ობიექტიურ მეცნიერულ ნიადაგზე დგომა სურთ, იმდენათ ისინი იძულებული არიან გამოაცხადონ მასში არსებული კანონები ბუნებრივ და უცვლელ კანონებათ, რომელთა სიმტკიცე და დაურღვევლობა ბუნების კანონთა აბსოლიუტურ სიმკვიდრეს უდრის. საერთო მათი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები ბუნების კანონებისაგან არ განირჩევა და როგორც უკანასკნელი არ შეიცვლება ადამიანის სურვილით, აგრეთვე შეუცვლელია პირველი.

პირიქით, პროლეტარიატის იდეოლოგმა, გაუწია რა სრული ანგარიში ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ობიექტიური კვლევის შედეგებს, რამდენათაც საჭიროდ იყო გასწმინდა ეს უკანასკნელნი და მათზე დაყრდნობილმა განაგრძო შუა გზაზე გაწყვეტილი ლოგიკური ძაფი, შეუბრალებლათ გადალახა ბურ-

*) იხ. მარქსი. Капиталъ, т. I. გვ. XXII. 1909. Москва.

ჟუაზიულ ეკონომისტთაგან გარდაუვალათ მიჩნეული საზღვარი და მათი დაწყებული საქმე მის უკანასკნელ ლოგიკურ საფეხურამდე მიიყვანა. საზოგადოება,—მისი ცხოვრების მატერიალური პირობები და მასზე აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი მუდმივ განვითარებას, შეუწყვეტელ ცვალებადობას განიცდიან. მასში არსებობენ ელემენტები, რომელთა ობიექტიური განვითარება ძირიანათ სცვლის ცხოვრების ძველ პირობებს, საწარმოვო ძალთა მდგომარეობას და ობიექტიურათვე ბადებს ამ უკანასკნელზე დამყარებულ წარმოებითი ურთიერთობათა გარდაქმნასაც. დიალექტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების უნივერსალური კანონია. მაგრამ არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების. გარეშე ბუნებაც იმავე დიალექტიურ განვითარებას განიცდის, მისი განვითარების ფორმები იმავე დიალექტიურ კანონს ემორჩილება. ერთი სიტყვით, დიალექტიკა მთელი მსოფლიოს უნივერსალური კანონია.

გარეშე ბუნების დიალექტიური განვითარების აღნიშვნამ გზა მოუჭრა იმ ბურჟუაზიულ მკვლევართ, რომელნიც ბუნების კანონთა ანალოგიით ცდილობდენ საუკუნო სიცოცხლის მოწმობა მიეცათ იმ წყობილებისათვის, რომლის ელემენტები მათ ობიექტივურათ გამოიკვლიეს და რომლის ზოგიერთი კანონები მათ სისწორით აღნიშნეს. „დღეიდან ბურჟუაზიული ეკონომისტისთვის კითხვა იმაში კი არ მდგომარეობს,—სწორია თუ არა ესა თუ ის ტეორემა,—არამედ იმაში—სასარგებლოა თუ არა ის კაპიტალისტისთვის, ვარგისია თუ უვარგისი, შეესაბამება თუ არა ის პოლიციის შეხედულებას. მიუდგომელი გამოკვლევა ადგილს უთმობს დაქირავებულ მჯღაბნელთა შეტაკებებს, პირუთვნელი მეცნიერულ კვლევა-ძიებათა ნაცვლად გამოდის მზა-მზარეული მლიქვნური აპოლოგეტიკა“*).

ბურჟუაზიულ მკვლევართ სამუდამოთ დასტოვეს ის ობიექტიური კვლევა-ძიების გზა, რომელზედაც მათნი წინაპარნი იდგენ, განიბერტყეს მტვერი ფერხთაგან თვისთა, გამოაცხადეს ძველი მატერიალიზმი არა მეცნიერულათ, დოგმატიურათ და შეუდგენ ახალ სუბიექტიურ თეორიების თხზვას. ზიზღი თუ შიში ძველი მატერიალიზმისადმი იმდენათ ძლიერია მათში, რომ თვით იმ მცირე რიცხვს ბურჟუაზიულ მკვლევართა, რომელნიც ნებსით თუ უნებლიეთ (და მგონი უფრო უნებლიეთ) იმავე მატერიალიზმის ნიადაგზე სდგანან და იმავე ობიექტიურ გამოკვლევას ემსახურებიან, მათაც კი თავის საღმრთო მოვალეობათ მიაჩნიათ ხელები გაასავსავონ მატერიალიზმის ხსენებაზე და ის წყევ-

*) იქვე. გვ. XXIII.

ლა-კრულვით შეაჩვენონ. და ეს მოხდა არა მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებაში.

თუ წინათ ბურჟუაზიულ მკვლევართ ცალმხრივათ გაგებული ბუნების კანონები გადმოჰქონდათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მით არსებულ საზოგადო წყობილების გაუკვდავებას ლამობდენ, ახლა სხვა მოვლენას ვხედავთ. კლასობრივი ინსტინქტით ამოძრავებულნი, დამფრთხალნი და სუბიექტივიზმ-იდეალიზმში გადაცვენილი ბურჟუა-მეცნიერნი ცდილობენ თვით გარეშე ბუნებაც თავის ენაზე ააჭიკჭიკონ, მისი კანონები თავისი სუბიექტიური საღებავით შეალამაზონ, მისი სუბიექტიდან დამოუკიდებლობა უარჰყონ და ამგვარათ ბუნების მეცნიერებაშიაც სუბიექტივიზმი შეიტანონ. ამნაირათ, მათი საზოგადოებრივი მეცნიერება, მათი ბუნებაზე შეხედულება, მთელი მათი ფილოსოფია იდეალისტური ხდება.

მხოლოთ მარქსიზმი—პროლეტარიატის იდეოლოგია—შერჩა ერთგულათ მეცნიერულ ობიექტივიზმს და მატერიალიზმი თავის კუთვნილებათ გაიხადა. ობიექტივიზმი და სუბიექტივიზმი, მატერიალიზმი და იდეალიზმი ორ მოწინააღმდეგე კლასის იდეოლოგიათ გადაიქცა, ბურჟუაზიული და პროლეტარული მეცნიერება ერთმანეთს დაეტაკა და მეცნიერების განვითარებასაც იგივე კლასთა ბრძოლა დაედვა სარჩულათ, რომელიც მთელი დღევანდელი ცხოვრიბის მამოძრავებელი ძალაა.

როგორც დავინახეთ ბურჟუაზიული და პროლეტარული მეცნიერება უქმი ხალხის გამოგონილი არ არის, მას ისტორიული საფუძველი აქვს და ვინც ცხვირ-აწევით „პარტიულ“ მეცნიერებაზე მასლაათობს, მან პირველ ყოვლისა ამ აშკარა ფაქტებს უნდა გაუწიოს ანგარიში და იქნება მაშინ ისიც გულის ხმაში ჩავარდეს!

დაწვრილებით განხილვა დღეს მოდაში შემოსულ სუბიექტიურ თეორიებისა ბევრს საგულისხმიეროს გვეტყვის, თვით ობიექტივიზმის ცხოველ მნიშვნელობას უცილობლათ გახდის და საერთოთ სუბიექტივიზმის და ობიექტივიზმის, ან უფრო ფართოთ რომ ვსთქვათ—იდეალიზმის და მატერიალიზმის ურთიერთობას მეტ სინათლეს მოფენს.

I

ეკონომიური თეორიები.

დავიწყოთ პოლიტიკური ეკონომიიდან. გარდა იმისა, რომ ჩვენი მკითხველისათვის მეცნიერების ეს დარგი ასე თუ ისე ნაცნობი და შედარებით

უკეთ შეთვისებულია, აქედან დაწყებას გვიკარნახებს თვით ის ლოლიკური კავშირი, რომელიც არსებობს პოლიტიკურ ეკონომიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის. „ბურჟუაზიული საზოგადოების **ანატომია** პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძებოთო“--სთქვა მარქსმა. წარმოება—ეს ის რეალური ნიადაგია, რომლის ასრულებაში მყარდება საზოგადოებრივი ურთიერთობანი, „წარმოებანი ურთიერთობანი“; ეს უკანასკნელნი ანუ საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა საფუძვლათ ედება ამ საზოგადოების უფლებრივ და პოლიტიკურ ზედ-ნაშენს. „საზოგადოებრივი შეგნების ფორმებიც“ ამ რეალურ საფუძველს შეეფერება. აი ამ საფუძველის შესწავლას ისახავს მიზნათ პოლიტიკური ეკონომია, ანუ სხვანაირათ რომ ვსთქვათ, მისი საგანია შეისწავლოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელნიც წარმოებაში მყარდებიან.

პოლიტიკურ ეკონომიაში ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიას ღირებულება წარმოადგენს. თეორია, რომელიც ღირებულებას სუბიექტიურათ იხილავს, ეკუთნის ავსტრიელ ეკონომისტს ბემ-ბავერკს; ის თავის შრომაში ღირებულებაზე თავს უყრის ყველა სუბიექტივისტ-ეკონომისტთა კვლევის შედეგებს და ერთ მთლიან,—ზერელე შეხედვით—მეტათ მწყობრათ აშენებულ თეორიას გვაძლევს ამ საკითხზე. სხვა სუბიექტიურ თეორიებთან შედარებით ყველაზე უფრო მოდაში შესული და გავრცელებული ეს თეორიაა და ჩვენც დაწვრილებით განვიხილავთ მას. ჯერ კი მეტი არ იქნება, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ, როგორ გადაწყვიტა ეს საკითხი ობიექტიურმა თეორიამ.

1.

საქონლის წარმოებაში ყურადღებას იქცევს საქონლის ფასების კანონებრივობა,—ის მოვლენა, რომ განსაზღვრული რიცხვი ერთგვარი საქონლისა იცვლება მეორეგვარ საქონლის მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვებზეე. რა არის მიზეზი ასეთი კანონებრივობისა? ამ კითხვის გარკვევა-გადაწყვეტაში წარმოსდგა პრობლემა ღირებულებისა, რომელიც საფუძვლათ უდევს საქონლის ფასებს და რომლის უტყუარი გამოკვლევა სწორათ სჭრის ფასების კანონებრივობის საკითხს.

კლასიკური ეკონომიის საუკეთესო წარმომადგენლებმა—ადამ-სმიტმა და რიკარდომ, საერთოთ სწორათ აღნიშნეს ღირებულების კანონის არსება. მაგრამ რადგან ჩვენ აქ ისტორიულათ არ ვიხილავთ ამ თეორიას, გადავალთ პირდაპირ კ. მარქსზე, რომელმაც შეასწორა და განავითარა სხვათა მიერ წინათ გამოთქმული აზრები და ამ თეორიას ნამდვილი მეცნიერული დასაბუთება მისცა.

ღირებულება ისტორიული კატეგორიაა, მას საქონლის წარმოებაში აქვს თავისი მნიშვნელობა. ამიტომ ღირებულების გასაგებათ აუცილებელია თვით საქონლის ანალიზი.

საქონელი—ეს შრომის ნაყოფია, რომელიც სხვისი შრომის ნაყოფზე უნდა გაიცვალოს. გაცვლა თვალწინ გვიყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობას, რადგანაც მას შეიძლება ადგილი ქონდეს მხოლოდ რამდენიმე პირთა შორის. აი ეს საზოგადოებრივი თვისება ქმნის შრომის ნაყოფს საქონლათ. მისი სახმარი ღირებულება, რომელიც მის (საქონლის) ბუნებრივ თვისებას შეადგენს და მის მოხმარების დროს აშკარავდება, აქ არაფერ შუაშია.

თვით გაცვლა შედეგია საზოგადოებაში შრომის დანაწილებისა და მწარმოებელთა ერთი მეორისაგან მოწყვეტისა. საზოგადოების თითეული წევრი აკეთებს მხოლოდ ერთგვარ ნივთებს, რომელნიც მხოლოდ ერთგვარ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. ყველა თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ თითეული წევრი იძულებულია გასცვალოს თავისი შრომის ნაყოფი სხვებისგან დამზადებულ ნივთებზე და ამით მათთან საზოგადოებრივ ურთიერთობაში მოვიდეს. ამნაირათ, თუმცა საქონლის მწარმოებელნი ერთმანეთისგან დამოუკიდებლათ მუშაობენ, მაინც ერთიმეორესთვის ამზადებენ საქონელს და ეს საზოგადოებრივი ხასიათი მათი წარმოებისა თავს ჩენულობს გაცვლის დროს.

სანამ ეს საზოგადოებრივი ხასიათი დამოუკიდებელ წარმოებათა კარგათ ახსნილი არ არის, ნივთების ბუნებრივ თვისებათ აწერენ ზე-ბუნებრივ თვისებებს და მწარმოებელთა ურთიერთობა იღებს ნივთთა ურთიერთობის სახეს. ამას მარქსმა უწოდა საქონლის წარმოების ფეტიშიზმი და მისი ღრმა ანალიზით გზა გაუწალდა თვით საქონლის ღირებულებაზე სწორ შეხედულების დამყარებას. იმიტომ კი არ იცვლება ერთი ნივთი მეორეზე, რომ თვით ნივთსა აქვს რაღაც სასწაულებრივი თვისება, რომლის ძალითაც ის აღებ-მიცემობის სფერაში შედის, არამედ საზოგადოებრივი ხასიათი წარმოებისა,—ის გარემოება, რომ ერთი მუშაობს მეორესთვის და მაშასადამე აქვს თავისი წილი მეორის შრომის ნაყოფში, ქმნის გაცვლის აუცილებლობას.

საქონელი გასაცვლელათ მზადდება. ის სასარგებლო ნივთი უნდა იყოს, სახმარი ღირებულება უნდა ქონდეს, რადგან არავინ არ გაცვლის თავის შრომის ნაყოფს უსარგებლო ნივთზე. ეს სახმარი ღირებულება მარტო საქონელს არ ეკუთნის, ის წარმოადგენს აუცილებელ თვისებას ყოველგვარი სიმდიდრისა, როგორიც უნდა იყოს მისი საზოგადოებრივი ფორმა. არსებობს სახმარი

ღირებულება, რომელიც საქონელს არ წარმოადგენს, მაგ. პირველყოფილ კომუნიზმის დროს, როდესაც გაცვლას ადგილი არა აქვს. მოიპოვება ისეთი სახმარი ღირებულება, რომელზედაც შრომა არ არის დახარჯული, მაგ. წყალი მდინარეში; მაგრამ არ არის ისეთი საქონელი, რომელსაც სახმარი ღირებულება არ ქონდეს.

საქონელთა გაცვლის დროს ჩვენ ვხედავთ მათ შორის არსებულ ერთნაირ რაოდენობის ურთიერთობას; ის ურთიერთობა, რომელშიაც ერთი საქონელი მეორეზე იცვლება, იწოდება მის გასაცვლელ ღირებულებათ. ერთი და იგივე საქონელი შეიძლება რამდენიმე საქონელზე გაიცვალოს და ასე თავისი გასაცვლელი ღირებულება მრავალნაირათ გამოხატოს, მიუხედავათ ამისა მისი გასაცვლელი ღირებულების შინაარსი ერთი და იგივე რჩება. ეს შინაარსია—ღირებულება.

რა ქმნის ღირებულებას? საიდან ხდება შესაძლებელი ასეთი გათანასწორება: ოცი არშინი ტილო უდრის ერთ სერთუკს? რა აქვთ მათ ერთმანეთში საერთო? მართალია ამ ორ საქონელს საერთო ისა აქვთ, რომ ისინი სახმარ ღირებულებას წარმოადგენენ, მაგრამ სახმარ ღირებულებათა ერთმანეთზე გაცვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ისინი წარმოადგენენ **სხვადასხვანაირ** და **არა ერთნაირ** სახმარ ღირებულებას,—ტილო ტილოზე, ან სერთუკი სერთუკზე არ გაიცვლება.

საქონელთა საერთო თვისებას წარმოადგენს ის, რომ ისინი ერთნაირათ **შრომის ნაყოფი** არიან. მაშასადამე შრომა ქმნის ღირებულებას. რანაირათ? შრომა მისი თვისებრივი განსხვავებით, როგორც მიზან-შეფერებული მოქმედება, ქმნის მხოლოდ სახმარ ღირებულებას, მაგ. შრომა დურგლისა, კალატოზისა და სხ. შრომა მისი ერთგვაროობით, როგორც დახარჯვა ადამიანის სამუშაო ძალისა საზოგადოთ, ქმნის ღირებულებას. საქონელს მხოლოდ იმიტომ აქვს ღირებულება, რომ მასში განხორციელებულია ადამიანის შრომა საზოგადოთ. ღირებულების სიდიდე განისაზღვრება მის შექმნაზე დახარჯულ შრომის რაოდენობით. თვით შრომა განიზომება იმ დროით, რომლის განმავლობაშიაც მან შექმნა ღირებულება.

მაგრამ თვით ამ დროის რაოდენობასაც საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. აქ ლაპარაკია არა კერძო პირზე, რომელიც ძალიან ზარმაცი ან ბეჯითი, ძალიან უხეირო ან ძალიან მარჯვეა და მაშასადამე ძალიან ბევრს ან ძალიან ცოტა დროს ხარჯავს; აქ ლაპარაკია საშუალოთ აუცილებელ სამუშაო დროზე, რომელიც განსაზღვრულ ეპოქაში საჭიროა ამა თუ იმ ნივთის დამზადები-

სათვის. მაშასადამე **„რაოდენობა საზოგადო აუცილებელ შრომის, ანუ სასარგებლო ნივთის დამზადებისათვის საზოგადო აუცილებელი სამუშაო დრო მხოლოდ და მარტოთ მარტო განსაზღვრავს ღირებულების რაოდენობას“.**

ღირებულება უდევს საფუძვლათ ფასებს და მისი შემწეობით იხსნება არა მარტო ფასების კანონებრივობა, უმისოთ შეუძლებელია თანამედროვე წარმოების წესის მთელი მექანიზმის სწორათ გაგება. კონკურენციის გავლენით ხდება ფასების აწევ-დაწევა, მაგრამ ამ მოვლენის საფუძველშიაც იგივე ღირებულების კანონი ბატონობს. კაპიტალისტურ წარმოებაში სარგებელს დიდი გავლენა აქვს ღირებულების კანონზე, საქონელი თავისი ღირებულების შესაფერათ არა ფასდება, მაგრამ აქაც არ ისპობა ღირებულების კანონი, იგი მხოლოდ სახეს იცვლის და ფასების ყოველგვარი რყევა მხოლოდ ღირებულების კანონის შემწეობით შეიძლება ახსნილ და გაგებულ იქნას.

ასეთია მარქსის ღირებულების თეორია, რომელსაც ღირებულების შრომის თეორიას ეძახიან. აქ ობიექტივიზმი სასტიკათ დაცულია. ფასები, რომელთაც საფუძვლათ უდევთ ღირებულება, იქმნებიან მწარმოებელთა ზურგს უკან, მათი შეგნების გარეშე, მათი სუბიექტიური დაფასებიდან სრულიად დამოუკიდებლათ. ღირებულებაში არ შედის არც ერთი ატომი სახმარ ღირებულებისა, უკანასკნელს არავითარი წილი არ უდევს პირველის განსაზღვრაში; ის წარმოებით ურთიერთობას წარმოადგენს.

2.

წინააღმდეგ მარქსის თეორიისა, ბემ-ბავერკის თეორია სუბიექტიურია. თავის შრომაში „საფუძველნი სამეურნეო ნივთთა ღირებულების თეორიისა“ *) ის ძალიან უფრთხის მარქსის ხსენებას, აქა-იქ გაკვრით თუ იტყვის მასზე ორ სიტყვას და საერთოდ თავი „ღირსეულათ“ უჭირავს, სწორეთ ისე, როგორც შეეფერება ოფიციალური მეცნიერების ბუმბერაზ წარმომადგენელს. მიუხედავათ ამისა, ის პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე, მთელ 212 გვერდის მანძილზე თავ-გამოდებით და მუყაითად სჭედავს მრქსიზმის შესამუსრავ იარაღს. შეუდგეთ ახლა მის განხილვას.

ბემ-ბავერკს კარგათ ესმის მთელი მნიშვნელობა ღირებულების თეორიისა პოლიტიკურ ეკონომიისათვის. სწავლა ღირებულებაზე, თვით პოლიტიკო-ეკონომიური დოქტრინის ცენტრში სდგასო, ამბობს ის. „პოლიტიკურ ეკო-

*) რუსული თარგმანი: Бэмъ-Баверкъ. Основы цѣнности хозяйственныхъ благъ. Переводъ Санина. Петербургъ. 1903.

ნომიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან და ძნელ პრობლემებს, განსაკუთრებით დიად კითხვებს შემოსავლის განაწილებაზე, მიწის რენტაზე, სამუშაო ქირაზე, კაპიტალის სარგებელზე,—ყველა მათ ამ სწავლაში აქვთ თავისი ძირი. ამიტომ ღირებულების პრობლემის დასრულებულმა და უცილობელმა გადაჭრამ ერთი დაკვრით უნდა წასწიოს წინ ჩვენი მეცნიერება თითქმის ყველა ნაწილებში". (13 გვ.). ბევრი მეცნიერი იმტვრევდა თავს ამ კითხვის გადაწყვეტაში; სამწუხაროთო,—გოდებს ბემ-ბავერკი—მათმა ნაღვაწმა ამ მხრით დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ მოგვცაო.

ძალიან სამწუხაროა ეს მოვლენა, ვინაიდან მეცნიერება დიდ გასაჭირში უნდა იყოს ჩავარდნილი, თუ მართლა მას „დამაკმაყოფილებლათ" ვერ გადაუწყვეტია თავისი უმთავრესი საკითხი. ეს ასეც გახლავთ, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვსთ: თვით ბემ-ბავერკი გვიხსნის გასაჭირიდან; ის იდებს თავს ამ მეტათ ძნელსა და პატივცემულ კითხვის გადაჭრას და დაგვიმყარებს ღირებულების თეორიის საფუძვლებს; ამით, რა თქმა უნდა „ერთი დაკვრით წაგვწევს წინ".

ბემ-ბავერკი არჩევს ორგვარ ღირებულებას: სუბიექტიურს და ობიექტიურს. **„სუბიექტიურ ღირებულებას ჩვენ ვუწოდებთ იმ მნიშვნელობას, რომელიც სუბიექტის კეთილდღეობისათვის აქვს ამა თუ იმ მატერიალურ ნივთს ან ამა თუ იმ მატერიალურ ნივთთა კრებულს". „პირიქით ობიექტიურ ღირებულებას ჩვენ ვუწოდებთ ნივთის თვისებას, რომლის ძალითაც მას რაიმე ობიექტიური შედეგი მოაქვს."** (7-8 გვ.). მაგ. შეშას აქვს **გათბობის თვისება,—ეს მისი ობიექტიური თვისებაა.** მაგრამ ამგვარ თვისებებს არა აქვთ პოლიტიკური ეკონომიისათვის მნიშვნელობა ერთის გარდა, რომელიც წარმოადგენს **„მატერიალურ ნივთთა ობიექტიურ გასაცვლელ ღირებულებას"**. რაში მდგომარეობს თვით ეს უკანასკნელი ჯურის ღირებულება? „გასაცვლელ ღირებულებათ იგულისხმება **ობიექტიური მნიშვნელობა მატერიალურ ნივთთა გაცვლის სფეროში,** ანუ სხვანაირათ რომ ვსთქვათ, როცა მატერიალურ ნივთთა გასაცვლელ ღირებულებაზე ლაპარაკობენ, სახეში აქვთ **შეძლება მიიღონ მათ გაცვლის დროს განსაზღვრული რიცხვი სხვა მატერიალურ ნივთთა და ამავე დროს ეს შეძლება განიზომება როგორც ძალა ან თვისება, რომელიც თვით მატერიალურ ნივთთ ეკუთნის"** (9 გვ. კურსივი ყველგან ბემ-ბავერკისაა). აქედან აშკარაა, რა გზას დაადგება ბემ-ბავერკი. მისი აზრით, ღირებულება ნივთის ისეთივე თვისებაა, როგორც ყველა სხვა ფიზიკური თვისებები. ის ფეტიშისტურათ უყურებს „ნივთს".

სუბიექტიურ ღირებულებას ბემ-ბავერკის თეორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს; ამიტომ ჩვენც ბემ-ბავერკთან ერთათ პირველ ადგილას შეუდგეთ მის განხილვას და მთელი ყურადღებით მოვეპყრათ მას.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ღირებულება—სუბიექტიურიც და ობიექტიურიც—თვით ნივთს ეკუთვნის, მისი თვისებაა. რა შინაარსისაა სუბიექტიური ღირებულება, საიდან წარმოსდგება იგი? ავიღოთ მაგალითი. მოწყურებული კაცი მივიდა წყაროსთან და აავსო თავისი ჭიქა. წყალი კი ბევრია და შეუძლია ასობით ჭიქები აავსოს. ავიღოთ მეორე კაცი, რომელიც უდაბნოში მოგზაურობს. მთელი დღის სავალზეა ის დაშორებული წყაროს და მას კი მხოლოდ ერთი ჭიქა წყალიღა აბადია. რა ურთიერთობაა პირველსა და მეორე შემთხვევაში ჭიქა წყალსა და მის პატრონის კეთილდღეობის შუა? ერთი ჭიქა წყალი სასარგებლოა როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში. განსხვავება იმაშია, რომ ერთი ჭიქა წყლის ქონვა პირველ შემთხვევაში არაფერს არ მატებს მოთხოვნილების ერთდროულ დაკმაყოფილების შეძლებას და არც ამ ჭიქა წყლის არ ქონვა აკლებს რასმე ამ შეძლებას. თუ აქვს ეს ჭიქა, მით დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას, თუ არა და წყარო გულუხვია,—ასობით აავსებს ჭიქებს. აქ ეს ჭიქა წყალი სრულებით არ წარმოადგენს **აუცილებელ პირობას** მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, მისი კეთილდღეობისათვის მას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

სულ სხვას ვხედავთ მეორე შემთხვევაში. უდაბნოში მოგზაურს რომ წაერთვას ეს უკანასკნელი ჭიქა წყალი, ის წყურვილით მოკვდება. მაშასადამე აქ ეს ჭიქა წყალი მარტო საშუალება კი არ არის, რომლითაც მოგზაურს შეუძლია მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, აქ ეს მისი **აუცილებელი პირობაა;** სუბიექტის კეთილდღეობისთვის მას არსებითი მნიშვნელობა აქვს, უმისოთ ის იოლათ ვერ წავა.

როგორც ვხედავთ ადამიანის კეთილდღეობასა და ნივთს შორის არსებულ ურთიერთობას ორი არსებითად განსხვავებული ფორმა აქვს: დაბალი ფორმა, როცა საერთოდ ნივთს აქვს თვისება ემსახუროს ადამიანის კეთილდღეობას; მაღალი ფორმა, როცა ნივთი მიზეზი კი არა, **აუცილებელი პირობაა** ადამიანის კეთილდღეობისათვის. დაბალ ფორმას ეწოდება **სარგებლობა,** მაღალ ფორმას—**ღირებულება.**

ბემ-ბავერკი დიდ მნიშვნელობას აწერს ამ განსხვავების აღმოჩენას. სარგებლობას და ღირებულებას შუა არსებული განსხვავების დამყარება „მთელი პოლიტიკური ეკონომიის ერთ ყველაზე უფრო ნაყოფიერ და ძირეულ დე-

ბულებათაგანია". ამ განსხვავებას „ძირეულათ დიადი მნიშვნელობა აქვს მთელი ღირებულების თეორიისათვის" (გვ. 17 და 15). რატომ აძლევს ბემ-ბავერკი ასეთ დიად მნიშვნელობას ამ ფაკტს? აი რატომ. ღირებულება ნივთშია, ხოლო ამ ღირებულებას თვით სუბიექტი ქმნის იმის და მიხედვით, როგორ პირობებში იმყოფება იგი. სუბიექტი წყაროა ღირებულებისა, ის მისი შემომქმედია. ერთ ჭიქა წყალს ან აქვს ან არა აქვს ღირებულება იმისდა მიხედვით, აფასებს თუ არ აფასებს მის სარგებლობას სუბიექტი. ამ აზრის დამტკიცებადასაბუთება შეადგენს მისი კვლევა-ძიების მთავარ მიზანს. სარგებლობა ყოველ ნივთსა აქვს, ღირებულებათ კი მას სუბიექტის დაფასება გადააქცევს. აი ის აზრი, რომელიც ჯერ-ჯერობით ბემ-ბავერკმა ღირებულებაზე მოგვცა.

ჩავყვეთ ქვევით. **„ღირებულება ეწოდება იმ მნიშვნელობას, რომელსაც წარმოადგენს მატერიალური ნივთი ან კომპლექსი მატერიალურ ნივთთა სუბიექტის კეთილდღეობის თვალსაზრისით"**, ან ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ის შემდეგნაირათ განსაზღვრავს მას: **„ღირებულებას ჩვენ ვუწოდებთ იმ მნიშვნელობას, რომელიც, როგორც ცნობილი აუცილებელი პირობა სუბიექტის კეთილდღეობისათვის, ეძლევა მატერიალურ ნივთს ან მატერიალურ ნივთთა კომპლექსს"** (გვ. 21). სარგებლობა ყველა მატერიალურ ნივთთა კუთვნილებაა, ღირებულება კი ზოგიერთის. „ღირებულების შესაქმნელათ აუცილებელია, რომ სარგებლობას შეუერთდეს **იშვიათობა**,—იშვიათობა არა აბსოლიუტური, მხოლოდ რელატივური, ე. ი. ამ ნივთებზე არსებულ მოთხოვნილების სიდიდესთან შედარებით" (22 გვ.). ამნაირათ: „ყველა სამეურნეო მატერიალურ ნივთთ ღირებულება არა აქვთ" (გვ. 24). ღირებულება გულისხმობს ნივთების ნაკლებულობას, ღირებულების არ-ყოფნა—ნივთების მომეტებულებას.

3.

ჩვენ რაც შეიძლება ვრცლათ და ავტორის სიტყვებით მოვიყვანეთ მისი აზრები. ორი სიტყვით ასე გამოითქმება ბემ-ბავერკისაგან აქამდე თქმული: ნივთი სასარგებლო უნდა იყოს და ამავე დროს იშვიათი—მაშინ ექმნება მას მნიშვნელობა მისი პატრონის კეთილდღეობისათვის,—პატრონი დააფასებს მას მისცემს ნივთს ღირებულებას. ან სხვანაირათ: ნივთს, რომელიც კაცს იშვიათათ მოეპოვება, ის აფასებს და მით ქმნის მის ღირებულებას; ის არ აფასებს ნივთს, რომელიც მრავლათ მოეპოვება და აქ არც ღირებულებას აქვს ადგილი.

ადამიანის კეთილდღეობა და ნივთის სარგებლობა—აი ელემენტები რო-

მელთა ურთიერთობიდან შეიძლება წარმოიშვას ღირებულება; მაგრამ ის რომ მართლა წარმოიშვას, საჭიროა ნივთის სარგებლობას მისი აუცილებლობა დაერთოს; ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ნივთის იშვიათობას მისი მფლობელის ხელში. ეს არის კვინტ-ესენცია ბემ-ბავერკის სუბიექტიური მხედველობისა.

შევადაროთ მარქსის თეორიას.

იქ შრომა ქმნის ღირებულებას; შრომა (საზოგადო შრომა) ობიექტიურ რაოდენების წარმომადგენელი ობიექტიურ ღირებულების შემქმნელია. აქ სუბიექტის დაფასება ქმნის ღირებულებას; რამდენიც სუბიექტია, იმდენი ღირებულებაა; თვით ერთი და იგივე სუბიექტი სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ღირებულებას ქმნის.

შრომა წარმოების ელემენტია, ის წარმოებაში ქმნის ღირებულებას. პირიქით ნივთის სარგებლობა, რომელსაც სუბიექტი აფასებს, მოხმარებაში ჩენულობს თავს, აქ სუბიექტი მოხმარებაში ქმნის ღირებულებას.

იქ ღირებულება საზოგადო ურთიერთობაა და ამ ურთიერთობაში აქვს მას თავისი მნიშვნელობა. აქ მას არავითარი საზოგადოებრივი ხასიათი არა აქვს, თუ არსებობს ურთიერთობა, ეს ისევ სუბიექტსა და ნივთს შორის.

იქ ღირებულებას საქონლის წარმოებაში აქვს ადგილი, საქონელი კი გასაცვლელათ დამზადებული ნივთია. აქ ღირებულება ყოველ ნივთს აქვს, ოღონდ კი ის იშვიათად მოიპოვებოდეს მისი პატრონის ხელში.

ერთი სიტყვით, ობიექტივიზმი და სუბიექტივიზმი, წარმოების მომენტი და მოხმარების მომენტი, საზოგადოებრივი ურთიერთობა და სუბიექტ-ნივთის ურთიერთობა, საქონლის ღირებულება და ყოველგვარი ნივთის ღირებულება—აი რა დიამეტრალური წინააღმდეგობაა ამ ორ თეორის შუა. და კიდევ მოიპოვებიან გულუბრყვილონი, რომელნიც მათ შეერთება-შერიგებას ცდილობენ. ნეტარ არიან წმინდანი გულითა! თეორიის განხილული ნიწილის სიავკარგე სავსებით გამოჩნდება ქვემოთ, როცა ღირებულების სიდიდის კითხვას განვიხილავთ. ახლა კი შემდეგზე შევჩერდეთ.

ბემ-ბავერკის სუბიექტი მწარმოებელი არ არის, ის მხოლოთ მომხმარებელია. მას აქვს ნივთები, რომლითაც მან თავისი მოთხოვნილებები უნდა დაიკმაყოფილოს. აი ამ ნივთებს აქვთ ღირებულება, მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რის მაქნისია ეს ღირებულება? ვისთვის რა ინტერესს წარმოადგენს? სუბიექტს აქვს მოსახმარათ ნივთები და ღმერთმა მოახმაროს, როგორც უნდა ისე დააფასოს, ვის რა დავა აქვს? ღირებულებამ ხომ ფასების კითხვა უნდა გადაჭრას; ფასი კი მხოლოთ მაშინ არსებობს, როცა ერთი ყიდულობს და მეორე

ყიდის, მაშასადამე როცა არსებობს გაცვლა,—ერთი სიტყვით, როცა არსებობს საზოგადოებრივი ურთიერთობა. ბემ-ბავერკის სუბიექტი კი მომხმარებელია და მეტი არაფერი. კიდევ ვიკითხოთ: რა ღირებულება აქვს მის „ღირებულებას?“ რა შენობა უნდა აშენდეს ასეთ საფუძველზე? რა უნდა ახსნას მან, როცა ასახსნელ საგნებთან არავითარი კავშირი არ აქვს?

ეს კითხვა სრულიათ ბუნებრივათ იბადება, ბემ-ბავერკი კი მასზე კრინტს არა სძრავს და უდავიდარაბოთ, პირდაპირ გადადის ღირებულების სიდიდის განხილვაზე. აქაც მთლათ სუბიექტიურ ღირებულებაზე დამყარებული, რომელიც უკვე გავიცანით, ის ანგარიშობს მის სიდიდ—სიპატარავეს, „გვიხსნის“ ღირებულების სიდიდეს. მისი მომხმარებელი აქაც მომხმარებელია და ბემ-ბავერკიც მის ღირებულების სიდიდ-სიპატარავეს ზომავს.

დავაყენოთ შემდეგი კითხვა: როდესაც მომხმარებელს ხელთ არა აქვს საჭირო ნივთი, მაგრამ მისი შეძენა შეუძლია, აქვს თუ არა მისთვის მას რაიმე ღირებულება? მეორე მხრით, როდესაც მომხმარებელი ყიდის ნივთს და ამით კარგავს მის ქონვას, აქვს თუ არა ამ ნივთს მისთვის რაიმე ღირებულება? დიდი სურვილიც რომ ქონდეს, ბემ-ბავერკი ამ კითხვებზე უარ-ყოფით ვერ გვიპასუხებს;—დიახ ამ ნივთებს აქვთ ღირებულება. მაშასადამე მარტო ქონვა მოხმარებაში არ ყოფილა ნივთის ღირებულება. ის შესაძლებელი ყოფილა მაშინაც, როცა ეს ნივთი არა გაქვს და მაშინაც, როცა გაქვს, მაგრამ თავიდან იშორებ.

სხვანაირათ შეუძლებელიც კია. შეუძლებელია კაცს მუდამ თან ქონდეს ის ნივთები, რომელიც მას ეჭირება ყოველ დღე, ყოველ კვირა, თვეობით ან წლობით. ის მას ნაწილ-ნაწილათ იძენს, დაჭირებისამებრ. მეორე მხრით, ამ ნივთების შესაძენათ ის არ ათვისებს იმ ნივთებს, რომლებიც თითონ მას ეჭირება, არამედ მათ, რომელთაც თითონ არ საჭიროებს, რომელნიც მისთვის სახმარ ღირებულებას არ წარმოადგენენ. ეს **საერთო მოვლენაა დღევანდელ** ცხოვრებაში. მიუხედავათ ამისა ბემ-ბავერკმა მას იოტის ოდენა ყურადღება არ მიაქცია. მართალი უთქვამს, ვინც სთქვა: როცა პროფესორთან გაქვს საქმე, ყოველ სიგლახეს მოელოდეო!

მაგრამ ნურც ასე დავემდურებით ამისათვის ბემ-ბავერკს. ხსენებულ მოვლენას მხოლოთ საქონლის წარმოებაში და მის განვითარებულ საფეხურ—კაპიტალიზმში აქვს ადგილი. ჩვენს პატივცემულ ეკონომისტს ხომ მარტო სუბიექტი აინტერესებს; სუბიექტი კი სუბიექტია დაწყებული ადამიდან ვიდრე ბემ-ბავერკამდე.

ესეც არ იყოს, ბემ-ბავერკის სუბიექტი ძალიან ზრუნავს თავის კეთილ-დღეობაზე, ნივთებიც მას ამისთვის აქვს. ნივთის მნიშვნელობა მისი სარგებლობით გაიზომება. ეს სარგებლობა მოხმარებაში ხდება. მაგრამ თუ ნივთი მისი ხელიდან წასვლით მეტ სარგებლობას მოიტანს, სუბიექტი მყისვე მოიშორებს მას თავიდან, გაყიდის მას,—გაყიდვაც თავისებური მოხმარებაა. ასე თუ ისე ჩვენ ველირსებით იმ მომენტს ბემ-ბავერკის თეორიაში, როცა მისი სუბიექტი, ეს მომხმარებელი par excellence, ბაზარზე გამოვა და აღებ-მიცემობას დაიწყებს. ალბათ აქ გამოგვადგება ეს მისი სუბიექტიური ღირებულება.

ნუ დავიიწყებთ იმასაც, რომ ბემ-ბავერკი, რაკი მეცნიერულათ დაასაბუთებს სუბიექტიურ ღირებულებას, მის სიდიდეს,—ერთი სიტყვით, როცა ის მთელ თავის თეორიას ხელში მოგვცემს, და მოსალოდნელ კრიტიკასაც წინდა-წინ გააკრიტიკებს, ის შეუდგება სხვა-და-სხვა მეორე-ხარისხოვან მოვლენების გამოკვლევას, რომელნიც ერთი შეხედვით არ ეგუებიან მის თეორიას, ან მისებურათ ძნელი ასახნელი არიან. აქ ჩვენ შევხვდებით ერთ თავს: „სახმარი ღირებულება და სუბიექტიური გასაცვლელი ღირებულება“. სუბიექტიური გასაცვლელი ღირებულება იმ ნივთებს აქვთ, რომელთა მეოხებით სუბიექტმა სხვა ნივთები უნდა შეიძინოს. ეს ხომ აღებ-მიცემაა, გაცვლაა, საზოგადოებრივი ურთიერთობაა. მაშ რას ვემართლებით ბემ-ბავერკს? მართალია, სუბიექტიური თეორია მან ისე შეიმუშავა და გაათავა, რომ ცოდვილ კაპიტალიზმს და მასში გამეფებულ მოვლენათ ცალი თვალითაც არ შეხედა; მაგრამ მერე? მერე ხომ გაუწია ანგარიში? დიახ, გაუწია ანგარიში! მზა-მზარეული ღირებულების თეორიით ის მიადგა კაპიტალიზმში არსებულ მოვლენებს და თავის შედგენილ კანონებს დაუმორჩილა იგინი. ბემ-ბავერკის ამ „ამაგს“ ჩვენც გავუწევთ ანგარიშს თავის დროზე. ახლა კი ვიტყვით, რომ ბემ-ბავერკთან სასაყვედურო არა გვაქვს რა: ხსენებულ მოვლენათა განხილვით, ან თუნდ სახეში მიღებით რომ დაეწყო მას თავისი გამოკვლევა, ეს ხომ მის თვალში... მარქსისტობა იქნებოდა; ეს კი ერთი ცოდვაა, რომელიც პროფესორს არ ეპატივება არც საქაოს და არც საიქიოს. აბა ასეთ მძიმე ცოდვას როგორ იდებდა ის კისრათ?

ჩვენ ვთქვით, ბემ-ბავერკმა გაუწია ანგარიში აღებ-მიცემობის მოვლენას, ნივთში მან ძალა-უნებურათ საქონლის ხასიათი სცნო. კი მაგრამ, ამას ის მოყვა, რასაც ჯერ-ჯერობით მისი თეორიიდან არ მოველით. გასაცვლელ ნივთს ის ღირებულება კი არა აქვს, რომელიც მას უნდა ქონდეს თავისი პატრონისათვის მისი სასარგებლო ხასიათის მიხედვით, მას ის ღირებულება აქვს, რომე-

ლიც მისი ეხლანდელი პატრონისათვის მასში გაცვლილ ნივთს **შემდეგში** ექნება. აქ აღარ არის პირდაპირი კავშირი სუბიექტისა და ნივთის შუა; **ეს კავშირი მეორე ნივთის შუამავლობით იკვანძება.** აქედანაც ნათლად სჩანს, რატომ თავის დროზე არ გაუწია ბემ-ბავერკმა ანგარიში დღევანდელ ცხოვრებაში გამეფებულ მოვლენას. ეს ყოველ შემთხვევაში დიდ არევდარევას შეიტანდა მის სისტემაში. ამ კითხვას კიდევ დავუბრუნდებით ჩვენ თავის დროზე. ახლა კი გავყვეთ ბემ-ბავერკს და ვნახოთ, როგორ გაათავებს ის თავის თეორიას, მისი დასაწყისი ჩვენ უკვე ვიცით.

4

ღირებულება უკვე ნაპოვნია, ახლა მისი სიდიდე უნდა განისაზღვროს. სწორეთ ამ სიდიდის განსაზღვრა წარმოადგენს ბემ-ბავერკისათვის „უმთავრეს სიძნელეს". ამ მხრივაც დიდი განსხვავებაა მარქსსა და ბემ-ბავერკს შუა. მარქსისთვის აქ არავითარი სიძნელე არ არსებობს. სიძნელე ღირებულების პრინციპის დამყარებაშია. რაკი ის ნაპოვნია, კითხვა მარტივად დგება: თუ გაიზომება ღირებულების შემქმნელი შრომა, ღირებულებაც გაიზომება. შრომის სიდიდესთან იქნება შეფერებული მისგან შექმნილი ღირებულების სიდიდე. როგორც ვიცით, მარქსმა ორი სიტყვით გადასჭრა ეს კითხვა და ყოველივე ეჭვები გაფანტა.

რათ ეძნელება ბემ-ბავერკს ამ კითხვის გადაჭრა? აქ საკვირველი არაფერია. სწორეთ რომ ვთქვათ, ჯერ არაკი მოუცია მას ღირებულების მთლიანი პრინციპი, ამის დამყარება ჯერ კიდევ წინ არის. გარდა ამისა, ის უმთავრესი პრინციპი, რომელზედაც უნდა აშენდეს მისი ღირებულების თეორია, ისეთი ხასიათისაა, რომ წინდაწინვე სამართლიან ეჭვებს ბადებს მის ვარგისობაში. შრომის მაგივრათ აქ სუბიექტის მრავალფეროვანი მოთხოვნილებები წარმოსდგებიან; ამ მოთხოვნილებათა გაზომვა და ერთმანეთთან შედარება უნდა დაედვას საფუძვლათ ღირებულების სიდიდეს. როგორ უნდა გაიზომოს მოთხოვნილება, როცა ის მატერიალურ რაოდენობას არ წარმოადგენს? ან როგორ უნდა შეადაროთ ერთმანეთს ორი სხვა და სხვა მოთხოვნილება, მაგ. გათბობის მოთხოვნილება და ლექციის მოსმენის მოხოვნილება? რა აქვთ მათ ერთმანეთში საერთო? დიახაც, რომ ძნელი უნდა იყოს ამ ხელ-მოუკიდებელ რაოდენობათა ზომვა და წონა, მაგრამ ბემ-ბავერკს მეტი გზა არა აქვს, ის უნდა შეუდგეს ამ „ძნელ" საქმეს. გავყვეთ მას ამ კვლევაში.

ღირებულება ნივთის მნიშვნელობაა ადამიანის კეთილდღეობისათვის; მაშასადამე რამდენათაც დიდია ნივთის სარგებლობა ადამიანის კეთილღეობი-

სათვის, იმდენათ დიდი იქნება მისი ღირებულება და პირიქით, რამდენათაც მცირეა ნივთის ეს მნიშვნელობა, იმდენათ მცირე უნდა იყოს მისი ღირებულება. ერთი სიტყვით, ნივთის მნიშვნელობასა და მის ღირებულებას შუა პირდაპირი კავშირია; ნივთის ღირებულება პირდაპირ შეეფერება მის სახმარ ღირებულებას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჰაერს მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კეთილდღეობისათვის, უმისოთ ის ერთ წამს ვერ იცოცხლებს; მიუხედავათ ამისა ჰაერს არავითარი ღირებულება არა აქვს. მეორე მხრით, პურს არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კეთილდღეობისათვის, ძვირფას თვლებს და საერთოთ ფუფუნების საგნებს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ მისთვის. ახლა მათი ღირებულებაც შევადაროთ: სად პური და სად ბრილიანტები. პირველის ფასი გროშია მეორესი—მილიონები. აშკარაა მათი ღირებულება სრულებით არ შეეფერება მათ მნიშვნელობას ადამიანის კეთილდღეობისათვის, მათ სახმარ ღირებულებას.

მაგრამ ეს ფაქტები ბემ-ბევერკს ვერ შეაკრთობს. მან წინდაწინვე იცოდა მათი არსებობა. იცოდა რა წინაღმდეგობაა ნივთის სარგებლობისა და მის ღირებულების შუა და თავის კვლევასაც იმ მიზნით შეუდგა, რომ ეს აშკარა წინააღმდეგობა ჰარმონიათ გადაექცია. ის რიხიანათ ბრძანებს: „ამ ამოცანის გადაწყვეტაზე ბევრი თეორეტიკი-ეკონომისტი ამაოთ იმტვრევდა თავს ადამ სმიტიდან დაწყებული ჩვენს დრომდი;“ „სასოწარკვეთილნი, რა საოცარ და ხშირათ ფანტასტიურ ახსნას არ მიმართავდენ ეკონომისტები: ხან „შრომას“ მოეჭიდებოდენ, ხან „სამუშაო დროს“, ხან „წარმოების ხარჯებს“... და სხვა გასაშტერებელ რამეთ“ (33 გვ.). შევნიშნავთ მხოლოთ, რომ მარქსს სულაც არ აინტერესებდა ხსენებული წინააღმდეგობა და არც მის მოსპობას და ჰარმონიათ ქცევას ცდილა. ბემ-ბავერკს კი მაინც უნდა ეს უნაყოფო ცდა ძველ ეკონომისტებისა ახლა თავისი ცდით ნაყოფიერათ დააგვირგვინოს; ალბათ ამითი აპირებს თავის დაქადებულ ამაგის გაწევას პოლიტიკური ეკონომიისათვის: „ერთი დაკვრით უნდა წასწიოს“ მან ის „ყველა ნაწილებში“.

ამისთვის მხოლოთ ერთი რამ არის საჭირო: „მიუდგომლათ და კაზუისტური სისასტიკით გამოვიკვლიოთ რა სარგებლობა წარმოსდგება ადამიანის კეთილდღეობისათვის ამა თუ იმ პირობებში ამა თუ იმ ნივთიდან“ (33 გვ). მთელი ღირებულების თეორიაც ერთი დიდი კაზუისტიკაა, ბემ-ბავერკის სიტყვით, იმის შესახებ თუ როგორ პირობებში და რამდენათ არის დამოკიდებული ჩვენი კეთილ-დღეობა სხვა და სხვა მატერიალურ ნივთთაგან. გამოვტყდებით, არაფერი ხალისი არა გვაქვს კაზუისტური ჩხირკედელაობისა, მაგრამ რასიზამ;

მტყუანს ტყუილის კარამდე მიჰყეო.

საჭიროა განვიხილოთ ჩვენი მოთხოვნილებები,—მათზეა ხომ დამოკიდებული ღირებულება. მათ სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვთ. პირველ ადგილზე სდგანან ის მოხოვნილებები, რომელთა დაუკმაყოფილებლობა სიკვდილს გვიქადის. შემდეგ მოდის ის მოთხოვნილებები, რომელთა დაუკმაყოფილებლობა მეტათ ცუდათ მოქმედობს ჩვენს ჯანმრთელობაზე, ჩვენს ბედნიერებაზე. ამას მოსდევენ ისეთნი, რომელთა დაუკმაყოფილებლობა ხან-მოკლე ტანჯვას გვაყენებს. დასასრულ, უკანასკნელ ადგილზე დგანან ის მოთხოვნილებები, რომელთა დაუკმაყოფილებლობა მხოლოთ უმნიშვნელო უსიამოვნებას იწვევს.

ამნაირათ ადამიანის მოთხოვნილებანი ჩვენ შეგვიძლია გავამწკრივოთ რამდენიმე რიგათ მათი მნიშვნელობის მიხედვით. პირველ რიგში მოყვება ჭამასმის, უკანასკნელში ფუფუნების მოთხოვნილებანი. მაგრამ იმ ნივთებს, რომელნიც ამ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, სულაც არ შეეფერება ამ უკანასკნელთაგან **რიგებში** დაჭერილი ადგილები: უკანასკნელი რიგის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ ბრილიანტს დაუსრულებლათ მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე პირველი რიგის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ—პურს. მაშ მარტო ასეთი განხილვა მოთხოვნილებათა და მათი რიგებათ ჩამწკრივება საქმეს ვერაფერს უშველის. და აი, სწორეთ აქ იჩენს ბემ-ბავერკი თავის ჭკუა-მახვილობას.

თითეული რიგი მოთხოვნილებათა განსაკუთრებულათ უნდა იქნეს განხილული და ვნახავთ, რომ ერთ და იმავე რიგში (მაგ. სმა-ჭამის მოთხოვნილების რიგში) ბევრი კონკრეტიული მოთხოვნილებაა, რომლებიც ერთმანეთიდან ხარისხით ან ინტენსივობით განირჩევიან. მაგალითათ ერთი კვირის მშიერი კაცის ჭამის მოთხოვნილება გაცილებით ძლიერი და მნიშვნელოვანია, ვიდრე იმ კაცისა, რომელსაც ორი თავი საჭმელი უკვე გაუთავებია და ახლა მესამეს ელოდება. საერთოთ ჩვენი მოთხოვნილებათა უმრავლესობა ნაწილ-ნაწილათ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქმნას. „როცა მე მშიან, სულაც არ არის ჩემთვის აუცილებელი—ორში ერთი ავირჩიო: ან მაგრათ გავძღე, ან სრულიათ მშიერი დავრჩე; სულაც არა,—მე შემიძლიან ცოტათ დავნაყრდე და ამისთვის ცოტაოდენი საჭმელი მივიღო; იქნება შემდეგ მე სულაც მოვიკლა შიმშილი, თუ მეორე და მესამე ჯერს მივიღებ; მაგრამ შეიძლება მარტო პირველსაც დავჯერდე, და ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე გადავიარო. რადგანაც კონკრეტიული მოთხოვნილების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ჩემი კეთილდღეობისათვის სხვანაირი, უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის მთლიან დაკმა-

ყოფილებას... ეს იწვევს იმ მოვლენას, რომ ერთი და იმავე რიგის მოთხოვნილების საზღვარში არსებობს კონკრეტიული მოთხოვნილებები (ან მოთხოვნილებათა ნაწილები), რომელთაც სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვთ.“ (37—38 გვ). „ყველას შეუძლია თავის თავზე გამოსცადოს, რომ მეოთხე და მეხუთე თავი საჭმელის მოთხოვნილება ისე ძლიერი არ არის, როგორც პირველისა და შემდეგი თავი—საჭმელების მომატებასთან დგება მომენტი, როცა უკვე ზიზღსა გრძნობს კაცი“*) (38 გვ). სხვა სულიერი და ფიზიკური დატკბობანიც ამასვე განიცდიან.

აქედან უნდა გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნანი. „კონკრეტიულ ნაწილობრივ მოთხოვნილებებს, რომელზედაც იყოფა ჩვენი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, და ზედ-მიყოლით ნაწილობრივ დაკმაყოფილებათ, რომელნიც მატერიალურ ნივთთა ერთნაირი რიცხვის შემწეობით შეგვიძლია მივიღოთ, მომეტებულ შემთხვევაში აქვთ **არა ერთნაირი და მასთან ერთათ ნულამდი განუწყვეტლივ კლებისკენ მიმავალი მნიშვნელობა**“ (38 გვ). „ჩვენთვის ახლა ნათელია, რომ მოთხოვნილებათა ერთი და იმავე რიგის საზღვრებში შეიძლება შეგვხვდეს არა ერთნაირი მნიშვნელობის კონკრეტიული მოთხოვნილებანი (ან მოთხოვნილებათა ნაწილნი)“ (იქვე). „ჩვენთვის განსაკუთრებით ნათელია ახლა, რომ თვით ყველაზე მნიშვნელოვან მოთხოვნილებათა რიგებში არსებობს უფრო დაბალი და სულ დაბალი საფეხურები მნიშვნელობისა. უფრო მნიშვნელოვანი რიგი მოთხოვნილებათა მით განირჩევა ნაკლებ მნიშვნელოვანიდან, რომ პირველის წვერო უფრო მაღლა მიდის, მაშინ როდესაც საფუძველი მათ ერთ და იმავე სისწორეზე აქვთ “ (39).

ერთი სიტყვით, ადამიანის გასაგებ ენაზე რომ ვსთქვათ, მოთხოვნილებები უნდა გავამწკრივოთ არა მარტო რიგებზე მათი მნიშვნელობის მიხედვით,—არამედ ყოველ რიგში კიდევ საფეხურები უნდა მოვნახოთ, ხარისხები უნდა დავამყაროთ იმ კონკრეტიულ მოთხოვნილებათა ან ნაწილობრივ მოთხოვნილებათა მიხედვით, რომელიც ამ რიგის მოთხოვნილების თვისებას შეადგენს. ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილების რიგი მით განირჩევა სხვებიდან, რომ მასში მეტია ეს ხარისხები, საფეხურები; საფუძველი მას ყველა სხვა რიგებთან საერთო აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი, ინტენსიური, ერთი სიტყვით, მაღალი ხარისხის თუ საფეხურის კონკრეტიული მოთხოვნილება ამა თუ იმ რიგისა

*) მაგალითების მოყვანის დროსაც კი ვერ დაუღწევია თავი ბემ-ბევერკს თავის მომხმარებელ „მეშჩანისთვის“. კარგათ უნდა ყავდეს ეს ტიპი მას შესწავლილი, რომ ასე ეხერხება მისი ჭამა-სმის ინსტინქტების „ანალიზი“.

ყველაზე მაღლა იქნება, ამას შოყვება მასზე ნაკლები ინტენსივობის, ხარისხის კონკრეტიული მოთხოვნილება და ასე ვიდრე ნულამდის. რაკი ყველა რიგებს საფუძველი ერთი აქვთ, ამიტომ რომელიმე უმნიშვნელო რიგის უმაღლესი საფეხური გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე ყველაზე მნიშვნელოვან რიგის უდაბლესი საფეხური. თუ პირველი მათგანი შეეფერება ბრილიანტის მოთხოვნილებას და მეორე პურისას, რა თქმა უნდა უფრო მეტი ღირებულება ექნება პურზე, რადგანაც მისი შესაფერი საფეხური უფრო მაღლა სდგას, თუმცა რიგი კი უმნიშვნელო ალაგას არის მიკუნჭული. ნათქვამის უფრო ცხადათ წარმოსადგენათ მოვიყვანოთ თვით ბემ-ბავერკის სქემა:

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
10	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
9	9	.	.	.	.	.	.	.	.	.
8	8	8	.	.	.	.	.	.	.	.
7	7	7	7	.	.	.	.	.	.	.
6	6	6	.	6	.	.	.	.	.	.
5	5	5	.	5	5	.	.	.	.	.
4	4	4	4	4	4	4	.	.	.	.
3	3	3	.	3	3	.	3	.	.	.
2	2	2	.	2	2	.	2	2	.	.
1	1	1	1	1	1	.	1	1	1	.
0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

ამ სქემაში რომაული ციფრები აღნიშნავენ მოთხოვნილებათა სხვა და სხვა რიგებს მათი ზედ-მიყოლითი მნიშვნელობით I—დან X—მდე. I წარმოადგენს მოთხოვნილებათა ყველაზე მნიშვნელოვან რიგს, მაგ. ჭამის მოთხოვნილებას; V—საშუალო მნიშვნელობის მოთხოვნილებათა რიგს, მაგ. მაგარი სასმელების მოთხოვნილებას; X—სულ უმნიშვნელო მოთხოვნილებათა რიგს. არაბული ციფრებით 10—დან 1—მდე აღნიშნულია კონკრეტიული (ან ნაწილობრივი) მოთხოვნილებანი და მათი მეტ-ნაკლები მნიშვნელობა; ასე რომ 10 გვიჩვენებს ყველაზე მნიშვნელოვან კონკრეტიულ მოთხოვნილებას, 9—შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანს. 8—უფრო ნაკლებს, 1—სულ უმნიშვნელო კონკრეტიულ მოთხოვნილებებს, როგორიც კი არსებობენ. რაც უფრო მნიშვნელოვანია მოთხოვნილებათა რიგი, მით უფრო მაღლა სდგას ყველაზე მნიშვნელოვანი მისი კონკრეტიული მოთხოვნილება და ამავე დროს მასში წარმოდგენილია ყველა დაბალი მნიშვნელობის საფეხურები უკანასკნელამდე. აქედან

გამონაკლისს წარმოადგენს IV და VII, რომლებსაც რამდენიმე წევრი აკლიათ. აქ ტეხნიკური მიზეზებით შეუძლებელია ნაწილობრივი ზედ-მიყოლითი დაკმაყოფილება მოთხოვნილებისა, აქ მოთხოვნილება ან სავსებით უნდა დაკმაყოფილდეს, ან სრულებით არ დაკმაყოფილდეს. მაგ. ოთახის ფეჩის მოთხოვნილებას უკვე ერთი ფეჩი ისე სრულიათ აკმაყოფილებს, რომ მეორე ფეჩი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს (39—30 გვ.).

ჩვენ ახლა ყოველ მხრივათ გაშინჯული გვაქვს ჩვენი მოთხოვნილებები; ჩვენ ისინი გავამწკრივეთ რიგებში და საფეხურებში. ღირებულების განსაზღვრის დროს რიგს კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, არამედ საფეხურს ამ რიგში; უმნიშვნელო რიგის მაღალი საფეხური მეტ ღირებულებას გვიჩვენებს, ვიდრე მნიშვნელოვან რიგის დაბალი საფეხური. მოთხოვნილებათა რომელ საფეხურსაც აკმაყოფილებს ესა თუ ის ნივთი, ისეთ ღირებულებას შეიცავს იგი. პური, რომელიც აკმაყოფილებს თუნდ მნიშვნელოვან რიგის (I), მაგრამ მის უმნიშვნელო საფეხურით აღნიშნულ მოთხოვნილებას (1), ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე მაგ. ალმასი, რომელიც თუნდა უმნიშვნელო რიგის (VIII), მაგრამ უფრო მაღალი საფეხურით (3) აღნიშნულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

კითხვა ძალიან მარტივათ გადაწყდა. ყოველ ნივთს ჩვენ მოვუნახავთ შესაფერ საფეხურს მოთხოვნილებათა რიგში, რომელსაც ის აკმაყოფილებს და ამით განვსაზღვრავთ მის ღირებულებას. საქმე მართლა ასე მარტივათ იქნებოდა, ყოველი ნივთი რომ მარტო ერთ კონკრეტიულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. ან ყოველი საფეხურის მოთხოვნილება მარტო ერთი ნივთით კმაყოფილდებოდეს. ცხოვრებაში კი სხვანაირათ არის. ერთ ნივთს შეუძლია დააკმაყოფილოს სხვა და სხვა რიგის და საფეხურის მოთხოვნილებანი. ისიც ხშირია, რომ ერთი და იმავე მოთხოვნილებისათვის რამდენიმე ცალი ნივთი მოიპოვებოდეს; აი აქ იბადება კითხვა; როცა ერთი ნივთი რამდენიმე სხვა და სხვა მნიშვნელოვან მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, რამდენი ღირებულება აქვს მას,—ერთი თუ რამდენიმე? თვით ბემ-ბავერკი ასეთ ფორმულას აძლევს ამ კითხვას: „მრავალ მოთხოვნილებათაგან რომელი მათგანის დაკმაყოფილებაა მართლა დამოკიდებული ამა თუ იმ ნივთიდან?“ (41 გვ.) ბემ-ბავერკს მაგალითათ მოყავს მონადირე, რომელსაც ორი ერთნაირი პური აქვს ნაგულები—ერთი თავისთვის და ერთი თავისი ძაღლისთვის მონადირის მოთხოვნილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძაღლისა. კითხვა იბადება: ამ ორი მოთხოვნილებიდან, რომელი ერთის დაკმაყოფილებაა მართლა დამოკიდებული მონადირის პურიდან? „აქაც ნამდვილ გზაზე გამოგვიყვანს ერთი უბრალო კაზუის-

ტური (კიდევ კაზუისტური!) მოსაზრება.“ „ჩვენ უნდა გავშინჯოთ, რომელი მოთხოვნილება დარჩებოდა დაუკმაყოფილებელი, რომ ეს დასაფასებელი ნივთი არ არსებობდეს“. სწორეთ ეს იქნებოდა ის მოთხოვნილება, რომელსაც ჩვენ ვეძებთ და რომლის დაკმაყოფილება მართლა დამოკიდებულია მონადირის პურიდან. მონადირემ რომ დაკარგოს ერთი პური, დაუკმაყოფილებელი დარჩება ძაღლის მოთხოვნილება: ეს კი **ნაკლებ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებაა**. მაშასადამე ამა თუ იმ ნივთიდან დამოკიდებულია დაკმაყოფილება **უმცირეს** იმ მრავალ მოთხოვნილებათაგან რომელთაც ის საერთოთ აკმაყოფილებს.

„ამნაირათ ღირებულების საფუძველს წარმოადგენს არა უდიდესი სარგებლობა, რომელიც ამა თუ იმ ნივთს შეეძლო მოეტანა, არც საშუალო სარგებლობა, რომელიც ამ ნივთს შეუძლია მოიტანოს, არამედ სწორეთ ის უმცირესი სარგებლობა, რომლის მისაღებათ ეს ნივთი ან იმის მსგავსი კიდევ შეიძლება რაციონალურათ მოხმარებულ იქმნას კონკრეტიულ პირობებში“ (44 გვ.). ამ უმცირეს სარგებლობას, რომელიც ეკონომიური თვალსაზრისით შესაძლებელის დაშვების საზღვარზე სდგას, რომ დავარქვათ ნივთის სამეურნეო **საზღვრობითი სარგებლობა** (Grenznutzen), მაშინ მატერიალურ ნივთთა ღირებულების სიდიდის კანონი შემდეგი მეტათ მარტივი ფორმულით გამოიხატება: **ნივთის ღირებულება იზომება ამ ნივთის საზღვრობითი სარგებლობის სიდიდით**“ (45 გვ.).*).

5.

მადლობა ღმერთს, მივაღწიეთ თეორიის თუ დასასრულს არა, მის სახელწოდებას მაინც. ალბათ დაბადებულა ის ბავშვი, რომელსაც ბემ-ბავერკი ამდენ ხანს ბებიობდა; მას მოუნათლავს იგი და თავისი კაზუისტური კვლევის ნაყოფისთვის შესაფერი სახელწოდებაც მიუცია: ბემ-ბავერკის თეორია ღირებულების საზღვრობითი სარგებლობის თეორიაა. კიდევ ბევრი კაზუისტიკა მოგველის ქვემოთ. ყოველი ახალი ფაქტი საკუთარ ახსნას თხოულობს ბემ-ბავერკისაგან და ისიც შრომას არ იშურებს ამისთვის. მაგრამ ჩვენ მაინც შევჩერდეთ, მით უმეტეს, რომ უკვე მოცემული დებულება ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს მთელ მის ღირებულების თეორიაში. ამას ის თითონ აღიარებს (45 გვ.).

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ღირებულება—ეს მნიშვნელობაა ნივთისა, რო-

*) რუსულათ ნათარგმნია предѣльная польза, ფრანგულათ თარგმნიან utilité limite. ქართულ ენაზე უკეთესი ტერმინი ვერ გამოვძებნეთ.

მელიც აუცილებელია ადამიანის კეთილდღეობისათვის. რომ ნივთი აუცილებელი იყოს, საჭიროა ნივთი იშვიათად მოიპოვებოდეს. ახლა ისიც ვიცით, რომ ღირებულების სიდიდე განიზომება იმ მოთხოვნილების სიდიდით, რომელსაც ის აკმაყოფილებს, ან მოკლეთ რომ ვთქვათ, განისაზღვრება მისი საზღვრობითი სარგებლობით.

ჯერ იშვიათობის როლი გავარკვიოთ ამ თეორიაში. იშვიათობა უეჭველი პირობაა ნივთის აუცილებლობისა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მაშასადამე პირობაა მისი ღირებულებისა. იშვიათობა ნიშნავს ნაკლების ქონვას და ბევრის არ ქონვას სუბიექტის მხრით. ეს მომენტი გადაუჭრელია სუბიექტის მიერ ნივთის დაფასებაში, რაიცა ღირებულებას ქმნის. მაშასადამე, სუბიექტი პირდაპირი გავლენის ქვეშ იმყოფება ამ იშვიათობიდან. იგი პირველ ყოვლისა მას უწევს ანგარიშს თავის დაფასებაში. თუ ცოტაოდენი იშვიათობა მაინც არ არის, სუბიექტს თავშიაც არ მოსდის რისამე დაფასება. ეს იშვიათობა კი ყოველ შემთხვევაში სუბიექტის გარეშე სდგას, ის მის თვისებას ჯრ შეადგენს, ის მისი არსებისთვის უცხო ელემენტია. **იგი ობიექტიურ რაოდენობას წარმოადგენს.**

ეს ობიექტიური რაოდენობა ღირებულების სიდიდის განსაზღვრაშიაც საესებით ჩენულობს თავს. იმის და მიხედვით, ოთხი თავი-საჭმელი მიურთმევია სუბიექტს თუ შიმშილით კვდება, ესე იგი, იშვიათობა პატარაა თუ დიდი, სცენაზე გამოდის მაღალი საფეხურისა ან დაბალი საფეხურის კონკრეტიული მოთხოვნილება. ერთი სიტყვით, როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში სუბიექტი დამოკიდებულია ამ იშვიათობიდან: მითი განისაზღვრება აქვს თუ არა ნივთს რაიმე ღირებულება, მითივე განისაზღვრება სიდიდე ამ ღირებულებისა.

რაღას შემქმნელია აქ სუბიექტი და მისი მოთხოვნილებები? ის ვერ შექმნის ღირებულებას სუბიექტის და მის მოთხოვნილებათა გარეშე; აი რა ანუგეშებს ბემ-ბავერკს და მის სუბიექტიურ თეორიას. თუმცა სუბიექტი მთლათ დამოკიდებულია,—გვეტყვის ბემ-ბავერკი—მაგრამ ამ დამოკიდებულებაშიაც ის არის დამფასებელი, ის ქმნის ღირებულებას.

მაშ დავიხსომოთ: **სუბიექტი თავის დაფასებაში მთლათ გარეშე ობიექტიური მიზეზით არის განსაზღვრული. გარეშე ამ მიზეზისა მისი დაფასება და მაშასადამე ღირებულება არ არსებობს.** კეთილი!

„სუბიექტს“ ჩვენ ამდენს არ შევაწუხებდით და თავს არ მოვაწყენდით, რომ ის მარტო „სუბიექტი“ იყოს და მეტი არაფერი, რომ ის მარტო მომხ-

მარებელის როლს სჯერდებოდეს. არა, ის ბაზარზედაც გამოდის, ვაჭრობას იწყებს; აღებ-მიცემობას ეწევა, ერთი სიტყვით, ნივთების გაცვლას აწარმოებს. და აი, ამ ბაზარზე, ამ გაცვლის დროს მას სავსებით მოაქვს თავისი სუბიექტიური ღირებულება, **რომელიც** მან კარჩაკეტილ**ათ**, მარტოთ მარტო თავის ნივთთან ურთიერთობ**ით** შექმნა (იშვიათობას ნუ დავივიწყებთ). რათ სჩადის ამას ეს პატივცემული პირი? **თუ** ნივთს მისთვის რაიმე ღირებულება კი აქვს, რათ იშორებს მას თავიდან? რათ სპობს ის თავის კარჩაკეტილობას, პარტიკულიარიზმის ზღუდეებს? რათ არღვევს ის მისსა და ნივთს შუა არსებულ იდილიურ მყუდროებას და საჯაროთ გამოაქვს მისი „კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი“ ნივთი? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ოპერაციით მის ღირებულებას მხოლოთ **მოემატება**. ეს მოტივი კი ფრიად პატივსადებია. რანაირათ ხდება ეს მომატება, სად არის მისი მიზეზი?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ რამდენიც სუბიექტია, იმდენი ღირებულებაა. ერთი და იგივე ნივთი სხვა და სხვა პირთათვის, იმის და მიხედვით, თუ როგორ მდგომარეობაში არიან ისინი (კიდევ ნუ დაგვავიწყდება იშვიათობა), სხვა და სხვა, მეტ-ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენს. აი ეს მეტ-ნაკლებობა, ეს სხვა და სხვაობა ღირებულებისა სხვა და სხვა პირთათვის შესაძლებლათ ხდის მათ შორის ნივთების გაცვლას. უამისოთ გაცვლა შეუძლებელი იქნებოდა. მარქსისებურათ—საქონელნი იცვლებიან როგორც ღირებულების მატარებელნი და ამ მხრით ისინი ერთნაირ რაოდენობას წარმოადგენენ. ბემ-ბავერკისებურათ ნივთი სხვა და სხვა ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს მყიდველ-გამყიდველის თვალში,—უამისოთ გაცვლა არ მოხდება.

ჩვენ ეხლა სუბიექტი უკვე ბაზარზე გვყავს ვაჭრული ჩოთქით ხელში. მას უნდა მეტი ღირებულების ნივთი წამოიღოს თავის ნივთის ნაცვლათ. ამისთვის საჭიროა მხოლოთ გამოჩნდეს მეორე სუბიექტი, რომელსაც საჭირო ნივთის იშვიათობა სხვანაირათ (უფრო მაღლა) აფასებინებს ჩვენი სუბიექტის მიერ გასასყიდათ გამოტანილ ნივთს. აშკარაა, მხოლოთ ნივთის **იშვიათობის** სხვა და სხვა პროპორცია ქმნის შესაძლებლათ აღებ-მიცემობას, გაცვლას. რა ეშველებოდა ბემ-ბავერკს, რომ ეს იშვიათობა არ ყოფილიყო!

6.

მაგრამ აკი მარტო ნივთის ქონვა გვაძლევს ჩვენ კეთილდღეობასო! ამ აზრს შეიცავდა ბემ-ბავერკის ყველა მოსაზრებანი, სუბიექტიურ ღირებულებას **რომ** ამყარებდა. მოვიგონოთ მისი უდაბნოში მოგზაური ერთი ჭიქა წყლით,

ან მისი სუბიექტი, რომელსაც ორი თავი საჭმელი გაუთავებია და მესამეს ელოდება. მივუმატოთ ამას მისი მაგალითი სოფლის მეურნისა, რომელსაც 10 ჰექტოლიტრი წყალი ეჭირება და 20 კი აქვს. ახლა კი გამოდის, რომ სხვისი ნივთის დაფასებაც შეიძლება როცა ეს საჭიროა.

ბემ-ბავერკი აქ ძალიან ხრიკიანათ იქცევა და ამაში კარგათ უნდა გავერკვიოთ. დავამყაროთ ღირებულება ისე, რომ გაცვლაზე ერთ წამსაც არ ვიფიქროთ, მისი ხსენებაც კი მოვსპოთ ჩვენს გონებაში. გაცვლის მომენტის სრული უარყოფით მთელი ასპარეზი მივცეთ მოხმარების მომენტს, აქ დავამყაროთ ღირებულება სუბიექტის და ნივთის ურთიერთობაში. გამოგვივა სხვა და სხვანაირი ღირებულება სუბიექტების მდგომარეობის მიხედვით.

ყველას უნდა მისი ნივთი უფრო მეტათ სასარგებლო იყოს მისთვის, ვიდრე არის, მაშასადამე მას მეტი ღირებულება ქონდეს. ამ ნივთის ღირებულების მომატება კი შესაძლებელია მისი ახალი პატრონის ხელში გადასვლით, რომელსაც იგი მეტათ ეჭირება და მაშასადამე მეტ ღირებულებას აძლევს მას. **მოხმარების მომენტში დამყარდა ღირებულების სხვა და სხვაობა, ამ მოვლენამ გამოიწვია გაცვლა.** მოხმარების სფერიდან ბუნებრივათ გადავედით გაცვლის სფეროში; მათ შორის კაუზალური კავშირი დამყარდა. ვნახოთ ახლა რა დღე დაადგება ამ ღირებულებას თვით გაცვლაში.

გაცვლაში სუბიექტი გამოდის თავისი ნივთით და მისი შემწეობით მან სხვა ნივთი უნდა შეიძინოს. ეს შესაძლებელია. კითხვა იბადება—რით განისაზღვრება ამ სხვა ნივთის ღირებულება? მასაც ყავს პატრონი და აქვს თავისი ღირებულება. მაგრამ ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, ეს სხვისი ღირებულებაა; ეს მოხმარებაში შექმნილი ღირებულებაა, ჩვენ კი გაცვლის მომენტში ვიმყოფებით. ამ სხვა ნივთის ღირებულება არ განისაზღვრება იმ ნივთის ღირებულებით, რომელზედაც ის უნდა გაიცვალოს, პირველი მეორეზე მაღლა უნდა იდგეს, რადგან მეტი სარგებლობა აინტერესებს მყიდველ-გამყიდველთ. ამ სხვა ნივთის ღირებულება განისაზღვრება იმ მოთხოვნილებით, რომელსაც ის აკმაყოფილებს. მაგრამ სუბიექტის რომელ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს ეს სხვა ნივთი, სხვისი ნივთი, რომელიც ჯერ მისი არ არის? ამ ხანათ, რასაკვირველია, არც ერთს, მაგრამ მას შეუძლია დააკმაყოფილოს შემდეგ, როცა ის სუბიექტის ხელში გადავა. მაგრამ ამ ხანათ რით ხელმძღვანელობს სუბიექტი, როცა ზომავს იმ მოთხოვნილების მნიშვნელოვანებას, რომელიც ამ სხვა ნივთმა უნდა დააკმაყოფილოს? ბემ-ბავერკი გვეტყვის. „წინანდელი გამოცდილების ჩვენებითო“ (51 გვ.). ჩვენ მოთხოვნილების მნიშვნელოვანებას ვზომავთ

იმ მაზარალებელი შედეგით, რომელსაც იწვევს მისი დაუკმაყოფილებლობა (34 გვ.), მაგრამ გამოცდილება აქ არაფერი მოსატანია, სუბიექტი მომავლისათვის ყიდულობს ნივთს და არა წარსულისთვის. წინანდელი პირობები კი, შეიძლება, სრულებით არ განმეორდეს მომავალში, ე. ი. იმ ხანში, როდესაც ამ ნივთმა უნდა იმსახუროს. ესეც არ იყოს, იქნება სუბიექტს არა აქვს გამოცდილება, იქნება მას თავის დღეში არ უწვნევია ის მაზარალებელი შედეგები, რომელსაც იწვევს მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა. ვიმედოვნებთ, ბემ-ბავერკის სუბიექტები სწორეთ ასეთი ჯურის ხალხს ეკუთნიან,— საეჭვოა მათ რაიმე ნაკლებულობა ეგრძნოთ, რომ ეს გამოცდილება ღირებულების შესაქმნელათ გამოეყენებიათ. ამნაირათ, ეს წარსულის ცოდნა და გამოცდილება ვერაფერი საბუთია.

შეიძლება გვითხრან: სწორეთ ყიდვის მომენტში აქვს სუბიექტს ამ ნივთის რაიმე მოთხოვნილება. მაგრამ ეს მომენტის მოთხოვნილება არ გამოდგება იმ ნივთების დაფასებისათვის, რომელნიც მომენტზე მეტ ხანს მსახურებენ. ყიდვის მომენტის მოთხოვნილება სწრაფვათ შეიძლება შეიცვალოს და პირობების მიხედვით სხვა და სხვა სახე მიიღოს, ნივთი კი დარჩეს. ავიღოთ მაგ. საზამთრო პალტოს მოთხოვნილება. ზაფხულში სულ არ არსებობს მისი მოთხოვნილება, შემოდგომაზე იგი სუსტია, ზამთარში ძლიერი. სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს მას თქვენი კეთილდღეობისათვის და სანამ პალტო მთლათ არ გაგიცვეთიათ და არ გადაგიგდიათ, თქვენ არ შეგიძლიათ თქვათ, რა მნიშვნელობა ქონდა მას თქვენი კეთილდღეობისათვის. ყიდვის მომენტის მოთხოვნილებით გაზომვა ღირებულებისა ნიშნავს ყველა შემდეგი მომენტების უარყოფას და წუთიერი მომენტით წლობით სახმარ ნივთის დაფასებას. მართალია, ზამთარი ზამთარს გავს და გონივრული მოსაზრება ადამიანში ზრუნვას იწვევს მომავალზე; მაგრამ აქ აბსტრაქტიულათ მოაზრე გონებაა, რომელიც არაფერს არ **გრძნობს**, ღირებულების შემქნელი კი გრძნობაა, მოთხოვნილებაა.

რა უნდა ქნას სუბიექტმა ამ გრძნობა-მოთხოვნილებით, რა კრიტერათ გამოადგება მას იგი. ავიღოთ იგივე პალტოს მოთხოვნილება. ზაფხულში სრულიად სდუმს იგი. მაგრამ ეს, ვთქვათ, არაფერია; სუბიექტი ზაფხულში სულაც არ იყიდის პალტოს, გაცვლას ადგილი არ ექნება. შემოდგომაზე სუსტათ იჩენს თავს ეს მოთხოვნილება, მაგრამ უპალტოვოთაც იოლათ წავა უზრუნველი სუბიექტი. ვთქვათ წარსული ზამთრის სუსხით ჭკუა ნასწავლმა მიმართა მან მოსაზრებას და სთხოვა მას დახმარება, ის ეუბნება, რომ ზამთარში პალტო კარგი რამ იყო, მას ამდენი და ამდენი ღირებულება ქონდა.

მაგრამ შარშანწინდელი გამოცდილება სულ სხვას ეუბნება. ზამთარი თბილი იყო, პალტო ან სულ არ იყო საჭირო, ან კმაროდა მისი მკლავ-გაუყრელათ წამოსხმა და ღილებ შეუკვრელათ სიარული;—პალტოს მაგდენი ღირებულება არ ქონია. ეს ორნაირი მოწმობა (მისი რიცხვი კიდევ შეიძლება გადიდდეს) სასოწარკვეთილებაში აგდებს სუბიექტს. მან მომავალი ზამთრის სუსხი მთელი მისი გადიდებულ-დაკლებული სიმძაფრით ვერ გამოიწვია, ვერ იგრძნო ის ჯოჯოხეთი, რომელსაც მას უპალტოობა უქადის, ვერ გამოიწვია პალტოს კონკრეტიული მოთხოვნილებები და ეს იმიტომ, რომ თვალწინ არ არის ის ობიექტი, რომელიც წყაროა ამ მოთხოვნილებისა, ის მომავალშია მხოლოთ. სუბიექტი მოსაზრებას ეცა: მან იცის ხოლმე მომავლის გამოცნობა. მან მხოლოთ წარსულის გამოცდილება დაუყენა წინ, ისიც ორნაირი და მეტნაირი სახით. აშკარაა აქ წილის ყრით ვერ გადაწყდება არჩევანი და სხვა გზა კი არ არის. თუ არ დაეხსნება სუბიექტი ამ მოსაზრებას და მოსთხოვს მას წარმოადგინოს ანგარიში, როგორი იქნება მომავალში მისი მოთხოვნილებების მდგომარეობა, ის მისცემს მას მხოლოთ მის საერთო სურათს, აბსტრაქციას; კონკრეტიული მოთხოვნილებები კი მას არც აწუხებს და არც აინტერესებს. ერთი სიტყვით, სუბიექტი დგას ამოცანის წინაშე და „ამაოთ იმტვრევს თავს:“ ის ეკედრება თავის მომავალ მოთხოვნილებებს, ისინი არ მოდიან, უდროუდროთ თავს არ იწუხებენ; ეკედრება თავის გონებას, ის უსულო აბსტრაქციას აძლევს. ცუდი დღე დაადგა სუბიექტს, უარესი კიდევ ღირებულებას!

როგორც კი მივადექით გაცვლას, იქ სხვისი ნივთი გამოცხადდა და აირია მონასტერი! სუბიექტმა ველარაფერი დააფასა, რადგანაც მან ვერ წამოაყენა ის კონკრეტიული მოთხოვნილება, რომელსაც ეს ნივთი აკმაყოფილებს; მან ერთ წამში ვერ გამოიწვია ყველა ის გრძნობიერი ტანჯვა-ვება, რომელიც ამ ნივთის უქონლობას მოყვება. სუბიექტმა აქ ველარა გააწყორა და ნივთიც დაუფასებელი დარჩა. საინტერესოა ამ სუბიექტის თავ-გადასავალი: წინათაც არ იყო მისი სული სახარბიელო; ის სალტესავით იყო შემორტყმული—იშვიათობით,—მის უნებურათ ის კრინტს ვერ სძრავდა. მაგრამ იქ თუ მაინც შეეძლო თქმა: ‘ე—სუბიექტი—გარეშე მიზეზით შებორკილ-შებოჭილი, მისი უმორჩილესი მონა, ვაფასებ იმ ნივთებს, რომელნიც მომეპოვება და მაშასადამე, მე ვქმნი სუბიექტიურ ღირებულებასო,—ახლა ის სადღაც გაიპარა და ძნელათ რომ თუნდ გაასკეცებულმა კაზუისტიკამ გამოათრიოს ის თავისი ხვრელიდან. მის გაქრობასთან ერთათ, ღირებულებაც გაქრა, დაიკარგა.

საგულისხმოა აქ ერთი რამ. სანამ მოხმარების მომენტში ვართ, სუბიექტი

ასე თუ ისე სუბიექტობს, ღირებულებაც ასე თუ ისე რაღაცას გავს. როგორც კი საქმე გაცვლაზე მიდგა, ყველაფერმა თავი დაგვიკრა; სწორეთ გაცვლის მომენტისთვის მომზადებულმა თოფ-ზარბაზანმა იმტყუნა და ხმა არ ამოიღო. ასე იცის სუბიექტის იმედათ ყოფამ. ტყუილათ კი არ ერიდებოდა ბემ-ბავერკი გაცვლის მომენტისთვის ანგარიშის გაწევას, როცა ის ღირებულების თეორიას აშენებდა. ის ინსტინქტიურათ გრძნობდა მის ობიექტივობას, მის სუბიექტიდან დამოუკიდებლობას. მაგრამ კაცმა ჭირი მალაო, ჭირმა თავი არ დამალაო. ასეთი იყო ალბათ მისი ბედის წერა.

მიუხედავათ სუბიექტის ასეთი შერცხვენისა ნივთების გაცვლა მაინც ხდება. ეს ბემ-ბავერკამდის იცოდა ყველამ „თუ მან სხვა არაფერიც არ იცოდა". სხვის ნივთს სუბიექტი წამოიღებს სახლში. აქ სუბიექტი კვლავ წამოგვეჭიმება: აბა ახლა მკითხეთ, რომელ მოთხოვნილებას შეეფერება ეს ნივთი? მკითხეთ თუნდ დილას, თუნდ საღამოს, თუნდ ზამთარში, თუნდ ზაფხულში. მე ვიცი შესაფერი კონკრეტიული მოთხოვნილება და როცა გნებავთ, დავაფასებ მას. დიახ, ჩვენც ვიცით, რომ სუბიექტი ყოჩაღია მოხმარების მომენტში, რამდენათაც კი ამის ნებას გარეშე ობიექტიური პირობები აძლევენ მას. გარდა ამისა, ფაქტი უკვე მომხდარია, ნივთი ნაყიდი და ხმარებაში შესულია და ასე ხომ ლუარსაბიც გამოიცნობს!

7

ჩვენი კრიტიკა მთლიანი არ იქნება, თუ ამ თეორიის ერთ დებულებას არ გავუწიეთ ანგარიში. სახელდობრ, ბემ-ბავერკის აზრით მოხმარების მომენტში შექმნილი ღირებულებანი, რომელნიც სხვადასხვანაირია სუბიექტების მიხედვით, შესაძლებლათ ქმნის გაცვლას. ერთი სიტყვით, გაცვლის წარმოშობა სუბიექტიურია. ამის გასარკვევათ აუცილებელია მისი თეორიის ყველა სხვა მომენტებიც განვიხილოთ. მაშ განვაგრძოთ.

იმის დასამტკიცებლათ, რომ ნივთის სარგებლობასა და მის ღირებულებაში პირდაპირი კავშირია, რომ მაგ. პური თუ ცოტა ღირს, მისი სარგებლობაც ნაკლებია, ვიდრე ალმასისა, რომელიც ძვირათ ფასობს,—ამის დასამტკიცებლათ ეს ჩვენი უებარი ეკონომისტი, როგორც ვიცით, მოთხოვნილებებს რიგებზე ამწკრივებს და ყოველ რიგში საფეხურებს აშენებს. მოვიგონოთ მისი სქემა. მოთხოვნილებათა რიგებს საფუძველი ერთი აქვთ, წვეროები კი მეტ-ნაკლები, რათ არის ეს ასე? რათა აქვს მაგ. პურის მოთხოვნილებას 10 საფეხური და მაგარი სასმელებისას კი მხოლოთ 6? საიდან წარმოსდგება,

რომ სხვა და სხვა რიგებს საფუძველი ერთი აქვთ? საერთოთ ხომ რიგებათ დანაწილების დროს (მაგ. საქონლის ხარისხებათ დანაწილება) სულ სხვა მოვლენას ვხედავთ: პირველი რიგის უკანასკნელი საფეხური მაღლა სდგას მეორე რიგის პირველ საფეხურზე და სხ.?

განვიხილოთ ჯერ ეს უკანასკნელი კითხვა. ბემ-ბავერკი მას არ არჩევს, ეს მისი აზრით „ფაქტია", თვით ადამიანის ბუნებაში ღრმათ ჩამარხული.

რამდენათაც ბემ-ბავერკის კაპრიზზე არ არის აშენებული ეს სქემა, მას რაიმე აზრი უნდა ქონდეს და რაც გინდ ღრმათ იყოს იგი ადამიანის ბუნებაში ჩანარხული, მისი ახსნა შესაძლებელი უნდა იყოს. მაშ ასე. რით აიხსნება ერომ საფუძველი ყველა რიგებს ერთი აქვთ? მოთხოვნილება მის შესაფერ ნივთს გულისხმობს. ჯერ ნივთი უნდა არსებობდეს, რომ მისი გამუდმებული ხმარება ჩვეულებათ გადაიქცეს და არსებით მოთხოვნილებათ შეიქნეს. ავიღოთ მაგალითი. როდესაც თუთუნის წევას პირველათ იწყებს კაცი, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას აქვს თუთუნის მოთხოვნილება. ყოველ შემთხვევაში ამ მოთხოვნილებას სხვა მის არსებით მოთხოვნილებებთან საერთო საფუძველი არა აქვს. პირველ ხანებში ის ამ საფუძველზე დაბლა სდგას. შემდეგი გამუდმებული ხმარება თუთუნს სიამოვნებათ ხდის და მისი ხმარება მოთხოვნილებათ იქცევა. მისი დაუკმაყოფილებლობა მართლა უსიამოვნებას იწვევს. აქ ის სხვა მოთხოვნილებებთან საერთო საფუძველზე სდგება და განსაკუთრებულ რიგს იჭერს. ამ რიგში საფეხურებიც ეწყობა: რადგან ამ მოთხოვნილების ნაწილობრივი დაკმაყოფილება შეიძლება,—აქაც არსებობს კონკრეტიული მოთხოვნილებები. ეს მოვლენა კარგათ იციან ჯარის კაცებმა: ერთ პაპიროსს ხუთ-ხუთი კანდიდატი უცდის ხოლმე, ყოველი მათგანი, მაშასადამე, ნაწილობრივათ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას.

ამნაირათ ეს მოთხოვნილება ბემ-ბავერკის სქემის სრულ-უფლებიან წევრათ გადაიქცა. როგორც დავინახეთ, **მისი წარმოშობა ობიექტიურია**: ნივთიდან დაიწყო და მისმა გამუდმებულმა ხმარებამ განავითარა და არსებითათ გადააქცია ეს მოთხოვნილება. თავისი საფუძველი მან სხვა მოთხოვნილებათა საფუძველს გაუთანასწორა.

რით აიხსნება სხვა და სხვა რიგის საფეხურთა მწვერვალის უთანასწორობა? რათა აქვს, მაგ. პურის მოთხოვნილებას 10 საფეხური და მაგარი სასმელებისას—6? ეს საფეხურებზე დანაწილება მოთხოვნილების ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზეა დამყარებული. სადაც ეს ნაწილობრივი დაკმაყოფილება არ შეიძლება, იქ არც საფეხურსა აქვს ადგილი, მაგ., როცა ოთახის ფეჩის

მოთხოვნილებას ერთი ფეჩი საკმაოთ აკმაყოფილებს, მეორე ფეჩი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. მაგრამ წარმოვიდგინოთ დიდი ოთახი, სადაც ერთი ფეჩის სითბო აღარა კმარა; იქ მეორე ფეჩიც სასარგებლო შეიქნება. წარმოვიდგინოთ კიდევ უფრო დიდი ოთახი, სადაც მესამე ფეჩსაც ვუშოვით ადგილს. სამი ფეჩი მშვენიერათ ათბობს ოთახს. მაგრამ თუ სამივე ფეჩის გასავსები შეშა არ მოგვეპოება, ჩვენ შეგვიძლია მარტო ორი ფეჩით დავკმაყოფილდეთ, ესეც საკმაოთ გაათბობს ოთახს, თუმც ისე ვერა, როგორც სასურველია. დასასრულ, ჩვენ შეგვიძლია ერთი ფეჩითაც ოლათ წავიდეთ, ცოტაოდენ სითბოს ესეც მოგვცემს და სულ არაობას ხომ ესა სჯობია. ჩვენ მივიღეთ ნაწილობრივი დაკმაყოფილება და სითბოს კონკრეტიული მოთხოვნილება.

აქედან ნათლათ სჩანს, რომ ნაწილობრივი დაკმაყოფილებაც **დამყარებულია ნივთებზე**, მათ რიცხვზე. რამდენათ მეტია ამა თუ იმ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ნივთები, იმდენათ უფრო შესაძლებელია მისი ნაწილობრივი დაკმაყოფილება, იმდენათ უფრო მეტ-რიცხვოვანია მისი კონკრეტიული მოთხოვნილებანი, და მაშასადამე, იმდენათ უფრო მაღლა მიდის მისი რიგის საფეხურთა წვერო. ასე რომ, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება (საჭმელის მოთხოვნილება, რომელსაც I რიგი უჭირავს) მით განირჩევა სხვებიდან, რომ მისი წვერო სხვებზე მაღლა მიდის, ამას თავისი ობიექტიური მიზეზი აქვს: მრავლათ მოიპოვებიან ის ნივთები, რომელნიც მის დაკმაყოფილებას ემსახურებიან. ან ბემ-ბავერკისებურათ რომ ვთქვათ: სხვა და სხვა რიგის მწვერვალთა უთანასწორობა შესაფერ ნივთთა **იშვიათობის** სხვა და სხვა პროპორციით აიხსნება.

ეს იშვიათობა კიდევ მოევლინა ჩვენს სუბიექტს და მის მოთხოვნილებათა სქემაში თავისი ადგილი მოითხოვა. მაგრამ ბემ-ბავერკი აქაც გვეტყვის: როგორიც უნდა იყოს ამ სქემის წარმოშობა, დღეს ის სუბიექტის ბუნებაში ღრმათ არის ჩამარხული, ეს მის ბუნებრივ თვისებას შეადგენს. აღარ გამოვეკიდებით სუბიექტის ამ პრეტენზიას, უმისოთაც საკმაოთ არის ის შელანძღული. ინუგეშონ მან და ბემ-ბავერკმა ჯერჯეროობით. თავი. ჩვენ კი ჩავყვეთ ქვემოთ.

8

ახლა თვით მოხმარების სფეროში შევეჭრათ ბემ-ბავერკს და მის სუბიექტს; სადაც ისინი ღირებულების შექმნაზე ჩხირკედელაობენ. ვკითხოთ სუბიექტს:

როგორ ხდება, რომ პურს, რომელსაც საერთოთ ასე დიდი სარგებლობა მოაქვს, ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე ფუფუნების საგანს, რომლის სარგებლობა თითქმის საეჭვოა? რათ შემოსწყერით ასე პურს, ბ-ნო სუბიექტო, და რათ მიეცით მას ასეთი მცირე ღირებულების მოწმობა? იმიტომ, რომ ჩემი მოთხოვნილება პურისა თითქმის არასოდეს არ არის მაღალი, ის მუდამ უმნიშვნელოა; ფუფუნების საგნის მოთხოვნილება კი მუდამ ძლიერი მაქვს, ამას გვიპასუხებს დარბაისელი სუბიექტი. გავბედოთ და ვკითხოთ: ეს თქვენი მოთხოვნილების სიმაღლე—სიდაბლე, მისი სიძლიერე—სისუსტე, ერთი სიტყვით, მისი ინტენსივობა რაზეა დამოკიდებული, საიდან წარმოსდგება? სუბიექტი აქაც არ დაგვზარდება და თუმცა ამოოხვრით, მაინც გვიპასუხებს: მაგისი მიზეზიც ადვილი ასახსნელია: მე რომელიმე ნივთები თუ ძალიან ბევრი მაქვს, მათი მოთხოვნილება ან სულ არა მაქვს და ან ძალიან სუსტი; პირიქით, იმ ნივთების მოთხოვნილება, რომელნიც იშვიათად მომეპოვებიან, ძალიან ძლიერი მაქვს ხოლმე. რაც გინდ უმნიშვნელო იყოს ჩემი კეთილდღეობისათვის ესა თუ ის ნივთი, თუ მე ეს იშვიათათ მომეპოვება, მე მისი სიყვარულით ვიწვი და მას დიდ ღირებულებასაც ვაძლევ. ოო, იშვიათობა აქ პირველი საქმეა, ჩემ თავისუფალ და უკვდავ სულს ის მაჯლაჯუნასავით აწევს და ნივთებისთვის ღირებულების მოწმობათა შედგენას მიკარნახებს. ასე გახლავთ ეს საქმე!

კი მაგრამ, რატომ გაქვთ ასე იშვიათათ ზოგიერთი ნივთები, რატომ ყველა ერთნაირათ ბევრი არა გაქვთ, რატომ გაქვთ მხოლოთ ზოგიერთები თავისუფლათ?—აჰა, ღმერთო, რას გადამეკიდეთ—აქ კი შემოგვწყრება სუბიექტი: იმიტომ არა მაქვს ბევრი, რომ არა მაქვს; იმიტომ მაქვს ბევრი, რომ მაქვს. სუბიექტს ალბათ ეგონა, რომ ჩვენ მას თავს ვესხმოდით და ნივთების წართმევას ვპირდებოდით. აქ წყრომა ბუნებრივია და მას რა პასუხისა სცხელა! ბემბავერკი უფრო დინჯი და ჭკუიანი უნდა იყოს ამ სუბიექტზე, მაგრამ დაყენებული კითხვა მასაც არ ეჭაშნიკება. მაშ დავუტეოთ იგინი და ჩვენით განვაგრძოთ დაწყებული გზა.

იმიტომ არა მაქვს ბევრი, რომ არა მაქვსო; იმიტომ მაქვს ბევრი, რომ მაქვსო—ეს პასუხი გამოვტყუეთ ჩვენ სუბიექტს. ალბათ სხვანაირათ არ შეიძლება, თორემ სუბიექტის ნებაზე რომ იყოს, ის პურზე მეტს ბრილიანტებს იქონიებდა. ეს მოვლენა მარტო სუბიექტის ხვედრი არ არის, მთელი საზოგადოებაც საერთოთ ამ გასაჭირშია ჩავარდნილი: მას ერთგვარი ნივთები ბევრი მოეპოვება, მეორეგვარი ცოტა. რათა? რატომ არ შეუძლია საზოგადოებას ყოველგვარი ნივთები ბევრი იქონიოს? იმიტომ რომ, რაცა აქვს მას, ისიც

შრომითა აქვს და რაც არა აქვს, ალბათ ესეც შრომის ბრალი იქნება, ალბათ შრომა მეტს ვერა ქმნის.

ყურადღების ღირსია, რომ ამ მიზეზთა ძებნაში როგორც კი სუბიექტს თავი დავალწიეთ, მაშინვე წარმოსდგა წინ წარმოება. ახლა აშკარათ სჩანს, რომ ნივთები თავისთავათ არ არსებობენ სუბიექტის ხელში; ნივთები რომ გვქონდეს, პირველ ყოვლისა საჭიროა მათი დამზადება (სხვისი თუ საკუთარი ხელით—ეს სხვა კითხვაა), საჭიროა მათ შესაქმნელათ შრომა იყოს დახარჯული. შრომაში ძევს მიზეზი ნივთთა მეტ-ნაკლებობისა, მისი სხვა და სხვანაირი იშვიათობისა. იშვიათობა—ეს ნიღაბ ჩამოფარებული შრომაა; შრომა ასრულებს იმ ობიექტიური რაოდენობის როლს, რომელსაც იშვიათობის სახით ისეთ გულმოდგინე ანგარიშს უწევს სუბიექტი.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ აქვე შევნიშნავთ, რომ ამ „შრომას“ მარქსის შრომის თეორიასთან საერთო არაფერი აქვს. აბსტრაქტიული, საზოგადო შრომა ქმნის ღირებულებას და სრულიათ ადგილი არა აქვს სუბიექტის დაფასებას, რასაც უნდა შეეხებოდეს იგი—შრომას, თუ იშვიათობას. თუ შევჩერდით ამ „შრომის“ გამოქექვაზე, იმიტომ კი არა, რომ ბემ-ბავერკის სუბიექტი მარქსის თვალსაზრისზე მოგვეყვანა, არამედ იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, რანაირათ გაურბის ბემ-ბავერკი თვით შრომის ხსენებასაც კი, როცა ის იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს. მას გონია, მისი ღირებულების თეორია იმდენათ მოიმატებს, რამდენადაც იქ შრომის ჭაჭანება მოსპობილი იქნება.

მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება. ერთი ვიკითხოთ, რატომ არ შევიდა მის სქემაში ჰაერის მოთხოვნილებათა რიგი? იმიტომ რომ ის ისე შედის სუბიექტის მოხმარებაში, რომ მასზე შრომა არ იხარჯება. ბემ-ბავერკმა კი ჰაერს და მის მსგავს „ნივთებს“ „თავისუფალი მატერიალური ნივთები“ უწოდა და ამ ფრაზით მოიშორა თავიდან ეს უსიამოვნო „შრომა“. რატომ არ შევიდა იმავე სქემაში მშობლების და შვილების მოთხოვნილება ალერსისა, სიყვარულისა? ესეც ხომ „თავისუფალი მატერიალური ნივთი“ არ არის? რომ ეს მოთხოვნილება არც თავისი არსებითი ხასიათით და არც თავისი სიძლიერით სხვა სულიერ მოთხოვნილებებს არ ჩამოუვარდება, ამას არც ერთი ჭკუაზე მყოფი არ უარყოფს. და თუ არ შევიდა და ვერც შევა ეს მოთხოვნილება ბემ-ბავერკის სქემაში, მხოლოთ იმიტომ, რომ მისი შესაფერი ობიექტები ჯერ-ჯერობით ფაბრიკაში არავის დაუმზადებია—და ფაბრიკის გარეთაც მათი შრომით შექმნა არავის უფიქრია.

გავუმეოროთ ვიზიტი მის სუბიექტს. ის ჯერ სოფლის მეურნის სახით

მოგვევლინება. მას ჩამოუდის წყარო, რომელიც დღეში ოც ჰექტოლიტრს უვსებს, მისთვის კი საჭიროა მხოლოთ ათი ჰექტოლიტრი. ერთს, ორს და მეტ ჰექტოლიტრსაც ის უდავიდარაბოთ დაგვითმობს,—ეს მისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. მაშ ავიღოთ მისი სავსე ჭურჭელი და ჩვენ-საში გადავასხათ.—რას სჩადით, მეგობრებო! ერთი ჰექტოლიტრი ჩემთვის, არაფერ ღირებულებას არ წარმოადგენს,—წაიღეთ, ღმერთმა მოგახმაროთ. მაგრამ მე მაგ ჭურჭლის ავსებაში ათი წამი დავკარგე, მაგას ვერ დაგითმობთ, მიდით და თითონ აავსეთ.—აი რა ჭკვიანურ პასუხს გვაძლევს აქ სუბიექტი: მაგ ჭურჭლის ავსებაზე მე შრომა დავხარჯეო. მეორე სუბიექტს დიდი ტყე აქვს ხილით სავსე, ათასობით ტომრები აივსება ხილით. მისთვის თუნდ ასი ტომარაც არაფერ ღირებულებას არ წარმოადგენს. მაგრამ აბა სცადეთ და იმ ტომარას მოებღაუჭეთ, რომლის ავსებაზე მას მთელი დღე დაუკარგავს! რატომ არ განებებთ ერთ სავსე ტომარას, როდესაც მას დაულეველათ აქვს ხილი ტყეში? პასუხი იგივეა: მაგ ტომრის ავსებაზე მე შრომა დავხარჯეო. მაგრამ იქნება წყაროს პირს მჯდომმა სუბიექტმა დაგვალევინოს წყალი და თავისთვის ავსებული ჭიქა ჩვენ მოგვაწოდოს? შეიძლება. მაგრამ არა გვგონია ბემ-ბავერკი ამ სუბიექტმა ანუგეშოს.

ერთი სიტყვით, დიდი ჭკუა არ არის საჭირო, რომ იშვიათობის თუ ნამეტანობის ადგილას შრომის როლი დაინახოთ ბემ-ბავერკის სუბიექტის სუბიექტიურ დაფასებაში. მაშ რათ გაურბის მას თვით ბემ-ბავერკი? ამისი მიზეზიც ადვილი დასანახია. შრომა წარმოების მომენტია. შრომას კი საზოგადოებრივ ურთიერთობაში გადავყევართ. ამ მომენტის სახეში მიღება ძირიანათ სცვლის მთელ მის პოზიციას. ამიტომ ის ერთ ვერსზე უვლის მას და რაცა უცაბედათ წააწყდება, სახელს უცვლის და მელიასავით თავს იმძინარებს—სიზმარი იქნებაო.

ღირებულების კითხვაში საზოგადოებრივი ურთიერთობა არაფერ შუაშია, სუბიექტი ქმნის ღირებულებას გარეშე ყოველივე საზოგადოებრივ ურთიერთობისა; ყოველი კაცი თითონ სჭედავს თავის ბედ-იღბალს, საზოგადოებას აქ არაფერი ბრალი არა აქვს. აი მთელი სიბრძნე ბემ-ბავერკის თეორიისა.

9.

ბემ-ბავერკის სქემის წარმოშობას ობიექტიური ხასიათი აქვს. ამ სქემის შესაფერათ სუბიექტის ანგარიშებს, მის დაფასებას შრომა უდევს საფუძვლათ და არა რაღაც უაზრო „იშვიათობა“. ჩვენ უკვე გამოვიყენეთ ეს სქემა სუ-

ბიექტისთვის, მისი „დაფასების“ ანალიზისთვის. მაგრამ ამ სქემას საერთო ხასიათიც შეიძლება მივცეთ. ის მოთხოვნილებებს წარმოადგენს სხვადასხვა რიგებისას და მათ განსხვავებულ საფეხურებისას. სუბიექტები განირჩევიან ერთმანეთიდან თავისი მოთხოვნილებებით, მაგრამ როგორც უნდა განსხვავდებოდენ იგინი, ყოველ მათგანს აქვს თავის მოთხოვნილებათა სქემა, სქემა მეტ-ნაკლებათ განვითარებული, მაგრამ ამავე დროს თავისი საერთო ხასიათით ყველა სუბიექტებისთვის ერთნაირათ მნიშვნელოვანი.

ავიღოთ ცალ-ცალკე სუბიექტი. ყოველ მათგანს უმთავრესი (პირველი რიგის) მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი ნივთები მუდამ მეტი მოეპოვება, ვიდრე შემდეგი რიგის მოთხოვნილებათა. პური ყოველ მათგანს უფრო ბევრი აქვს ვიდრე ბრილიანტი. მართალია, არსებობს ერთი და იმავე ნივთთა მეტ-ნაკლებობა სხვადასხვა სუბიექტებს თუ ავიღებთ, ე. ი. ამ დალოცვილ პლანეტაზე ქონებათა უსწორ-მასწორობაა, მაგრამ რამდენათაც მოხმარების სფეროში ვიმყოფებით (ბემ-ბავერკთან ხომ მუდამ ამ სფეროში ვიმყოფებით და აქედან უნდა გადავიდეთ გაცვლის სფეროში), ყოველ სუბიექტს თავისი ქონების შესაფერათ ერთგვარი ნივთები მეტი აქვს, ვიდრე მეორენაირი; პირველ მნიშვნელოვან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მეტი ნივთი მოეპოვება, ვიდრე მეორე მნიშვნელოვანთა. **სხვადასხვა ნივთთა პროპორციონალური იშვიათობა სასტიკათ დაცულია ყოველი სუბიექტისთვის** და ამ აზრით სქემას საერთო მნიშვნელობა აქვს. დავიხსომოთ ეს და ცოტა უკან დავბრუნდეთ.

როგორც ვიცით, ბემ-ბავერკმა მოხმარების სფეროში შექმნილ ღირებულებაზე დაამყარა გაცვლის შესაძლებლობა. გამეორება გვიხდება, მაგრამ მეტი გზა არ არის. სუბიექტი, რომელსაც ნივთი ბლომათ აქვს, ნაკლებათ აფასებს მას; რომელსაც ნაკლებათ აქვს,—მეტათ აფასებს. ყოველი მათგანი მოინდომებს მეორეს გამორჩეს და თავის ნივთში მეტი ღირებულება იგდოს ხელთ. და აი, ორი სუბიექტი წარსდგებიან ერთი მეორის წინაშე და თითეული მათგანი მეორეს მისთავაზებს თავის ნივთს, რომელსაც მისთვის უმნიშვნელო ღირებულება აქვს და მოითხოვს მისგან იმ ნივთს, რომელსაც მისთვის მეტი ღირებულება აქვს. ჩვენ უკვე ვიცით, ამ სხვისი ნივთის დაფასებაში რა თავპირს იმტვრევდა სუბიექტი, მაგრამ დავივიწყოთ ეს,—ვცნათ მათ მიერ სხვისი ნივთის დაფასების შეძლება. ვნახოთ რა გამოვა.

საქმე მშვენივრათ წავა, ერთისთვისაც და მეორესთვისაც. ერთიც და მეორეც გასცემენ თავის მცირე-ღირებულებიან ნივთს და შეიძენენ სხვის მეტ-ღირებულებიან ნივთს. ორივენი მოგებაში რჩებიან, ორთავეს ზედმეტი ღი-

რებულება მიაქვთ. რა სჯობია ასეთ წყობილებას, რომელი გიჟი არ მოებღაუ-ჭება მას ორივე ხელებით. მაგრამ ვაი თუ ამ წყობილების ასეთი შელამაზება ნაადრევი იყოს! ვნახოთ.

რა ნივთები მოაქვთ გასაცვლელათ ამ სუბიექტებს? პირველსაც და მეორესაც მოაქვთ ის ნივთები, რომლებიც მათ მომეტებულათ აქვთ. გაცვლის შემდეგ პირველიც და შეორეც შეიძენენ იმ ნივთებს, რომელნიც მათ ნაკლებათ აქვთ, მაგრამ რანაირათ ხდება ეს? თუ ერთმა მათგანმა ბაზარზე გამოიტანა ის ნივთი, რომელიც, საერთოთ, სხვა ნივთებთან შედარებით მას ბლომათ აქვს, მაგ. პური,—მეორემ სხვა რამე უნდა გამოიტანოს; მართალია, პური იმასაც ბევრი აქვს სხვა ნივთებთან შედარებით, მაგრამ პურს ხომ პურზე არ გასცვლის. იქნება ბრილიანტები მოემეტა და პური დააკლდა? კარგი დაგემართათ, კარგი ეს იქნებოდა: უმნიშვნელო ბრილიანტებში დიდ ღირებულების პურს წამოიღებს და თან პირველის გულსაც გაახარებს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ ნივთებს მათი პატრონების ხელში მუდამ აქვთ ღირებულება *),—დიდი ან პატარა,—მათი იშვიათობის მიხედვით. ამ იშვიათობას კი სასტიკი პროპორცია აქვს დაცული სხვადასხვა ნივთთა მიმართ. და ეს იმის ბრალია, რომ შრომა იძლევა ამ ნივთებს, იძლევა მათ მათი მეტ-ნაკლები რაოდენობით. ეს ნივთები რომ ზეციდან ცვიოდეს, და ზოგის ეზოში პური ვარდებოდეს მეტი, ზოგისაში ბრილიანტები, მაშინ პროპორცია მართლა დაირღვეოდა და ბემ-ბავერკიც სიხარულით ტაშს შემოკრავდა. საუბედუროთ ეს ასე არ არის. თვით მილიონერსაც კი პური მეტი შეუძლია იქონიოს, ვიდრე ბრილიანტები; და სანამ ამ ნივთებს მისთვის ღირებულება აქვთ, ამ ღირებულებათა პროპორცია სასტიკათ დაცულია: ყოველ მათგანს თავისი მნიშვნელობა აქვს მისი კეთილდღეობისათვის. მაშ როგორ შეუძლია შეელიოს რომელიმე ღირებულებას? ან რის გულისთვის უნდა შეელიოს მას იგი, როცა ჩვენ ვიცით, რომ მას მარტო მოგება აინტერესებს? უკეთეს შემთხვევაში მასში გაცვლილი ნივთი მან თავის ნივთებს უნდა მიუმატოს, რომელიც გაცემულ ღირებულებიდან განირჩევა. მერე რა გამოვა აქედან? ახლათ შენაძენი წევრი გაამრავლებს თავის თანამოძმეთა რიცხვს და მით ....მათ ღირებულებას.... **დასწევს.** კარგი შენაძენია, სწორეთ! მომატების მაგივრათ ღირებულებამ დაიკლო. მაგრამ ღმერთი მოწყალეა: გაცემული ნივთი ხომ

*) რომ ეს ასე არ იყოს, რომ ეს ნივთები სუბიექტს თავსაყრელათ ქონდეს და მაშასადამე მისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდეს, მაშინ ის სულ მუქთათ დასთმობდა მათ და ამ შემთხვევაში გაცვლა კი არ იქნებოდა, არამედ ჩუქება, უბრალო თავაზიანობა.

დააკლდა თავის თანამოძმეთ, მაშ დარჩენილთა ღირებულებამ შესაფერათ იმატა. ბარიბარში!

ეს გაქვითება რომ კიდეც დავიჯეროთ, მოგება სად ვეძებოთ? აკი მოგება უნდა ენახათ ერთსა და მეორესაც; მაგრამ თუ ორივემ ასეთი გაქვითების მოგება ნახეს (სხვა რამე კი წარმოუდგენელია) ისინი იმდენათ ჭკუიანი კი იქნებიან, რომ აღარ გაიმეორონ ეს ოპერაცია. მაშ ნურას უკაცრავათ ბემ-ბავერკთან, თუ ერთი სამწუხარო ამბავი ვაუწყოთ: მის სუბიექტიურ ღირებულების ნიადაგზე გაცვლა შეუძლებელია.

ფათერაკი ფათერაკზე დაატყდა ბემ-ბავერკს. იქნება ახიც არის მასზე. ის მეტად დაუმეგობრდა სუბიექტს—„უბრალო პრაქტიკს"—და მისი კაზუისტური მოსაზრებანი მოინდომა მეცნიერულ სიმაღლემდე აეყვანა (39 გვ.). მისი თეორია ამ პრაქტიკის ფილოსოფია უნდა შექნილიყო, და აი, ამ მეშჩანინ-პრაქტიკის ფილოსოფიას ერთი დაკვრით უნდა წაეწია წინ მეცნიერება. ასეთი იყო მისი დაქადება. მაგრამ როგორც დავინახეთ, მათ ბევრი კისრული გადაიარეს თავის „ფილოსოფიურ" ექსკურსიაში. პირველ ხანებში პრაქტიკი სუბიექტი ძალიან მამაცათ იყო. მან სუბიექტიური ღირებულების შექმნა დააპირა და მოხმარების სფეროში მართლაც შეუცდომლათ აფასებდა ნივთებს. მართალია, ობიექტიური მომენტი—იშვიათობა თვალში ეკალივით ეჩხირებოდა, მაგრამ ბედს დამორჩილდა და თავი ინუგეშა: იშვიათობა ხომ არ აფასებს, მე ვაფასებო. ჩუმათ იმასაც კი ამბობდა, რომ ეს წყეული იშვიათობა საღებავით გალესილი შრომა არისო, მაგრამ ამ აზრს არსად ამჟღავნებდა—არ დამძრახონო. ის წამოვიდა აქ შექმნილი ავლა-დიდებით იქ, სადაც მას მისი დანიშნულება იწვევდა; მოვიდა ბაზარზე ნივთების გასაცვლელათ და მაშინაც პირკატა ეცა: სხვისი ნივთის დაფასებაზე ენა დაება, გრძნობაც დაუდუმდა, მოთხოვნილებაც გაქრა და ჭკუის აბსტრაქციაც ვერაფრით გამოიყენა. მან ვერ დააფასა ნივთი, ვერ შეასრულა ის, რისთვისაც გული წმინდათ უძგერდა. გატრიალდა და იფიქრა: ან კი რა ოხრათ მინდა სხვისი ნივთიო. მაგრამ ეშმაკმა აცდინა, სულმა წასძლია და ანგარებით გატაცებულმა ასეთი რამ გამოპლანა: ჩემ ნაკლებ ღირებულებიან ნივთებს ისეთ ვინმეს მივაჩეჩებ, რომელსაც ის ნაკლებათ მოეპოვება და მაშასადამე ძვირათ უღირს. აქედან უეჭველათ გამოვრჩები რასმე და არც ის დამრჩება უმადურიო: ისიც თავის ნაკლებ ღირებულებიან ნივთს გამიცვლის და ორივენი ხეირს ვნახავთო! მაგრამ შეუდგა თუ არა პლანის განხორციელებას, რეტი დაესხა და თავგზა აერია. ნახა, რომ მეორე სუბიექტსაც, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით, ასეთივე პლანი შეუდ-

გენია, ისეთივე ნივთი ამოუჩრია იღლიაში, როგორიც ამას ქონდა. შეხედეს ერთმანეთს და უნებურათ სიცილი წასკდათ: მიუხვდენ ერთმანეთს ეშმაკობას. მაინც ვცადოთ გაცვლაო—უთხრა ჩვენმა სუბიექტმა და პატარა თათბირის შემდეგ დაიყოლია. გამოართვა მას მეორე ნაირი ნივთი, რომელიც, ალახმა უწყის, საიდან მომატებოდა მას; ეს კითხვა ვერც ერთმა მათგანმა ვერ გამოარკვია, მაგრამ „პრინციპის გულისთვის“ მსხვერპლიც არ არის დასაშური და აი გაცვლა მოხდა. მოიტანა სახლში ნივთი და ჰოი სასწაულო! როგორც კი შეუერთა ის მსგავსთა მისთა, ნახა, რომ მათმა რიცხვმა იმატა და ღირებულებამაც დაიწია. გული გაუსკდა, მაგრამ მალე მოვიდა გონს, ნახა, რომ სამაგიეროთ, გაცემული ნივთი მის თანამოძმეთა რიცხვს დაკლებოდა და იმავე სასწაულით მათ ღირებულებას მოემატნა. „დაკარგულ-შეძენილი ერთმანეთს აქვითებსო“ და გულზე მოეშვა. ეს კი დაუმატა: ღმერთმა დამიფაროს, დღეის იქით მე ბაზრისკენ გავიაროვო! და მართლაც იქიდან ფეხი ამოიკვეთა.

პრაქტიკ-მეშჩანინის ფილოსოფიას სრული ფიასკო ეწვია. კაზუისტური მოსაზრებანი სისტემათ ვერ ჩამოყალიბდა, ღირებულების თეორიამ თავის ადგილამდი ვერ მიატანა, ვერც არავინ წინ წასწია და ვერც უკან მოიტოვა, ერთი სიტყვით, ჩვენი მეცნიერების რაინდი „ცუდათ დაშვრა“, მისი „თავის მტვრევა“ და ოფლის ღვრა „ამაოებათ“ იქცა.

მაშ რას აქნევს კაზუისტი-პრაქტიკი (იგივე სუბიექტი) კაზუისტ-თეორეტიკის (იმავე ბემ-ბავერკის) ამ თეორიას? რა ღირებულება აქვს მას მისთვის, თუ ის მას ყოველ-დღიურ ცხოვრებაში არ გამოადგება, მის პრაქტიკულ კაზუისტიკას კიდევ უფრო არ გააალმასებს და პრობლემას პრობლემატიურათ დაუტოვებს? ამაზე მხოლოთ ერთი პასუხი შეიძლება. პრაქტიკს და მის იდეოლოგს თითონ არ გამოადგებათ ეს თეორია, ის მათ სხვისთვის უნდათ; რაც მათ ემეტებათ, ის სხვისთვის ემეტებათ,—ეს თავისი თვისება მათ კარგათ გაგვაცნეს. ალბათ ძალიან ემეტებათ მათ ჩვენთვის ეს ღირებულება—დაკარგული სიკეთენი, რომ ამ ბოლო დროს ქვეყანა აავსეს ყოველ-გვარი სუბიექტიური ჩალაბურდით.

10.

ჩვენს სუბიექტს, რომელსაც ცოტა ხანს კიდევ შევაწუხებთ, მოეპოვება ერთგვარი ნივთები, რომლებსაც თითონ არა ხმარობს და მთლათ სხვებისთვის უნდა, მაგრამ მუქთათ კი არა სთმობს მათ,—ალბათ მათ მის თეორიებზე მეტი ღირებულება აქვთ. ბემ-ბავერკი განსაკუთრებით იკვლევს ამ კატეგორიის

ნივთთა ღირებულებას. გასაგებათ რომ ვთქვათ, ეს ნივთები სახმარ ღირებულებას არ წარმოადგენენ სუბიექტისთვის, ისინი გასაცვლელათ არიან დამზადებულნი, ისინი საქონელს წარმოადგენენ. ბემ-ბავერკი მათ სუბიექტიურ გასაცვლელ ღირებულებას აწერს, მაგრამ საქმე ხომ სახელ-წოდებაში არ არის.

დღევანდელ ცხოვრებაში ყველაზე მეტი სწორეთ ამ გვარი ნივთები მოიპოვებიან, სწორეთ ისინი წარმოადგენენ გაცვლის ობიექტს და სწორეთ მათი ფასების გამოკვლევა გამხდარა პრობლემათ ღირებულების თეორიისა. მერე სად იყო აქამდი ბემ-ბავერკი? რათ მოიძულა მან თუ ერთათ ერთი არა, უმთავრესი საგანი თავის კვლევა-ძიებისა? თავისი წიგნის რაღა მე-80-ე გვერდზე გაახსენდა მათი არსებობა? ჩვენ ეს ზემოთ ვუსაყვედურეთ ბემ-ბავერკს. ახლა კი საყვედური მეტია. ჩვენ ვიცით, მისი საერთო კვლევის მეთოდი, რომელიც მას ხშირათ სპილოს არ შეანიშვნინებს, ოღონდ კი თავის სუბიექტს აამოს და აღარ გვიკვირს ეს მისი საქციელი. მისი უმთავრესი გულის ტკივილი აქამდინაც სწორეთ ამ გვიან გახსენებული მოვლენის გარკვევა იყო და აქეთკენ მიმართული მისი სულის კვეთება მუდამ აშკარათ ჩნდა, თუმცა ავტორი მას საიდუმლოთ ინახავდა. მაგრამ აქამდე ინკოგნიტოთ მომავალი (თუმცა სხვის გუბერნიებში), ის უკაბედათ თავს ესხმის ხსენებულ მოვლენათ და მათ გაუგებრათ მომხდარ რევიზიის ცნობებს დასტობით პირში აყრის მათ. ყველა ის ცოდვები, რომლებიც მან სახმარ ნივთებს მიაწერა, ახლა გასაცვლელ ნივთებს უნდა მოახვიოს თავზე; პროტესტი აქ ვერაფერს გააწყობს.

რით განისაზღვრება ამგვარ ნივთთა ღირებულება? მათი დანიშნულება გაცვლაა და მაშასადამე სუბიექტის მოთხოვნილებებთან პირდაპირი კავშირი არა აქვთ, მათ დაკმაყოფილებას ისინი ვერ ემსახურებიან და თავის ღირებულებასაც მათგან პირდაპირ ვერ მიიღებენ. ბემ-ბავერკის სუბიექტთა შორის ბევრი ისეთი პატივცემული პირი მოიპოვება, რომლის „სუბიექტიურ გასაცვლელ ღირებულებას“ ნავთი წარმოადგენს. მას ნავთი მილიონ ფუთობით აქვს, უნდა კიდევ მეტიც ქონდეს, თუმცა ერთ გირვანქასაც არ მოიხმარს თითონ. მაშ რით განისაზღვრება ამ ნავთის ღირებულება, თუ მისი შესაფერი მოთხოვნილება სუბიექტს არ მოეპოვება? რა გვექნა ამ გაჭირვების დროს? იმას აქამდინაც საკმაო ვაი-ვაგლახი გადახდა თავს, მაგრამ დავიწყებულიც რომ ქონდეს ყველა ეს, აქ მაინც ვერ მოახერხებდა გამოსვლას. აქ აღარც მოხმარების სფერაა, არც მის მოთხოვნილებებს ეკითხებათ რამე; მის ერთათ ერთ საგზალს კი შეადგენს. მაგრამ განა ტყუილათ იხეტიალა ტრაქტირებში და უსუფთაო ქუჩებში ჩვენმა ინკოგნიტო რევიზორმა, რომ ახლა ეფექტიანათ

არ გამოცხადდეს და ვისაც ჯერ არს, დიდ აცურათ ფეხები არ დაუბრახუნოს!

ამ ნივთებსაც სუბიექტიური ღირებულება აქვთ—ბრძანებს ბემ-ბავერკი,—თუმცა ისეთი არა, როგორსაც აქამდი ვიცნობდით. ეს ნივთები სახმარათ არ ვარგანან და მათ შესაფერ მოთხოვნილებებს ჩვენ სუბიექტში ვერ ვიპოვნით. მაგრამ ისინი შეიძლება გავცეთ და მათში აღებული ნივთები მოვიხმაროთ. აი, ამ აღებული ნივთების საზღვრობითი ღირებულებით განიზომება გაცემულ ნივთების სუბიექტიური ღირებულება. აქ სუბიექტი თავს გასაცვლელ ნივთს იმდენათ აფასებს, რამდენ სხვის ნივთსაც მისი გაცვლა მისცემს მას.

მაშასადამე სუბიექტიური გასაცვლელი ღირებულება ნივთისა, მისი შინაარსი—არის სახმარი ღირებულება ამ ნივთზე გაცვლილ მატერიალურ ნივთთა, ე. ი. სახმარი და გასაცვლელი ღირებულება ორი სხვა და სხვანაირი სახეა სუბიექტიური ღირებულებისა (79—80).

აღვნიშნავთ პირველათ, რომ ეს პირდაპირი კავშირი ნივთსა და სუბიექტს შუა არ არსებობს, ეს კავშირი, და მაშასადამე—ღირებულება მყარდება **ნივთისავე** შუამავლობით. მხოლოთ ორგვარი ნივთის დაპირდაპირებით შესაძლებელი ხდება სუბიექტიურმა ღირებულებამ თავი იჩინოს. მისი აღმოცენების მომენტი უკან მოსდევს ნივთთა დაპირდაპირების მომენტს. უკვე ამით შესამჩნევი ცვლილება განიცადა ჩვენი რევიზორის დოკუმენტებმა.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბემ-ბავერკის თეორიის ყველა სუსტი მხარეები განსაკუთრებით ჩნდება, როცა ის ღირებულების სიდიდეს არკვევს. ეს მისთვის უძნელეს კითხვას წარმოადგენს.

რაზეა დამოკიდებული სიდიდე „სუბიექტიურ გასაცვლელ ღირებულებისა“ ე. ი. გასაცვლელათ დამზადებულ საგნებისა? „ორ შემდეგ პირობაზე: პირველი **ნივთის ობიექტიურ გასაცვლელ ძალაზე** (ობიექტიურ გასაცვლელ ღირებულებაზე), იმიტომ რომ, ამ ობიექტიურ გასაცვლელ ძალის სიდიდით განისაზღვრება იმ მატერიალურ ნივთთა რაოდენობა, რომელიც შეიძლება მივიღოთ ამა თუ იმ ნივთში მისი გაცვლის დროს; მეორე, **მესაკუთრის ხასიათსა და მოთხოვნილებათა ვითარებაზე, და მის ქონებრივ მდგომარეობაზე,** იმიტომ რომ, ამით განისაზღვრება, მაღალი თუ დაბალი ღირებულება აქვთ ამა თუ იმ ნივთის გაცვლაში შეძენილ მატერიალურ ნივთებს.“

გავარჩიოთ სათითაოთ ეს პირობები. ობიექტიურ გასაცვლელ ძალაზეა დამოკიდებული სიდიდე გასაცვლელათ დამზადებულ ნივთების ღირებულებისა. რა არის ეს ობიექტიური ძალა ან ობიექტიური ღირებულება? ეს ჯერ ბემ-ბავერკს ჩვენთვის არ აუხსნია: ეს ობიექტიური ღირებულება თვით **ფასია** ნი-

ვთისა, რომელსაც იგი მთელი წიგნის მეორე ნაწილს სწირავს. რა არის ეს ფასი? ეს იგივე ღირებულებაა ნივთისა, მაგრამ ისეთი, რომელიც მყარდება გაცვლის დროს და არც მყიდველის და არც გამყიდველის დაფასებას სავსებით არ შეეფერება. რომ გაცვლა შესაძლებელი იყოს, მყიდველ-გამყიდველი სხვა და სხვანაირათ უნდა აფასებდენ ნივთს,—ერთი მაღლა, მეორე დაბლა; ფასი ამ ორ საზღვარს არ გადასცილდება და მის შიგნით კი პირობების მიხედვით მაღლისკენ ან დაბლისკენ დაახლოვებულ ადგილს დაიჭერს. მაგ., თუ გამყიდველი 3-თ აფასებს თავის ნივთს, მყიდველი კი 19-თ, ფასი შეიძლება დამყარდეს ამ ორ ციფრის შუა, მაგ. 11, ან ამაზე მეტი, ან ნაკლები. **ფასი ორ სუბიექტიურ ღირებულებათა დაპირდაპირების, მათი შეტაკების შედეგია.** მაგრამ სად არის ეს დატაკება ორი ღირებულებისა ამ შემთხვევაში? რა სახმარ ღირებულებას წარმოადგენს ნავთის მწარმოებლისთვის მისი ნავთის შადრევანები? არავითარს. ის ელექტრონით ანათებს თავის სახლს, ნავთს ის სათოფეთ ჯრ გაეკარება. ის მისთვის სუბიექტიურ ღირებულებას არ წარმოადგენს. ცუდი დღე ადგება აქაც სუბიექტს: წინათ ის სხვის ნივთს ვერ აფასებდა, ახლა თავისიც ველარ დაუფასებია, თავისი ნივთის ღირებულებაც ვერ შეუქმნია. ნავთი წარმოადგენს სუბიექტიურ ღირებულებას **მხოლოთ მყიდველისთვის,** რადგან იმას ის მოსახმარათ უნდა. მაგრამ საიდან შეიძლება აქ დატაკება სუბიექტიურ ღირებულებათა, როცა ის მხოლოთ ერთ მხარეს არსებობს. Одинъ въ полѣ не воинъ.

უკვე ნათქვამი, ვიმედოვნებთ, ზედ-მეტათ ხდის ზემო-აღნიშნულ ორი პირობის დაწვრილებით განხილვას. სუბიექტი იძენს თავის საქონელში ახალ ნივთებს, ისე რომ მის სუბიექტიურ ღირებულებას არა ეკითხება რა. ობიექტიური გასაცვლელი ძალა, ან ობიექტიური ღირებულება, ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, მისი ნივთის ფასი მისგან სრულებით დამოუკიდებლათ მყარდება.

ის იძენს ნივთებს, შეაქვს ისინი თავის მოხმარების სფეროში და აი, აქ გამოდის მეორე პირობა, რომელზედაც დამყარებულია „სუბიექტიური გასაცვლელი ღირებულება.“ ეს „პირობა“ ჩვენი ძველი კაი ნაცნობია: სუბიექტის ხასიათი და მოთხოვნილებანი, მისი ქონებრივი მდგომარეობა,—აი რას წარმოადგენს ეს „პირობა.“ ის ჩვენ თავის დროზე კარგათ შევისწავლეთ და ვიცით ყველა მისი ელემენტები: რიგები, საფეხურები და იშვიათობა—მოკლეთ: საზღვრობითი სარგებლობა ნივთისა. აქ, საქონლის გაცვლის დროს ის წამოდგა მას შემდეგ, რაც ფასები უკვე განსაზღვრულია, რაც გაცვლა უკვე

მომხდარი ფაქტია: ასე რომ მარქსისტი იტყვის: ესა და ეს გასაცვლელათ დამზადებული ნივთი შეიცავს ამდენ და ამდენ **შრომას** და მაშასადამე ის მატარებელია ამდენი და ამდენი ღირებულებისა, ბემ-ბავერკმა უკუღმა უნდა მოაბრუნოს ფორმულა და თავის თავს კოტრობის მოწმობა მისცეს: ესა და ეს ნივთი ამდენი და ამდენ ობიექტიურ **ღირებულებას** წარმოადგენს და მაშასადამე სუბიექტის ასეთ თუ ისეთ საზღვრიან სარგებლობას შეეფერებაო.

ობიექტიური ღირებულება ბემ-ბავერკის ფორმულაში პირველ ადგილზეა, მიზეზია; საზღვრიანი სარგებლობა მეორე ადგილზეა, შედეგია. ფასების რეგულიატორი—ღირებულება თითონ საძებარი გახდა, და მისი პოვნა შესაძლო შეიქნა მას შემდეგ, რაც ფასები დამყარდა. საზღვრიანი სარგებლობა მაშინ დავინახეთ, როცა გაცვლა დასრულდა; სუბიექტის მოთხოვნილებებმა მაშინ იჩინეს თავი, როცა ნივთები გაცვლის სფერიდან მოხმარების სფერაში გადავიდენ. აი ასეთი შედეგი მოიტანა კაზუისტურმა კვლევა-ძიებამ. მთელი მისი თეორია ხელში შემოგვეფშვნა, როგორც კი ის გასაცვლელ ნივთთა ღირებულებას მივუყენეთ. პოლიტიკური ეკონომიის ინტერესებსაც საზოგადო სიმდიდრის ეს კატეგორია შეადგენს. მაშ რას აქნევს იგი ბემ-ბავერკის თეორიას? არაფერს... თუ მას რამე ფასი აქვს, ეს ისევ თავის უარყოფითი ხასიათით: ის გვიჩვენებს, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს „დიდ-ტანიანი“ წიგნები ღირებულებაზე, რომ მათ ცოტაოდენი ღირებულება მაინც ქონდეთ. ის გვიჩვენებს, რომ წარმოებითი ურთიერთობის ასახსნელათ საჭიროა თვით ამ ურთიერთობის ანალიზი და რაც გინდ პატივსადები იყოს სუბიექტი,—მისი განმარტოებული მდგომარეობის, მისსა და ნივთს შუა არსებულ ურთიერთობის ახსნით იოტის ოდენა სინათლეს ვერ შევიტანთ მის საზოგადოებრივ ურთიერთობის ახსნაში, პირიქით, რაც გინდ დეტალურათ და თუ გნებავთ კაზუისტურათაც არ გამოვიკვლიოთ ეს სუბიექტ-ნივთის ურთიერთობა, ამის გადატანა საზოგადოებრივ ურთიერთობაში საკითხის არევ-დარევის და სასაცილო კანფუზების მეტს არას გამოიწვევს. ამისი მაგალითები უხვათ გვიჩვენა ბემ-ბავერკის თეორიის გაშინჯვამ.

მთელი უშინაარსობა მისი თეორიისა აშკარა ხდება, როგორც კი გავითვალისწინებთ, რომ მას თავისი კვლევის დროს საქმე აქვს არა წარმოებითი ურთიერთობის კატეგორიასთან, არამედ დამოუკიდებელ, კარჩაკეტილ, ყოველ-გვარ საზოგადოებრივ ფუნქციებიდან მოწყვეტილ სუბიექტის მდგომარეობასთან. მართალია, ის აქედან ცდილობს საზოგადოებრივ ურთიერთობაში, წარმოებით ურთიერთობაში გადავიდეს, მაგრამ ეს ცდა ყოველთვის მარცხით

თავდება და არც შეიძლება სხვანაირათ მოხდეს. საზოგადოებრივი ურთიერთობა მყარდება სუბიექტის შეგნებისა და ნების გარეშე, მათგან დამოუკიდებლათ, აქ მომქმედ პირთა ზურგს უკან. მას თავისი კანონი აქვს და სუბიექტის ბრძანებას არ ემორჩილება.

11.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ბემ-ბაერკის წიგნის მეორე ნაწილის გარჩევას. აქ ის ობიექტიურ ღირებულებაზე ლაპარაკობს, ე. ი. ფასებს იკვლევს. მაგრამ ეს კვლევა დამყარებულია მთლათ პირველ ნაწილზე და აშკარაა, რაც მისი უვარგისობა და ლოღიკური შეუფერებლობა გამოვააშკარავეთ, მასზე დამყარებული ზედ-ნაშენის კვლევა ზედმეტია. რამდენათაც საჭირო იყო, უკვე შევეხეთ მას, როცა „სუბიექტიურ გასაცვლელ ღირებულებას“ ვარჩევდით. ობიექტიური ღირებულება—ეს ნივთის ფასია; ფასი ორ სუბიექტიურ ღირებულებათა დაპირდაპირების, მათი შედარების შედეგია. უკვე ვიცით, რა საარაკო განსაცდელში ჩავარდა ბემ-ბაერკის საზღვრობითი სარგებლობა საქონელთა გაცვლის პროცესში: საზღვრობითი სარგებლობა, რომელიც უნდა ზომავდეს ღირებულების სიდიდეს, თითონ გაიზომა ღირებულების სიდიდიფ და მით, მტრისა არ ვიცით, და მოყვარეს კი მართლა თვალი დაუყენა.

ჩვენ არ შევეხებით ბემ-ბაერკის წიგნის პირველ ნაწილში აღძრულ კითხვებს, რომელთაც უკვე გარჩეულ კითხვასთან აქვთ კავშირი. ეს კითხვები შეეხება საწარმოო იარაღებს, წარმოების ხარჯებს, კომპლემენტარულ მატერიალურ სიკეთეთ და სხ. ყოველ ამ კითხვას ბემ-ბაერკი თავისებურათ უყენებს თავის თეორიას და მისი კვლევა აქ ერთი დაუსრულებელი კაზუისტური ვაივაგლახია. ულოღიკობასაც ალბათ თავისი ლოღიკა აქვს და სიმართლე უნდა ვსთქვათ, ბემ-ბაერკი ერთგულათ შერჩა მას. მაგრამ ამ კაზუისტურ ულოღიკობას ინტერესი აქვს მხოლოთ, როგორც საერთოთ ულოღიკობის სანიმუშო კურიოზებს და ვისაც მართლა აინტერესებს ეს კურიოზები, ვურჩევთ ამ კითხვების შესახებ შესაფერი ადგილები წაიკითხოს ბემ-ბაერკის წიგნში. ამ მხრით, მისი წიგნი მართლა რომ ორიგინალურია.

ბემ-ბაერკს სხვა წიგნებიც მოეპოვება, სადაც ის პოლიტიკურ ეკონომიის სხვა კატეგორიებს ეხება. მაგრამ ჩვენ ვიცით საფუძველი, რომელზედაც მან თავისი სასახლე უნდა ააგოს; ვიცით ხე, რომელიც იმან დარგო და ადგილათ წარმოვიდგენთ რა ბროწეულებს დაკიდებს ზედ. „ხე ხილისაგან“ თუ

იცნობების, ხილი—ხისგან,—მით უმეტესათ.

აქ ჩვენ მხოლოთ გვსურს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ერთ მეტათ მნიშვნელოვან მოვლენას. **ბემ-ბავერკის თეორია თავიდან ბოლომდის სუბიექტიურია. სუბიექტი და მისი მოთხოვნილება — აი დასაწყისი და დასასრული მისი კვლევა ძიებისა. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ მისი თეორია თავიდან ბოლომდი გაჟღენთილია სუბიექტივიზმით, ბემ-ბავერკი სცნობს, რომ არსებობს ობიექტიური რაოდენობა, სუბიექტიდან დამოკიდებული. ეს არის ობიექტიური ღირებულება ან ფასები, რომელსაც თავისი ძირი სუბიექტიურ ღირებულებაზე აქვს აგებული. ერთი სიტყვით, ის სცნობს ობიექტიურ რაოდენობის არსებობას და მას სუბიექტიურათ ხსნის.** აქ ხაზგასმით აღვნიშნავთ ამ ობიექტივიზმის ელემენტებს; ეს არსებითი ხასიათი მისი სუბიექტიური თეორიისა სხვა ჯურის სუბიექტივისტებისთვის გამოგვადგება,—ამ ჩვენს დალოცვილ პლანეტაზე. მრავლათ მოიპოვებიან იგინი, მეტადრე ამ უკანასკნელ დროს და, რაც უფრო შეუწყნარებელია,—ისეთ სფერებში, სადაც მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. ამით ვათავებთ ჩვენს კრიტიკას და ვიტყვით კიდევ ორ სიტყვას ბემ-ბავერკის თეორიის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე.

რომ მას არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვს, ეს აშკარაზე აშკარაა. მაგრამ რომ ის მოკლებული არ არის ერთგვარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ეს ცხადათ სჩანს იქიდან, რომ მას აღტაცებით ეგებებიან საზოგადოების ცნობილ წრეებში, ბურჟუაზიული კლასები მას გაცხარებულ ტაშის ცემით აჯილდოვებენ, ყველაზე უფრო გავრცელებული ამ წრეებში ეს თეორიაა. რით აიხსნება ეს გატაცება, რით მოაჯადოვა ბემ-ბავერკმა თავისი თაყვანის მცემელნი? პირველ ყოვლისა მით, რომ ის მარქსიზმის წინააღმდეგია. მარქსიზმთან ბრძოლა ეს ყველაზე საიმედო დიპლომია თანამედროვე საზოგადოებაში. მართალია, ბემ-ბავერკის სუბიექტებს ხშირათ არაფერი არ გაეგებათ ამა თუ იმ თეორიის მეცნიერულ მნიშვნელობისა და ბევრს თავსაც არ იტკივებენ ამის გამო, მაგრამ ისინი ინსტინქტიურათ გრძნობენ ბემ-ბავერკთან ახლო ნათესაობას, გრძნობენ, რომ ამ თეორიის მიხედვით „ეს ქვეყანა საუკეთესო რამ არის“ და მადლობის გრძნობით ივსებიან მის აპოლოგეტის მიმართ.

ბევრ-ნაირათ ანუგეშებს ბემ-ბავერკი თავის სუბიექტებს. ნივთი და მაზე დახარჯული შრომა თავისთავათ არაფერი არ არის. ღირებულებას მას სუბიექტი აძლევს. მაშ მიეცით, სუბიექტებო, მეტი ღირებულება თქვენს ნივთებს

და გაამდიდრეთ თქვენი თავი. ნუ შეგაკრთობთ ის სამწუხარო მოვლენა, რომ თქვენ ცოტა ნივთები გაქვთ. რაც ცოტა გექნებათ, მით მეტ ღირებულებას მისცემთ მათ. გამოიტანეთ ისინი ბაზარზე და მაგივრათ მიიღებთ მრავალ სხვა ნივთებს.

ნურც თქვენ შეკრთებით, რომელთაც ბევრი ნივთები გაქვთ და ამიტომ პატარა ღირებულებას აძლევთ მათ. გამოიტანეთ ისინიც ბაზარზე, გამოჩნდებიან ისეთნი, რომელთაც ისინი ნაკლებათ მოეპოვებათ და მათ მაგიერათ დიდ ღირებულებას ჩაგაბარებენ. ერთი სიტყვით, ყველანი კმაყოფილნი დარჩებით. გაუმარჯოს ასეთ წყობილებას, მრავალ ჟამიერ იყოს მისი დღეგრძელობა!

ჩვენ უკვე ვიცით, რა საბუთის ძალით ეწევა ბემ-ბავერკი ასეთ სულ-გულის დამტკბობ პროპაგანდას. მან თვალი დახუჭა და ყური დაიყრუა ისეთ მოვლენებზე, რომელიც ამ სუბიექტებს არაფრათ ეპიტნავებათ. მან თვალსა და ხელს შუა გააპარა ის წარმოებითი ურთიერთობანი, რომელთაც ღირებულება გამოხატავს. მან სქელი ფარდა ჩამოაფარა მის შემქმნელ საზოგადო შრომას და მით თავის სათაყვანო სუბიექტს დაუმალა ის ფაქტი, რომ თუმც „ეს ქვეყანა მისთვის არის შექმნილი“ მაგრამ მისით არ არის შექმნილი. კაზუისტმა თეორეთიკმა გულ-მოდგინეთ „აუხსნა“ ფილისტერ პრაქტიკს, რომ მას თუ ნივთები აქვს, მხოლოთ იმიტომ აქვს, რომ აქვს,—ზოგი მეტათ ზოგი ნაკლებათ,—და ამ იშვიათობის მიხედვით, ის თითონ ქმნის ღირებულებას, ის თითონ სჭედავს თავის ბედ-იღბალს და დასასრულ, რომ ის... ის... ყველაფერია ამ ქვეყნათ.

როგორ არ დაუკრას ტაში სუბიექტმა „სუბიექტის“ ასეთ განდიდებას!

ეს „სუბიექტიური“ ფრაზეოლოგია ბევრს ხიბლავს, და მარქსიზმს სწორეთ იმას უწუნებს, რომ ის მეტის მეტათ ობიექტიურია, სულ არ უწევს ანგარიშს სუბიექტს და მის მოთხოვნილებებსო. იქნება სხვა დროს დავუბრუნდეთ ამ საკითხს. ახლა კი მხოლოთ იმას ვიტყვით, რომ მარქსიზმის ეს ობიექტივიზმი სულ სხვა შედეგებს გვაძლევს სუბიექტთა დიდი უმრავლესობისთვის, ვიდრე ბემ-ბავერკის სუბიექტივიზმი. მისი ობიექტიური კვლევა მეტათ შემაძრწუნებელ სურათს გვიხატავს ამ სუბიექტთა მდგომარეობისა, მაგრამ იგივე ობიექტივიზმი გვიყენებს თვალწინ ობიექტიურ მიზეზებს და პირობებს ამ მდგომარეობის მოსპობისა, სუბიექტთა დიდი უმრავლესობის ემანსიპაციისა. მართალია ობიექტივიზმის ეს შედეგები სუბიექტივისტებს არაფრათ ეპრიანებათ, მაგრამ მით უარესი მათთვის: ტყუილათ ებღაუჭებიან ისინი ფაქტების შეუფე-

რებელ მახინაციებს, ამით ისინი თავის თავსაც ვერ მოატყუებენ.—ზოგსა გონია, მარქსიზმი მიტომ არ იღებს მოთხოვნილებებს ღირებულების პრინციპათ, რომ მოთხოვნილებები შეუწონავ-შეუზომავი რამ არის და როგორც ასეთი, ღირებულების გასაზომათ უვარგისიაო. ვინც ასე ფიქრობს, მას ვერ გაუგია მარქსიზმის სული, მისი მეთოდის არსებითი ხასიათი. მარქსი მიტომ არ იღებს ღირებულების პრინციპათ „მოთხოვნილებას,“ რომ ის არ ქმნის ღირებულებას. რომ ის ღირებულების შემქმნელი იყოს და ამავე დროს გაუზომელი, მაშინ პრობლემა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იქნებოდა: ჩვენ გვექნება ღირებულების პრინციპი და არ გვეცოდინება მისი სიდიდე. მაგრამ მარქსისთვის ეს კითხვა არ არსებობდა. თვით ბემ-ბავერკი, რომელმაც პრინციპათ გაიხადა მოთხოვნილება და შეუდგა მის ზომვას, ტყუილათ გაისაჯა: ღირებულების ცოდნის შემდეგ მოთხოვნილების ზომვა საჭირო არ არის პოლიტიკური ეკონომიისთვის.

ზოგს გონია, რომ ბემ-ბავერკის და მარქსის შეერთება შეიძლება. აქაც სრული გაუგებრობაა. ვინც მათ შეერთებას ცდილობს, მას არც მარქსისა ესმის რამე, არც ბემ-ბავერკისა. მათ შორის ფუნდამენტალური განსხვავებაა. ეს განსხვავებაა მათი მეთოდის. ერთის კვლევის მეთოდი ძირეულათ უარყოფს მეორესას. მათ შორის გაუვალი უფსკრულია.

ამით ვათავებთ ეკონომიურ თეორიებზე საუბარს.

ა. ნეგილოვი.

ნეკროლოგიის სადავო საკითხები *)

თარგმანი გ. კოკოჩაშვილისა.

*) Новыя идеи въ Біологіи, Сборникъ № 2.

რა არის ძილი.

1

ადამიანის ცნობის მოყვარე გონება დიდი ხანია უკვე ცდილობს მისცეს ესა თუ ის ახსნა-განმარტება ძილს, ამ ნახევრათ-სიცოცხლის, ანუ ნახევრათ-სიკვდილის უცნაურ მდგომარეობას.

მთელი წიგნის ავსება შეიძლებოდა იმ ლამაზ მითებითა და პოეტური გარდმოცემებით, რომელიც ასე თუ ისე შეეხებიან ძილს, და რომლებიც შეთხზულია სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ხალხების მიერ.

ათიათასჯერ და მრავალგვარ ყაიდაზე გამოუხატავათ მხატვრულ ნაწარმოებებში ის გრძნობანი, რომელიც დაკავშირებულია ძილის ტალღებში ჩაშვებასთან და მისგან განთავისუფლება—გაღვიძებასთან.

უკვე დიდი ხანია მეცნიერებიც ჩააფიქრა ორგანიზმის ამ საკვირველ მდგომარეობამ და მათ ეცადენ შეძლებისდაგვარათ აეხსნათ მისი ღრმა შინაარსი.

ფსიქოლოგებს უნდა ვუმადლიდეთ, რომ ძილის და მეტადრე სიზმრის*) მოვლენებს გაუკეთეს დაწვრილებითი ანალიზი. სიზმრები გაუთანასწორეს მათ იმ წარმოდგენებს, რომლებსაც ჩვენ ვითვისებთ ფხიზლობის დროს და რომელნიც შემდეგ ძილის დროს ჯგუფდებიან, შეერთდებიან და გარდიშლებიან ხოლმე ცოტა სხვაგვარ პირობებში, ვიდრე ფხიზლობისას.

მაგრამ ფსიქოლოგები სინჯავენ ძილის მხოლოთ თვით მოვლენას და, მეტათ რომ ვთქვათ, არც კი კითხულობენ თუ რა არის ძილი, რა მიზეზებისგან არის გამოწვეული და როგორი ცვლილებანი ხდება ხოლმე სხეულში ძილის დროს?

ამ დაკითხვებზე პასუხის მოცემა ნატურალისტების საქმეა.

---

*) არ უნდა შევრით ორი ცნება: „ძილი“ და „სიზმარი“. სიზმარი მხოლოთ თანსდევს ძილს ხოლო არ წარმოადგენს სრულიათ მის conditio sine qua non 'ს. სწორეთ ყველაზე ღრმა ძილს, როგორც ეს ყველას მოეხსენება, საზოგადოთ თან არ სდევს სიზმრები; ასეთი ძილიდან გაღვიძების შემდეგ ჩვენ საზოგადოთ არაფერი არ გვახსოვს, თითქოს ეს განვლილი ყოფა არარა ყოფილიყოს, რაღაც ამონაგლეჯი ჩვენს სიცოცხლეში.

თქმა არ უნდა, რომ ბუნების მკვლევარი ძილის მოვლენას უცქერის სხვაფრივ, ვიდრე ფსიქოლოგი. იგი სრულიათ არ უწევს ანგარიშს თვისი გძნობებს ძილის დროს, დაძინებისას თუ გაღვიძებისას და არც ცდილობს ააგოს ამაზე რაიმე დასკვნა სხვა ადამიანისთვის თავზე მოსახვევათ. ძილი ნატურალისტისთვის, უპირველეს ყოვლისა, ბუნების მოვლენაა, რომელიც შემუშავებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიერ.

თუ ადამიანს ან ცხოველს სძინავს, მისი ორგანიზმი გამოაჩენს მოვლენათა ცნობილ ჯგუფს, რომელიც შეითვისება ხოლმე გრძნობათა საშუალებით და რომელიც შესწავლილი უნდა იქმნეს სრულიათ ისე, როგორც ბუნების სხვა მოვლენანი. ასეთი შესწავლა შეძლებას გვაძლევს გავიგოთ ის პირობებიც, რომლებშიც ეს მოვლენანი იცვლიან თვის სახეს, ჰქრებიან ან ისევ ჩდებიან, ეს კი თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს მოვფინოთ შუქი იმ მიზეზებსაც, რომელთა წყალობით გამოწვეულია ჩვენს მიერ განსახილველათ აღებული მოვლენათა რიგი.

აბა რას ვამჩნევთ ობიექტიურ დაკვირვებით მძინარე ადამიანს?

ჩვენ თვალწინ არის მშვიდათ მწოლარე ადამიანი. თვალებ დახუჭული, იგი სუნთქავს ისე, როგორც ფხიზლობის დროს, მხოლოთ მისი სუნთქვა ახლა უფრო ნეკნებრივია, ვიდრე მუცლისა, და, თუ მეტათ დავაკვირდით, შევამჩნევთ, რომ იგი უფრო დანელებულია, შეჩერებული. ასევე დაქვეითებულია მაჯის ცემა. მილთა ტონუსი სუსტდება. გულისა და ფილტვების შემცირებული მუშაობის თანაბრათ ტანის ტემპერატურაც ცოტაოდენ უფრო დაბალია, ვიდრე ფხიზლობის დროს. შესუსტებულია ნერწყვისა და აგრეთვე ლორწოს გამონთხევა პირისა და ცხვირის არეებში. ჭაჭების (თირკმელია) მუშაობა შესუსტებულია, ხოლო საშარდე აპარატის დამკეტველნი კუნთები განაგრძობენ მუშაობას და უნებლითი შარდის დაქცევას ხელს უშლიან. სხეულის კუნთები მოშვებულია. მძინარე ადამიანს რომ ჩუმათ დავუძახოთ, ჩვეულებრივ რეაქციას არ მივიღებთ. რომ დავუძახოთ უფრო მაღლა, მაშინ ან სრულიათ გავაღვიძებთ, ან მივიღებთ სულ მოულოდნელ რეაქციას, მაგალითად, მძინარე კაცი შეინძრევა ან რამეს წაიბურდღულებს, ან საწოლში ადგილს იცვლის. ასეთვეს დავინახავთ თუ მძინარე ადამიანს დავუწყეთ გაღიზიანება ხელის შეხებით, ხიჩინით ანუ რომელიმე მძაფრი ანუ სურნელოვანი ნივთიერებათა ზედგავლენით. ძილს მიცემული არსება გამოიჩენს ან სრულს გულგრილობას ამ გაღიზიანებისადმი, ან და გამოეხმაურება ამაო ბევრათ უფრო სუსტათ და სხვაფრივ, ვიდრე ფხიზელი ადამიანი.

ჯანმთელი და ძალ-ღონით სავსე ადამიანები მძიმე შრომაში გატარებულ დღის შემდეგ მიეცემიან ძილს თითქმის უეცრივ, და მაშინ არც მუჯლუგუნის კვრით, არც შეჯანჯღალებით ან დიდი ხმაურობის ატეხვითაც მათ არ გამოელვიძებათ ხოლმე. ცნობილია შემთხვევები, როცა ადამიანს მაგრათ დაუძინია ტყვიების ზუზუნისა და არტილერიის გრიალში, დასძინებია ფეხზე, ან ცხენზე, ღრმა ძილისთვის მიუცია თავი ყველაზე შეუფერებელ და აუტანელ პირობებში. ეს ყველაფერი იმას გვითითებს, რომ ძილის დროს ორგანიზმის ყველა რეფლექსი და, საერთოდ მისი შეთვისების უნარი ყოველივე გვარის გარეგნული გაღიზიანების მიმართ შესუსტებულია, რეფლექსთა ზოგი ნაწილი კი სრულიათაც ეცლება მას ხშირათ.

დაწვრილებითი გამოკვლევათა წყალობით შესაძლებელი იქნა მოიხაზოს ერთგვარი მრუდი, რომელიც აჩვენებს, რომ მრავალსაათის ძილის დროს შეთვისების უნარი გარეგან გაღიზიანების მიმართ სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა გვარი ყოფილა **(კულშჲუტტერ, მიხელსონი).** ასე მაგალითად, ერთი სიძლიერის ხმას შეუძლია გააღვიძოს ადამიანი, რომელსაც დაუძინია ნახევარი ან სამი საათის წინეთ, სანამ ცდას დავიწყებდით; ხოლო კი საკმარისი არ არის მისი გასაღვიძებლათ იმ შემთხვევაში, თუ კაცს ერთი ან ორი საათი სძინავს უკვე. სხვაფრივ, ძილის სიღრმე, სიძლიერე ზოგი ინდივიდისა პირველი საათის განმავლობაში სწრაფათ იწევს მაღლა. შემდეგ კი ძილი ნელი-ნელ სუსტდება. ზოგ ინდივიდს ორ-ორი ასეთი მაქსიმუმი აქვს: პირველი—დაძინების ერთი საათის შემდეგ, მეორე დაახლოვებით,—ნორმალური გაღვიძების ერთი საათის წინეთ. ასეთი ძლიერი აწევის გარდა ძილის მრუდი გვიჩვენებს ხოლმე მეორეხარისხოვან რხევათა მთელ რიგს. გაღვიძების წინ გარეგან გაღიზიანებისადმი გამოხმაურების უნარი მატულობს და თანდათან ნორმას უახლოვდება — ადამიანი ბუნებრივათ იღვიძებს.

მეორეს მხრით, გაღიზიანების შესუსტება, ზემოთ განმარტების-და თანახმათ, ხელს უნდა უწყობდეს ასეთი მდგომარეობის მოახლოვებას. და მართლაც, ყოველდღიური გამოცდილება გვასწავლის, რომ გარეგნული გაღიზიანების, ამაღელვებელი მოვლენის უქონლობა არის ერთი იმ პირობათაგანი, რომელიც აუცილებელია სწრაფათ დაძინებისათვის. როცა ჩვენ ვწვებით დასაძინებლათ, ძალით მოვაქცევთ ხოლმე ჩვენს სხეულს ისეთი მდგომარეობაში, რომ გავაადვილოთ ერთი ყოფიდან მეორეში გადასვლა. ვაქრობთ სინათლეს და ფანჯრებს ვბურავთ დარაბებით გარდამეტებული ,სინათლით გაღიზიანების თავიდან ასაცილებლათ; თბილათ გამოვეხვევით საბანში, რომ, რამდენათაც

შესაძლებელია, ავიშოროთ ტერმიული შთაბეჭდილება: ვიძრობთ ტანსაცმელს და ვარჩევთ ყველაზე უფრო მოსასვენებელ მდგომარეობას, რომ, ისევე, შეძლებისდაგვარათ შევამციროთ ტაქტილური მდგომარეობანი. თუ ჩვეულებრივი გაღიზიანება ჯერ კიდევ იმდენია, რომ ძილს აფრთხობს, მაშინ ასეთი ხელოვნური დაყუჩება გარეგნული შთაბეჭდილებებისა ხშირათ სრულიათ საკმაოა, რომ ძილმა შეგვიპყროს. ყველას ეცოდინება შემთხვევა, რომელიც აწერა ცნობილ კლინიცისტმა **შეტრჯუმპელმა**. ერთი ყმაწვილი ყრუ იყო ყურზე და ბრმა ერთი თვალით. ამის გარდა მისი სხეულის უდიდესი ნაწილი მოკლებული იყო გრძნობის უნარს, ამის მიზეზით გარეშე ქვეყნიერების შთაბეჭდილებანი მის გონებამდე აღწევდნენ ხოლმე მხოლოთ ორის გზით—საღი ყურითა და საღი თვალით. საკმარისი იყო დაგეხურათ მისთვის ეს თვალი და ეს ყური, რომ იგი სულ მცირე ხანში ძილს მისცემოდა.

ზემოთ მოყვანილ ძილის განმარტებასთან ერთად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ აგრეთვე, რომ ძილი მით უფრო ღრმა და მაგარია, რაც უფრო ძლიერია ის გაღიზიანება, რომელიც აფხიზლებს, აღვიძებს ორგანიზმს. როგორც სამართლიანათ შენიშნავს **კრონტალი,** ამ ძილის განმარტების მომცემი,—მის წინააღმდეგ როდი იქნება ნატურალისტი. ბუნებრივ—ისტორიული თვალსაზრისით მძინარე ორგანიზმისთვის ყველაზედ დამახასიათებულია სწორეთ ეს დროებითი, წმინდა ფიზიოლოგიური განქრობა ანუ შესუსტება რეფლექსთა ერთგვარის რიგისა. *)

თავის თავათ ცხადია, რომ ჩვენ სახეში გვაქვს ის ფიზიოლოგიური ძილი, რომელიც იპყრობს ხოლმე ორგანიზმს ნორმალური პირობებში განსაზღვრული დრო გამოშვებით. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ასეთივე მდგომარეობა შეიძლება გამოვიწვიოთ აგრეთვე ხელოვნურათ, ერთგვარი ნივთთა ზედგავლენით, რომლებსაც ნარკოტიულს უწოდებენ (მორფი, ქლოროფორმი, ეთერი, ალკოჰოლი და სხვა).

ასეთი ძილი, რასაკვირველია, განსხვავდება უკვე ჩვეულებრივ, ანუ ფიზიოლოგიურისაგან. ჩვეულებრივი დაძინების დროს რეფლექსები თანდათან და ნელი-ნელ სუსტდებიან. ნარკოტიულ ნივთიერობათა ზედგავლენით დაძინე-

*) ადამიანის და უმაღლეს ცხოველთა ძილს მეტად წააგავს ზამთრის მოვლენა, რომელსაც ვხვდებით ხოლმე, მაგალითად, როგორც ჩვეულებრივი მოვლენას ღამურებ, წყალხმელითთა (ამფიბიათა), რეპტილიათა და სხვა მრავალ ცხოველთა შორის ზამთრის სუსხიან დროს. ზამთრის ძილის დროს რეფლექსები შემცირებულია, თითქმის სრული გაქრობამდინაც კი, და ნივთთა გაცვლა—გამოცვლა შემცირებულია იმდენათ, რომ ტანის ტემპერატურა (მაგ. ზღარბისა ან ღამურასი) ამ დროს 10° R არ აღემატება. ზამთრის ძილი წარმოადგენს წმინდა ფიზიოლოგიურ მოვლენას, და მისი განსხვავება ჩვეულებრივი ძილისაგან უფრო რაოდენობითია, ვიდრე რომელობითი.

ბის დროს ვამჩნევთ საკმაოთ ძლიერათ გამოაშკარავებულ აღელვების სტადიას. ფიზიოლოგიური ძილისაგან ორგანიზმი ყოველთვის შეიძლება გამოვაღვიძოთ ერთგვარი გაღიზიანებით, თუ ეს საკმაო ძალისა არის. ნარკოტიულ ძილის დროს კი, უაღრესათ ძლიერი გაღიზიანებაც ვერ აღწევს მძინარის გონებამდე. ცნობილია, რომ ნარკოზით ახთენენ მეტად მტკივნეულ ოპერაციებს და ამის და მიუხედავათ ეს უუძლიერესი ტკივილები არ აღვიძებს პაციენტს. ფიზიოლოგიურ ძილისაგან გაღვიძების უმალ რეფლექტები მაშინათვე უბრუნდებიან ნორმას. ნარკოზის გათავებისას კი ნორმალური რეაქციის უნარი ბრუნდება მხოლოთ თან-და-თან.

თქმა არ უნდა, ფიზიოლოგიურ ძილსაც და ნარკოტიულსაც აქვთ საერთო ისა, რომ ორივე შემთხვევაში გულის მოქმედება და სასუნთქი მექანიზმის მუშაობა ხთება შეუგნებლათ, გონების დაუხმარებლათ. ხოლო ჩვეულებრივი ძილის დროს გულის და ფილტვების მუშაობა შენელებულია მხოლოთ, ნარკოზის დროს კი იგი ნაწილობით დახშული და დაქვეითებულია. ორგანიზმში შესხმულ ნივთთა ზედგავლენით გულისა და ფილტვების მოქმედება განიცდის ერთგვარ ანორმალურ გადახვევას და მიმდინარეობს სხვაფრივ, ვიდრე საღი ადამიანში; ამიტომაც უცქერენ ხოლმე ექიმები ასეთი ყურადღებით გულის მუშაობას ნარკოზის დროს.

ყველა ეს განსხვავება იმაზე გვითითებს, რომ ნარკოტიული ძილი განსახილველია არა როგორც ფიზიოლოგიური, არამედ როგორც პათოლოგიური მოვლენა.

ასეთივე პათოლოგიური ხასიათისაა ძილის მზგავსი მდგომარეობა სომნამბულებისა და ჰიპნოზის ქვეშ მყოფთა. აქ რეფლექსები იმდენათ დახშული და დანელებული არ არის, რამდენათაც დამახინჯებული და ერთმხრივათ სახეშეცვლილი. ამის მიზეზით, გარეგანი გაღიზიანებას ამ შემთხვევაში მისდევს სრულებით ანორმალიური ხასიათის რეაქციები.

რაც შეეხება ძილის ფსიქოლოგიურ მოვლენებს, მათი შესწავლა ბუნებრივ-ისტორიულის გზით არ ხერხდება ახლანდელ დროში. შესაძლოა, შემდეგში ფსიქოლოგიის მეთოდები იმდენათ შეიცვალოს, რომ ძილის ამ მხარის შესწავლასაც ჩვენ შევუდგებით ბიოლოგიური მეთოდების საშუალებით, რომლებიც უფრო და უფრო გზას იკაფავენ ფსიქოლოგიურ გამოკვლევათა სფეროში. ჯერ-ჯერობით კი ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ძილის ამ მხარის ანალიზზე. აღვნიშნოთ მხოლოთ, რომ ძილის დროს გონება სავსებით არ ყუჩდება, და ფსიქოლოგიური პროცესებიც განაგრძობენ სვლას. ამას გვიმტკიცებს სიზმრე-

ბე, რომელთა თარეშის შემჩნევა მძინარე ადამიანის არსებაში შეგვიძლია ობიექტიური დაკვირვებითაც. თუ მძინარე, გარეგან გაღიზიანების გარეშე, იწყებს მოუსვენრობას, სიტყვების ბურდღულს და სხვა ასეთებს, მაშინ ცხადია, რომ ამის მიზეზი უკვე უნდა ვეძიოთ შინაგან ფსიქიურ გაღიზიანებაში. ფსიქოლოგთა გამოკვლევებმა დაგვანახეს, რომ ძილშიდაც ხთება ისეთივე წარმოდგენებისა და სახეთა ცვალებადობა, ასოციაციის კანონით, როგორც ფხიზლობის დროს, ხოლო ძილში ეცლება, იკარგება წარმოდგენათა მთელი რიგი; ამის წყალობით ამ უკანასკნელთა თანდათანობა და რიგ-რიგითი შეცვლას ეძლევა კალეიდოსკოპიური და უთავბოლო ხასიათი. ძილის დროს ასოციაციით ერთი მეორეზე აზვირთებულ წარმოდგენათა დიაპაზონი ბევრათ მოკლეა, ვიწროა, ვიდრე ფხიზლობის ჟამს და მთელი რიგი. შუამდებარე წარმოდგენებისა ეცლება, ჰქრება. სწორეთ ამით აიხსნება სიზმრების ქაოტიური ხასიათი, რომელიც ძილში ჩვენ სრულებით ბუნებრივი გვგონია, როდესაც არ მოიპოება მთელი ჯგუფი დამხმარე ამხსნელ და უარმყოფელ წარმოდგენებისა, და იგივე საშინლათ გვაოცებს თვისი უცნაურ შეუსაბამობით, როცა გამოღვიძების შემდეგ გამოცლილი და არკმარებული წარმოდგენები ისევ შედიან ასოციაციათა რკალში.

II.

მაგრამ რათ გვევლინება ძილი? ორგანიზმის რა ცვლილებანი, რა მიზეზები იწვევენ რეფლექსთა მთელი რიგის დასუსტებას და სრულიათ მოსპობასაც კი?

წინანდელ ფიზიოლოგთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ძილი დამოკიდებულია ერთგვარ დროებითი ცვლილებებისაგან ტვინის ქერქში, რომელთა ხასიათის შესახებ შეგვიძლია მხოლოთ დაახლოვებით ვიმსჯელოთ, ხოლო რაიმე დანამდვილებითის თქმა შეუძლებელია.

ძილის ერთი ყველაზე ძველი თეორია ეკუთვნის ცნობილ ანატომს **პურკინჯეს**. მან გამოთქვა აზრი, რომ ძილის მოახლოების წამს სისხლი აწვება თავის ტვინს, მეტადრე მოგრძო ტვინსო. სისხლის ასეთი ძლიერი მიწოლას თან სდევს ამ უკანასკნელის ბირთვების გასივება. რადგანაც მოგრძო ტვინში მოთავსებულია უმრავლესი ნაწილი გამტარებელი გზებისა, რომლებიც თავის ტვინის ქერქს აერთებენ, აკავშირებენ სხეულის გარემოსთან (პერიფერიასთან), მაშინ აღნიშნულ ბირთვთა გასივების გამო მათი ნერვის ძაფები იჭიჭყება და გამტარებლობის უნარი მათში ამით ისპობა. ამის წყალობით თავის ტვინის

ქერქს აღარ მოსდის იმპულსები სხეულის გარემოდან, ხოლო, მეორეს მხრივ, პერიფერიის ორგანოებიც, მაგალითად, კუნთები, დროებით მოწყვეტილი რჩებიან თავის ტვინს და ვერც ღებულობენ მისგან იმპულსებს. გაღვიძებისას სისხლი ისევ სცილდება ტვინს, ბირთვები თვისი წინანდელ ზომამდე ჩამოდიან და ნერვის ძაფების გამტარებლობის უნარიც აღიდგინება. სხეულის გარემო ისევ პირდაპირ უკავშირდება ცენტრებს და იფხიზლებს.

პურკინჯეს ამ თეორიამ ვერ მოიხვეჭა გავლენა, მისი სიმრუდეც ადვილათ შესამჩნევია. აქ მიღებულია 3 სრულიათ შემცდარი დება: 1) რომ ძილის დროს სისხლი ძლიერათ მიეშურება ტვინისაკენ, 2) რომ ეს იწვევს ტვინის ბირთვების გასივებას და 3) რომ ამ გასივების შედეგი იქნება ნერვის ძაფთა გამტარებლობის უნარის მოსპობა. ეს სამივე დება სრულიათ ნებითია და პირდაპირ დაკვირვებაში ვერც ჰპოულობს დამტკიცებას. თავის ტვინში სისხლის მიდინებას აქვს მცირე რხევადობა საზოგადოთ. არანორმალურ პირობებში კი, როცა თავის ქალას მოაცლიან ძვლის ზემო ნაწილს, დაინახავენ, რომ ამ პირობებში სისხლის რაოდენობა უფრო მეტად იცვლება, მხოლოთ სწორეთ არა იმ გზით, როგორც ეს აქვს წარმოდგენილი **პურკინჯეს** თეორიას. დაკვირვებამ დაჭრილ ადამიანებზე და ცხოველებზე, რომლებსაც მოცილებული აქვთ ქალას ზემო ნაწილი, ისე რომ ტვინს ზედ არ აკრავს ძვლის საფარებელი, დაგვანახა, რომ ღრმა ძილის დროს ტვინში სისხლის რაოდენობა კლებულობს; რასაც ტვინის მოცულობის შემცირებაც შეუძლია.

ამას გარდა, თუნდაც რომ მივიღოთ, რომ ბირთვები სივდება მოსაზღვრე ნაწილებისაგან სისხლის მათში გადასვლის მიზეზით, მაშინაც ნაკლებ დასაჯერებელია, რომ ამის შედეგი ნერვის ძაფების გამტარებლობის უნარის შეწყვეტა იყოს.

პირიქით, თვისი გისტოლოგიური აგებულობით, ნერვის ძაფები საუკეთესოთ დაცულნი არიან მექანიკურათ; ამის წყალობით, ძლიერი სწორეთ, ძლიერი მექანიური ზედგავლენები ვერ ახდენენ ამ ელემენტების სპეციფიურ ფუნქციების დაშლა-დარღვევას. ჩვენ ვიცით, რომ, მაგალითად, პერიფიული ნერვები სრულიათ ნორმალურ ფიზიოლოგიურ პირობებში მუდამ განიცდიან ერთგვარ მოჭერას, გაჭიმვას, ადგილმაცვლობას და სხვ., მაშასადამე ისეთ ზედგავლენებს, რომელნიც, ყოველ შემთხვევაში, უფრო ძლიერია, ვიდრე ტვინის ბირთვების გასივებით გამოწვეული ზედგავლენები; და ამისდა მიუხედავათ გამტარებლობის ფუნქცია სრულიადაც არ ზიანდება. საერთოდაც, **ვერცჰემის, ვალენტინის, ტრიპელის** და სხვა მრავალთა დაკვირვება გვიჩვე-

ნებს, რომ მექანიკურათ ნერვები წარმოადგენენ საკმაოთ მტკიცე ფორმას და რომ ბუნებას საკმაოთ უზრუნვია იმაზე, რომ გამტარებელი ბილიკთა მოქმედება გრძელდებოდეს შეუჩერებლივ ყოველივე პირობებში, და რომ დამოკიდებული არ იქნეს რომელიმე შემთხვევითი მექანიურ ეფექტისაგან.

გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე **პურკინჯეს** ჰიპოტეზას, ჰქონდა ეგრედ წოდებულ **ნერვის უჯრედთა ამებოიზმის** მოძღვრებას, ანუ **ნევრონების პლასტიურობის** მოძღვრებას, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვექმნა **ძილის გისტოლოგიური თეორია**. ვინაიდან ეს ჰიპოტეზები დაკავშირებულია მეტად საინტერესო ზოგადი მოსაზრებებთან, რომლებიც საერთოთ ეხებიან ფსიქიურ ცხოვრების მოვლენებს, ამიტომაც ჩვენ ცოტა დაწვრილებით შევჩერდებით იმ დაკვირვებებზე, რომლებიც საფუძვლათ ჩაედვა ამ ჰიპოტეზებს.

აზრი იმის შესახებ, თითქოს ნერვის უჯრედებს შეუძლიათ შეკუმშვა, პირველათ გამოთქვა 1890 წ. **ვიდერსგეჯმმა**. მან მოახთინა უაღრესათ საინტერესო დაკვირვება, რომ ერთს უხერხემლო ცხოველის, Leptodora hyalina-ს ნერვის უჯრედებს არა აქვთ განსაზღვრული ფორმა, არამედ იგი მუდამ იცვლება, ამებისა და ლეჯკოციტების მსგავსათ. რადგან ეს ცხოველი სრულიათ გამჭვირვალია, **ვიდერსგჯემმა** დაინახა, რომ ნერვის უჯრედთა პერიფიული ტოტები ორგანიზმის სიცოცხლის დროს, ხან შეიწევა და შეიკუმშება, და ხან, პირიქით, გრძელდება და იჭიმება, რასაც, რასაკვირველია, მუდამ მოყვება უჯრედთა ურთი-ერთობის შეცვლა. **ვიდერსგეჯმმა** აქედან დასკვნა გამოიყვანა, რომ ასეთი მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი სხვა ცხოველებშიდაც, რომელთა ნერვის უჯრედების პირდაპირი შესწავლა, სხეულის არაგამჭვირვალობის მიზეზით, მოუხერხებელია. მისი აზრით, საერთოთ ყველა ცხოველის ნერვის უჯრედს მუდმივი ფორმა არა აქვს და დაჯილდოვებულია აქტიური მოძრაობის უნარით; უნდა ვიფიქროთ ამიტომაც, რომ მათი ურთიერთობაც არა მუდმივია და სხვა და სხვა ფიზიოლოგიურ მდგომარეობაში სხვა და სხვა გვარია.

მალე, **ვიდერსგეჯმის** სტატიის გამოსვლის შემდეგ, იმავე 1890 წელს, პროფ. **რაბლ-რჯუკგარდტმა** სცადა აეხსნა სხვა და სხვა ფსიქოლოგიური მოვლენა ნერვის უჯრედთა ფორმის ცვალებადობის უნარზე დამკვიდრებით. იგი იმ აზრიდან გამოდიოდა, რომ ნერვის უჯრედთა პროტოპლაზმიური ტოტები, ყოველ შემთხვევაში, არ თამაშობენ ისეთ ნუტრიტიულ როლს, როგორსაც მათ მიაწერდენ **ნანსენი, გოლჯი** და სხვა მკვლევარნი. უაღრესათ საინტერე-

სოა, **რაბლ-რჟუკგარდტის** აზრით, ის მოვლენა, რომ დენდრიტები ღებულობენ მონაწილეობას ნერვის ძაფთა ხშირ ბადურის შექმნაში, რომელსაც **ვალდეჟერმა ნევროსპონგია** უწოდა. ამ უკანასკნელს მეტად საყურადღებო მნიშვნელობა აქვს უმაღლეს ნერვიულ მოქმედების ყველა მოვლენაში. სწორეთ აქ, უეჭველია, ერთი მეორეს ხვდება და გადიხლართება ის სხვა და სხვა მოლეკულიარული პროცესები, რომელთა არსებობა უნდა ვიგულისხმოთ ფსიქიურ მუშაობის ღვიმელებში—განგლის უჯრედებში. თუ ჩვენ გვსურს საზოგადოთ ავხსნათ უფრო წვრილი ფსიქიური მოვლენები იძულებული ვიქნებით ვიგულისხმოთ ფუნქციათა სრული ლოკალიზაცია გისტოლოგიურ ელემენტებში. მაშასადამე ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, თავის ტვინის ქერქის ყოველი უჯრედი ატარებს გარკვეულ ხასიათისა და რაოდენობის წარმოდგენებს, მოგონებებს და სხვ., რომელნიც ყველა ერთად შეადგენენ იმას, რასაც ჩვენ მეხსიერებას ვუწოდებთ. მთელი ჩვენი უმაღლესი ფსიქიური მოქმედება წარმოადგენს ცალკე წარმოდგენათა კომბინაციების მუდმივ ცვლილებას, წარმოდგენათა, რომელნიც გადაბმულ-გადახლართული არიან ზემოთ დასახულ მოლეკულის პროცესებთან; ყოველ შემთხვევაში, თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვისი მოქმედებით იგი მჭიდროთ დაკავშირებულია მატერიალურ სუბსტრატთან. მისთვის, რომ ახსნას თუ რა გზით ხორციელდება ნევროსპონგიაში ასეთი მოლეკულთა პროცესების თამაში, **რაბლ-რჟუკგარდტი** ამბობს, რომ ეს წვლილადი ნერვის ბადე არ წარმოადგენს რაიმე უცვლელს და უმოძრაოს, ხოლო, პირიქით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუდამ სხვა და სხვა ცვლილებას განიცდის. აქ ნერვის ელემენტები ხან ერთდებიან ერთი მეორესთან, ხან განცალკევდებიან, იმის წყალობით, რომ ნერვის უჯრედთა დენდრიტები, რომელნიც მონაწილეობას ღებულობენ ამ ნევროსპონგიის შექმნაში, მუდამ ამებოვან მოძრაობის ყოფაში არიან.

მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ ტვინის გაძლიერებული მუშაობის დროს დენდრიტების წვრილი ტოტები იმყოფება გახალისებულ მოძრაობაში და ხან გაიჭიმებიან და დროებით უკავშირდებიან სხვა ტოტის წვერებს, ხან პირიქით, იკუმშებიან და სცილდებიან სხვა ტოტებს. მაშასადამე აქ ისახება სურვილი მიეცეს ფსიქიურ მოვლენებს მექანიური ახსნა. როდესაც ფიქრთა ძაფი სწყდება, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს დაკავშირებულია დენდრიტის ტოტების მთლიანობის დარღვევასთან იმ ნერვის უჯრედისა, რომელიც ასრულებდა ნივთიერი სუბსტრატის მოვალეობას წარმოდგენათა ძეწკვის ერთ-ერთ რგოლისთვის. გონების ფრთა შესხმული მუშაობა ჩამოყვანილი იქნება ასეთი

ნერვის უჯრედების უბრალო ურთი-ერთობამდე, როცა ტოტები ხალისიან მოძრაობას იჩენენ. პირიქით, დათრგუნვილი გონების მოქმედება შეიძლება მიგვეწერა თვით ნერვის უჯრედთა ტოტების სიზანტეზე, როცა ამებოვანი მოძრაობა ნელი და შესუსტებულია. ეს რომ გამართლებულიყო, მაშინ **რაბლ-რჟუკგარდტის** და მიხედვით, მთელი რიგი ფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ მოვლენებისა, როგორც: ძილი, ჰიპნოტიზმი, სომნამბულიზმი და სხვა აიხსნებოდა თავის ტვინის ერთი გვარის უჯრედთა დენდრიტების ნაწილობითი სამოძრაო დამბლით.

თვით ამ საყურადღებო ჰიპოტეზის ავტორი არ ფარავს იმას, რომ იგი შემდეგში შეიძლება გახდეს მხოლოთ „ნაყოფიერი აზრი“ და რომ მთელი მისი ფაქტიური მხარე იწურება მხოლოთ ერთი დაკვირვებით, რომელსაც ამასთანავე ესაჭიროება კიდევ გაშინჯვა.

ნევროლოგთა შორის **რაბლ-რჟუკგარდტის** ამ სტატიამ არ მიიპყრო თავის დროს არავითარი თანაგრძნობა. თითქმის ასევე შეუმჩნეველათ ჩაიარა მეორე შრომამ, რომელიც ეკუთვნოდა იტალიელ მეცნიერს **ტანცის** (1893); ეს უკანასკნელი უკვე სრულიათ გარკვევით ლაპარაკობს ნევრონების პლასტიურობაზე. **ტანცის** აზრით გაღიზიანების დროს ნევრონში ჩნდება სხვაგვარი ნუტრიტიული მოქმედება, რომელსაც მოსდევს ნევრონის გაცხოველებული კვება და ზრდა. აქ, მაშასადამე, ხდება იგივე, რაც შემჩნეულია მომქმედ კუნთში. თუ ნევრონების ეს ზრდა ხდება სიგრძით, მაშინ ფუნქციონალურ ვარჯიშობის შედეგი იქნება შემოკლება იმ მცირე მანძილისა, რომელიც დარჩენილია მოსაზღვრე ნევრონებ შუა. მათ შორის კონტაქტი უფრო მჭიდროთ იკვრება და მათი ფუნქციონალური მოქმედება, ამის წყალობით, ჩადგება უფრო ხელსაყრელ პირობებში.

მაგრამ ეს შრომაც დაგვიანებით მოიგონეს, როცა მზგავსი აზრები უკვე დაკავშირებული იყო **მ. დჟუვალის** და **ლეპინის** სახელებთან, რომლებიც ახლა ამ მოძღვრების—ნერვის უჯრედთა მოძრაობის—ავტორებათ ითვლებიან.

მ. დჟუვალის სტატიაც და **ლეპინისაც** გამოქვეყნებული იყო ერთდროულათ 1845 წლის თებერვალში, მათ მაშინვე ნევროლოგთა შორის სენსაცია მოახდინეს, თუმცა არსებითად ისინი იმეორებდნენ-მხოლოთ უფრო გადაჭრილი კილოთი და ფორმით იმას, რაც წინანდელ მკვლევარს უკვე ნათქვამი ჰქონდა.

მ. დჟუვალის შეხედულებით ნერვის უჯრედთა დენდრიტებიც და

ღერძ-ცილინდრიანი ნაშვერთა წვერებიც მოძრაობენ. ნერვის უჯრედები, ამ შემთხვევაში, წააგავენ ამებას და ლეჯკოციტს, და ამათ მზგავსათ უნდა ეხმაურებოდნენ თვისი ფორმის შეცვლით სხვა და სხვა გაღიზიანებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ნერვის უჯრედებს აქვთ დადებითი და უარყოფითი ჰემოტროპიზმის თვისებანი, ე. ი. რომ ერთ-ერთი ქიმიური ნივთიერებანი აიძულებენ მათ გამოუშვან ნაშვერები, მეორენი კი, პირიქით,—შეწიონ. ამ ნაშვერთა ასეთი მოძრაობის მიზეზით დამოკიდებულება ნევრონებ შორის მუდამ იცვლება, და ისინი ხან ერთ ძეწკვათ აინცობიან, გადაიბმებიან, ხან პირიქით, ძეწკვიდან გამოითიშებიან. ნევრონებში კავშირი მაშინ გაიბმის, როცა ნაშვერები გაიჭიმება; ნაშვერთა შეკუმშვის დროს ნევრონები პირიქით განშორდებიან. თუ მივიღეთ ნერვის უჯრედთა მოძრაობის ჰიპოტეზა, **მ. დაუვალის** აზრით, ადვილათ გავიგებთ „ანატომიურ პირობებს და გისტოლოგიურ მხარეს ისეთი მოვლენებში, როგორც მეხსიერება, იდეათა ასოციაცია, წარმოდგენა, და კიდეც აიხსნება გისტოლოგიურათ ჩვეულებისა და აღზრდის შედეგები“. **დაუვალი**, სხვათა შორის, კმაყოფილდება ამ ზოგადი ფრაზით და უფრო დაწვრილებით არ ამბობს, თუ რას ჰგულისხმობს იგი, მაგალითად, წარმოდგენისა და მეხსიერების გისტოლოგიურ განმარტებაში. სამაგიეროთ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ძილის ბიოლოგიაზე და გვირჩევს კიდეც მისი ჰიპოტეზას „ძილის გისტოლოგიური თეორია“ ვუწოდოთ. მისი აზრით, ყველა გრძნობიერი ნევრონი ძილის დროს შეწევს ხოლმე თავიანთ ნაშვერებს, მზგავსათ იმისა, როგორც ლეჯკოციტები მალავენ თვისი პსევდოპოდიებს, ვუზამთ თუ არა ანესტეზიას ან უმჟავბადო არეში მოვათავსებთ. მაშინ კავშირი ამ ნევრონების და გარეშე ქვეყნის—ერთის მხრივ, და ცენტრალურ ნერვის სისტემის ნევრონებ შორის—მეორეს მხრივ, სწყდება, და ჩვეულებრივი გარეგანი შთაბეჭდილება უკვე ველარ აღწევს თავის ტვინის ქერქამდე; დგება ის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ძილს ვუწოდებთ. სუსტი გარეგანი გაღიზიანება თუმცა მძინარე ადამიანში იწვევს ერთგვარი რეფლექსებს, მაგრამ ტვინის ქერქამდე ვერ აღწევს, ვინაიდან ნევრონების ეს ორი სისტემა, ნაშვერების შეკუმშვის წყალობით, ახლა ერთი-ერთმანეთისგან განშორებულია. თუ ორგანიზმი უფრო მძლავრათ გავაღიზიანეთ, მაშინ ეს გაღიზიანება ტვინის ნევრონებს აამოქმედებს. ნერვის უჯრედები ისევ გამოუშვებენ ნაშვერებს, რითაც შეწყვეტილი კავშირი ნევრონების სისტემებ შორის ისევ განახლდება, ისევ ჩნდება ნორმალური რეფლექსები და ცხოველიც იღვიძებს.

ნევრონის სისტემების ასეთი შეწყვეტით შეიძლება აიხსნას, **დაუვალის**

აზრით, აგრეთვე ჰიპნოზისა და ნარკოზის მოვლენები და ნერვიულ სისტემის მრავალგვარი ავათმყოფური მოვლენა, როგორც მაგალითად, ბნედა და სხვა.

ლიონელ ნევროლოგმა **ლეპინმა** თვისი ძილის ჰიპოტეზა გამოაქვეყნა ერთი კვირის დაგვიანებით **დაუვალის** შემდეგ. თვისი შრომაში იგი აღნიშნავდა, რომ ნევრონების პლასტიურობის იდეა გამოთქმული იყო მის მიერ **დაუვალზე** ადრე ერთ შრომაში ნერვიულ სისტემის პოთოლოგიის შესახებ.

საერთოდ, **ლეპინის** ჰიპოტეზა თითქმის ეთანაბრება **დაუვალის** „ძილის გისტოლოგიურ თეორიას“. **ლეპინიც** ბუნებრივი ძილის მიზეზათ სთვლის ნერვის უჯრედთა გრძნობიერი ნაშვერთა შეკუმშვას, რასაც მოსდევს ნევრონთა ძეწკვის დაწყვეტა. უმთავრესი განსხვავება ორ დასახელებულ ჰიპოტეზათა შორის მდგომარეობს იმაში, რომ, **ლეპინით**, ძილის დროს იკუმშება, უმთავრესათ, ტვინის ქერქის უჯრედთა დენდრიტები, მაშინ როცა **დაუვალი**, ნევრონთა შორის კონტაქტის უმთავრეს დამშლელათ სთვლის გრძნობიერი ნევრონთა ღერძ-ცილინდრიულ ნაშვერებს.

ამ რამოდენიმე სიტყვაში გამოიხატებოდა ამ მოძღვრების დედა-აზრი ნერვის უჯრედთა მოძრაობაზე, რომელმაც თავის დროს ისეთი აურ-ზაური ატეხა მეცნიერთა სამეფოში. უმთავრესი მიზეზი ამ ჰიპოტეზის გავრცელებისა იყო ისა, რომ იგი ჰხიბლავდა მკვლევარს თვისი სიმარტივით და პრიმიტივობით. როგორც სამარლიანათ აღნიშნა თავის დროს **რაბლ-რაუკგარდტმა,** ეს შეხედულებანი საუკეთესოთ ეთვისება ჩვენს ჩვეულებრივ გამოთქმებს საყოველდღეო ლაპარაკში, როგორც: „აზრთა ძაფი გაწყდა“, „ტვინის შენძრევა“ და სხვა.

ხოლო თუ მოყვანილი მოძღვრებამ მიიქცია ნევროლოგების ყურადღება და მოკლე ხანში მოიკალათა პოპულიარულ ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე, მაინც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ იმავე 1895 წელს ორმა იმდენათ გამოჩენილმა გისტოლოგმა, როგორიც არიან **კელიკერი** და **რამონ-კახალი**, საშინელი კრიტიკით გამოუდგენ **დაუვალის** და **ლეპინის** შეხედულებებს.

კელიკერმა საკმაოთ გარკვევით უარყო ნერვის უჯრედების ამებოიზმის შესაძლებლობა იმ მოსაზრებით, რომ 1) ნერვის ძაფის ღერძის ცილინდრს არ აქვს შეკუმშვის უნარი, 2) რომ ცოცხალ გამჭვირვალე ცხოველთა გასინჯვის დროს არც ერთხელ არ შეუმჩნევიათ ნერვის ძაფების წვერების მოძრაობის ნატამალიც, 3) რომ ყველა ცნობილი ფაქტი იმას გვითითებს, რომ ფსიქიური ფუნქციები დაკავშირებულია თვით ნერვის უჯრედებთან, და არა მა-

თი დენდრიტებთან და ღერძ-ცილინდრიანი ნაშვერებთან.

თითქმის ასეთივე პასუხი გასცა **დჟუვალ-ლეპინის** თეორიას გამოჩენილ ესპანელმა ნევროლოგმა **რამონ-კახალმა**. მან მიუთითა აგრეთვე შემდეგი ფაქტებზე, რომლებიც უარყოფენ ნერვის უჯრედის შეკუმშვას. პირველათ, ღერძის ცილინდრის წვერები ნათხემში, სმენის ნერვის ბირთვებში და ცენტრალურ ნერვის სისტემის მრავალ სხვა ნაწილებში ყველგან ერთნაირ განვითარებას იმჩნევენ, ერთნაირ შეერთებას მეზობელ ნერვის უჯრედებთან, იმისდა მიუხედავათ, იყო თუ არა განხილული ცხოველი მოკლული ქლოროფორმით, სისხლის დაცლით თუ მოწამლული. მეორეთ, რომ გავშინჯოთ ღერძის ცილინდრების წვერები რეპტილიებისა და ბატრახიების ბადურა გარსიდან, შევამჩნევთ, რომ ისინი ყოველთვის ერთ და იმავე სახისა არიან, მისდა მიუხედავათ, იმყოფებოდა თუ არა მხედველობის ორგანო განხილულ ცხოველისა დიდი ხნით მშვიდ და წყნარ მდგომარეობაში, თუ პირიქით, სიკვდილის წინეთ განიცდიდა ძლიერ და ხანგრძლივ სასინათლო გაღიზიანებას. ამ ორივე შემთხვევაში მიკროსკოპიული სურათი სრულიათ ერთი და იგივე იყო, მაშინ როცა, ნერვის უჯრედთა ნაშვერებს რომ მართლაც შეკუმშვა შეძლებოდათ, ჩვენ უნდა დაგვენახა დიდი განსხვავება მათ შორის.

მაგრამ, ძილის გისტოლოგიური თეორიის ყველაზე სუსტი ადგილს შეადგენს პირდაპირი მორფოლოგიური დაკვირვების არქონება, რომელზედაც შეეძლო მას დაფუძნება. ხოლო სწორეთ **დჟუვალის** ნაშრომის გამოქვეყნების წელს, ჯერ რუსი მეცნიერის პროფ. **ა. ს. დოგელის** და შემდეგ ფრანგი გისტოლოგი **რენოს** მიერ აღმოჩენილ იქნა ნერვის უჯრედის დენდრიტების და ნაშვერთა გეზით ერთგვარი გამსხვილებული ადგილები რომლებს „ვარიკოზული გამსხვილება„ ეწოდა („perischnurto“ rmige Zustand“, „état moniliforme“ ავტორებისა). **დოგელის** და **რენოს** ამ გამოკვლევებით მაშინათვე ისარგებლეს ამებოიზმის თეორიის დამცველებმა და სწრაფათ დაუკავშირეს იგინი ნევრონების მოქმედების საკითხებს, რაც მაშინ მეტად აღელვებდენ მეცნიერებს. **მ. დჟუვალმა** და მისი თანამოაზრეებმა მაშინათვე ვარიკოზული გამსხვილება გამოაცხადეს ნაშვერთა ამებოვან მოძრაობის პირდაპირი შედეგათ. აგრეთვე **რენომაც** გამოთქვა, რომ ვარიკოზული გამსხვილება მაჩვენებელია ნერვიულ ელემენტების ერთგვარი აქტივობისაო. დასახსრულ ბორცვების გაჩენა, ნერვის უჯრედის ნაშვერებზე იწვევს მათი ერთგვარი შეკუმშვას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ნევრონებ შორის კონტაქტის მიმართებებზე. ასე, **რენოს** შეხედულებით, ვარიკოზული გამსხვილება საყურად-

ღებო როლს თამაშობს ნერვის ელემენტების დამუწვისა და დაშლის დროს და წარმოადგენს მორფოლიგიურ გამოსახვას უჯრედის მოქმედების ხასიათისა. როგორც **რენო, ეჟეც** ნერვის უჯრედის ერთ უმთავრეს თვისებათ სთვლის მის ცვალებადობას, ანუ პლასტიურობას, რომელიც დამახასიათებელია არამცთუ მხოლოთ ნერვის უჯრედის სხეულისათვის, არამედ მისი ნაშვერთა და მათი ზედნადებთათვისაც. ასევე უყურებს ამას **დემორიც.** მისი აზრით ვარიკოზული გამსხვილება ნათლათ გვითითებს, რომ ნერვის უჯრედთა პროტოპლაზმას შეუძლია შეკუმშვა; ვარიკოზული მდგომარეობა წარმოადგენს ნერვის უჯრედის მხოლოთ სპეციფიურ რეაქციას ერთგვარ გაღიზიანებაზე და, შესაძლოა, იწვევს ნევრონებ შორის არსებულ ნორმალურ მიმართების დარღვევას. ნერვის უჯრედთა ნაშვერების შეკუმშვას მხარი დაუჭირეს აგრეთვე **ოდჯემ, კერტონმა, ნარბუტმა, კლეფელდმა** და სხვ.

ასე, **დჯუვალ—ლეპინის** ძილის გისტოლოგიური თეორიას და ყველა ზემო მოყვანილ შეხედულებას ნერვის უჯრედის ამებოიზმზე მიეცა, ჰგავს, სრულიათ მოულოდნელი დამტკიცება. აღმოჩენილი იყო ნერვის უჯრედების ხასიათის სრულიათ გარკვეული მორფოლოგიური ნიშან-თვისებანი, რომელნიც პირდაპირ ღაღადებენ მოსაზრებათა სისწორეს, და რომლებიც საფუძვლათ ჩაეყარა ნერვის უჯრედთა შეკუმშვის მოძღვრებას.

III

ჩვენი მიზანია კრიტიკულათ შევაფასოთ როგორც ძილის ფიზიოლოგიური თეორია, ისე, საზოგადოთ, შეხედულებებს ნევრონების პლასტიურობაზე. უსამართლობა იქნებოდა უარგვეყო ისა, რომ ეს ჰიპოტეზები მეტად მოხერხებულათ არის შეთხზული, და მართლაც ხიბლავენ მკვლევარს თვისი სიმარტივით. მაგრამ მისთვის, რომ რომელიმე ჰიპოტეზამ ან თეორიამ მოიხვეჭოს სახელი და საპატიო ადგილი დაიკავოს მეცნიერებაში, აუცილებლათ საჭიროა, რომ იგი ემყარებოდეს გარკვევით დამტკიცებულ სამეცნიერო ფაქტებზე. ბიოლოგიის გონება და აზრი მუდამ ხელჩართული უნდა ვლიდენ პირდაპირ დაკვირვებასა და ფაქტებთან ერთად. თუ პირველმა გაუსწრო მეორეს, უმრავლეს შემთხვევაში, არავითარი სიკეთე არ გამოვა მეცნიერების წინსვლისათვის. ხშირად ერთს კარგ დაკვირვებას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ათეულ ბრწყინვალე იდეას, ბუნების პირდაპირი შესწავლას მოკლებულთ.

ძილის გისტოლოგიური თეორია წარმოადგენს სწორედ „აზრთა წინ

გასწრების“ ასეთ თვალსაჩინო მაგალითს. მთელი მისი ფაქტიური მტკიცება იწურება ზემომოყვანილ დაკვირვებით გამჭვირვალე Leptodora hylaina-ზე. **ვიდერსჰეიმის** გამოკვლევის შემდეგ გავიდა საკმაოთ ბევრი დრო, მაგრამ ვერავინ კი ვერ დაადასტურია იგი. თუმცა ნერვის სისტემის შესწავლის მეთოდები ახლა შედარებით ძალიან განვითარდა, მაგრამ მაინც არავის არ შეუმჩნევია ასეთი მოძრაობა. მოიპოება მთელი რიგი გამჭვირვალე ცხოველებისა; უფრო მეტია ისეთი ფორმები, რომელთა სხეულის ერთი რომელიმე ნაწილი გამჭვირვალეა; ყოველივე მათგანი არა ერთხელ გაუშინჯავთ ცოცხლათ და არასოდეს არ შეუმჩნევიათ, რომ ნერვის უჯრედთა ნაჭრებს ან მათი წვერებს გამოეჩინათ შეკუმშვის რაიმე ნიშანი. ამიტომაც **ვიდერსჰეიმის** დაკვირვება პირდაპირ ეჭვს ჰბადებს, მეტადრე, თუ მივიღებთ მხედველობაში უხერხემლოთა ნერვიულ სისტემის შესწავლის სიძნელეს. თუ უმაღლეს ხერხემლიან ცხოველების გაშინჯვის დროს, **იგიც** უურთულეს ნევროლოგიურ მეთოდების ხმარების შემდეგ, ხანდახან გამოცდილ ნევროლოგებ შორისაც იბადება აზრთა უთანხმოება რომელიმე ნაწილის ნერვიულ ბუნების შესახებ, მაშინ უხერხემლო ცხოველებში, რომელთა გისტოლოგია ჯერაც სავსებით არ არის გარკვეული, ხომ ადვილი შესაძლებელია ნერვის ელემენტათ ჩავთვალოთ სხვა რომელიმე ელემენტი. შეცდომა ადვილია, მეტადრე მაშინ როცა ცხოველს სინჯავენ ცოცხლათ სპეციფიურ საღებავების დაუხმარებლათ.

ამასთანავე ბევრი უხერხემლო ცხოველის კუნთის უჯრედები ისეთი მრავალ სახისა არიან, და ისე წააგავენ ნერვის უჯრედებს, რომ შეღებვის შემდეგაც ძნელია მათი გარჩევა. ყოველივე ეს გვაიძულებს დიდი სიფრთხილე გამოვიჩინოთ იმ დაკვირვებათა დაფასებაში, რომლებიც უხერხემლოთა ნერვის სისტემის შესწავლას შეეხება; ყოველ შემთხვევაში, მთელი თეორიის საფუძვლათ ასეთი დაკვირვების მიღება შეუწყნარებელია. რომ მართლაც **ვიდერსჰეიმის** დაკვირვება სრულიათ სწორი ყოფილიყო, მაინც ის რაც აქ დავინახეთ არ მიეწერება პირდაპირ ხერხემლიანთა ნერვის სისტემას. შესაძლებელიც რომ ყოფილიყოს დაგვემტკიცებია, რომ Leptodora hyalina-სი ნერვის ელემენტები იკუმშებიან, ამით სრულიათ არ იქნებოდა დამტკიცებული, რომ ასეთივე უნარი სხვა ცხოველთა ნერვის უჯრედებსაც მოეპოებათ.

ვიდერსჰეიმის დაკვირვების გარდა, **დეუვალის** მსჯელობას საფუძვლათ ედვა აგრეთვე ანალოგია ნერვის უჯრედებისა ლეიკოციტებთან და ნაშვერებისა პსევდოპოდიებთან. ყველამ, ვისაც ცოტაოდენ მაინც გაეგება ლოლიკისა, იცის თუ რა სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ანალოგიით მსჯელობას. ანა-

ლოგია არ წარმოადგენს სრულიათ აზროვნობის მეთოდს; ანალოგიის უმთავრესი მნიშვნელობა იმაშია მხოლოთ, რომ მას, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია ხანდახან მკვლევარს სწორი გზისაკენ მოახედოს. ამისათვის კი საჭიროა, რომ ანალოგია ნათელი და გარკვეული იყოს. ამ შემთხვევაში კი მთელი მზგავსება იწრიტება მხოლოთ იმით რომ ლეჯკოციტებიც—უჯრედია და ნერვის ელემენტებიც—უჯრედი, და მეტიც არ მოიპოება არავითარი ნიშანთვისება, რომ შეიძლებოდეს ამ ორი ფორმის ერთი მეორესთან დაახლოვება. ამიტომაც, ყოველივე ცდა, გამოვიტანოთ რაიმე დასკვნა ამ მზგავს ნიადაგზე წინდაწინვე ბედ-გადაწყვეტილია. ასეთი მსჯელობა ძალიან დაუახლოვდებოდა არარას და მეტად დაშორდებოდა სიმართლეს.

მაგრამ წავიდეთ წინ. მივიღოთ, რომ ნერვის უჯრედის პროტოპლაზმას შეუძლია შეკუმშვა. გაღიზიანებაზე გამოხმაურების უნარი წარმოადგენს ცოცხალ ნივთიერების თვისებას; რასაკვირველია ჩვენ ვერ წავართმევთ ამას ნერვის უჯრედის პროტოპლაზმასაც. წარმოვიდგინოთ, რომ ყოველივე გაღიზიანებას პროტოპლაზმა ეხმაურება თვისი ნაშვერთა შეკუმშვით. პროტოპლაზმის რეაქცია გაღიზიანებაზე შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგრამ ჩვენ ჩვენის ნებით წარმოვიდგინოთ, რომ იგი სწორეთ მოძრაობითი მოვლენაში გამოიხატება. მაგრამ ასეთ მაგალითშიდაც ნერვის უჯრედში ცვლილებანი უნდა ხდებოდეს სწორეთ უკუღმა და საწინააღმდეგოთ იმისა, როგორც ეს აქვს წარმოდგენილი ძილის გისტოლოგიური თეორიას. ამ უკანასკნელის თანახმათ სუსტი გაღიზიანება იწვევს ძეწკვისა და ნევრონთა სისტემის შეწყვეტას, ე. ი. იწვევს ნაშვერთა შეკუმშვას, ძლიერი გაღიზიანებას კი თან სდევს გაღვიძება, ე. ი. ნაშვერთა და წვერთა გაჭიმვა და ნერვის სისტემების შორის კავშირის აღდგენა. ყველა უჯრედში, რომელნიც გაღიზიანებას თვისი ფორმის შეცვლით უპასუხებენ, და კერძოთ, იმავე ლეჯკოციტებში, ყოველთვის სწორეთ წინააღმდეგ, ყოველგვარ სუსტი გაღიზიანებაზე უჯრედის სხეული მეტაბოლიზმს განიცდის, ძლიერი გაღიზიანებაზე კი სხეული იკუმშება, ნაშვერები იჭიმება და მოძრაობაც სწყდება. ესევე უნდა დაგვენახა ნერვის უჯრედებშიც, და ზოგი მათი ტიპის უჯრედებშიდაც; მაგალითად, ბადური გარსის უჯრედებში ასეთგვარ მოვლენებს, თუ დავუჯერეთ Van Genderen Stort (1887), Gradenigo (1885) და Ed. Pergens'-ის (1896) დაკვირვებებს, მართლაც აქვთ ადგილი. Pergens-ი ისწავლიდა სინათლის გავლენას ერთ თევზის (Leuciscus rutilus) ბადურას საუჯრედო ელემენტებზე. თევზების ერთ ჯგუფს იგი ათავსებდა სრულ სიბნელეში 48 საათის განმავლობაში, მეორეს კი დღის სი-

ნათლეზე სტოვებდა. მერე ყველას უცებ მოჰკვეთდა თავებს და ჩაყრიდა საფიქსაციო სითხეში; პირველთა თავები მოთავსებული იყო ისევ სიბნელეში, მეორეთა კი—სინათლეზე. გისტოლოგიურ შესწავლამ აღმოაჩინა, რომ სინათლის გავლენას გამოუწვევია ჩხირის მზგავსი და კულას მზგავსი მხედველობის უჯრედთა შეკუმშვა; ასეთივე გავლენა განუცდია განგლის ფენის უჯრედებსაც: მათი პროტოპლაზმის მოცულობა შემცირებულა, ნაშვერები კი დამოკლებულან და გამსხვილებულან.

მაშასადამე, თუ ნერვის უჯრედთა პროტოპლაზმას, შეუძლია ერთგვარ პირობებში, შეკუმშვა, რაც კიდევ გაშინჯვას მოითხოვს, არ შეიძლება აქედან დასკვნა იმისა, რომ 1) ეს მოვლენანი ყველა უჯრედის თვისებაა, და 2) რომ იგი ხდება სწორეთ იმ სახით, როგორც ამას მოითხოვს **დაუვალ—ლეპინის** ჰიპოტეზა.

შევუდგეთ ახლა ვარიკოზულ გამსხვილებათა საკითხს, რომელიც ძილის გისტოლოგიური თეორიის მომხრეებს მოყავთ, როგორც ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი უჯრედის ნაშვერთა შეკუმშვისა.

რადგან ამ საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტით მოელოდენ ფაქტების მიღებას, რომლებიც დაამტკიცებდენ, ან პირიქით უარყოფდენ ნევრონების მოქმედების ხასიათის ჰიპოტეზებს, გასაკვირველი არ არის, რომ ამ საკითხის შესახებ მოკლე ხანში წარმოიშვა მთელი ლიტერატურა. სხვა და სხვა მკვლევარნი სცდილობდენ გამოეცნოთ თუ რა პირობებში ჩნდება ნერვის უჯრედთა ნაშვერებზე აღნიშნული კრიალოსნის მზგავსი სიმსივნები. ზოგი ავტორები [**ალლენი** (1894), **ბაოტე** (1898), **ტუკეტ** (1896) და სხვ.] დარწმუნდნენ, რომ ვარიკოზული გამსხვილება წარმოადგენს ნასიკვდილარ მოვლენას და რომ ამიტომაც იგი მოკლებულია უფრო ღრმა მორფოლოგიურ მნიშვნელობას. სხვა მკვლევარნი [**ვაალ** და **ფრანკი** (1899), **რეასს** (1903), **ბარტელსი** (1908) და მრავალი სხვა] ირწმუნებოდენ, რომ ვარიკოზული გამსხვილება წარმოადგენს მხოლოთ ფიქსაციის დროის არახელსაყრელ პირობების შედეგს. ავტორთა ერთი ჯგუფი ვარიკოზულ გამსხვილებას სთვლის პათოლოგიურ მოვლენათ. მაგალითად, **ივანოვი** (1900) ფიქრობს, რომ ნაშვერებზე ეკლისმზგავსი ბუსუსების გაქრობა და ვარიკოზების გაჩენა მრავალ შემთხვევაში გვითითებს ნერვის უჯრედის მძიმე დესტრუქტიულ ცვლილებაზე. მაგრამ რადგან ასეთივე გამსხვილება შეიძლება გაჩნდეს აგრეთვე უხერხულ დამუშავების წყალობითაც, და აგრეთვე იყვეს უჯრედის სიკვდილის შემდეგ მომხთარ ცვლილებათა შედეგი, ამიტომაც, ავტორის აზრით, ამ **მოვლენებს** არ

უნდა მივაწეროთ სერიოზული პათოლოგო—ანატომიური მნიშვნელობა. ასევე უცქერის ამას **სუხანოვიც** (1897—1898), რომელიც დენდრიტების ვარიკოზულ მდგომარეობას სთვლის აგრეთვე ნერვის უჯრედთა დეგენერაციის ანუ ატროფიის სახეთ. ჩვენი თემისათვის ყველაზედ საყურადღებოა ის გამოკვლევანი, რომელნიც მიმართული იყო იმაზე, რომ ვარიკოზული გამსხვილება ნერვის უჯრედებში გამოეწვიათ ექსპერიმენტალურ პირობებში. და მართლაც ნერვის უჯრედთა ნაშვერებზე ვარიკოზულ გამსხვილების გაჩენა შეამჩნია მეცნიერთა მთელმა წყებამ: **დემორმა** (1896—1898) მოწამვლის შემდეგ მორფით, ქლოროფორმით და ქლორალ—ჰიდრატით, **პირელიმ** (1896)—სულემით მოწამვლის შემდეგ, **საჩერდოტმა** და **ოტოლენგიმ** (1897)—ექსპერიმენტალური ურემიის დროს, **ვინჩენჩიმ** (1897)—ექსპერიმენტალური ტეტანუსის დროს, **პეტერსმა** (1898)—ტვინის სხვა და სხვა დაავადების დროს, **სტეფანესკამ** (1897—1901) დაქანცვის, ეთერის ნარკოზის დროს და სხვა და სხვა ძლიერათ მომქმედ გაღიზიანების შემდეგ, **სკალაზინიმ** (1898)—ექსპერიმენტალური ტვინის შენძრევის შემდეგ, **ეჟემ** (1898)—ნარკოტიულ ძილის დროს, ზამთრის ძილის დროს, გაყინვის შემდეგ და ძლიერი ტკივილების შემდეგ, **რინა მონტიმ** (1895—1898)—სიმშილობის, კაპილიარულ ემბოლიის, ანემიის დროს, არტერიების ლიგატურის შემდეგ და სხვ., **რიბაკოვმა** (1898)—ტყვიით მოწამვლის შემდეგ, **კერტონმა** (1898)—ზამთრის ძილის დროს და ძლიერი გაღიზიანების შემდეგ, **ავემ** (1898—1900)—ქლოროფორმის, ეთერის, სტრიხნინისა და ქლორალის ზედგავლენის შემდეგ, **კლეფელდმა** (1901)—ალკოჰოლით მოწამვლის დროს, **ნარბუტმა** (1899—1902)—ბუნებრივის ძილის ჟამს, და მრავალმა სხვამ. მეორეს მხრივ, აგრეთვე ექსპერიმენტალური პირობებში და კვლევის იგივე მეთოდების მოხმარებით, სხვა ავტორებმა: **აზულეიმ** (1895), **ლუგასომ** (1896—1898), **სუხანოვმა** (1898) **კარინიმ** (1900), **გერინიმ** (1902) და სხვ. ვერ შეამჩნიეს ნერვის უჯრედის ნაშვერებში ვერავითარი ცვლილება.

რადგან ვარიკოზულ გამსხვილებათა საკითხი დიდათ საყურადღებოა ნევრონების შეკუმშვის პრობლემის გადასაწყვეტათ, მე მოვახთინე ამ სხეულების ახალი გამოკვლევა, და ამასთანავე ვიხმარე მათი შესწავლის დროს ყველაზე საიმედო ნევროლოგიური მეთოდი—სახელდობრ, ნერვის ელემენტების შეღებვა მეტილენის ლაჟვარდით. ამის გარდა, მე შემხვდა მეტად კარგი ობიექტი ამ გამსხვილების შესასწავლათ, სახელდობრ, ზურგის ტვინის ზემოპირული (სუბპიალური) ფენის ნერვის უჯრედები, რომელნიც სწორეთ კარ-

გათ იღებება მეტილენის ლაჟვარდით. ამ უჯრედების გარდა, მე გასასინჯავათ გავარჩიე მთელი რიგი სხვა ობჯექტებისა. ჩემი გამოკვლევის შედეგი, რომელიც გამოქვეყნებული იყო თავის დროს Archiv für mikrosk. Anatomie-ში Bd. 75, და აგრეთვე ჩემს წიგნში: „ჰისტოლოგიური აგებულება ზურგის ტვინის თეთრი ნივთიერებისა და დორზალურ კანებისა“—(ს. პეტბურგი 1913), აღმოჩნდა **დჟუვალ-ლეპინის** საწინააღმდეგო.

ჩემს პრეპარატებზე მე ვერ შევნიშნე, რომ ცხოველის რომელიმე ანორმალურ მდგომარეობას სიკვდილის წინეთ რაიმე დაღი დაემჩნია ჩვენს მიერ განხილულ სხეულების რაოდენობა ან ხასიათზე. მე ვშინჯავდი, მაგალითად, თევზების სუბპიალურ ნერვის უჯრედებს, რომლებიც მოვწამლე აცეტონ-ქლოროფორმით, აგრეთვე იმათისას, რომლებიც თავისით გამოთხოვებულან ამ წუთისოფელს, ან რომლებიც აგონიაში იყვნენ, მე მიხმარია მასალათ ის თევზები, რომლებსაც ვკლავდი წყალში გათბობით, ზოგისთვის ცოცხლათ ზურგის ტვინი ამომიჭრია, ისე რომ თევზები სულს ლევდენ სწორეთ აპერაციის დროს. მე გამიშინჯავს თევზები დაჭერილი ანკესითაც, ბადითაც, ახლად ზღვიდან ამოღებულიც, და მთელი ღამე ჭურჭელში მომწყვდეულიც; მე მქონდა შემთხვევა გამეშინჯა ისეთი თევზებიც, რომელნიც კვირაობით ცხოვრობდენ მათთვის არაჩვეულებრივ პირობებში აკვარიუმებში. და, ამისდა მიუხედავათ, ყველა შემთხვევაში მე მინახავს ყოველთვის ნერვის ელემენტების ვარიკოზულ მდგომარეობის ჩვეულებრივი სურათი. ზოგი უჯრედის ნაშვერებზე სიმსივნე მეტია,—სხვებზე—ნაკლები. ერთი უჯრედის სხვა და სხვა ნაშვერები მოფენილი იყო ასეთი სიმსივნებით სხვა და სხვა სიხშირით. ერთი და იგივე ნაშვერი მთელ თავის სიგრძეზე ხშირათ არც ყოფილა ერთნაირათ დაკოჟრილი ვარიკოზულ სიმსივნებით.

ნერვის უჯრედის პროტოპლაზმას რომ მართლაც შეკუმშვის უნარი ჰქონოდა და თვისი ნაშვერების ამოძრავება შეძლებოდა, არ მგონია, რომ ამ შემთხვევაში მიგვეღო ისეთი ერთგვარი და ერთი მეორეს მზგავსი მიკროსკოპიული სურათი იმ ცხოველებში, რომელნიც ფიზიოლოგიურათ განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამის გარდა, მე ვცადე მოქმედება ცხოველებზე, მაგალითად, კიბორჩხალზე ძლიერი მექანიური შენძრევით, მძაფრი ტერმიული და ქიმიური გაღიზიანებით და ყოველთვის მიმიღია ვარიკოზულ ყოფის ისეთივე სურათი, როგორც ნორმალურ კიბორჩხალში.

ხოლო, შესაძლოა, ყველა ეს ფიზიოლოგიური განსხვავება სიკვდილის წინეთ თანასწორდება უეცრივ იმ საშინელ პროცესით, რომელსაც ჩვენ ვახ-

თენთ ცხოველის ნერვიულ სისტემაზე მისი სიცოცხლის მოსპობის ჟამს. შესაძლოა, მიკროსკოპიულ სურათთა მზგავსება აიხსნებოდეს სწორეთ იმით, რომ ჩვენ ვშინჯავთ ყოველთვის უკვე მოკლულ ცხოველს, და შესაძლოა, სწორეთ სიკვდილის წამს ჩნდება ნერვის უჯრედთა ნაშვერებზე ვარიკოზული გამსხვილება. ნერვის უჯრედის დენდრიტების ასეთი „გაშეშება“ ხომ უკვე ღაღადყოფდა, ნაწილობით, მათი შეკუმშვას, ან და, მიგვითითებდა, მკრთალათ მაინც, რომ სახეშეცვლილობის ეს თვისება სავსებით არცაკლია ცოცხალ ნერვის უჯრედს.

მაგრამ, ვარიკოზული გამსხვილება რომ ყოფილიყო მართლაც ნერვის უჯრედთა „გაშეშების“ მხოლოთ ნაკვალევი, მაშინ ყველა ნერვის ელემენტი ერთსა და იმავე პირობებში მყოფი, უნდა ყოფილიყვნენ ამ პროცესით ერთნაირათ შეპყრობილი. ნამდვილათ კი, ჩვენ ვხედავთ, რომ არამცთუ ერთი და იგივე მორფოლოგიური ტიპისა და ერთი მეორესთან მეზობლათ მდებარე ნერვის ელემენტები განიცდიან სხვა და სხვა ვარიკოზულ ყოფას, არამედ ერთი და იგივე უჯრედის დენდრიტები, ამ შემთხვევაში, დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთში. ამისავე საწინააღმდეგოთ მეტყველებს ვარიკოზულ გამსხვილების წვლილადი აგებულობა რომელიც მე მაქვს დაწვრილებით გამოკვლეული.

ვარიკოზული გამსხვილება წარმოადგენს ნამდვილ ფიბრილოვან აპარატს. მასში საკმაოთ რთულათ არის გადახლართული მიმართებები ნერვოფიბრილებ და ავსოპლაზმას შორის, ე. ი. ფიბრილთაშუა ნივთიერების შორის; ეს აპარატები მოქცეულია დენდრიტებსა და ნაშვერებზე და, სჩანს, ნევრონების საფუნქციო, სამოქმედო მუშაობაში თვალსაჩინო როლს თამაშობენ. თუ ჩვენ ჯერ არ ძალგვიძს უფრო ახლო შევისწავლოთ ესენი, ყოველ შემთხვევაში, თუ დავემყარებით მათი სტრუქტურას და, საზოგადოთ, მათი მორფოლოგიურ თვისებებს, თამამათ შეგვეძლება ვთქვათ, რომ მათ არავითარი დამოკიდებულება ნერვის უჯრედთა პროტოპლაზმის შეკუმშვასთან და, ეგრეთ წოდებულ, ნევრონების პლასტიურობასთან არა აქვთ.

ასე, არ მოიპოება არც ერთი ურყევლათ დამტკიცებული ფაქტი, რომ ძილის ჰისტოლოგიური თეორიის სასარგებლოთ მეტყველებდეს. ეს გაბედული ჰიპოტეზა ნერვიულ ელემენტების,—ნევრონების თავისუფლებაზე, რჩება ჰაერში დაკიდებული.

უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ძილის რთული ბიოლოგიური პროცესები არ აიხსნება ნერვის უჯრედთა ნაშვერების უბრალო თამაშით, და რომ **რაბლ-რჟუკგარდტის, დჟუვალის, ლეპინის** და მათი თანამსდევთა ცდა ფსი-

ქიური მოვლენები მექანიზმით აეხსნათ—სრულიათ უვარგისი გამოდგა.

IV.

მივუახლოვდეთ ახლა ძილის მოვლენებს მეორე მხრით. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ძილი ორგანიზმის ისეთი მდგომარეობაა, როცა რეფლექსთა ერთი ნაწილი სრულებით დახშულია, მეორე ნაწილი კი შემცირებულია და დასუსტებული. როგორც სამართლიანათ აღნიშნავს **კრონტალი** (1907 წ.), არავითარი საბუთი არ მოგვეპოება შევუკავშიროთ ეს მდგომარეობა უსათუოთ ცვლილებას ნერვიულ სისტემაში. იმის დასამტკიცებლათ, რომ ტვინის ქერქი აქ არაფერ შუაშია, საკმარისია ის დაკვირვება ძაღლზე, რომელსაც ცნობილ ფიზიოლოგმა **გოლცმა** ამოჭრა თითქმის მთელი დიდი ტვინი, საფეთქელთან მდებარე ერთი ნაჭრის გარდა. ძაღლმა უვნებლათ გადიტანა ეს ოპერაცია და იცოცხლა ამის შემდეგ წელიწად-ნახევარი. თუმცა მას აღარ ქონდა დიდი ტვინის უდიდესი ნაწილი, იგი მაინც მიეცემოდა ხოლმე ძილს, როგორც საღი ძაღლი, ხოლო ძილის და ფხიზლობის პერიოდები ცოტათი უფრო ხშირი იყო. როგორც ნორმალური ძაღლს, მასაც საჭმელით გაძღომის შემდეგ ჩვეულებათ ქონდა მოკეცილი ძილი, სრულებით ისე, როგორც საღი ძაღლს.

ამას გარდა ყველამ იცის, რომ მცენარეები, რომლებსაც ნერვის სისტემა არა აქვთ, ამისდა მიუხედავათ, განიცდიან ისეთ მდგომარეობას, რომელიც სავსებით შეგვიძლია შევადაროთ ცხოველთა ძილს.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ტვინის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შეცვლა კი არ იწვევს ორგანიზმში იმ მოვლენას, რომელსაც ჩვენ ძილს ვუწოდებთ, არამედ პირიქით, ერთგვარ პირობებში, მთელი ორგანიზმს მოედება ხოლმე ეს პროცესი უკანასკნელ უჯრედამდე, და ნერვის სისტემაც განიცდის მას როგორც მთელი ორგანიზმის მხოლოდ განუკვეთელი ნაწილი. ასეთი შეხედულება სავსებით ეთანხმება ჩვენი ახლანდელი წარმოდგენას ნერვის სისტემის მონაწილეობაზე ცხოველის სხეულში.

ჯერ შორს არ წასულა ის დრო, როცა ნერვის სისტემას მიაწერდენ მთავარ მნიშვნელობას ორგანიზმში. ამას ყველა ორგანოთა ურთიერთობა, მათი თანდათანი მუშაობა, მათი მოქმედების აწევ-დაწევა, ამა თუ იმ ნაწილის ფიზიოლოგიური ყოფის შეცვლა—ყველა ამას დამოკიდებულებაში აყენებდენ ერთგვარ კორელატიურ გავლენებთან, რომელნიც ნერვის სისტემიდან გამომდინარეობდენ. ეს შეხედულება საუკეთესოთ გამოითქმის **კიუვიეს** შემდეგი სიტყვებში: „Le système nerveux est, au fond, tout l'animale; les

autres systémes ne sont lá que pour le servir"*). მაგრამ ახლა **კეუ-ვეს** ეს ფორმულა, რომელიც დიდ ხანს უცილობელი ეგონათ და რომელიც, შეიძლება ვთქვათ, საფუძვლათ დაედვა ყველა ჩვენს შეხედულებას მრავალ უჯრედიან ორგანიზმის ფიზიოლოგიაზე, გამოდგა თითქმის მთლათ უვარგისი. ნერვის სისტემა, თუ შეიძლება ასე გამოვთქვათ, უნდა ჩამოვიდეს თვისი ტახტიდან, რომელზედაც იგი ააბძანეს უწინდელი მკვლევარებმა, და დაუთმოს თვისი საპატიო ადგილი ორგანიზმში, ან გაუნაწილოს მაინც იგი, ქიმიურ მოქმედებათ, ანუ **გორმონებს**, ე. ი. უჯრედთა შინაგანი სეკრეციის ნაყოფს. თავის დროზე ნაკლებათ დაფასებულ **სვედენბორგის, ტეოფილ დე-ბორდეესი, ბერტოლდის, კლოდ-ბერნარის, ბროუნ-სეკარის** შრომათა და მრავალ თანამედროვე მეცნიერის გამოკვლევის წყალობით, ამ უკანასკნელ წლებში წარმოიშვა ახალი მოძღვრება შინაგან სეკრეციაზე, ანუ ორგანოთა ქიმიურ კორელაციაზე. ახალ შეხედულობით ყოველი ორგანო, ყოველი ქსოვილი და ყოველი უჯრედი ახდენენ განსაკუთრებულ გავლენას ორგანიზმის დანარჩენ ნაწილებზე თვისი ქიმიზმის საშუალებით, თვისი სეკრეციის სპეციფიურ ნათხევით—გორმონებით; ეს უკანასკნელნი სისხლის ნაკადით წარიტაცებიან მთელ სხეულში და მოქმედობენ მის ყველაზე დაშორებულ ნაწილებზედაც. ამ გორმონთა შეხლა-შემოხლით, რომელთა მოვლენები ერთი მეორეს ხვდება, უერთდება და გადიკვანძება სხეულში,—უზრუნველყოფილია სასიცოცხლო პროცესების ის თანდათანი სვლა, ის საოცარი შეთანხმება ცალ-ცალკე ორგანოების მუშაობისა და ერთი მეორესთან შეგუება, რომელიც ასე მოხდენილათ გამოიხატება ლათინურ ტერმინით: consensus partium.

შეგვიძლია ვიფიქროთ—და ასეთი აზრი სრულიათ კანონიერი იქნება, რადგანაც სავსებით ეთანხმება თანამედროვე შეხედულებას ორგანოთა კორელაციის შესახებ,—რომ ძილის მოვლენაც გამოწვეულია ხოლმე არა იმ გავლენით, რომელიც გამომდინარეობს ნერვიულ სისტემიდან, არამედ ყველა ორგანოებში, ყველა ქსოვილებში და, მაშასადამე, უჯრედებშიც ნივთთა გაცვლა-გამოცვლის ერთგვარ ნათხევის დაგროვების წყალობით; ეს უკანასკნელები, ასე ვთქვათ, შხამავენ ორგანიზმს და იწვევენ გაღიზიანების უნარის შესუსტება-დაშვებას მისი ყველა ჰისტოლოგიური ელემენტებში. თუ ხელოვნური ნარკოტიული ნივთიერებანი მოქმედობენ ცალკე უჯრედებზედაც კი და მთელს სხეულს მოჰგვრიან ხოლმე ნარკოტიულ ძილს, მაშინ ადვილი წარმოსადგენია,

*) „ნერვის სისტემა, ერთობლივ, მთელი ცხოველია; სხვა ყველა დანარჩენი ორგანოთა სისტემები არიან მხოლოთ მისთვის, რომ მას ემსახურონ".

რომ ის ნივთთა გაცვლა-გამოცვლის ნაყოფნი, რომლებიც იკრიბება მოძრავ და ფხიზლათ მყოფ ორგანიზმში, აგრეთვე მოჰგვრიან ნარკოზს სხეულის ყველა უჯრედს და ფიზიოლოგიურ ძილს განაცდევინებენ. ასეთი თვალთახედვით ძილის მოვლენები დაემგვანება კუნთის დაქანცვის მოვლენას. როგორც ვიცით, კუნთის გარდამეტებული მუშაობას მოსდევს ნივთთა გაცვლა-გამოცვლის ნაყოფის დაკრება, და კუნთიც მერე ზანტათ ეხმაურება გაღიზიანებას ან და სრულებითაც ჰკარგავს დროებით გამოხმაურების უნარს. დასვენების დროს კუნთი თავისუფლდება ისევ ამ დაქანცვის „შხამისაგან“ და ნელი-ნელ უბრუნდება თავის ნორმალურ მდგომარეობას. ეს ნივთიერებანი, რომელნიც ქანცავენ კუნთს, საკმაოთ გამორკვეულია, და მათი თავისებური მოქმედება კუნთზე გასინჯულია ექსპერიმენტალურათ. შეიძლება უცებ დავქანცოთ კუნთი, რომელსაც არ უმუშავნია, თუ შევასხით სათანადო არტერიაში დაქანცულ კუნთიდან ამოღებული წყლიანი შრატი.

შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ძილიც წარმოადგენს მთელი ორგანიზმის დაქანცვის მზგავს მოვლენას. მომქმედ, ფხიზელ მდგომარეობაში, ორგანიზმში იკრიბება ერთგვარი დაქანცულობის „შხამი“, რომელიც სწამლავს სხვა და სხვა ქსოვილებს და, დაბოლოს, როცა ქსოვილებში იგი საკმაოთ ბევრი დაგუბდება, მოჰგვრის მთელს სხეულს ფიზიოლოგიურ ძილს. ასეთის გზით, ორგანიზმისთვის ძილი ისეთივე როლს თამაშობს, როგორც კუნთისთვის დასვენება. ამ დროის განმავლობაში ორგანიზმი თან და თან თავისუფლდება მასში დაგროვილ ნივთთა გაცვლა-გამოცვლის პროდუქტებისაგან, მათ მიერ გამოწვეული ნარკოზი ჰქრება, და ორგანიზმიც უბრუნდება ჩვეულებრივ მდგომარეობას. თავის თავად ცხადია, რომ ძილის ეს „შხამები“ უნდა მოქმედობდენ სხეულის სხვა და სხვა ორგანოებზე სხვა და სხვა ნაირათ. ზოგი ნაწილთა მოქმედება ძილის დროს სულ უნდა იქნეს შეჩერებული, მეორეთა—დასუსტებული, და მესამეთა—მხოლოთ მცირეთ დანელებული. მაგალითად, გულისა და ფილტვების კუნთები, უნდა ვიფიქროთ, ყველაზე ნაკლებ იშხამებიან ძილის „ტოქსინებით“, რადგან გულის და სასუნთქი აპარატის მუშაობა შეუჩერებლივ გრძელდება ძილის დროსაც, თუმცა კი ცოტა დანელებული ტემპით. ხოლო ძილი არც არის საჭირო სასუნთქი კუნთებისა და გულისათვის იმ ზომით, როგორც სხეულის სხვა ნაწილებისათვის. ამ ორგანოთა დასვენების საკითხი ბუნებამ განახორციელა სხვა გზით: გამოზომილი ცვალებადობა დასვენებისა და მოქმედებისა ზედმეტად ქმნის მათთვის უფრო ხანგრძლივ დასვენებას.

უმაღლეს ფსიქიურ ფუნქციათა ბუდე—ცენტრალური ნერვის სისტემა,

განიცდის, რასაკვირველია, ამ „შხამების“ ზედგავლენას, და ამ უკანასკნელთა ხასიათისა და რაოდენობის მიხედვით, ტვინის ქერქის მოქმედება ხან არარათ იქცევა, ხან კი ნაწილობით შენელდება ხოლმე. მაგრამ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების პირობებში, უაღრესათ გაცხოველებულ ტვინის მუშაობის დროსაც კი, ჩვენ ვერ ვსარგებლობთ მაინც ყველა სამოქმედო ძალებით, რომელნიც ჩვენს ნერვის სისტემაშია ჩანერგილი. ჩვენი ყოველდღიური განცდათა დიაპაზონის სივიწროვის მიზეზით ერთი ნაწილი ჩვენი რთული მექანიზმისა მუშაობს მეტს, მეორე კი თითქმის უმოქმედოთ რჩება.

ადვილათ წარმოსადგენია, რომ ტვინის ის ჰისტოლოგიური ელემენტები, რომლებიც ბევრს მუშაობენ ფხიზლობის დროს, ვერ წინააღუდგებიან დაქანცვის „შხამებს“ იმ ზომით, როგორც ის უჯრედები, რომლებიც არ ეწევიან ასეთ მძიმე შრომას.

ცხადია, რომ პირველებზე „შხამის“ გავლენა უფრო ძლიერი იქნება, მეორეზე კი—სუსტი. ასე რომ ერთი ჰისტოლოგიური ელემენტები თვისი მუშაობას ძილშიც განაგრძობენ, მეორეთა მოქმედება კი იქნება დროებით სულ შეჩერებული ან მეტის მეტად დანელებული. ამნაირათ—გამოაკლდება ძილის დროს მთელი რიგი ამხსნელი, უარმყოფელი და შემჩერებელი წარმოდგენებისა, რომლებზედაც ფსიქოლოგები ლაპარაკობენ. ნერვის სისტემა ძილის დროს წააგავს თითქოს სამუსიკო საკრავს, რომელის ზოგი სიმი მოშვებული ან დაყუჩებულია. დაუკარით ასეთ ინსტრუმენტზე რომელიმე სიმღერა, და თქვენ გამოგივათ კოკოფონია, ჰანგთა უხეში და უცნაური შეერთება, რაშიც ვერც კი გაარჩევთ ნაცნობ მუსიკალურ ნაწარმოებს. ან გადაჭერით რამდენიმე ადგილას კინემატოგრაფის ლენტი; ზოგი ნაწილი გამოაცალეთ, ზოგი ისევ გადააწებეთ ერთმანეთს გამოსახულ სურათების მზგავსების, ან კონტრასტის ასოციაციით; შემდეგ, თუ გაანათეთ იგი ეკრანზე, თქვენ თვალ წინ გადაშლილ სურათში დაინახავთ ბევრს საერთოს იმასთან, რაც გაირბენს ხოლმე ჩვენს საოცარ სიზმრებში.

მაგრამ, რომ ტვინის პროტოპლაზიური ნაწილები, რომლებსაც ფხიზლობისას აწვებათ მაქსიმალური მუშაობა, მართლაც ყველაზე მეტად იწამლებოდეს ძილის „შხამით“, როგორ უნდა ავხსნათ ისა, რომ დღიური ამბები ხშირათ აძლევენ ღამის სიზმრებს ერთგვარ მიმართულებას. თუ დღის განმავლობაში რომელიმე შემთხვევამ გაგვაოცა, ხშირათ ღამე სიზმრები სწორეთ ამ შემთხვევის გარშემო დალაგდებიან. ეს შემთხვევა კი, როგორც უდიდესი დაქანცვის გამომწვევი მატერიალურ სუბსტრატის სათანადო ნაწილებში, სიზმრებში

არც უნდა გაგვხსენებოდა. მაგრამ ასეთი წინააღმდეგობა მხოლოთ გვეჩვენება. ნამდვილათ დღიური შემთხვევები არასდროს არ მეორდება ფოტოგრაფიული სისწორით, არამედ, ყველაზე მეტად, ჩვენს გონებაში იღვიძებენ მხოლოთ მოსაზღვრე და მათთან შერთული წარმოდგენები და სახეები. ამის საუკეთესო მაგალითია „უკულმართი სიზმრები“: მაგალითად, თუ დღისით რამეში დავმარცხდით, რამაც ძალიან დაგვამწუხარა, ღამე გვესიზმრება თითქო ესევე საქმე კეთილათ დავაბოლავეთ; თუ დღისით ვინმესი სიკვდილი გავიგეთ, ღამე იგი ცოცხალი გამოგვეცხადება და სხვა. კაცის მკვლელთა განუშორებელი საშინელი სიზმრები, როცა სიზმარში მსხვერპლი დასდევს თავის მკვლელს, ჩნდება საზოგადოთ გონებაში რამოდენიმე ხნის შემდეგ მხოლოთ, როცა მკვლელობის სურათით გაღიზიანებული ტვინის ელემენტები ცოტათი დასვენებას მოასწრობს.

მაგრამ ასეთი სიზმრები უკვე პათოლოგიას ეკუთვნის; აქ ემატება მრავალი მიზეზი, რაც ართულებს მოვლენას. ზედმეტი აღელვება, ძლიერი ზნეობრივი განცდა, იწვევენ უკვე ნერვის სისტემისა და მთელი ორგანიზმის ავადმყოფობას ისე, როგორც მაგალითად, გარდამეტებული კუნთის მუშაობას არ მოყვება ჩვეულებრივი დასვენება, არამედ პირიქით, პათოლოგიურ მოვლენას გამოიწვევს. ამას გარდა, სხეულის ჩვეულებრივ პირობებშიც ზემოაღნიშნული პირობა, ე. ი. ძილის „შხამით“ უსასტიკესი მოწამვლა ყველაზე მეტად მომქმედ გისტოლოგიურ ელემენტებისა რთულდება სხვა ფაქტორების დამატებითი გავლენებით, როგორც: ვარჯიშობის გავლენა, ბუნებრივი ან შემდეგში შეჩვეული შეუთვისებლობა, ინდივიდუალური ვარიაცია და სხვ.

თავის თავად ცხადია, რომ ყველა ამ სჯას, რომელთაც მიზნათ აქვთ ძილი დაუახლოვონ კუნთის დაქანცვის მოვლენას და დაამტკიცონ მისი ქიმიური ხასიათი, რასაკვირველია არ ექნებოდათ უფლება ეარსებათ, რომ არ ყოფილიყო შესაძლებელი პირდაპირი დაკვირვებით დამტკიცება იმისა, რომ ნივთთა გაცვლა-გამოცვლის ასეთი პროდუქტები, ძილის გამომწვევნი, მართლაც არსებობენ.

სწორეთ უკანასკნელ დროს (1911) ორმა ფრანგ ფიზიოლოგმა, **ლეჟანდრმა** და **პიერონმა** ცდით დაამტკიცეს ასეთი ძილის „შხამების“ არსებობა სხეულში. იგინი 8-10 დღის განმავლობაში არ აძინებდენ ძაღლს, შემდეგ გასინჯეს მისი ტვინის ქერქი (შუბლის ნაწილი). პირამიდალურ და პოლიმორფულ უჯრებში მათ აღმოაჩინეს მთელი რიგი ჰისტოლოგიურ ცვლილებისა, როგორც: პროტოპლაზმა გარდაქმნილიყო ვაკუოლისმზგავსათ, ბირთვი და ბირთვავი ექს-

ცენტრიულათ წაწეულიყვნენ, ბევრი უჯრების პროტოპლაზმა დაჭმული აღმოჩნდა ლეჯკოციტების მიერ (ნევროფაგია) და სხვა. გამოდიოდენ რა ეს მეცნიერები იმ მოსაზრებიდან, რომ ასეთი ცვლილება შეიძლებოდა გამოწვეულიყო ყველაზე ადვილათ სწორეთ ძილის „შხამებით“ სხეულის გარდამეტებული დატვირთვის მიზეზით, მათ შეუშხაპუნეს საღ და გამოძინებულ ძაღლს დიდი ხნის უძინარი ძაღლის შრატი. ეს შრატი შეასხეს მეოთხე ნაკუჭაში. აღმოჩნდა, რომ ძაღლი მაშინათვე მაგრათ იძინებდა. ჰისტოლოგიურ გასინჯვამ დაგვანახა ტვინის ქერქში ისეთივე ცვლილება, როგორც ხელოვნურათ დაქანცულ ძაღლის ტვინში.

ეს გამოკვლევა საუკეთესოთ გვიჩვენებს, რომ მართლაც, ფხიზლობის დროს ორგანიზმში მუშავდება ერთგვარი ქიმიური ნივთიერებანი, რომლებიც, როცა საკმაოთ დაგროვდებიან, ცხოველებს ძილის მოთხოვნილებას უღვიძებენ. ამიტომაც ძილის ქიმიური ბუნება შეიძლება ჩაითვალოს ახლანდელ დროს საესებით დამტკიცებულათ, და ჩვენც თამამათ შეგვიძლია ძილის ჰისტოლოგიური თეორიის ნაცვლათ წამოვაყენოთ ახალი—ქიმიური.

მართალია, ჩვენ ჯერ არ ძალგვიძს დავახასიათოთ ქიმიურათ ეს ნივთიერებანი. ერთად ერთი, რაც მოსჩანს **ლეჟანდრი**ი და **პაერონის** გამოკვლევიდან,—რომ გათბობის შემდეგ ეს ნივთიერებანი ჰკარგავენ ძილის მომგვრელობის უნარს. მეტი ჩვენ არაფერი არ ვიცით არც ამ „შხამთა“ ქიმიურ ბუნებისა, არც იმისა თუ რა გზით სხეული ეწინააღმდეგება მათ და აქარწყლებს სრულიად. მაგრამ ასეთივე მდგომარეობაში ვართ ჩვენ „შხამების“ მთელი რიგთა შესახებ, რომელთა დამუშავება სხეულში ცხადყოფილია, თუმცა მათი ქიმიური დახასიათება აქამდე ვერ მოგვიხერხებია.

როგორც სრულიათ სამართლიანათ შენიშნავს **ბიდლი** თვისი შესანიშნავ წიგნის: „Die innere sekretion“-ის მეორე გამოცემაში, ჩვენ ვიცით სხეულში მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა დანამდვილებით ვიცნობთ შხამს, რომელიც იწვევს სხეულში ცვლილებებს, ორგანოს, რომელიც აქარწყლებს მას, და თანდათანი სტადიებს მისი გარდაქმნისა შედარებით უზიანო ნივთიერებათ. ასეთ ერთად-ერთ მაგალითს წარმოადგენს შარდიას დამუშავება ღვიძლში. ყველა სხვა შემთხვევაში ჩვენ მხოლოთ დაგვრჩენია ვიგულისხმოთ ორგანიზმის თვითმოწამვლა სიმპტომების, ნიშნების მიხედვით; თვით შხამის ბუნების გამოკვლევას კი ვერ ვახერხებთ. ამის მიზეზით, სიტყვები: „შხამი“, „საწამლავი“, „თვითმოწამვლა“, იხმარება ჩვენს მიერ უფრო სხვა აზრით, და ჩვენ ამ შემთხვევაში უფლებაც არა გვაქვს მათ მივაწეროთ ის შინაარსი და მნიშვნელობა,

რომლითაც ჩვეულებრივათ იხმარებიან. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ცხოველების შრატმა, რომელთაც დიდ ხანს არ ვაძინებდით, მიიღო თვისება სხვა საღი სხეულში შესხმის შემდეგ, გამოიწვიოს მოვლენათა ერთგვარი ჯგუფი, რომელნიც წააგავს რომელიმე საწამლავით მოწამვლას, ჩვენ, ეგრე რომ ვსთქვათ, მხოლოთ სიადვილის გამო ვხმარობთ აქ სიტყვებს: „ძილის შხამი“, ნამდვილათ კი, სრულებითაც არ გვსურს წინდაწინვე გადავწყვიტოთ საკითხი ამ ძილგამომწვევ ნივთთა მოქმედების წესისა და ქიმიურ ბუნების შესახებ

უკანასკნელ ხანებში **ბიდლის** მიერ განვითარებულ მოსაზრებების-და მიხედვით (1913), შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სრულიათ სხვანაირი სურათი ქიმიურ მოვლენებისა ძილის დროს. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ყოველ ორგანოში მოიპოება შენახული, ფარული მძლითი (პოტენციული) ენერგია, რის წყალობითაც ამ ორგანოს მოქმედებას შეუძლია თავი იჩინოს ადეკვატურ გაღიზიანების დროს; ჩვეულებრივ პირობებში ეს მძლითი ძალი შეკავებულია და მოწინააღმდეგე ძალების მიზეზით მას ვერ უჩენია თავი, ხოლო, როცა ეს უკანასკნელები სუსტდებიან, მაშინ ორგანოს შეკავებული ენერგია უკვე გამოხეთქს მძლავრათ; მაგალითად, მშვიდათ მომუშავე კუნთი იწყებს სწრაფათ შეკუმშვას პათოლოგიურ პირობებში; აქ მაშასადამე რაღაცა, რაც წინეთ კუნთის მძლითი ენერგიას აკავებდა, ახლა უკვე უძლურია წინააღუდგეს მისი მთელ ძალის გარდაშლას. მრავალ-უჯრედიან ცხოველთა სხეულში ასეთი შემჩერებელი ძალები, რომელნიც ორგანიზმის რეგულიარულ მუშაობას უზრუნველყოფენ, მეტად საყურადღებო როლს თამაშობენ. თავისუფლათ რომ ვთქვათ, ყოველ ორგანოს აქვს თვისი რეგულიატორი, რომლის დახმარებით მუშაობა სწარმოებს იმ დონეზე, რომელიც ყველაზე მეტად მიზანშეწონილია სხეულის ამ ფიზიოლოგიურ აგებულობასთან. უწინ ფიქრობდენ, რომ ასეთი გავლენა სხეულზე ნერვის სისტემას ჰქონდა. ახლა კი ცხად იქმნა, რომ ამ ნერვიულ გავლენათა გარდა, შემჩერებელი და მაშასადამე გამათანასწორებელი ზედმოქმედებას სხეულის სხვა და სხვა ნაწილებზე ახდენენ აგრეთვე ქიმიური მოქმედებანიც. ასე, **ლაბის** გამოკვლევით კალცის იონები აბრკოლებენ კუნთის მუშაობას. **ლაბის** წარმოდგენით ჩვენს სისხლში კალცის არსებობის წყალობით არის ხოლმე, რომ ჩვენი კუნთები არ განიცდიან მუდმივ რითმიულ შეკუმშვას. ცხადია, რომ, თუ ორგანიზმს გამოვაცალეთ ამა თუ იმ ორგანოს შემკავებელი ნივთიერება, (მაგალითად, იმ ორგანოს ამოჭრით, რომელიც ამუშავებს ამ შემჩერებელ ნივთიერებებს), მაშინ უკვე არაფრით არ შეჩერებული ორგანოს მძლითი ენერგია იწყებს გაუჩერებლივ მოქმედებას, და ჩვენც

დავინახავთ მაშინ სურათს, რომელიც მოწამვლას მოგვაგონებს.

იმის რწმენით, რომ ახლა დამტკიცებულია სხეულის ყველა ნაწილების ფუნქციებზე არსებობა იმ ნივთიერებათა შემჩერებელი გავლენისა, რომლებიც წარმოადგენენ ქსოვილების შინაგან სეკრეციის ნაყოფს, **ბიდლი** გვირჩევს სრულებით უარი ვთქვათ ნივთთა გაცვლა-გამოცვლით ორგანიზმის თვით მოწამვლის ჰიპოტეზაზე, და ყველა ეს მოვლენა ავხსნათ შემკავებელ გორმონების თვალსაზრისით. ჩვენ მით უმეტეს გვაქს უფლება **ბიდლის** ეს მოსაზრება შევუფარდოთ ძილის მოვლენებს, რომ ამ შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, ძილის მოვლენების ქიმიური სახე დამტკიცებულია **ლეჟანდრის** და **პაეერონის** ცდებით. ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ ორგანიზმის ფხიზლობის დროს, როგორც მისი ჰისტოლოგიური ელემენტების შინაგანი სეკრეციის შედეგი, სხეულში ჰმუშავდება ერთგვარი შემჩერებელი გორმონები, რომელთა მოქმედება ეფარდება იმ გორმონთა გავლენას, რომლებითაც დაცულია ორგანიზმის ნაწილების ჩვეულებრივი თანხმობა. სისხლს გადააქვს ეს გორმონები მთელს სხეულში და, ამის წყალობით, მათ საშუალება ეძლევათ შეიჭრან ყველაზე დაშორებულ ნაწილებში, და დათრგუნონ ყოველგან სასიცოცხლო პროცესების გარდამეტებული მოქმედება. ძილი მაშასადამე წარმოადგენს მთელი ორგანიზმის თავისებურ გამძლავრებულ შეკავების ყოფას. ის მუხრუჭები, რომლებიც ანელებენ ქსოვილების და უჯრედთა პროცესების ენერგიას, ძილის დროს, ასე რომ ვთქვათ, უფრო მაგრათ მოიჭიმება, და მთელი მრავალ უჯრედიანი მექანიზმი იწყებს შემცირებულ ტემპით მოქმედებას. ძილის დროს სისხლს ეცლება ეს შემკავებელი გორმონები, რადგან ისინი იხარჯება შემკავებელ მუშაობის ასრულების დროს; მუხრუჭები ისევ იშვება და ყველა ორგანო ისევ იწყებს მუშაობას ჩვეულებრივი ტემპით. ორგანიზმი იღვიძებს.

მაგრამ **ბიდლის** მიერ მოცემული გორმონთა მოქმედების სქემის მიხედვით, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყოველგვარ გორმონთა მოქმედება დაფუძნებულია სხეულის იმ ქსოვილებისა ან უჯრედის ქიმიზმის შეცვლაზე, რომელზედაც გორმონი მოქმედობს. ჩვენი წარმოდგენით, ფხიზლობის დროს გაჩენილი შემკავებელი გორმონები უნდა გამოიწვევდენ აგრეთვე ერთგვარ ქიმიურ მოვლენებს მიძინებულ ორგანიზმში. **ბიდლი** იღებს მხედველობაში იმ მოსაზრებებს, რომლებიც განავითარა **გერინგმა** ქიმიური მოვლენების შესახებ ცოცხალ ნივთიერებაში; მას შესაძლოთ მიაჩნია, რომ შემკავებელი გორმონები—არიან სხეულის ის ქიმიური აგენტები, რომელნიც იწვევენ იმ ორგანოში, რომელზედაც ისინი მოქმედებენ, ნივთთა გაცვლა-გამოცვლის ანა-

ბოლიურ ფაზას, ე. ი. ყველა იმ მოვლენებს, რომლებიც მიმართულია ცოცხალი ნივთიერების აღდგენისაკენ, რეგენერაციისაკენ. ის გაცხოველებული მოქმედება, რომელიც მოყვება ხოლმე სხეულიდან შემკავებელ გორმონების გამოცლას, წარმოადგენს ნივთთა გაცვლა-გამოცვლის კატობოლიურ ფაზის გამოხატვას, ე. ი. უკვე ცოცხალი ნივთიერების დაშლას, დისიმილიაციას. მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ გორმონების შემჩერებელი გავლენანი, რომელნიც ძილს იწვევენ, გამოიხატება აგრეთვე იმაში, რომ ისინი აჩენენ ასიმილიაციას. ძილი, ამ შემთხვევაში, დახასიათდება ნივთთა გაცვლა-გამოცვლის პროცესის ანაბოლიურ სახის ზედმეტობით. ფხიზლობა იქნება, განსაკუთრებით, კატობოლიური მხარე დასახელებულ პროცესისა. ძილის დროს წინ წამოიჭრება ასიმილიაციის პროცესი, პროცესი აღდგენისა ცოცხალი ნივთიერების მოქმედების დროს დანახარჯის რეგენერაციისა. ფხიზლობაში გადაჭარბებული დისიმილიაციის პროცესი სწარმოებს. ეს უკანასკნელები დაღუპავდენ ორგანიზმს, რომ ამ დისიმილიაციის შედეგათ არ წარმოშობილიყვნენ შემკავებელი გორმონები, რომლებიც აგრეთვე ავტომატიურათ წინა რიგში წამოწევენ ასიმილიაციის პროცესებს. ასეთის გზით, ძილი უსწორდება ორგანიზმის გაცხოველებულ ასიმილიაციას, ფხიზლობა კი—გაცხოველებულ დისიმილიაციას. მათი მწყობრი რიგ-რიგობა უზრუნველ ყოფს იმ თანასწორობას ამ ორი საწინააღმდეგო პროცესებ შორის, რომელიც აუცილებელია სხეულის სასიცოცხლო პროცესების თანდათანი მსვლელობისათვის.

ტერმინები.

ნეკნებრივი სუნთქვა—реберное дыханіе.
მილთა ტონუსი—тонусъ сосудовъ.
არე—полость, среда.
დამკეტველი კუნთები—мышцы замыкатели.
მრუდი—кривая.
გარეგრძნობანი—ощущенія.
წყალხმელითი—амфибія.
ნივთთა გაცვლა-გამოცვლა—обмѣнъ веществъ.
რაოდენობითი—количественный.
რომელობითი—качественный.
შუამდებარე წარმოდგენა—промежуточное представленіе.
ბირთვი—ядро.
ბირთვაკი—ядрышко.
გარემო—периферія.
ნერვის ძაფები—нервныя волокна.
გამტარებლობის უნარი—проводимость.
წვლილადი—тончайшій.
გამტარებელი ბილიკი—проводящій путь.
ამებოვანი მოძრაობა—амебовидное движеніе.
ნაშვერი—отростокъ.
ღერძ-ცილინდრიანი ნაშვერი—осевоцилиндрич. отростокъ.
ნათხემვი—мозжечекъ.
ზედნადები—придатокъ.
ბადურა გარსი, ბადურა—сѣтчатка.
საუჯრედო ელემენტი—клѣточный элемнтъ.
ჩხირისმზგავსი და კულასმზგავსი მხედველობის უჯრედები — палочковыя и колобочковыя зрительныя клѣтки.

განგლის ფენი—гангліозный слой.
მეტილენის ლაჟვარდი—Метиленовая синь.
ფიბრილოვანი—фибрилярный.
კიბორჩხალი—крабъ.
მხედველობის რკალი—поле зрѣнія.
ნაკუჭა—желудочекъ.
ნათხევი—продуктъ выдѣленія.
მძლითი ძალი—потенціальная сила.
შარდია—мочевина.
ძუძუებიანი ცხოველი—млекопитающееся животное.

4

რ. არსენიძე

პოლიტიკური მიმოხილვა.

მესავალი.

ევოლიუცია მღელვარე ზღვაა. მისი ტალღების სრბოლა შეუწყვეტელი და სწრაფია. ჩვენი ქვეყანა სწორეთ ამ ძლიერ რევოლიუციის ქარიშხალს განიცდის.

ბევრს ჰგონია, რომ ეს ასე არ არის, რომ უკვე დამშვიდების ხანა დადგა, უკვე აღმაშენებლობითი, დამშვიდებულ მუშაობას შეგვიძლია შეუდგეთ.

ეს დიდი შეცდომაა. რევოლიუციამ მხოლოდ იცვალა სახე, იგი მიტინგების წარმტაც სამეფოდან და ანარქიის ბნელ წყვდიადიდან თითქოს გამოდის, მაგრამ დასასრული მაინც არ უჩანს. რევოლიუცია უფრო მეტია, ვინემ ყრილობები და მიტინგები, უფრო მრავალ დაბრკოლებას შეიცავს თავის წიაღში, ვინემ ანარქია და ანარქიული გამოსვლები. იგი დიდი, ხანგრძლივი, ძლიერი საზოგადოებრივი პროცესია, რომელიც საშინელი სისწრაფით წარმოებს ხან საზოგადოების ზედაპირზე, ხან კი—მის სიღრმეში, ხან აშკარათ, ხან ფარულად, თითქმის შეუმჩნევლად.

რევოლიუცია ისტორიულათ დაგუბებულ ძალთა გამოაშკარავებაა, მათი ურთიერთშორის შეხლა-შემოხლის უმწვერვალესი განვითარებაა, მათი დამარცხება—გამარჯვების ცვალებადობაა. საერთოდ იგი მუდმივი ისტორიაა მოკლე დროში სწრაფი ტემპით წარმოებული.

ამიტომ მის განცდათა სიმრავლე თავბრუ დამხვევია. აქ დღე უდრის წელს, თვე—საუკუნეს, წელიწადი—დაუსრულებელ ჟამს.

ადამიანი აქ ნერვებით ცხოვრობს. ერთის განცდა და შეგრძნება ვერ მოუსწრია, რომ ახალი შთაბეჭდილებები თავბრუ დამხვევი სიელვარით ესხმის თავს. გონებას ხომ ერთი წუთიც არა აქვს მოსაფიქრებლად, შთაბეჭდილებათა უამრავ გროვათა გადასამუშავებლად და მიქანაობს ცხოვრების სტიქიის შეუცნობელ ფრთებზე, მიქროლავს განუსაზღვრელ სივრცეში უგზო-უკვლოთ...

და ეცემიან გუშინდელი გმირები, სიძულვილის და ზიზღის მსხვერპლი ხდებიან გუშინდელი საყვარელი და სატრფიალო მოღვაწენი, თვალუწვდენელი სიმაღლის ტალღის წვეროდან თვალდაუწვდენელ უფსკრულის ბნელ ჯურღმულში ინთქმებიან და იკარგებიან. ადამიანი ქროლავს, როგორც ნაფოტი აქაფებულ მდინარის ტალღებში.

ასეთია რევოლიუცია და იქაც კი, სადაც „რევოლიუციურ წესიერებას“ მოუპოვებია მოქალაქობრივი უფლება—ეს კანონი ძალაში რჩება. იქაც ცვალებადობა—ახალ-ახალ, უჩვეულო მოვლენათა უეცარი გამოჩინება, ყოველ-დღიურ ჩვეულებრივ ამბათ ქცეულა.

მოფიქრების დრო არა აქვს ასეთ ხანას და არც უყვარს მას მოფიქრების შედეგი—მსხვილი წიგნი, დიდ ტანიანი ჟურნალი. ის ბრძოლის ქაფებში და-ცურავს, მისი აზრის ორგანოა გაზეთის ფურცლები, მოკლე მოწოდებები, ცხარე სამიტინგო სიტყვები, გატაცებული შეხლა-შეჯახებანი.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, ერთი რამ: ზოგჯერ საჭიროა ამ ბრძოლის ტალღების ოროომ-ტრიალს ოდნავ მაინც განვშორდეთ, განზე გავიდეთ, გან-ვლილი გზა გავზომოთ კრიტიკული თვალით, შეცდომა თუ ღირსება ნამოქ-მედარისა გავითვალისწინოთ, რომ აქაფებულ მორევში კვლავ მეტის ენერ-გიით გადავეშვათ და სანაპიროსკენ მკლავ-მაგრათ მოვუსვათ.

ამიტომ ცდა მსხვილი ჟურნალის და ყოველთვიურ მიმოხილვის—მაინც ღირს იმათ, რომ მაზე ჩვენი ენერგია დავხარჯოთ. იგი ნიშანი და გამოცდა იქნება ჩვენი სტიქიაზე რამდენიმეთ მაინც გაბატონებისა, მისი შეგნების, მისი აზრის და საიდუმლოების გაგების სურვილისა.

წარსული მომავლის გზა და ხიდია. რევოლიუციის გუშინდელი დღე კი დიდებულ წარსულს წარმოადგენს, რომელიც დაუყონებლივ იძლევა დიდე-ბულ აწმყოს და დიდებულ მომავალს უყრის მყისვე საფუძველს. მისი განჭვრე-ტა გონების თვალით უმეტესათ საჭიროა, თუმცა უაღრესად ძნელიცაა. ვინა-იდან, სადაც ნერვების მეფობაა, იქ გონიერების ანალიზს მეორე ალაგი რჩება.

მაინც ვცადოთ,—ცდა ბედის მონახევრეა.

I.

ჩვენ და რუსეთი.

პატარა საქართველო რუსეთის დიდი რევოლიუციის ერთი კუნძულია, შტო, ნაწყვეტი, მასთან მჭიდროთ გადაბმული და დაკავშირებული.

ჩვენ გვგონია, რომ მან აიცდინა ბედი რუსეთის რევოლიუციის, მან იპოვა სხვა გზა,—სხვა უფრო სწორი საშუალებანი თავის რევოლიუციური მიზნის მისაღწევათ. ჩვენ გვგონია, რომ ნავი ასცდა რუსეთის გემის ხვედრს და მასთან ერთად არ დაიმსხვრა.

მაგრამ ერთი მაინც ფაქტია. ჩვენი მოძრაობა ღვიძლი შვილია რუსეთის მოძრაობის. მან ყველა ეტაპები გამოცადა ამ უკანასკნელის.

აღფრთოვანების ხანა, შინაური მოქალაქობრივი ომი გამძვინვარებულ ანარქიასთან, რომელსაც ბოლშევიზმი ხელმძღვანელობდა, ომი მეზობლებთან, რომელნიც მის დემოკრატიზმს ვერ შერიგებიან, ერთი სიტყვით იგი აქაც ხმალ ამოწვდილი იდგა გამუდმებით ბრძოლის ველზე და ერთ დღესაც არ დაუსვენია, სადაო საქმე არ გამოლევია, ფრონტი არ გასცივებია.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ რუსეთმა ვერ შეირჩინა მთავარი ხერხემალი რევოლიუციისა—დემოკრატიული ფრონტი და გადატყდა. საქართველომ შეინარჩუნა დემოკრატიის ბატონობა, რის გამო ანარქიის და რეაქციის იერიშებისაგან გამარჯვებული გამოვიდა, ყოველ შემთხვევაში, დღემდე გამარჯვებულია.

არ შეგვიძლია ვთქვათ ისიც, თითქოს რუსეთის დემოკრატია საბოლოოდ დამარცხებულიყოს. ბოლშევიზმის გამარჯვება თავის-თავად კიდევ არ არის დემოკრატიის დამარცხება, ე. ი. დამარცხება ხალხის, ეს არის ხოლო დამარცხება დემოკრატიული იდეის, დემოკრატიულ პოლიტიკის, ანუ უკეთ დაკარგვა მომავლისაკენ მიმავალი სწორი გზის.

ბოლშევიზმის მთავარი ძალა, მთავარი ღონე იგივე დემოკრატიული ელემენტებია, მხოლოდ ანარქო-ბლანკისტური და ტეროორისტული მიმდინარეობით გატაცებული. ნათქვამია „ცალკე პიროვნებები სცდებიან, კლასი კი არასოდესო.“

ამ შემთხვევაში თითქო შესცდა მთელი კლასი, თითქოს გამრუდდა ხაზი მთელი მასიური მოძრაობის, მაშინ როდესაც ჩვენში, პატარა საქართველოში ეს ხაზი სისწორით იქმნა დაცული.

ხაზი, ეჭვი არაა, გამრუდდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ კლასი შესცდა, არამედ პირიქით, კლასი შესცდა იმიტომ, რომ ისტორიული პირობები აუცი-

ლებლობის სასტიკ ლოღიკით მოითხოვდა ასეთ გადაცდენას. რუსეთის ბოლშევიზმს აქვს ამ გადაცდენაშიაც თავის დადებითი მხარე. მან გააუქმა ის რომანტიზმი რევოლიუციის პირველ დღეების, რომელიც ფიქრობდა, რომ რეაქციის უმზგავსო შვილები და რევოლიუციის მოღვაწენი ერთად შესძლებდენ მოთავსებას, რომ მათგან ურთიერთისთვის დათმობა ქვეყნის და რევოლიუციის სადღერგძელოთ შესაძლებელი ფაქტია; ცხოვრებამ სასტიკად დაამარცხა ეს ილიუზიები. რევოლიუციამ არ იცის კომპრომისები, რევოლიუცია არ ითმენს შეთანხმების პოლიტიკას, იგი ყველგან და ყოველ საკითხს იარაღით სჭრის. და იარაღის კრიტიკა უკანასკნელი არგუმენტია ყოველი კრიტიკისა.

რევოლიუცია ძალთა განთავისუფლებული თამაშია, ბრძოლაა. რუსეთის სინამდვილეში მრავალ ას წლობით იყო დაგროვებული ასაფეთქებელი მასალა, ავგიოსიის თავლა უნდა გაეწმინდა სისხლს. 130000 მემამულე და ბიუროკრატი, რომელიც განაგებდა 170 მილიონ ხალხს და სწუწნიდა სისხლს, თვით უნდა დაცლილიყო სისხლისაგან. ეამისოდ ის ვერ შეურიგდებოდა ახალ პირობებს.

კერენსკის მშვიდობის მოყვარე პოლიტიკამ, ყველას შეთანხმების და მორიგების სურვილმა, რაიც ფაქტიურად, სინამდვილეში იქცა კლასთა ძმობათ, ვერ მისცა დაკმაყოფილება ხალხის მასას. იდეა დემოკრატიული, რომლის ქვეშ იგი ხვევდა არსებითად ლიბერალურ და ბურჟუაზიულ პოლიტიკას, საკმარისი არ აღმოჩნდა მისი ვიწრო პატრიოტულ და იმპერიალისტურ ზრახვებს არამოკლებული პოლიტიკის დასაფარავად. გაიხსენეთ განაპირა კუთხეებთან დამოკიდებულება, ომის პოლიტიკა და სხვა. პირიქით, თვით ეს იდეა დემოკრატიისა, მისგან ფართოთ ხმარებული, გახდა მისი შეუფერებელი მოქმედების წყალობით მიუღებელი მასისათვის.

ამ დემოკრატიულ ფრაზის ისტერიულ პიროვნებას, ამ ვიწრო წვრილ ბურჟუაზიულ ფსიხოლოგიის პატრონს არ შეეძლო გაძღოლა მასის დიადი სულის კვეთების. მან ვერ გაუგო თავი და ბოლო რეველიუციის მოთხოვნილებას და რევოლიუციამ ის გარიყა.

სამაგიეროდ მან ფრაზებში ჩაახჩო დემოკრატიული სულისკვეთება და მასსა, ნამდვილი დემოკრატიულ ბატონობას მოწყურებული, ლენინის კომუნისტურ ექსპერიმენტებს მიუგდო.

ლენინის იდეის გამარჯვების ერთი უდიდესი მიზეზი იფარება სწორედ ამ რევოლიუციის პირველ დღეების მეთაურთა დაუსრულებელ ორჰოფობის პოლიტიკაში.

დემოკრატიას სწყუროდა ბატონობის სრული ნაყოფი ეგემა, მას

უნდოდა ენახა მწვერვალი გამარჯვების და იგი გაჰყვა იმას, ვინც გამარჯვებისაკენ მოუწოდებდა.

მაქსიმალიზმს ჰქონდა სხვა მიზეზებიც მასაში. ეს იყო ბნელი წარსული რუსეთის ცხოვრებისა. მონა წარსულში, გამარჯვების ჟამს თვით ხდება მტარვალი და კომუნისტების გამარჯვებაც ერთ დაუსრულებელ მტარვალობად იქცა ყველა სხვაგვარად მოაზროვნეთა და რეაქციონერთათვის.

ბოლშევიზმის ბატონობის ხანგრძლივობა არვის ეგონა, მისი დღეები და კვირეები დათვლილათ მიაჩნდათ, მაგრამ კომუნისტთა ბატონობა იმაზე გრძელი აღმოჩნდა, ვინემ თვით მათი ბელადნი და მით უმეტეს, ვინემ მოწინააღმდეგენი ფიქრობდენ.

ლუნაჩარსკიმ, მაგალითად, გასული წლის თებერვალში ოთხი თვის მაქსიმალური ბატონობა იანგარიშა კომუნისტებისთვის, მაგრამ როგორც ვხედავთ, იგივე ლუნაჩარსკი დღესაც განაგრძობს კომუნისტურ განათლების და ხელოვნების გავრცელებას.

რაშია საქმე? რამ მისცა ძალა ბოლშევიზმს ამდენი ხნის არსებობისათვის?

ბოლშევიკური მოძრაობაში ორი მხარეა. იდეოლოგიური-კომუნისტური და რეალურ-დემოკრატიული. მასას, ხალხს, დემოკრატიას იტაცებს იდეა ქვეყნის დაპატრონების, თავის ბედის გამგეობის, წინანდელი ბატონ-მტანჯველების გამოცვლის, მათზე ჯავრის ამოყრის. თვით კომუნიზმით გატაცებულთ ფანატიკურათ სწამთ გამარჯვება სოციალიზმის, მოახლოვება შრომის სუფევის და ეს ფანატიზმი ედება მასას, როგორც ელექტრონული ძალა, აერთებს, აკავშირებს, ძლიერების სულს ბერავს.

ამ რიგად კომუნისტური იდეოლოგია ცემენტია დემოკრატიისა დემოკრატიული ბატონობისათვის, მაგრამ იმავე დროს იგი სოციალისტურ ექსპერიმენტებს იწვევს, რასაც თან სდევს ქარხნების დაკეტვა, წარმოების გაჩერება, აღებ-მიცემობის მოსპობა და მისი შედეგი—შიმშილი ყველა თავისი საშინელებით. ამ ნიადაგზე მუშათა მოწინავე შეგნებულ წრეებში უკვე თავს იჩენს, ძლიერდება ანტიკომუნისტური მიდრეკილება, ნაწილობრივ აპოლიტიკობა, მოქანცულობის ნიშანი, ნაწილობრივ სოციალ-დემოკრატიზმი, საღის მოძრაობის გამომხატველი, მაგრამ დემოკრატიული სული ამ ბრძოლის ხანაში ვერ აღორძინდება იმდენად, რომ იგი გაბატონდეს. კომუნიზმი მიმზიდველია როგორც პირდაპირი ბრძოლის თეორია, დაუყონებლივი გაბედნიერების მომნიჭებელი.

მასსა კი, გარშემო უთვალავი მტრებით შემორტყმული, გარეშე ამ ბრძოლისა და მტრის გასრესისა ვერ ხედავს სხვა გზას.

რუსეთში ყოფნის დროს ბოლშევიზმის ბატონობის პირველ თვეებში, გასული წლის დასაწყისში, თვით ამ სტრიქონების ავტორი, მოწამე იყო ბოლშევიკურათ განწყობილი მასსის თავხედური, გაბედული, ხშირად უგუნური თავდასხმის იქ, სადაც შეიძლებოდა მშვიდობიანათ საქმის მოგვარება. მაგრამ რეალურ ცხოვრების დაკვირვებამ, სინამდვილეში ჩამოსხმულ ძალთა გათვალისწინებამ დამარწმუნა, რომ ხალხს იქ სხვა გზა არ ქონდა, გარდა სისხლიან ბრძოლისა თავის უფლებების დასაცველად. დემოკრატები ვერ ახერხებდენ ან არ ცდილობდენ შეექმნათ ძალა საბრძოლველათ იმ ნამდვილ შავ ძალასთან, რომელიც ლიბერალური სამოსელით ევლინებოდა ხალხს და რეაქციონერსავით კი ჰკბენდა...

ამ რიგათ, ბოლშევიკურ მოძრაობას რუსეთში აქვს თავისი დადებითი მხარეები; ესაა დემოკრატიის ბატონობის შექმნა და რეაქციასთან სასტიკი ბრძოლა, მაგრამ მას აქვს არა ნაკლები უარყოფითი მხარეებიც: ესაა კომუნისტური უტოპიები, მიუკარებლობა, თვით დემოკრატიის რეაქციონერებათ გამოცხადება, დემოკრატიის ნაწილ-ნაწილათ დაგლეჯა, უტოპიური, უგნური ექსპერიმენტებით საშინელი სამრეწველო და საზოგადოებრივი ანარქიის შექმნა.

რამდენათ პირველი მხარე აძლიერებს კომუნისტებს, იმდენათ მეორე მათ მიუცილებელ დამარცხებას უქადის.

ბოლშევიკური მასსა დღეს ბატონობს, მაგრამ არაფერს არ ქმნის, იგი ცხოვრობს წლობით დაგროვებული შრომის ნაყოფით, წინანდელ ქონებით; როცა ეს საფანელი გამოელევა იგი იგრძნობს საშინელს სიცალიერეს, უკიდურეს საშინელებას თავის მდგომარეობისას; ბოლშევიზმის ბატონობის უმწვერვალეს წერტილზე ასვლისას იგი უეცრად გამოეცლება მას, და რომელიმე ახალათ მოვლენილ ავანტიურისტს ჩაეკვრება გულში...

ამით ბოლშევიზმი რეაქციის მიუცილებელი წინამორბედია. თვით საშინელი ანარქიის მატარებელი, იგი რეაქციის მორევში დალევს სულს.

მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, ბოლშევიზმმა უკვე ააფორიაქა მთელი რუსეთის მიდამო, აამოძრავა თვით მიყრუებული ადგილები, გახვია აქტიურ ბრძოლის ალში სოფლის მშვიდობიანი მეურნე და ქალაქის პროლეტარი, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი და ზურგში მყოფი დეზერტირი.

მან დაბადა საშინელი დულილი ცხოვრებისა, ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ, ომი გუბერნიების, მაზრების, ერობის, ქალაქების, კლასების, ჯგუფების და ამ საშინელებით აგრძნობინა ყველას თავისი მონაწილეობა ისტორიულ ბედის გაჭედვაში. მეხი არ გავარდება, გლეხი ისე პირჯვარს არ გადაიწერსო.

ბოლშევიზმმა კი მეხი მეხზე უძღვნა რუსეთის ყოველ კუთხეს და ყველას „პირჯვარის წერა“ ასწავლა.

ტანჯვით, სისხლით, დაუსრულებელი მრავალ-წლოვანი 9 იანვარით სწავლობს რუსეთის ხალხი რევოლიუციის სასტიკ გაკვეთილებს...

საქართველოს დემოკრატიამაც არსებითად იგივე გზა ბრძოლისა გაიარა.

განსხვავება ის იყო, რომ ჩვენი რევოლიუციური დემოკრატია ს.-დემოკრატიის ხელმძღვანელობით პირდაპირ შეუდგა ყველა იმ დადებითი მხარეების განხორციელებას, რომელსაც ბოლშევიზმმა შორეული სისხლიანი გზით მოუარა.

დემოკრატიის ბატონობის სურვილს აქაური სოც.-დემოკრატია შეეგება, როგორც აუცილებელ, საჭირო რევოლიუციურ მოვლენას, დიქტატურა დემოკრატიისა ფაქტიურად არ შეფერხებულა არც ერთ საათს. ტფილისის მუშათა აღმასრულებელი კომიტეტი და მუშათა საბჭოების ცენტრი ნამდვილი ბატონ-პატრონი იყო ქვეყნის და მდგომარეობის. წარმოებაში, პოლიტიკურ წყობილების შექმნაში, ყოველ დღიურ საქმიანობაში მისი ხმა, მისი გადაწყვეტილება იყო პირველი ტონის მიმცემი და საბოლოოდ დამადასტურებელი.

დემოკრატიის გაბატონებას არ დასჭირვებია აქ ბრძოლა და შეტაკება; მოწინააღმდეგე ელემენტები იმდენათ სუსტი იყვნენ, რომ წინააღმდეგობა არ შეეძლოთ.

ამით მუშათა დემოკრატია თავისუფლათ, თითქმის უმტკივნეულოდ გახდა ბატონი ქვეყნის. მართალია, მან უარყო ლოზუნგი „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“, მაგრამ ფაქტიურად მთელ ძალა-უფლებას ატარებდა. ამ ლოზუნგის უარყოფით მან მხოლოდ უარყო ანტიდემოკრატიული, ანარქიული გზა ბატონობის მოსაპოვებლათ, უარყო მით უფრო, რომ დემოკრატიული გზაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ამ მიზნის მისაღწევათ.

ბოლშევიკებმა გარეკეს დამფუძნებელი კრება მას შემდეგ, როცა იქ უმრავლესობა ვერ მოიპოვეს.

საქართველოს დემოკრატიას, რომელიც წინეთ მთელ ამიერ-კავკასიას ბატონობდა, ეს საფრთხე არ ქონია.

ბოლშევიზმი ჩვენში შემოვიდა მხოლოდ როგორც ანარქიის შემოქმედი, როგორც მატარებელი სახლების დატაცების, ქონების დარბევის, სავაჭროების და მცხოვრებლების აფორიაქების. გორი, დუშეთი, ქუთაისი, ამის საუცხოვო მაგალითია. ამიტომ იგი მალე ჩაქრობილ იქნა და დემოკრატიამ ამით თავისი გავლენა კიდევ უფრო გააძლიერა.

ეჭაც რეაქციასთან ბრძოლამ მოითხოვა არა ერთი სასტიკი ზომის მი-

ღება, მაგრამ ბოლშევიკურ მასსიურ ტეროორს, ბრალიანისა და უბრალოს ჟლეტას მხოლოდ ინტელიგენტობის, მხოლოდ სუფთად ჩაცმულობისათვის, ადგილი არ ჰქონია.

მაგრამ მარტო საქართველოს სოც.-დემ. სწორი ტაქტიკა არ არის მიზეზი ჩვენი რევოლიუციის მიერ დემოკრატიული გზის შენარჩუნებისა.

უმეტესად აქ მისაღებია მხედველობაში ის პირობები, რომელშიაც საქართველოს დემოკრატია იმყოფება.

ამიერ-კავკასიაში რევოლიუციის ცხოველ-მყოფელ სხივებს ქონდათ უხვად მოფენილი თავისი მხურვალება მხოლოდ საქართველოში და ბაქოში.

სომხეთის დემოკრატია ჯერაც არ ზიარებულა რევოლიუციის ზიარებით. იგი მუსულმან-ურდოებთან პირველ ყოფილ ტომთა ბრძოლას უნდება, აზერბეიჯანის ბნელი თათრობა კიდევ ბეგების თვალში ცქერას და სომხებზე ნადირობას ვერ გასცილებია.

ამ რიგათ, რევოლიუციური ოაზისები-საქართველო და ბაქო ჩაფლული იყო არა რევოლიუციურ უდაბნოში, სადაც ეროვნული სარწმუნოებრივი გვარ-ტომობითი ბრძოლა, შულლი, მტრობა, ცარცვა-ჟლეტა იყო გამეფებული კლასობრივი ბრძოლის მაგიერ.

ასეთ პირობებში საქართველოს დემოკრატიას არ შეეძლო თავდასხმაზე გადასვლა—იგი მოგერიებით ომს უნდა დასჯერებოდა, ბაქომ სცადა თავდასხმითი პოლიტიკა ბოლშევიკებისა და შედეგათ მიიღო სასტიკი დამარცხება და განიავება.

საქართველოს დემოკრატიამ აირჩია გზა თავდაცვისა და დღემდე დაიფარა თავისი თავი და ამით მთელი ერიც განსაცდელისაგან იხსნა. ორი გუბერნიის სივრცეზე ამ უბრალო, სადა, თვალსაჩინო მდგომარეობის დანახვა, შეგნება და შეგრძნობა არც ისე ძნელი იყო. ჩვენში მუშათა კლასმა ადვილათ აუღო მას ალღო.

არსებითად თავის კლასობრივი ფსიხოლოგიით, მომზადებით ბრძოლის ტრადიციებით, საქართველოს მუშათა კლასი არ შეგვიძლია რუსეთისაზე მაღლა დავაყენოთ. შეიძლება ბევრი მხრით იგი დაბლაც იდგეს უკანასკნელზე, მაგრამ მათი რევოლიუციური ბრძოლის მეთოდების განსხვავებაზე თავისი დაღი დასვა ობიექტიურმა მდგომარეობამ.

რუსეთი გაიტაცა მღელვარე სტიქიამ რევოლიუციისა, რადგან ამ სტიქიას შემკავებელი ძალა არ უჩანდა.

ჩვენში სტიქიამ ვერ გაშალა ფრთა რადგან მას გარშემორტყმული **მდუ-**

მარე ზღვა რევოლიუციით გაურყეველ რაიონებისა გასაქანს არ აძლევდა, ოცნების აღმაფრენას რამდენიმეთ ფრთას აკვეცდა.

ლენინის გემოვნებაზე მოწყობილ სოციალისტურ ექსპერიმენტების უდღეურობას, უვარგისობას, დამღუპველობას მეტის-მეტათ ნათლად აჩენდა.

ამ რიგათ, ობიექტიური პირობები მოქმედებდა მასსის შეგნებაზე და ხელმძღვანელთ უადვილებდა სწორ გზაზე შეყენებას რევოლიუციის ტალღებისა, კალაპოტში ჩაყენებას მუშათა და გლეხთა მოძრაობისა.

ამით აიხსნება, რომ სოციალური რეფორმები (მიწის და სხვა), რომელიც რუსეთში სისხლში იხარშება, ჩვენში კანონიერი გზით გატარდა, სახელმწიფოს ძალების მწყობრი ჩარევით განხორციელდა, მინიმუმი წესიერებისა არასოდეს არ დარღვეულა.

იყო კიდევ ერთი მიზეზი: რუსეთი ჩამორჩენილია ეკონომიურათ, მაგრამ მას აქვს მაინც ცენტრები განვითარებული წარმოებისა, რომელიც ქმნიდა სოციალისტური ექსპერიმენტების შესაძლებლობის ილიუზიას. ჩვენში, საქართველოში, ასეთი ცენტრები თითქმის არ არსებობენ და ილიუზიებისათვის ადგილი არ არის. ჩვენი მდგომარეობა, ჯერ ასეთ ილიუზიებისთვისაც კი ნიადაგას არ იძლევა.

და ეს, სხვათა შორის, უწყობს ხელს დემოკრატიული გზით სიარულს და „კომუნისტურ“ მიდრეკილებათა უნაყოფობას.

ასეთია ის ზოგიერთი შტრიხები, რომელთა განსხვავების აღნიშვნა ჩვენ ამ ჟამად საჭიროთ მიგვაჩნდა. უფრო დაკვირვებული და ღრმა ანალიზისთვის ჯერ დრო არ დამდგარა. ის ისტორიკოსის საქმეა და არა იმის, ვინც ნერვებით განიცადა და მთელის არსებით ისისხლხორცა ეს რევოლიუციური ბრძოლა, მისი ყველა გამარჯვებებით და დამარცხებებით, სიმწარით და სიხარულით...

II.

საქართველო და კავკასია.

გაკვრით უკვე ზევით მოვიხსენიეთ საქართველოს მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში. რევოლიუციის ბატონობა ნიშნავს რევოლიუციური წრეების ბატონობას. ამიერ-კავკასიაში კი მნიშვნელოვანი რევოლიციური წრეები იყვნენ საქართველოსა და ბაქოში. აქ იყო აქტიური რევოლიუციური ენერგია და აქტიური რევოლიუციური პოლიტიკა. დანარჩენ ადგილებში, განსაკუთრებით იმ პირველყოფილ ტომებში, რომელნიც მამა-პაპათა ადათებით და სარწმუნოებრივი ფანატიზმით ცხოვრობენ, ძველი ბოქაული ძალით მოსაშორებელი შეიქნა. ხალხს მისი მოშორების შესაძლებლობა არც კი მოსიზმრებია. და შემდეგშიაც, ცხადია, მათი რევოლიუციაში მონაწილეობა,—ეს იყო საუკეთესო შემთხვევაში პასიურ ფეხის ხმის აყოლა, უარეს შემთხვევაში კი, რევოლიციური ნაბიჯების სრული გაუგებრობით შეხვედრა და მათი წინააღმდეგობა.

ამრიგათ, რევოლიუციის ისტორია ამიერ-კავკასიაში ამ ორი ცენტრის ისტორიაა, არც მეტი, არც ნაკლები.

ბაქოს ისტორია მეტად საყურადღებოა, იგი ბოლშევიკურ ექსპერიმენტების ჩვენში გადმონერგვის სრული უნიადაგობის ერთი საუცხოო დამამტკიცებელი მაგალითია, მაგრამ ჩვენ აქ ამას ვერ გამოვუდგებით. ვიტყვით მხოლოდ ერთს: ბაქომ სასტიკი და უმაგალითო დამარცხების დღეები განიცადა, უსაშინელესი განსაცდელი ნახა ოსმალთა ასკერების და ურდოების ფეხ-ქვეშ განრთხმულმა, მაგრამ პროლეტარული ბაქო, თვით უკულმართ ბოლშევიზმისაგან უკულმა ტარებული მაინც არ მოკვდება, იგი უშრეტი წყაროა რევოლიუციური ენერგიის, ისე როგორც იგი უშრეტი წყაროა გასანათ ნივთიერებისა და მილიარდებისა...

ჩვენ გვინდა უმთავრესად შევაჩეროთ თვალი ტფილისზე და საერთოდ საქართველოზე.

ბაქოს აქეთ, საქართველო, როგორც რევოლიუციური ქვეყანა, ბატონობდა მთელ ამიერ-კავკასიაზე. საქართველოში გაბატონებული პარტია—სოც.-დემოკრატია გამოდიოდა ხელმძღვანელად და მეთაურად მთელი ამიერ-კავკასიის მრავალ ერიანი მცხოვრებლების. რევოლიუციონერობა დიდი მორალური ძალაა; და ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლშევიკურათ განწყობილი ქისტეთი, და სარწ-

მუნოებრივი ფანატიზმით გაჟღენთილი ადერბეიჯანი ერთნაირად იხრიდა ქედს ამ მორალური ძალის წინაშე.

რევოლიუციური ლაშქარი,—საქართველოს დემოკრატია, რომელშიაც შედიან მცირე რიცხვოვანი ნაწილები თითქმის ყველა ერებისა,—მცირედი იყო იმ ერებთან შედარებით, რომელნიც მას გარს ეხვივნენ, მაგრამ მისი გეგემონიის წინააღმდეგ მაინც ხმა არავის ამოუღია. თვით სეიმი ამიერ-კავკასიისა, სადაც ს. დ. დეპუტატები მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენდა, ნიმუში იყო ს. დ. გავლენის სიძლიერისა და მათი ბატონობის აუცილებლობის, როგორც პოლიტიკურ, ისე საკანონმდებლო სფეროში.

მართალია, ეს უმცირესობაში ყოფნა დიდ ხელშემშლელ პირობას წარმოადგენდა, მაგრამ აქ საქმეს შველოდა რევოლიუციური ორგანიზაციები საბჭოების სახით, რომელნიც სოც.-დემ. უდავო ბატონობის ორგანოებს წარმოადგენდენ.

ამ შემთხვევაში დიდი როლი ეკუთვნის ტფილისს.

თუ საქართველო გეგემონობს ამიერ-კავკასიას, სამაგიეროთ ტფილისი იყო გეგემონი საქართველოსი. ტფილისის დემოკრატია იძლეოდა ტონს რევოლიუციაში. ტფილისის მუშათა საბჭო და საბჭოთა ცენტრები, რომელნიც აგრეთვე ტფილისში იყრიდენ თავს, წარმოადგენდენ რევოლიუციის ნამდვილ ციტადელს და ს. დ. ციხე-სიმაგრეს, საიდანაც იგი განაგებდა მთელ რევოლიუციურ მხარეს და ამით მთელ ამიერ-კავკასიის ბედზე ახდენდა გავლენას.

მაგრამ ამიერ-კავკასიის რევოლიუციის ბედის გასათვალისწინებლათ არ შეიძლება ყურადღებაში არ მივიღოთ ეროვნული შემადგენლობა ამიერ-კავკასიის.

არა იმიტომ, რომ ეროვნული განსხვავება ყველგან და ყოველთვის ხელის შემშლელი იყოს რევოლიუციურ გაერთიანების, არამედ-იმიტომ, რომ იგი ასეთი შეიქნა ჩვენში, ამიერ-კავკასიაში; მიზეზი ამის ერთა კულტურული განსხვავებაა, ეკონომიურ და სოციალურ პირობების სხვადასხვაობაა, რის გამო საშინაო და საგარეო მისწრაფებანი ამ ერებისა თავ-თავის მხრით მიიწეოდა. ადერბეიჯანში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სარწმუნოებას, როგორც საშუალო საუკუნოებში; სომხეთში—ეროვნულს, უფრო სწორად—ეროვნულ-ტომურ ინტერესებს ტერიტორიის მოპოვებისას, საქართველოში—რევოლიუციურ რეფორმებს და მათ განხორციელებას.

ამიტომ სომხის პარტიები რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე პირველ რიგში აყენებენ ერის გამიჯვნის საკითხს, თათრები თავის სჯულს და ოსმა-

ლურ სიმპატიებს, საქართველო—რევოლიუციის საკითხებს. შემდეგი ისტორიის მსვლელობა ამ სამ მთავარ ხაზს ემორჩილებოდა.

ჩვენ არ შევუდგებით აქ აღნიშვნას სომეხ-თათართა ჟლეტისას, რომელსაც ტერიტორიალური მიზეზები ქონდა და რომელსაც ამ ორი ტომის ისტორიულათ შეზრდილი სიძულვილი ედვა სარჩულათ. ამ ურთიერთ ხოცვაში ჩაქრა რევოლიუციის ცეცხლით ოდნავ-გაღვივებული ნაპერწკალი განთავისუფლებისა ამ კუთხეებში. საბოლოოთ მივიწყებულ იქნა ყოველი რეფორმა და ძველმა ტრადიციულმა, გვარტომობრივმა ბრძოლამ თემისა თემთან, სოფლისა სოფელთან დაიპყრო ისტორიული ასპარეზი. რევოლიუციის ჩანასახი დასჭკნა, აღმოიფხვრა ისე, რომ ყლორტის ამოღებაც არ მოუსწრია.

ჩვენ არ შევუდგებით აქ ოსმალთა ბრბოების შემოსევის აღნიშვნას, რომელთა შემოყვანაში ადერბეიჯანის ბეგებს დიდი ღვაწლი მიუძღვით.

საქართველოს რევოლიუციური დემოკრატია, რომელიც აქამდე კიდევ ცდილობდა რევოლიუციის ცეცხლის კოცონის გადატანას გარშემო ადგილებში და მცხოვრებლებში, ამ დღიდან სრულიად განმარტოვებული დარჩა რევოლიუციურ ასპარეზზე, და გარეშე საფრთხისაგან მას საკუთარი ძალით უნდა დაეძვრინა თავი.

ბაქო და ტფილისი ვერ მიუდგენ ერთმანეთს, ვერც შეეგუენ, რადგან პირველი საქართველოს მეთაურობდა, მეორე-კი რუსეთის ბოლშევიზმის ავანპოსტობას ასრულებდა.

ტფილისი მოსწყდა ბაქოს ბოლშევიკურს, ბოლშევიკური ბაქო მოსწყდა ტფილისს. კიდევ მეტი: რუსეთში გამეფებული ბოლშევიკების მძულვარება არა თანამოაზრე დემოკრატიისადმი აქაც იქნა გადმოტანილი და ბაქო უძლური მუქარით უღერდა მუშტს ოსმალეთის ურდოებთან ბრძოლაში სისხლდაცლილ საქართველოს დედა ქალაქს.

აი, ასეთ პირობებში იშვა საქართველოს დამოუკიდებლობა; იგი წარმოსდგა არა როგორც იდეა ეროვნული განთავისუფლებისა, რომელსაც ზეიმით შესტრფოდენ ჩვენი ნაციონალისტები ყველა ჯურისა, დაწყებული რეაქციონურ ნაციონალ-დემოკრატებით და გათავებული წვრილ-ბურჟუაზიული სოციალ-ფედერალისტებით, არამედ-როგორც იდეა რევოლიუციურ დემოკრატიის ხსნისა. დამოუკიდებლობა გახდა იარაღი რევოლიუციისა, იგი შეიქნა მებაირაღტრე დემოკრატიულ სოციალურ რეფორმათა განხორციელებისა. რევოლიუციურმა საქართველომ ვერ გადასცა თავისი ცეცხლი მოდუნებულ განუვითარებელ მეზობლებს და, როგორც სადმა ორგანიზმმა, საჭიროდ დაინახა

ჩამოშორებოდა მათ, რომ თავის შიგნით მაინც შეენახა ის და ამით მაგალითი გამხდარიყო თავისი მეზობლებისთვის.

მიზნები იგივე რჩება—იცვლება მხოლოდ გზა და საშვალება. სულის ჩამდგმელი, მცხოველებელი იგივე რევოლიუციაა—მხოლოდ მიზნის მისაღწევი იარაღი განსხვავებულია. ამას გრძნობს და ხედავს დღეს საქართველოს დემოკრატიაც, მაგრამ ამას ხედავენ გარშემორტყმული ბნელი ძალებიც.

საქართველო გარეშეთათვის თავისთავად უშიშარია და უხიფათო. მას არც აქვს სურვილი და არც შეუძლია სხვები დაჩაგროს, დაიპყროს, დაიმონოს და სხვა.

მაგრამ იგი საშიშია, როგორც რევოლიუციის კერა, იგი დიდი საფრთხეა, როგორც რევოლიუციური ალის მატარებელი; ხომ შეიძლება რომ მისი ნაპერწკლები ახლო-მახლო მოაბნიოს ქარმა და მეზობლის სახლსაც გაუჩნდეს ალი?

რეაქციონური საქმის ხალხი ამას არა ნაკლები სისწორით ამჩნევს და ხედავს. ამიტომ არ არსებობს უფრო საძულველი და სამტრო საგანი, ვინემ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. იგი საშინელებათა ბუდეა: მოხელეთა და ბიუროკრატთათვის, მეზობელ მსხვილ მიწათ-მფლობელთათვის, სარწმუნოებრივ ფანატიზმზე დაყრდნობილ ბატონობისათვის, ვიწრო შოვინისტური ბურჟუაზიულ პოლიტიკისათვის.

და აი, იშლება საყურადღებო სურათი: საქართველო შორდება თავის მეზობლებს, მაგრამ მეზობლები ვერ შორდებიან მას; პირიქით, იგინი მას არ ცნობენ, თავს ესხმიან, მოსპობას უქადიან. კლასობრივი ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ გრძელდება მეტის სისასტიკით, მხოლოდ ეხლა იღებს სხვა ფორმას, ეხვევა სხვა ქურქში, თუმცა ნამდვილი მისი სახე ყოველთვის ნათლად სჩანს.

ჯერ კიდევ ბათუმში, დამოუკიდებლობის წინა დღეებში ისახება შეთქმულობა საქართველოს წინააღმდეგ.

რევოლიუციის გულია საქართველო, საქართველოს გულია ტფილისი. მოწყვიტეთ მას ეს უკანასკნელი და იგი გამოფიტდება, დამბლა დაცემული გახდება, მოკვდება.

და აი „მუსავატი“ და „დაშნაკცუტიუნი“—ერთმანეთის მოსისხლე მტრები—ერთდებიან საქართველოს დაქუცმაცების იდეის გარშემო...

ერთი მეორეს ხოცვენ, მაგრამ რევოლიუციურ ტფილისს ორივე შეუ-

ტევს. ასეთია სოციალური ბრძოლის ლოღიკა. ბათუმში იხაზება პირველი რუქა ტფილისის იზოლიაციისა საქართველოსაგან.

ოსმალნიც თავის მხრით მოისწრაფვიან ტფილისის აღსაგველათ დედა-მიწის პირიდან, მაგრამ საქართველოს დემოკრატიის დივერსია გერმანიისაკენ აცილებს ტფილისს აღა-მაჰმად ხანის დროის განმეორებას.

მაგრამ ამით ბრძოლა არ წყდება: დაშნაკცუტიუნის მთავრობა, ოსმალეთის ხიშტების ქვეშ განრთხმული, საქართველოს უთვლის პროტესტს ბორჩალოდან ოსმალთა ასკერების გარეკის გამო: სიძულვილის სიბრმავე უკიდურეს წერტილს აღწევს და ამ სიძულვილის ლოღიკურ გაგრძელებათ იქცევა რამდენიმე თვის შემდეგ სომეხ-ქართველთა ომი, რომელსაც იგივე აზრი ასულდგმულებდა: ტფილისის დაკარგვა საქართველოსთვის და ამით რევოლიუციისთვისაც.

მაგრამ საქართველოს დემოკრატია იცავს თავის მთავარ სიმაგრეს ისე, როგორც შვილი დედას. სომხეთის რეაქციის შემოსევის ანალოგიურია სოჭის ამბები და ფორცხოველი ბეგების შემოსევა, რომლის ინსპირატორნი ადერბეიჯანის წრეებში უნდა ვეძიოთ.

ამ რიგათ, საქართველოს დემოკრატია სანაპირო ომებს აწარმოებს, საზღვრებს იცავს, მაგრამ არსებითად ესაა ბრძოლა არა მიწისთვის, არამედ რევოლიუციურ და დემოკრატიულ წყობილებისთვის, ესაა ბრძოლა რევოლიუციისა რეაქციასთან, ესაა გაგრძელება იმავე მუშაობის, რომელსაც წინეთ ამიერ-კავკასიის ფარგლებში აწარმოებდა სოც.-დემ. პარტია.

ასეთია აზრი და შინაარსი საქართველოს ურთიერთობისა ამიერ-კავკასიაში არსებულ სხვა და სხვა ერთეულებთან, ასეთია მთავარი ობიექტიური მნიშვნელობა ჩვენს გარეშემო დატრიალებული ამბებისა.

III.

საქართველოში.

რევოლიუციური საქართველო თავისი შინაგანი სოციალურ ურთიერთობით განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენს.

ადერბეიჯანში არის ძლიერი მემამულეთა კლასი და შეუგნებელი გლეხობა, თითქმის სრულიად არ არის ადგილობრივი პროლეტარიატი; ასე რომ, თათრის მასსა არაა ჩაბმული ჯერ კიდევ თანამედროვე კაპიტალისტური სამრეწველო ცხოვრების უღელში.

სომხის ერი ამ მხრივ სრული წინააღმდეგობაა ადერბეიჯანის. აქ ბატონობს კაპიტალისტთა კლასი, ბურჟუაზია, მაგრამ ბურჟუაზია ძლიერია თავისი სამშობლოს გარეთ,—ბაქოში, ტფილისში და სხვაგან, და აქედან ბატონობს თავის ერზე.

საქართველოში კი, ძლიერია დემოკრატია. ბურჟუაზია აქ სომხურია, ქართული კი, თითქმის სრულიად უმნიშვნელოა, მემამულეთა კლასი ძლეულია და წელში გატეხილი. მუშა ხალხი კი ძლიერი და შეკავშირებული.

აქედან ცხადია უნდა წარმოშობილიყო სამგვარ პოლიტიკის ბატონობა: მემამულეების—ადერბეიჯანში, ბურჟუაზიის—სომხეთში და დემოკრატიისა—საქართველოში.

და ამ სამი რესპუბლიკის, სამი ერის ურთიერთობაც ამ გაბატონებულ პოლიტიკით განისაზღვრება. რევოლიუციის დროს ყველა დემოკრატიის წინაშე იხრის ქედს, რეაქციის ტალღის გამოქანების ხანაში კი ყველა საქართველოს ესხმის თავს. ეს განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქმნის ამ სამი ერის ცალმხრივობას. მათ შიგნით თოთქო არც კი არის კლასობრივი ბრძოლა, აქ ერთი კლასი ებრძვის მეორეს თავის ერის სახელით.

ამ ცალმხრივობის გამო ერები თითქოს გადაბმულნი არიან ერთმანეთზე და მხოლოდ ერთად ყველანი შეადგენენ დასრულებულ საზოგადოებას ყველა უმთავრესი კლასებით.

მაგრამ დღევანდელმა ვითარებამ თვითეულ ერს ცალ-ცალკე ცხოვრება არგუნა. არ ვიცით ხანგრძლივი იქნება ეს ეროვნულ ხაზზე გათიშვა, თუ რაიმე სახით მოხდება ახლო მომავალში ამ ნაწილების კვლავ ერთმანეთზე გადაბმა. ეს მომავლის საკითხია.

ამ ჟამად კი, ჩვენ გვინდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება საქართველოს შინაურ მუშაობაზე.

ამ მხრით აქ ყოველ შემოქმედებითი მუშაობას მკაფიოთ და ნათლათ ატყვია ბეჭედი დემოკრატიისა...

საქართველომ ყველაზე ადრე გაატარა რეფორმა აგრარული, ყველაზე ადრე შემოიღო საერობო თვითმართველობანი სრულ დემოკრატიული საფუძველზე, ყველაზე ადრე განამტკიცა ადგილობრივი ენა ხალხისა სახელმწიფო დაწესებულებებში.

და რაც უმთავრესია,—გახდა ბატონ-პატრონი თავის დედა-ქალაქის ტფილისის.

აქ საშინაო მუშაობაში უდავოთ ხელმძღვანელობა ეკუთვნის სოციალ-დემოკრატიას, რომლის მთავარი ძლიერება ქალაქის მუშათა კლასში იმარხება. სოფლის დემოკრატია ამ შემთხვევაში თავის მოწინავე წრეების შემწეობით გვერდით მიყვება ქალაქის პროლეტარიატს და ამით ქმნის იმ ერთობას დემოკრატიულ ძალებისა, რომელსაც შინაგანი რეაქციონური, ლიბერალური და საერთოდ არა დემოკრატიული ელემენტები ომს ვერ გაუწევენ.

თავის თავად დემოკრატიის ბატონობა კიდევ არ ნიშნავს, რასაკვირველია, განვითარების იმ საფეხურზე ასვლას, რომელსაც შეხარის ევროპის დემოკრატია. ჩვენი დემოკრატიის გამარჯვება შედეგია იმ ისტორიული მუშაობის, რომელმაც ადგილობრივ მაღალ-კლასების წარმოშობას ხელი შეუშალა და უცხო კაპიტალით და გარეშე კაპიტალისტების საშვალებით შექმნა პროლეტართა კლასი ადგილობრივ მცხოვრებლებში.

აი, ეს გარემოება წარმოადგენს ეკონომიურ საფუძველს ჩვენში დემოკრატიის პოლიტიკურად გაბატონებისას, რაც, ეჭვი არაა, თავისებურ დაღს დასვამს ჩვენს მომავალ განვითარებას, თუ გარეშე ძალამ ხელახლა არ არია და ახალ კალაპოტში ხელოვნურად არ ჩააჩხირა ჩვენი ცხოვრების მსვლელობა.

რა გააკეთა დემოკრატიამ ჩვენში?

პირველი და უმთავრესი მისი საზრუნავი იყო თავისი უფლებების განმტკიცება. რევოლიუციის პირველ თვეებში იგი დაეპატრონა ფაქტიურად მთელ საქართველოს ყოველ ეკონომიურ და პოლიტიკურ დაწესებულებას. იგი გაბატონდა ქარხნებში, რკინის გზებზე, ქალაქებში და სოფლებში. რუსეთის ბალშევიკების ლოზუნგი—ქარხნების ხელში ჩაგდება საქარხნო კომიტეტების მიერ სინამდვილეში ფაქტიურად აქაც არ ყოფილა დიდათ დაშორებული სრული განხორციელებისაგან. მხოლოდ შემდეგ მუშათა კლასმა თავის სახელმწიფოებრივ მუშაობაში შეიგნო შეუთავსებლობა ასეთ პოლიტიკისა წარმოების განვითარებასთან და დღეს თან და თან მუშავდება ნორმალური პირობები შრომი-

სა და კაპიტალის ურთიერთობის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შრომა და ამავე დროს მისცეს საშვალება კაპიტალს თავის შემოქმედებითი ძალის გამოჩენისა.

შემდეგი საქმე საქართველოს დემოკრატიისა იყო—ბრძოლა რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების წყალობით ჩვენში აღორძინებულ ანარქიასთან: ჯერ ეშელონების გაცილება, რომელნიც ტფილისს გაჭყლეტას უქადდენ, შემდეგ შინ დაბრუნებული ჯარების ექსცესების შეჩერება, ბოლოს ჩამორჩენილ კუთხეებში მოწყობილ გლეხთა აჯანყების ჩაქრობა.

ამ ბრძოლაში გაიწაფა ერთი მხრით სახელმწიფოებრივი აზროვნება დემოკრატიის, იგი შეუდგა საკუთარ დემოკრატიულ რესპუბლიკის აგებას, ისეთ რესპუბლიკის, რომელიც დღევანდელ სოციალურ ვითარებაში ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს მის უფლებებს და მისცემს საშვალებას უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად; მეორე მხრით ამ ბრძოლის პროცესში იშვა და აღიზარდა დემოკრატიის შეიარაღებული ძალა—წითელი გვარდია. ჩვენი გვარდია—ეს შეიარაღებული რევოლიუციაა, ეს იგივე ორგანიზატორი-აგიტატორია, პროპაგანდისტი-მუშაა, თოფ-იარაღში ჩამჯდარი, რომ სიტყვიერ საქმიანობასთან ერთად იარაღს მიმართოს იმათ წინააღმდეგ, ვინც ხმლით მოისურვებს საქართველოში რევოლიუციის დასამარებას.

და ამ მხრით ბევრი ტრადიციები, რომელთაც თითქო შევეზარდეთ, უარყოფილ იქნენ. რეაქციონერის დანახვა ვისწავლეთ არა მარტო მემამულის ქურქში, არამედ—ზოგიერთ ბნელ გლეხობის ქურქშიაც. დუშეთმა, ზუგდიდმა მოგვცა ჩვენი ვანდეა იმ განსხვავებით, რომ იქ, საფრანგეთში, გლეხებს ხელმძღვანელობდენ მღვდლები, ჩვენში კი—ბოლშევიკების აგენტები.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ ეს აჯანყებები ჩვენში არ იყო საერთოდ გლეხთა აჯანყება, პირიქით, გლეხთა დიდი ნაწილი, რევოლიუციურ ბრძოლაში გამოვლილი, თავიდანვე გვერდში ამოუდგა ქალაქს და რევოლიუციური მუშაობა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია.

ეს აჯანყებები სუსტი იყო თავის უნიადაგობით, უმიზნობით. იგი მხოლოდ უსაფუძვლო დაპირებებზე ემყარებოდა და ამიტომ მალე დამარცხდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხობის დიდი ნაწილი აჯანყებულ რაიონებშიც მალე მიხვდა თავის შეცდომას და შეეცადა მეზობელ, უფრო წინ მყოფ კუთხეებს გაჰყოლოდა.

დემოკრატიის შეიარაღებული ძალა თავის მხრივ მიდიოდა მათ წინააღმდეგ არა როგორც დამსჯელი ექსპედიცია, არამედ როგორც ბოროტების აღ-

მომფხვრელი ძალა. წითელი გვარდია ფიზიკურ გამარჯვებასთან ერთად თან ატარებდა მორალურ-ზნეობრივ გამარჯვებასაც, მისი სიტყვა და საქმე ნამდვილი დემოკრატიული შინაარსით, ბოლოს და ბოლოს სახელს უკეთებდა მას იქაც კი, სადაც მის წინააღმდეგ მოშხამული ატმოსფერა იყო შექმნილი მოწინააღმდეგეთა აგიტაციით.

გვარდიის ასეთმა მოქმედებამ შექმნა ატმოსფერა ჯარის მოსაწყობათ და მობილიზაციის მწყობრად ჩასატარებლად; ხალხი შეეჩვია თავის დაცვას, სიმართლისთვის ბრძოლას...

ამ რიგათ, ორი ძალით: ფიზიკურით და მორალურით, იარაღით და დემოკრატიზმით გამაგრდა და განმტკიცდა შინაური ფრონტი, გაერთიანდა საქართველოს დემოკრატია, მოღონიერდა ბრძოლის ცეცხლში.

სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ: უქმათ არ ჩაუვლია იმ თავდადებულ რევოლიუციონერთა მსხვერპლს, რომელთაც თავის სისხლით შემოსეს ჩვენი წითელი დროშა გამარჯვების გვირგვინით...

შინ გამარჯვების შემდეგ იწყება მოგერიება გარეშე მტრებისა, რომელშიაც იგივე გვარდია გადამწყვეტ როლს თამაშობდა. მათი უკანასკნელი მოვალეობის ასპარეზი ახალციხეს და მდინარე ბზიბის ნაპირებია აფხაზეთის საზღვარზე და ჩვენ გვწამს, რომ მათი ზნეობრივი ძალა აქაც მოუპოვებს გამარჯვებას საქართველოს დემოკრატიის იარაღს.

ამ რიგათ, ბრძოლის ქარ-ცეცხლში ყალიბდება საქართველო, როგორც დემოკრატიული ერთეული, რესპუბლიკანური წყობილებით, ფართე რეალური რეფორმებით, ფართე თავისუფლებებით.

გარეთ ომებთან ერთად მის შინ განუწყვეტლივ სწარმოებს შემოქმედებითი დუღილი, კანონმდებლობითი მუშაობა და მშენებლობა. და ასე ეყრება საფუძველი და შენდება კედელი ახალი, უჩვეულო, უმაგალითო ურთიერთობისთვის, რომელსაც დააგვირგვინებს დღეს უკვე ფაქტად ქცეული საამაყო რევოლიუციური შედეგი ჩვენის ბრძოლისა—დამფუძნებელი კრება...

5

შ. ბოგვეგაშვილი

კოოპერატიულ მოძრაობის ისტორიიდან.

მეცავალი

ბევრ ხანია რაც ჩვენში საკოოპერაციო მოძრაობა დაიწყო. ამ მოძრაობამ ჩვენს ქვეყანაში, სადაც უმთავრესი დარგი ხალხის მეურნეობისა არის სასოფლო მეურნეობა, სადაც არ არის განვითარებული მსხვილი ვაჭრობა—მრეწველობა და სადაც მხოლოდ ჩარჩულ ვაჭრობას აქვს ადგილი, საუკეთესო ნიადაგი მოიპოვა. ჩვენი მშრომელი ხალხი ჯერ საკრედიტო კოოპერატივების და შემდეგ სამომხმარებლო კოოპერატივების გარშემო მჭიდროთ შეკავშირდა და მათი საშუალებით თანდათანობით ეჩვევა საზოგადო მეურნეობის წარმოებას და მის მნიშვნელობას. როგორც საკრედიტო აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერატივების აღორძინებას ხელი შეუწყვეს ეკონომიურ ცხოვრების პირობებმა. ამ რამდენიმე წლების წინად ჩვენი სოფლის მშრომელი ხალხი ჩარჩმოვახშეების შეუბრალებელ კლანჭებში იყო მომწყვდეული და ამ პირობებში, რასაკვირველია, მას არამც თუ არ შეეძლო სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება, არამედ ამაზედ ფიქრიც კი ზედმეტი იყო. აი სწორედ იმ დროს, როდესაც მევახშეობამ უკანასკნელ წერტილამდე მიაღწია, საძირკველი ჩაეყარა საკრედიტო კოოპერაციას და იგი ჩქარის ნაბიჯით ვითარდებოდა. საკრედიტო კოოპერაციას ჯერ კიდევ არც-კი გაეშალა სრულიად თავისი ფართო მოქმედება, რომ ჩვენს ქვეყანას ახალი უბედურობა—ომიანობა თავს დააწყდა. ამ დროს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ჩვეულებრივი მსვლელობა ძირიან-ფესვიანად შეიცვალა და ახალმა გაჭირვებამ—სასურსათო კრიზისმა იჩინა თავი. აქაც მშრომელი ხალხის მხსნელად სამომხმარებლო კოოპერაცია გამოვიდა. სასურსათო კრიზისის გამო ხალხმა ინსტინქტიურად მიაშურა სამომხმარებლო კოოპერაციას და ერთი წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეები სამომხმარებლო კოოპერატივებით მოიფინენ. მაგრამ ინსტინქტიურად გამოწვეული კოოპერატიული მოძრაობა თანდათანობით შეგნებულ ხასიათს ღებულობს და ისე ღრმად იდგამს ფესვებს ჩვენს ხალხში, რომ იგი უპირველეს ადგილს დაიჭერს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟამად ჩვენი ხალხის სიმდიდრის

საგრძნობი ნაწილი თავმოყრილია კოოპერატივებში და ეს სიმდიდრე ისეთ ძალას წარმოადგენს, რომელსაც ადვილად შეუძლია ყველა სხვა კერძო სიმდიდრენი დაიმორჩილოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. საკოოპერაციო მოძრაობა, თუ მას გარეშე იძულებითი დამაბრკოლებელი მიზეზები არ გადაეღობნენ წინ, აუცილებლივ შესძლებს ჩვენში თავის საბოლოო მიზნების განხორციელებას. ამიტომ საჭიროა შესწავლა ამ მოძრაობის წარსულისა და გათვალისწინება იმ პირობებისა, რომელშიაც მას მოუხდება შემდეგში მსვლელობა. საკოოპერაციო მოძრაობის არც წარსული ისტორია და არც აწმყო მდგომარეობა სრულებით არ არის შესწავლილი. სამწუხაროდ ამ მოძრაობის შესასწავლად საჭირო აქა იქ გაფანტული მასალებიც კი არ არის თავმოყრილი, რომ შესაძლებელი იყვეს მათი დამუშავება. ჩვენ განვიზრახეთ ყველა ამ მასალების შეკრება და რამდენადაც შეიძლება მათი დამუშავება. სამწუხაროდ ჯერჯერობით ყოვლად შეუძლებელი იყო ყველა იმ მასალების შეკრება, რომელიც ეხება როგორც საკრედიტო აგრეთვე სამომხმარებლო ცალკე კოოპერატივებს. საშმისო მუშაობა ამ ჟამად უკვე სწარმოებს ამიერ კავკასიის კოოპერატივების კავშირში და იმედია, რომ მოკლე ხანში ყველა მასალები ხელთ გვექნება. ხოლო ამ ჟამად ჩვენ ვათავსებთ ისტორიულ მასალებს და მიმოხილვას ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის შესახებ, რომლის სრული მასალები ჩვენ ხელთ არის: ამ ცენტრალურ კავშირს ისეთი დიადი ადგილი უჭირავს ჩვენს საკოოპერაციო მოძრაობაში, რომ მისი ისტორიის და აწმყო მდგომარეობის შესწავლით საკმარისათ შეიძლება ნათელ ვყოთ მთელი ჩვენი საკოოპერაციო მოძრაობის მდგომარეობა და მნიშვნელობა.

1. საორგანიზაციო პერიოდი.

სამომხმარებლო კოოპერატივების მეტის მეტად სწრაფი გავრცელება ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა კუთხეებში დაიწყო 1914 წლის დამლევს და 1915 წლის დასაწყისში. კოოპერატივების რიცხვი ყველგან, რასაკვირველია, თანასწორად არ მრავლდებოდა. სხვა კუთხეებთან შედარებით ქუთაისის გუბერნიაში ყველაზედ მეტი კოოპერატივები ირიცხებოდა. ქ. ტფილისში იმ დროს სულ სამიოდე კოოპერატივი არსებობდა.

1914 წ. დაწყებულმა ომმა თანდათანობით სრულიად შეარყია და გარდაქმნა ჩვეულებრივი ეკონომიური ცხოვრება. ომის საჭიროებისათვის ეწყობოდა თანდათანობით ეკონომიური ცხოვრების თითქმის ყველა დარგი. ამ გარემოებამ გამოიწვია უპირველესად მიმოსვლის და საქონლის გადატან-გადმოტანის შეზღუდვა, მრეწველობის შეჩერება, საწარმოო ძალთა დაქსაქსვა, უცხო ბაზრების დაკეტვა და სხვა და სხვა. ადგილობრივ ბაზარზე საერთოდ ყველა საქონლის რიცხვი მცირდებოდა და ზოგიც სრულიად არ მოიპოვებოდა. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, მომხმარებელნი ყოველ მხრივ შეავიწროვა და ყველა იძულებული იყო მიემართა ისეთ საშუალებისთვის, რომელიც სულ თუ არ დაიხსნიდა გაჭირვებიდან, შეუმსუბუქებდა მაინც გაჭირვებულ მდგომარეობას. ასეთი საშუალება იყო კოოპერატივი. და აკი კიდეც სწორედ ამ ხანაში დაიწყო კოოპერატივების გამრავლება.

პირველ ხანებში კოოპერატივებმა მართლაც ცოტათ თუ ბევრად გაამართლეს მომხმარებლების იმედები. მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ, რასაკვირველია, დიდხანს ვერ გასტანა. მარტო ცალკე კოოპერატივების დაარსება სხვა და სხვა ადგილებში ვერ იხსნიდა მომხმარებელთ უსაქონლობისა და კერძო ვაჭრების გაუმაძღრობისაგან. თვითეულ კოოპერატივს არც საკმარისი თანხები მოეპოვებოდა მასიურ საქონლის შესაძენად, არც ვაჭრობის გამოცდილება, არც გავლენა ჰქონდა ყველა იმ პირებზე და დაწესებულებებზე, რომელთა ხელში იყო საქონელი, ამ საქონლის გადასატანი საშუალებანი და სხვა და სხვა. კოოპერატივები მაინც დამოკიდებულნი იყვნენ კერძო ვაჭრებისგან და საქონლის შეძენის და გადატან-გადმოტანაში უფრო მეტ გაჭირვებას განიცდიდნენ, ვიდრე

კერძო ვაჭრები. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში კოოპერატივები ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ ბაზარზე და ვერ აკმაყოფილებდნენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას.

როგორც თვითეულმა მომხმარებელმა გაჭირვების დროს ინსტინქტიურად შეიგნო საჭიროება კოოპერატივის დაარსების და მასში მონაწილეობის მიღებისა, ისევე თვითეულმა კოოპერატივმა იგრძნო, რომ მარტო საკუთარი ძალღონით ვერას გააწყობდა ყოველ დღე ახალ-ახალ წარმოშობილ დაბრკოლებების გადასალახავად და უნდა გამოენახა ისეთი საერთო ძალა, რომელიც იხსნიდა მას გაჭირვებისაგან. აი ამიტომ, თუმცა კოოპერატივები სულ რამდენიმე თვის დაარსებულნი იყვნენ, მაგრამ მათ შორის უკვე დაიბადა კავშირის აზრი.

ცხოვრების პირობების გამო კავშირის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო სტიქიურად. საჭირო იყო მხოლოდ ამ ნიადაგის გამოყენება კოოპერაციის ხელმძღვანელთა მიერ. ეს ასეც მოხდა. რამდენიმე ტფილისში მომუშავე კოოპერატორებმა დაიწყეს ზრუნვა სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირის დაარსების შესახებ.

ძველ პირობებში თვითეულ კოოპერატივის დაარსება არც ისე ადვილი იყო. კოოპერატივის დაარსება და მისი ბედი სრულიად დამოკიდებული იყო იმ დროინდელ ადმინისტრაციაზე, რომელიც მხოლოდ მაშინ დართავდა ნებას თუ დარწმუნებული იყო, რომ სათავეში კეთილსაიმედო პირნი და არა „კრამოლნიკები“ იყვნენ. კოოპერატივის წესდებას ამტკიცებდა მაშინდელი გუბერნატორი, რომელიც აგროვებდა ყველა თავის ხელქვეით ინსტანციების საშუალებით ცნობებს დამაარსებელთა და კოოპერატივის მიზნის შესახებ. ასეთი წესი წესდების დამტკიცებისა მოითხოვდა დიდ დროს, რამდენიმე თვეს მაინც. თუ ცალკე კოოპერატივის დაარსება ასე იყო გართულებული, მით უმეტეს მთელი კოოპერატივების კავშირის დაარსება უფრო მეტ დროს მოითხოვდა. კავშირის დამაარსებელთ ძალაუნებურად უნდა მოეძებნათ და ან შეედგინათ ახლად ისეთი წესდება, რომელიც დააკმაყოფილებდა მთავრობის მოთხოვნილებას და დამტკიცებულ იქნებოდა ამიერ-კავკასიის უმაღლეს მართებლობისაგან. ამიტომ, თუმცა კავშირის დაარსების საჭიროება ადრევე იყო ნაკარნახევი ცხოვრების პირობების მიერ, მაგრამ მისი განხორციელება მოხდა მხოლოდ თითქმის ერთი წლის შემდეგ.

1915 წ. ნოემბრის დამლევს საბოლოოდ იყო შემუშავებული წესდება ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირისა და წარდგენილ იქმნა დასამტკიცებლად იმ დროინდელ კავკასიის უმაღლეს მართველობასთან. კავ-

შირის წესდება თითქმის სრულიად გადმოღებული იყო ვარშავის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის წესდებიდან; მრავალი მუხლი წესდებისა, რომელთაც გავეცნობით ქვემოდ არ ეგუებოდა ადგილობრივ პირობებს, მაგრამ დამფუძნებელნი იძულებულნი იყვნენ მიეღოთ ასეთი წესდება, ვინაიდგან მთავრობა უფრო ადვილად დაამტკიცებდა.

წესდება დამტკიცებულ იქმნა 8 თებერვალს 1916 წ. და ამ გვარად შესაძლებელი შეიქმნა დაარსება ისეთი უდიდესი ცენტრალურ ორგანიზაციის, რომელსაც უნდა შეეერთებინა სულიერად და ნივთიერად მთელი ამიერ-კავკასიის იმ დროინდელ 11 ადმინისტრატიულ ერთეულში მომქმედი კოოპერატივები! ტფილისის, ერევნის, ქუთაისის, განჯის, შავიზღვის პირის გუბერნიები და დაღესტნის, ყარსის, ბათუმის, ზაქათალის და სოხუმის ოლქები.

წესდების დამტკიცების რამდენიმე დღის შემდეგ 24 თებერვალს უკვე შესდგა პირველი კრება ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა ყრილობის მომწყობ საორგანიზაციო ბიუროსი. შემადგენლობა ამ კრებისა შემდეგი იყო: ს. ქ. ტფილისის თვითმმართველობაში მსახურთა მომხმარებელ საზოგადოების წარმომადგენელი ვ. ი. როხლინი, 2. „ტფილისის კოოპერატივის“—მ. ნ. ავდეევი, ვ. ტფილისის მომხმ. საზოგ. „აღორძინების“—დ. ს. კახელაძე, 4. სამტრედიის ბიუროსი—პ. პ. გელეიშვილი, 5. სომხური სამეურნეო საზოგადოების—ს. ქ. ნაზარიანი, 6. სოფ. საგარეჯოს მომხმარებელთა საზოგადოების—ნ. ს. ცირკვაძე; გარდა ამისა სათათბირო ხმით დაესწრნენ: 1 კახეთის წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირის თავმჯდომარე კ. პ. კანდელაკი, 2. თელავის და თიონეთის მაზრების მომხმარებელთა საზოგადოების წარმომადგენელი დ. პ. ლუკაშვილი, 3. კარაკლისის მომხმ. საზოგ. გამგეობის თავმჯდ. ქ. ი. მხჩიანცი, 4. ალექსანდროპოლის შემნახველ გამსესხებელ ამხან. თავმჯდომარე მ. ა. თათეოსიანცი, 5. დისიხის მომხ. საზ. თავმჯდ. ე. თუმანიანცი და 6. სომხის-გერგერის მომხმ. საზ. „აპრუსტის“ გამგ. წევრი ა. კალაშიანცი. ამ კრებამ სხვათა შორის შეიმუშავა მუდმივი შემადგენლობა საორგანიზაციო ბიუროსი, რომელშიაც უნდა შესულიყვნენ წარმომადგენელნი ტფილისის ყველა მომხმ. საზოგადოებებისა, კავკასიის სამეურნეო საზოგად., სომხურ და ქართულ სამეურნეო საზოგ., ბაქოს მომხმ. საზოგ. კავშირისა, სამტრედიის ბიუროსი, კახეთის წვრილ კრედიტის კავშირისა და, რამდენადაც-კი შესაძლებელი იყო, ყველა მომხ. საზოგ. წარმომადგენელნი. შესდგა აგრეთვე საორგანიზაციო ბიუროს პრეზიდიუმი თავმჯ. ვ. ი. როხლინი, თავმჯდ. ამხ. მ. ნ. ავდეევი, ხაზინადარი დ. ს. კახელაძე და მდივანი ცერკვაძე. აღსანიშნა-

ვია სხვათა შორის ამ კრებაზედ შეტანილი ტფილისის მომხმ. საზოგ. „მეურნეს“ წარმომადგენელის განცხადება, რომ ამ საზოგადოების საერთო კრებამ დაადგინა ჯერჯერობით არ ჩაეწეროს წევრად კავშირში, მაგრამ თვითონ წარმომადგენელი კი პირადად მომხრეა კავშირისა და ეცდება მოიწვიოს საგანგებო კრება ამ საკითხის გადასაშინჯავად. ამ განცხადების შემდეგ კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ამ წარმომადგენელმა მიიღოს მონაწილეობა საორგანიზაციო ბიუროში.

რამდენიმე კრებებზე დაწყებული 24 თებერვლიდან 11 მაისამდე საორგანიზაციო ბიურომ მოაწესრიგა საზოგადო კრების წინასწარი მოსამზადებელი საქმეები და შეიმუშავა კრების განსახილველი საკითხები. თუმცა პირველად რწმუნებულთა კრების მოწვევა განზრახული იყო 14—15 აპრილისთვის, მაგრამ, ვინაიდგან პროვინციაში არსებული მომხმ. საზოგადოებანი ჯერ ვერ იყვნენ ყველანი გაცნობილნი კავშირის დაარსების განზრახვას და ვერც მოასწრობდნენ საზოგადო კრებების მოწვევას, ამიტომ კრება გადაიდო 14—15 მაისისთვის.

აღსანიშნავია ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელიც წინამორბედი იყო იმის, რომ კავშირი უკვე საპატიო ადგილს დაიჭერდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში: თუმცა ჯერ კავშირი დაარსებული არ იყო, მაინც ტფილისის გუბერნატორისაგან საორგანიზაციო ბიურომ მიიღო წინადადება, რომ ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირს დაენიშნა წარმომადგენელი კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის გამოსარკვევად შემდგარ თათბირში. საორგანიზაციო ბიურომ ამ თათბირზე დანიშნა წარმომადგენლად კ. პ. კანდელაკი.

საორგანიზაციო ბიუროს შემადგენლობაზედ და მის მუშაობაზე ჩვენ ცოტაოდნავ დაწვრილებით შევჩერდით, რათა ნათელ გვეყო პირობები იმ მუშაობისა, რომელიც სწარმოებდა რწმუნებულთა კრების მოწვევამდე. თვით აღნიშნულ ბიუროს შემადგენლობა ნათლად და ხაზგასმით მოწმობს იმაზე რომ: 1) კავშირის ინიციატივა ეკუთვნის უმთავრესად ტფილისის მომხმ. საზოგადოებებს და რამდენიმე კოოპერაციის საქმით დაინტერესებულ კოოპერატორებს; 2) პროვინციას თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ წინასწარ მუშაობაში და არც ყოფილა წარმოდგენილი მისი აზრი კავშირის ტიპის შესახებ. ამიტომაც ამ დიდ და უსაჭიროეს ორგანიზაციის დაარსება მოხდა ზემოდან, შექმნილი პირობების ზეგავლენით და არა კოოპერატივებისავე მიერ შემუშავებულ სისტემით და გეგმით. ესევე ითქმის თვით სამოქმედო

რაიონის შესახებ. წესდებით კავშირის სამოქმედო რაიონი ვრცელდება 11 სა-



ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის რწმუნებულთა პირველი ყრილობა. ტფილისი 14—15 მაისი 1916.

ადმინისტრაციო ერთეულზე. ზოგ ამ ერთეულებში კოოპერატივები არც-კი არსებობდენ, ზოგან კი თითქმის მთელი კუთხე იყო კოოპერატივებით მოფენილი. ამ სხვა და სხვა ერთეულების შეგნებულად შეკავშირებისათვის საჭირო იყო გამორკვევა თუ რამდენად მიაღწევდა კავშირი თავის მიზანს და რამდენად თანასწორად გაუწევდა ყველა მომხმ. საზოგ. საჭირო დახმარებას.

14 მაისი 1916 წ. იყო სადღესასწაულო დღე მთელი ამიერ კავკასიის მომხმარებელთა საზოგადოებებისა. ამ დღეს გაიხსნა ქ. ტფილისში, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ამიერ კავკასიის მომხმ. საზოგადოებების რწმუნებულთა პირველი კრება. ფრიად საინტერესო სურათს წარმოადგენდა ამ დღეს ტფილისის თვითმართველობის დარბაზი. აქ თქვენ ნახავდით ამიერ კავკასიის ყველა კუთხეში არსებულ კოოპერატივების და ყველა ერების წარმომადგენლებს; აქ იყვნენ სოფლის მომხმ. საზოგ. მომუშავე გლეხკაცნი, მასწავლებლები, მღვდლები და სხვა, საქალაქო მომხმ. საზოგადოებებში მომუშავე ინტელიგენცია, მოწინავე კოოპერატორები და სხვა და სხვა; აქვე იყვნენ წარმომადგენელნიც ყველა საზოგადო დაწესებულებების და რუსეთის კოოპერაციის—მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის და მოსკოვის სახალხო ბანკისა. კრებაზე მონაწილეობას იღებდა 120 წარმომადგენელი კოოპერატივებისა. გუბერნიების მიხედვით კოოპერატივები იყვნენ წარმოდგენილნი შემდეგის სახით:

ქუთაისის	გუბერნ.	76	წარმ.	63,4%
ტფილისის	„	29	„	24,2%
ერევნის	„	8	„	6,6%
ბათომის	„	3	„	2,6%
განჯის	„	2	„	1,6%
ყარსის	„	1	„	0,8%
ბაქოს	„	1	„	0,84
		120	„	100.

როგორც სჩანს ამ ცხრილიდან ყველაზედ მეტი წარმომადგენლები ქუთაისის გუბერნიას ყოლია, შემდეგ ტფილისის და დანარჩენ გუბერნიებიდან სულ მცირედი. ეს ცხრილი აშკარად გვიჩვენებს, რომ იმ დროს კოოპერატივების რიცხვით ქუთაისის გუბერნია ყველა გუბერნიებს სჭარბობდა.

ამ კრებაზედ ყველა დამსწრეს წინაშე ნათლად გადიშალა იდუმალი ძალა შეერთებისა და კოოპერაციის სიძლიერისა. ყველა ადგილობრივი კოოპერატი-

ვის მუშაკი სიხარულით შესცქეროდა კოოპერატივების სიძლიერეს და უკვე განმარტოებულად აღარ გრძნობდა თავს, გაორკეცებული ენერგიით იჭურვებოდა და მომავალს სიამაყით შეჰყურებდა. მიუხედავად იმ უხერხულობისა, რომ კრებაზე ყველა სიტყვები ითარგმნებოდა სამ ოთხ ენაზე, დამსწრენი მაინც დიდ ყურადღებას იჩენდნენ და რამდენიმე დღის კრებებმა მწყობრად და საინტერესოთ ჩაიარეს. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობა შემდეგი იყო: თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავა, თავმჯდომარის ამხანაგები: პ. პ. გელეიშვილი და ქ. ი. მხჩიანცი; მდივნებად: გ. ი. ურატაძე, მ. მ. ტრუნოვი, შ. ა. ქარუმიძე და ვ. პ. ოგანესიანცი.

სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებების, მოსკოვის სახალხო ბანკის და მოსკოვის მომხმარებელთა საზოგადოებების კავშირის წარმომადგენლების მხურვალე მილოცვების შემდეგ კრება შეუდგა მორიგ საკითხების განხილვას.

პირველი გასარჩევი საკითხი იყო წესდების განხილვა. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, წესდება ისეთ ნაირად იყო შედგენილი, რომ სრულებით არ ეგუებოდა ადგილობრივ პირობებს. უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული სამოქმედო რაიონის გარშემო. საერთოდ წესდების შესახებ კრებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: „მიიღო რა მხედველობაში საორგანიზაციო ბიუროს მოხსენება, კრებამ დაადგინა დაევალოს ზედამხედველ საბჭოს შემუშავება და მოხსენება შემდეგი კრებისთვის წესდების შეცვლის შესახებ. ამ საკითხის გარჩევისათვის საბჭოს ეძლევა უფლება მოიწვიოს მცოდნე პირნი“.

თუმცა საორგანიზაციო ბიურო ფიქრობდა, რომ კრებაზედ ყველა რაიონებიდან იქნებოდნენ მომხსენებელნი, რომელნიც გააცნობდნენ დამსწრეთ კოოპერაციის მდგომარეობას ყველა რაიონებში, მაგრამ სამწუხაროდ არც ერთ რაიონიდან მომხსენებელი არ აღმოჩნდა; რამდენიმე მოხსენება ცალკე კოოპერატივებისა გადაეცა საორგანიზაციო ბიუროს, როგორც მასალა და ამგვარად კოოპერაციის მდგომარეობა კრებისთვის გამოურკვეველი დარჩა.

საორგანიზაციო ბიუროს მოხსენების შემდეგ, კრებამ დაადგინა ჩაეწეროს კავშირი წევრად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირში და შეიძინოს მოსკოვის სახალხო ბანკის არა ნაკლებ 10 აქციისა.

შემდეგ მიღებულ იქმნა საგანგებო კომისიის მიერ (კომისიაში შედიოდნენ: გოგებაშვილი, ტრუნოვი, დადიანი, გაბილაია, კანდელაკი, მხჩიანცი, აზატიანი და არდიშვილი) შემუშავებული ინსტრუქცია საბჭოსი.

პირველი დღე კრებისა ამ საკითხების განხილვით დამთავრდა. კავშირის

სამუშაო გეგმა, ხარჯთ აღრიცხვა და არჩევნები თანამდებობის პირთა მეორე დღეს 16 მაისს დამთავრდა.

კრებამ თავიდანვე სწორედ აღნიშნა კავშირის ფუნქციები საქონლის შეძენის და საერთო სავაჭრო ოპერაციების წარმოების შესახებ. თავისთავად ცხადი იყო, რომ კავშირი სრულებით ვერ გასწვდებოდა იმ დიდ სამოქმედო რაიონს, რომელიც იყო წესდებით აღნიშნული, რომ კავშირს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცია მსხვილი პარტიობით ვაჭრობისთვის და არ დაქუცმაცებულიყო წვრილმან სავაჭრო ოპერაციებით და ამიტომ საჭირო იყო შექმნა ისეთი ადგილობრივ დაწესებულებებისა, რომელთა შემწეობით კავშირი მიაწოდებდა საქონელს ცალკე კოოპერატივებს. ამ მოსაზრებით კრებამ კავშირის სამოქმედო გეგმის შესახებ ორი უმთავრესი დებულება მიიღო: 1. კავშირის სავაჭრო მოქმედებას პირველ ხანებში საფუძვლად უნდა ჰქონდეს უმთავრესად სააგენტურო-საკომისიო მოქმედება და სააღებმიმცემო თანხების განვითარების შესაფერისად, თანდათანობით უნდა მოეწყოს საწყობისა და სხვა დარგის ოპერაციები. 2. ამ საქმის განსავითარებლად საჭიროა: ა) დაევალოს ზედამხედველ საბჭოს, რომ გამომუშავებულ იქმნას ადგილობრივ განმანაწილებელ პუნქტების აღნიშვნა და შემუშავება და მოხსენდეს ეს დასამტკიცებლად რწმუნებულთა კრებას. ამგვარ პუნქტებათ შეიძლება იყვნენ ცალკე მომხმარებელი საზოგადოებანი, რომელნიც წარმოადგენენ ბუნებრივად ეკონომიურ ცენტრებს. ბ) ამასთან ერთად კავშირი თავის ინსტრუქტორების საშუალებით უნდა სცდილობდეს მოაწყოს განსაკუთრებული წვრილი რაიონის კავშირები და ამის მიხედვით თანდათან უნდა სპობდეს თავის პუნქტების მუშაობას. ვ) საინსტრუქტორო მუშაობა უნდა მიმართული იყვეს იქეთკენ, რომ მოეწყოს დამოუკიდებელი წვრილი სარაიონო კავშირები და სარევიზიო კავშირები.

ამგვარი დადგენილებით კრებამ ერთის მხრივ აღნიშნა, რომ კავშირი კოოპერაციის თანდათანობით ყველა საფეხურების განვითარების დაგვირგვინება კი არ იყო, არამედ შედეგი იყო აუცილებელ საჭიროებისა და როგორც ზემოდგან მოვლენილ ორგანიზაციას მას უნდა შეექმნა და განევითარებინა ის საფუძვლები, რომელზედაც თვითვე დაემყარებოდა შემდეგში, მეორე მხრივ სისწორით აღნიშნა კავშირის მუშაობის გეგმა, რომლითაც კავშირს უნდა მიეღწია თავის მიზნებისთვის.

პირველი კრების მიერვე იყო გათვალისწინებული მომავალი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კავშირისა. ამ მიზნით კრებამ დაავალა კავში-

რის საბჭოს და გამგეობას, რომ შეძლებისდაგვარად კავშირს მიეწოდებინა საზოგადოებებისთვის საჭირო წიგნები, აღმოეჩინა საინსტრუქტორო დახმარება, მოეწყო ლექციები და სხვა და სხვა.

დიადი და რთული საქმე დაუსახა კრებამ კავშირის მესვეურთ. ამასთანავე გარეშე რთული ეკონომიური პირობები კიდევ უფრო მრავალ დაბრკოლებებს და სიძნელეს უქადიდა კავშირს. მაგრამ შეკავშირებულ ძალების სიძლიერის იმედით აღჭურვილმა კრებამ აირჩია კავშირის თანამდებობის პირნი, რომელნიც თუმცა ახლად გამოდიოდნენ ეკონომიურ ცხოვრების სარბიელზედ, მაგრამ გამაგრებულნი იყვნენ კოოპერაციის ძლევამოსილებით, ჩააბარა მათ კავშირის სვებედი და თავის მუშაობა დაამთავრა დიადი მომავლის განხორციელების იმედებით.

პირველი წესდების ძალით კავშირის უმთავრესი მმართველი ორგანოები საზოგადო კრების გარდა იყო ზედამხედველი საბჭო, რომელიც იყო სრული პასუხისმგებელი საზოგადო კრების წინაშე და გამგეები, რომელნიც იყვნენ აღმასრულებელი ძალით აღჭურვილნი და ზედამხედველი საბჭოს თვალყურის დევნებით ანხორციელებდნენ საზოგადო კრების დადგენილებებს.

პირველი საბჭოს შემადგენლობა შემდეგი იყო: კ. პ. კანდელაკი, ვ. ი. როხლინი, პ. პ. გელეიშვილი, შ. ზ. გოგებაშვილი, შ. ა. ქარუმიძე, ს. ი. ცხომელიძე და ქ. ი. ზხჩიანცი.

გამგეები: ე. ს. დარჩია და დ. ს. კახელაძე.



კრიტიკა და გიბლიოგრაფია

მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში — ინუ. ვ. კაკაბაძისა. 1918 წ. Сборникъ законовъ, инструкцій и разъясненій по министерству земледѣлія. Составилъ — Л. Г. Асатіани. 1918 წ. საქართველოს ისტორია — ი. ფერაძე, ზოოლოგია — მ, ზაალიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია — ევ. ნიკოლაძისა. დემოკრატიულ სახელმწიფოს კონსტიტუცია — კ. დ. მიქელაძისა. 1918 წ. წერილები სხვა და სხვა ქვეყნების პოლიტიკურ წესწყობილებაზე — პ. საყვარელიძე. კავკასიის ქალაქი № 1, 1919 წ. Документы и матерьялы по внѣшней политикѣ Закавказья и Грузіи. 1919 г. მასალები რკინის გზათა ტერმინოლოგიისათვის — გზათა სამინისტროს გამოცემა.

მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში — ინუ. ვ. კაკაბაძისა. ნაწილი პირველი. ფასი 8 მან. ტფილისი, 1918 წ.

ავტორი თავის წინასიტყვაობაში სამართლიანათ ამბობს: „ამ დიად მომენტში ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქე ვალდებულია დაეხმაროს სამშობლოს მთელი თავისი ძალღონით, ცოდნით, ინიციატივით და საქმიანობით, რომ მით ხელი შეუწყონ დამოუკიდებელ საქართველოს მოღონიერების საქმეს. მისი თანამედროვე ცხოვრების ერთი უმთავრესი საჭიროებათაგანი, რომელსაც საჭიროა დიდი ყურადღება შივაქციოთ,—არის მრეწველობის შექმნა და მისი განვითარება. თუ ეს საკითხი სასურველათ ვერ გადავჭერით, თუ მრეწველობა ვერ შევქმენით და ავაყვავეთ, ამით მხოლოდ ჩვენ სივაგლახეს დავამტკიცებთ და საქმე ჩვენი დაღუპული იქნება.“ ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტებას ყურადღების მიქცევა უნდა, და არამც თუ მარტო ყურადღების, არამედ სათანადო გამჭრიახი ზომების დროზე მიღებას საჭიროებს. ეკონომიური ცხოვრების აყვავება—ქვაკუთხედია სახელმწიფოს კეთილდღეობისა და სიმტკიცისა და ამიტომაც ნერვებდაჭიმული და ენერგიული მუშაობა აუცილებელია ამ წერტილამდე მისვლისთვის. „ჩვენი ქვეყანა,—ამბობს ავტორი,—ისეთი ადგილია, სადაც განგებას თავისი უხვი კალთა დაუბერტყია. მას ბუნების სიმშვენიერით, სიმდიდრით და ნაყოფიერებით ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს მთელ დედამიწის ზურგზე. ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდებით ათასგვარ მადნეულობას, სამკურნალო—სასმელ თუ საბანაო წყლებს, თვალუწვდენელ მდიდარ ტყეებს, სამოთხისებურ გრილ და სუფთა ჰაერით დაჯილდოებულ საგარაკო ადგილებს“... და მეორე მხრივ კი: „ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენივე სიღატაკის და ეკონომიური მონობის წყაროთ გამხდარა. ჩვენი ქვეყანა მრეწველობის განვითარებით ძალიან დაბალ საფეხურზე სდგას...“ მაშასადამე: ერთი მხრივ: ბუნე-

ბრივი სიმდიდრე და მეორე მხრივ: ჩვენი სილატაკე. ჩვენში რომ მრეწველობა არაა განვითარებული ამას თავის დიდი მიზეზები აქვს და მეტად სერიოზული მიზეზებიც წარსულში. მაგრამ დღეს, როდესაც საქართველო, დამოუკიდებელი სახელმწიფოა,—როდესაც უნდა შეიქმნეს მკვიდრი საძირკველი ჩაკირული ეკონომიური სიძლიერით,—დღეს პირველი და უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიური საკითხების, როგორც თეორეტიულათ, ისე პრაქტიკულათ დამუშავებას.

თავის წიგნის შესახებ ავტორი ამბობს: „თუ ამ მცირე შრომით ორიოდე მკითხველს მაინც დავაინტერესებ მრეწველობის განვითარების საქმით ჩვენში, თუ სურვილს აღვუძრავ ხელი შეუწყოს და თანაგრძნობით მოეკიდოს მის აყვავებას, თუ საზოგადოთ ეს შრომა ჩვენი ქვეყნის უამრავ ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების საქმეს მცირე სამსახურს მაინც გაუწევს,—მე სრულიად დაკმაყოფილებული ვიქნები“. და ამ მიზნით ბ. კაკაბაძე შესდგომია მრეწველობის განვითარების საკითხის გარჩევას. საკითხს ავტორი არჩევს მარტივათ, უბრალოთ, ყველასათვის გასაგებ ენაზე,—ეს არაა სპეციალური გამოკვლევა სპეციალურ დარგში,—ესაა მიმოხილვა საქართველოს ეკონომიურ შესაძლებლობისა დღევანდელ მომენტში და მომავალში. ავტორი ჩამოთვლის და აღნიშნავს ამ შესაძლებლობას, ეკონომიური ცხოვრების განმტკიცების საჭიროებას. შესაძლებლობა კი დიდი და ფართოა: 1. ტფილისის მაზრაში სულფატიანი ადგილებია და შესაძლებელია მათი დამუშავების საქმე ეხლავე მოეწყოს. 2. მდიდარი ტყეები საშვალებას გვაძლევს ქაღალდის და წუმწუმის წარმოების შესაქმნელათ. 3. გოგირდის მადნები გოგირდის სიმჟავის ფაბრიკაციის და მასთან დაკავშირებულ წარმოებათა ასაღორძინებლათ. 4. ძვლისა და სასაკლაოს დარჩენილ პროდუკტებით ფოსფორის სასუქის მისაღებათ, ქვანახშირმნთებარე გაზის, სათბობ და სამოძრავებელ მასალის გასაჩენათ, არის ნიადაგი მიწის, ცემენტის, კერამიკულ და ჭურჭლების წარმოებისათვის, ქიმიურ-პრეპარატების დასამზადებლათ და ამისთვის საჭირო ბალახების და მცენარეების მოსაშენებლათ, ზეთის წარმოება, რძის მეურნეობა მსხვილ წარმოებისათვის, ღვინის დიდი წარმოება, საპნის წარმოება, ტყავეულობის წარმოება, თეთრი ნახშირის მიღება ანუ ჰიდრო-ტეხნიკური საქმის მოგვარება, აქედან მივიღებთ აზოტის სიმჟავეს, ციანამიდს და აზოტოვან სასუქებს და სხვას, კიდევ და სხვა მრავალი და მრავალი დარგი წარმოებისა, რაც მრეწველობის სულსა და გულს შეადგენს. დაწვრილებით ავტორს მოყავს ნუსხა და განმარტება ყველა წარმოებისა და პარალელი გაჰყავს სხვა ქვეყნებთან, სადაც ესა თუ ის დარგი მრეწველობისა შესაფერისათ არის განვითარებული. ჰკითხულობთ ამ მარტივად და უბრალოთ დაწერილ წიგნს, რომელშიაც სათანადოთ აღნიშულია ჩვენი მრეწველობის შესაძლებლობა და ავტორთან ერთად ასკვნით: „დიად დროში ვცხოვრობთ, ბევრი საქმე გვაქვს საკეთებელი და, თუ არ გვინდა მომავალ თაობის წყევლა-კრულვა დავიმსახუროთ, გვმართებს დიდი მხნეობა, გამჭრიახობა და საქმიანობა“... მაგრამ ავტორის რეცეპტი მრეწველობის ასაყვავებლათ და

გასაშლელათ ამ შემთხვევაში ნაკლებ სარგებლობას მოიტანს. სამრეწველო ამხანაგობათა და საზოგადოებათა დაარსებას და მოქმედებას, მართალია, ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს, მაგრამ სწორეთ ეს „დაარსება“ ნაკლებათ სჩანს ჯერ კიდევ, და კერძო პირთა ინიციატივა მეტათ მოისუსტებს და მოიკოჭლებს. ამ შემთხვევაში და ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობისათვისაც ჩვენი აზრით უმჯობესი იქნებოდა კერძო პირთა—აქციონერთა მაგივრათ, რომ საქმე დაეწყო და ეკონომიურათ ფრთა გაეშალა საზოგადოებრივ ორგანოებს, კოოპერატივებს და თვითმართველობებს. მათ ამ დარგში დიდი მომავალი აქვთ. რასაკვირველია, თუ თვით სახელმწიფო მოკიდებს ხელს ამ დარგს, მით უკეთესი იქნება, და მრეწველობის განსაზოგადოება და განსახელმწიფოება უდიდესი მოვლენა იქნება ჩვენს ცხოვრებაში. და ეს არც ისე ძნელი და გადაულახველია.

ბ. კაკაბაძის წიგნი საინტერესოა იმ მხრივ, რომ მარტივათ მკითხველს აცნობს ჩვენ ბუნებრივ სიმდიდრეს და გვიჩვენებს მათი გამოყენების შედეგებს. ეს წიგნი, ასე ვსთქვათ, შესავალი უნდა იყოს იმ სპეციალურ შრომის და სამეცნიერო გამოკვლევებისა, რომელსაც ჩვენი სიმდიდრე უცდის და რომელიც პრაკტიკულ წერაქვის ქვეშ უნდა ამუშავდეს. დასახული მიზანი ავტორს მარჯვეთ და სინდისიერათ აუსრულებია. წიგნი კარგათ და სუფთადაა გამოცემული, თუმცა შეიძლება იაფი არ იყოს სხვა გამოცემებთან შედარებით.

ლიკსუსი.

Сборникъ изданныхъ съ начала революціи по 1 ноября 1918 года, законовъ, инструкцій и разъясненій по министерству земледѣлія (положенія о земельныхъ комитетахъ, о конфискаціи земель и пр). Составилъ по порученію Министерства Земледѣлія Грузинской Республики юрисконсультъ м-ва земледѣлія присяжный повренный Л. Г. Асатіани. Цѣна 7 руб. Тифлисъ, 1918 г.

რევოლიუციის მრავალი დეკრეტი, კანონი, ახსნა-განმარტება გამოიცა და გაბნეულია სხვა და სხვა გაზეთებში და დაწესებულებებში. ამ მხრივ სამიწათმოქმედო კანონები და ინსტრუქციები საერთო ბედს ვერ ასცდა და მხოლოდ ამ კრებულით მივიღეთ ქრონოლოგიურათ დაწყობილი კანონთკრებული. სწორეთ ამ მხრივ ეს წიგნი საინტერესოა. აქაა მიწათმოქმედების სამინისტროს დარგისთვის გამოცემული კანონები და დადგენილებანი რუსეთის დროებითი მთავრობისა, ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტისა, ამიერ-კავკასიის სეიმისა და საქართველოს ნაციონალურ საბჭოსი. ამ სპეციალურ დარგის შესახებ კანონთა კრებულის გამოცემისათვის მადლობის მეტი არა გვეთქმის რა, მხოლოდ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ სამინისტროს, რომ ეს წიგნი დღეს უფრო საჭირო იყო ქართულ ენაზე გამოცემულიყო, რომ არა რუსულის მცოდნესაც და ამ კანონებით დაინტერესებულთ (ასეთი კი ბევრია) შეძლება ქონოდათ გაცნობოდენ მას. წიგნი შეიცავს 152 გვერდს და ფასი მისი 7 მანეთი ძვირათ არ ჩაითვლება.

Wictor.

საქართველოს ისტორია. შედგენილი ოზურგეთის გიმნაზიის დირექტორის ილია ფერაძის მიერ. თ. ა. მთავრიშვილის გამოცემა. ფასი უყდოთ 8 მან. ქუთაისი 1918 წ.

მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა; ორგანიული ბუნება; **ზოოლოგია.** ნაწილი მეოთხე. შედგენილი გორის სავაჟო გიმნაზიის დირექტორის მ. ზაალიშვილის მიერ. ფასი 7 მ. 50 კაპ.

ამავე ავტორის **ბოტანიკა.** ნაწილი მეორე. ფასი 7 მან. 50 კაპ.

საქართველოს ეკლესიის ისტორია. ევ. ნიკოლაძისა. თ. მთავრიშვილის გამოცემა; ფასი 5 მ. ქუთაისი 1918 წ.

მსოფლიო ისტორია. დაწყებითი კურსი ნაწილი II. საშვალო საუკუნოები. ალ. წერეთლისა. გამოცემა „განათლების" ამხანაგობისა. ფასი 2 მ. და 15 შაური. ქუთაისი. 1918 წ. და სხვა და სხვა სახელმძღვანელოები მრავალ ავტორთა.

უწინ ასე **იყო**: რუსეთის თვითმპყრობელობის წყალობით, რუსიფიკატორული პოლიტიკის მეოხებით ქართულ ენას სასწავლებლებში კარები დახშული ქონდა. პირველდაწყებითი შკოლები, სამოქალაქო შკოლები, ყოველი ტიპის გიმნაზიები და ყოველნაირი სასწავლებლები, სადაც 90% და უფრო მეტიც ქართველები სწავლობდენ, ისე იყო დაყენებული, რომ ქართულ ენას ერთი ან ორი „საცოდავი" ქართული ენის უხეიროთ დაყენებულ უბრალო გაკვეთილის მეტი არ ქონდა. ყველა საგანი ისწავლებოდა ბავშისთვის უცხო ენაზე და მახინჯდებოდა, გვარდებოდა ადამიანის აზროვნება და პიროვნება. განსაკუთრებული სიცხადით ეს გამოჩნდა დღეს, როდესაც ინტელიგენცია ქართულათ აზროვნებს და ქართულათ მუშაობს. ჩვენ აქ ვეხებით ინტელიგენციას **par excellence**, რადგანც კულტურულ ცხოვრებაში და სახელმწიფოებრივ შემოქმედებაში მას დიდი ადგილი უკავია დღეს, როდესაც რუსეთის რევოლიუციის შედეგათ მივიღეთ დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა—საქართველო, სადაც სახელმწიფოებრივი ენა—დედა ენა—ქართული ენაა. რა გასაკვირველია, თუ ძველ პირობებში ქართულ ენას ასპარეზი არ ქონდა: მას არ მოითხოდა არც შკოლა და არც სახელმწიფოებრივი სამსახური, და ამგვარ პირობებში არ იყო მოთხოვნილება შკოლისთვის დაწერილიყო ან გადმოთარგმნილიყო სახელმძღვანელოები. მაგრამ ქართული შკოლის შექმნისთანავე ეს მოთხოვნილება უზარმაზრათ გადაიქცა და წამოიჭიმა მეტათ ძნელი საქმე: ქართულ შკოლას ქართული სახელმძღვანელოები უნდა მისცემოდა. პირდაპირ ტიტანიური და თავდადებული შრომა უნდა გაეწიათ ქართულ შკოლისთვის მთარგმნელთ, რომ ეს საქმე სათანადოთ სისრულეში მოეყვანათ და სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში ამ შკოლის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებიათ. რევოლიუციის შემდეგ დაიწყო ეს დიდი და დიადი მუშაობა და დღესაც არ შეწყვეტილა იგი. გამოდიოდა და გამოდის მრავალი საჭირო სახელმძღვანელო ყველა დარგში. ამ მუშაობისათვის თავდადებაში არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ის ენერგია და უნარი, რომელიც ქუთაისის მასწავლებელთა კავშირმა გასწია და რამაც მეტათ ხელი შეუწყო მთავრიშვილის ამხ. და ოცხელის ამხ. წიგნის გამომცემლობამ. ჩვენ იმიტომ არ მოვიყვანეთ და ჩამოვთვალეთ ეს სახელმძღვანელოები, რომ

დაწვრილებით გაგვეშინჯა და გაგვეკრიტიკებია ისინი,—ნაკლს თვით საშკოლო ცხოვრება და მისი პრაქტიკა თამამათ გამოასწორებს,—ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ გასაკვირველ დიდ და დაუზარებელ ენერგიას, რომელიც მიმართული იყო შკოლის სავსებითი გაეროვნებისაკენ და დავასკვნით: ქართულ ერს სრულობრივ შესწევს ინტელექტუალური, მორალური, ფიზიკური და ეკონომიური ძალა, რომ თავის თავს თვით მოუაროს, თავის თავს თვით უპატრონოს და თავისი დემოკრატიული ხელებით განაგრძოს განვითარებული დემოკრატიის გულზე სახელმწიფოს აშენება და განმტკიცება სახელმწიფოსი, სადაც დემოკრატია ბატონობს და საითკენაც განათლებული კაცობრიობა მიისწრაფვის.

მოსკოველი

კ. დ. მიქელაძე: „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა“ (ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ). ფასი 3 მან. ტფილისი, 1918 წ.

ისე არასოდეს არ ყოფილა საჭირო სახელმწიფო უფლების შესახებ წერა და გამოცემა, როგორც დღეს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და იმუშავებს თავის არსებობის კონსტიტუციას. რევოლიუციამდე ჩვენი საზოგადოება ხელშეხებით იცნობდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების ერთ ფორმას და ფართო მასსა, გარდა პარტიულ ლოზუნგებისა და ისიც მხოლოდ ლოზუნგებისა, სრულიად არ იცნობდა სხვა კონსტ. ცხოვრებას. რევოლიუციამ ყველაფერი გამოცვალა და ძველი რეჟიმის მაგივრათ დემოკრატიულ სახელმწიფოში გადაგვიყვანა. რევოლიუციის პროცესში ჩვენ შევიქენით დამოუკიდებელი სახელმწიფო—საქართველო. ეს ისტორიული ფაკტები სათანადო გაშუქება-განმარტებას მოითხოვდა და ამიტომ საკითხები: რა არის დამოუკიდებლობა, რა არის კონსტიტუცია, დემოკრატიული რესპუბლიკა და მრავალი სხვა ასეთი საკითხი სახელმწიფოებრივ უფლებისა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა,—წინ წამოეჭრა მასსას და დაკმაყოფილება მოითხოვა. ამიტომ სახელმწიფო უფლების შესახებ ბეჭდვითი სიტყვის საშვალებით პროპაგანდა-აგიტაციის დაწყება და ფართო მასისათვის მეცნიერების ამ დარგის გაცნობა აუცილებელ მოვლენათ იქცა. რამოდენიმედ ამ მოთხოვნილებას პარტიული ლიტერატურა აკმაყოფილებდა, მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ იგი მას სავსებით ვერ ამოსწურავდა. ამიტომ მოლოდინში უნდა ვყოფილიყავით, რომ წიგნის ბაზარზე შესაფერი გამოცემა გამოვიდოდა და დაინტერესებულ მკითხველს მიიზიდავდა. ამ მხრივ საჭირო იყო სახელმწიფო საკითხების მარტივათ, უბრალოთ, გასაგებათ და გონებამისაწდომათ განხილვა. ჩვენი მკითხველი ფართო მასსაა და მას უნდა შეფარდებოდა ავტორის წერის უნარიც, თუ იგი, რასაკვირველია, ამ უნარზე პრეტენზიებს აცხადებდა. ბ. მიქელაძე სწორეთ ასეთ ავტორთ ეკუთვნის და მისი წიგნიც ბედკრული ცდაა საკითხის გადასაწყვეტათ. ბ. მიქელაძე თავის წიგნის წინასიტყვაობაში სწერს:

„პირველ შეხედულებით ადვილი გვეგონება ამ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა თვალსაზრისით და მოსაზრე-

ბით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ წესწყობილების ამორჩევაში. ამის გამორკვევა ადვილდება, თუ კი ამ დროს დავივიწყებთ საზოგადოების ცხოვრების პირობებს. მაგრამ, როდესაც ამ საკითხის განსჯის დროს თვალს გადავავლებთ იმ საზოგადოების ანუ ხალხის ცხოვრების პირობებს, ვისთვისაც გვინდა შემოვიღოთ ესა თუ ის მართველობითი ფორმა, შრომა რთულდება. ამ რიგად **ვიდრე ჩვენ ავირჩევდეთ რომელიმე ფორმას მართველობისას,** როგორც სასურველს და ხალხისათვის სასარგებლოს, საჭირო არის შევეხოთ და გამოვარკვიოთ ის საკითხი, თუ როგორი წესწყობილება არსებობს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში".

კარგი და პატიოსანი, რომ ეს მიზანი, თუ როგორი წესწყობილება არსებობს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში სათანადოთ და გარკვეულათ იყოს ჩამოყალიბებული,—ჩვენ ამ შემთხვევაში მადლობის მეტი არა გვეთქმოდა რა, მაგრამ სწორეთ საქმე ისაა, რომ ეს მიზანი ავტორს მიუღწეველათ დარჩენია და მხოლოდ გაკვრით და ირიბულათ შეხებია საკითხს. ავტორს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია უკვე გამომუშავებულ ტერმინოლოგიისათვის და თავის მხრივ ახალი ტერმინების პირდაპირი თარგმანით უზარმაზარი არეულობა და გაუგებრობა შეაქვს საკითხში. ავტორი ამასთანავე აზროვნებს რუსულათ და სწერს ქართულათ წმინდა რუსული კონსტრუქციით, რასაც მეტი ცუდი დაღი მიუცია მისი შრომისთვის. წიგნი ვერ არის დაწერილი ამგვარათ გასაგებ ენაზე,—თვით საკითხის მცოდნეს გაუჭირდება მისი გაგება და მით უმეტეს მასსიურ მკითხველს. ეს წიგნი დაწერილი უნდა იყოს ან საპარლამენტო საკონსტიტუციო კომისიისათვის,—ამ შემთხვევაში იგი ზედმეტათ და შეუსრულებლათ უნდა ჩავსთვალოთ, ან მასსიურ მკითხველისათვის,—და ამ შემთხვევაშიც იგი სრულიად მიუღებელია. ავტორმა საკითხი იცის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას გადმოცემა და განმარტება შეეძლოს. არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ, რომ „საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისათვის" ავტორის ეს „ზოგიერთი მოსაზრებები" მხოლოდ ზერელე მოსაზრებებათ რჩება და წესწყობილების ამორჩევაში ვერ გვეხმარება. როდესაც ავტორი ეხება ადგილობრიულ, ამიერკავკასიურ საკითხს, ამიერკავკასიის რესპუბლიკის ფორმას,—იგი გადაჭრით სწყვეტს, რომ „ამიერკავკასია მხოლოდ სიტყვიერათ იყო ფედერატიული სახელმწიფო",—ეს საკითხი ჯერ კიდევ სადაოა და ასე ხელმოსმით მისი გადაჭრა დიდი სითამამეა. ავტორი თვით საქართველოს მომავალ წესწყობილების შესახებ თქმაში ძუნწია და ეს ალბათ იმით აიხსნება, რასაც იგი სწერს თავის წინასიტყვაობაში.

წიგნი გამოცემულია სუფთად, მაგრამ მრავალი კორექტურული შეცთომებითაა შემკული. საერთოდ მკითხველი არას დაკარგავს, თუ ამ წიგნს არ „მოიკითხავს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში".

ბ. საყვარელიძე: **„წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე.** რესპუბლიკები: 1. საფრანგეთი, 2. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები, 3. შვეიცარია. ფასი 2 მანეთი. ტფილისი, 1918 წ.

— აი, წიგნი, რომელიც მე მჭირდება,—იტყვის მკითხველი, როდესაც ბ. საყვარელიძის წიგნს აიღებს ხელში.— ერთი გავიგო რა წესწყობილებაა ამ ქვეყნებშიო. და მართლაც წიგნის მყიდველი არ მოსტყუვდება და იმედი არ გაუცრუვდება.

ავტორს მიზნათ დაუსახავს „ქართველ მკითხველთ მოკლეთ გავაცნოთ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური წესწყობილება, და რადგანაც ჩვენი სამშობლო რესპუბლიკანური სახელმწიფოა, ჩვენც პირველათ ყოვლისა რესპუბლიკებზე შევჩერდებით და საფრანგეთიდან დავიწყებთო“. ავტორი პირნათლათ ასრულებს თავის თავზე აღებულ მოვალეობას და გასაგები, მარტივი და სხარტული ენით მკითხველს მოუთხრობს, თუ როგორი წესწყობილებაა საფრანგეთში, ჩრ. ამერიკის შეერთ. შტატებში, შვეიცარიაში. ეს წიგნი პირდაპირ აუცილებელია ყველასათვის და მკითხველს დაჟინებით ვურჩევთ შეიძინოს და გაეცნოს მას. წიგნი სუფთადაა გამოცემული და მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩვენ მოველით კიდევ სხვა ქვეყნების შესახებ დანარჩენ წერილების გამოცემას, რაც ასე საჭიროა დღეს ჩვენთვის.

ბ. ნიკრისელი.

ჟურნალი **„კავკასიის ქალაქი“** № 1. „საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის“ გამოცემა. ფასი 3 მანეთი, ტფილისი, 15 იანვარი, 1919 წ.

კუდმოკვეცილი ქალაქთა თვითმართველობანი, რომლითაც „გაბედნიერებული“ იყო ჩვენი ქალაქები არ მოითხოვდენ უსათუოდ სპეციალურ ჟურნალის გამოცემას,—ერობა ჩვენთვის ცის მანანათ იყო ქცეული და ამ საკითხს მხოლოდ საგაზეთო საპროპაგანდო ხასიათი ქონდა მიცემული. გასაკვირველი არ არის, თუმც ამით არ შეგვიძლია გავამართლოთ, რომ ჩვენში ქართულ ენაზე ნაკლები და მცირე ყურადღება ექცეოდა თვითმართველობის საკითხის გამორკვევას. მაგრამ დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფო—საქართველოში, სადაც მტკიცდება დემოკრატიული თვითმართველობა, აუცილებელი გახდა სპეციალურ ჟურნალის გამოცემა. ამგვარი ჟურნალის მიზანი ერთი უნდა იყოს: თეორეტიულათ საკითხის დამუშავება და პრაქტიკულათ მისი განხორციელება, თეორეტიულ საკითხებთან ერთად პრაქტიკულათ მისი დასმა და გადაჭრა. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის მიერ გამოცემულ ჟურნალს „კავკასიის ქალაქს“ და სხვა თვალსაზრისი აქ არც შეიძლება იყოს,—ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ ჟურნალი ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი არ არის. ჩვენ ამის მიზეზის გამოკვლევას არ გამოვუდგებით, ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ამ სამწუხარო ფაკტს. ჟურნალი უსათუოდ სუსტია. მას არა აქვს უნარი თეორეტიულათ საკითხები განმარტ-გაარჩიოს და მკითხველს დაკმაყოფილება მისცეს. მართალია, ჟურნალში იწერება

სპეციალური წერილებიც, მაგრამ სისტემატიური ხასიათი და საერთო მიმართულება აკლიათ. ამ მხრივ ჟურნალში უკეთესათ არის დაყენებული რუსული განყოფილება, ვინემ ქართული. არ შეგვიძლია ქართულ განყოფილების სასაყვედუროთ არ აღვნიშნოთ, რომ ქრონიკაც კი რუსულ განყოფილებაში უკეთ არის შედგენილი, ვინემ ქართულში. ამას მაინც რაღა უშლიდა ხელს?! საერთოდ არ შეგვიძლია ჟურნალს თავდაბლათ არ მოვეპყრათ, რადგან იგი პირველი ცდაა, მაგრამ ერთ გარემოებას კიდევ უნდა მივაქციოთ ყურადღება: რატომ ჰქვია ამ ჟურნალს „კავკასიის ქალაქი". უნდა გამოვტყდეთ, ვიფიქრეთ ამაზე და გასამართლებელი საბუთი ვერ ვიპოვეთ. დროა სახელიც გამოეცვალოს. ჟურნალი სუფთადაა გამოცემული და, თუ მხედველობაში მივიღებთ მის 96 გვერდს,—ფასი სამი მანეთი იაფიც არის. ვუსურვებთ ჟურნალს, რომ ენერგია გაეფართოვებინოს და ადგილობრივ ძალების გარშემოკრებით ფრთები გაეშალოს.

ვ. მოძველი.

Документы и матерьялы по внѣшней политикѣ Закавказья и Грузіи. Тифлисъ, 1919 г. Цѣна 35 руб.

დიდი რუსეთის დანგრევის შემდეგ,—როგორც ვიცით შეიქმნა პირველათ ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომლის დამბლას თან მოჰყვა ცალცალკე რესპუბლიკების დაარსება: საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი,—აი სამი უმთავრესი სახელმწიფო. რუსულ და უცხოეთის პრესაში დიდი განგაში გამოიწვია ყველა იმ მოვლენამ, რომელსაც ამ განაპირა კუთხის ცხოვრებაში ადგილი ქონდა. საერთო არევდარევისა გამო,—საზოგადოება, განსაკუთრებით ჩვენგან დაშორებული, მოკლებული იყო სარწმუნო ფაკტებს. ამით სარგებლობდენ ყოველი ჯურის მტრები და ათასნაირ საშინელ ჭორების და ცილისწამების მორევში სცთილობდენ განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის ჩახრჩობას. საქართველოს შეგნებული დემოკრატია როგორც ძალი და ღონე შესწევდა პასუხს სცემდა ყველა არამკითხე მოამბეს და მტრებს. მაგრამ უდიდესი და უმჭერმეტყველესი პასუხია აი ეს წიგნი, რომელის გამოცემა უსათუოდ თანადროული და ღირსშესანიშნავია. წიგნი, რომელშიც ხალასი ფაკტებია, წიგნი, რომელიც მხოლოდ ფაკტებით არის აღჭურვილი,—მეტათ საჭირო და აუცილებელი, უმნიშვნელოვანესი არის. ამ წიგნის გამოცემა პირდაპირი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა და არ შეგვიძლია დიდი მადლობა არ ვუთხრათ მის შემდგენელთ. წიგნი მართლაც მშვენივრათ არის შედგენილი.

ფაკტები იწყება ამიერკავკასიის მთავრობის შედგენის ხანიდან, ეხება კავკასიის ფრონტზე დროებითი ზავის ჩამოგდებას, ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების წარმოებას, შემდეგ ზავის დარღვევას, ტრაპეზუნდის კონფერენციის წინასწარ მზადებას, ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების გარშემო ამტყდარ ამბებს, ტრაპეზუნდის საზავო კონფერენციას, ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ბათუმის საზავო კონფერენციას, ამიერ-კავკასიის დაშლას, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, საქართველოს და ოსმალეთის მოლაპარაკებას, ხელშეკრულებას, საქართვე-

ლოს და გერმანიის შორის დამოკიდებულებას, სოჭის საკითხს და მოხალისეთა ჯართან დამოკიდებულებას, ინგლისთან ურთიერთობას, ამიერ-კავკ. კონფერენციას, ადერბეიჯანთან, სომხეთთან საკითხების გამორკვევას და სხვა. წიგნში ქრონოლოგიურათ არის ჩამონუსხული ყველა ოფიციალური ფაკტი, დოკუმენტები, დეპეშები, ნოტები, რეზოლიუციები, ოფიციალური დადგენილებანი, ოქმები, ხელშეკრულებანი და სხვა არაოფიციალური მასალაც, რომელსაც შუქი შეაქვს საკითხის გამოკვლევაში. როგორც წინასიტყვაობაში არის აღნიშნული ეს წიგნი არ წააგავს ჩვეულებრივ „ფერიან წიგნებს“, რადგან მასში „სახელმწიფოებრივ აკტებთან ერთად მოყვანილია არა მკაცრი ოფიციალური ხასიათის დოკუმენტებიც“. მეტათ ძვირფასი და პირდაპირ დაუფასებელია ეს წიგნი. ეს მთელი ისტორიაა და მოითხოვს ისტორიკოსს, რომელიც მარჯვე კალამით და მძაფრი, გამჭრიახი გონებით დაამუშავებს ამ ძვირფას მასალას და ისტორიას შესაფერისი გარკვევით და სინათლით ჩამოგვიყალიბებს.

წიგნი მეტათ კარგათ და სუფთადაა გამოცემული და ფასი მისი, როდესაც იგი სქელ ქაღალდზეა დაბეჭდილი და 514 გვერდს შეიცავს არ შეიძლება ძვირათ ჩავსთვალოთ.

ვ. ნოზაძე.

მასალები რკინის გზათა ტერმინოლოგიისათვის. გზათა სამინისტროს გამოცემა № 1. რკინის-გზის მოხელეთათვის სახელმძღვანელოთ. შედგენილი გზათა სამინისტროს სატერმინოლოგიო კომისიის მიერ. ფასი სამი მანეთი. ტფილისი 1918 წ.

ასე ხდება: იქ სადაც დიდი სახელმწიფოებრივი ენაა გაბატონებული და „ტუზემცები“ კი დევნა-შევიწროების ფარგლებში არიან მომწყვდეულნი,—იქ მკვიდრთა ენას გასავალი არა აქვს, არამც თუ სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, არამედ საზოგადოების იმ ნაწილშიც, რომელიც სახელმწიფო თანამდებობის ადგილზე არის გამაგრებული. წმინდა რუსიფიკაციული პოლიტიკა, რომელსაც დაჟინებით აწარმოებდა რუსეთის მთავრობა, საშვალებას და გასაქანს არ აძლევდა ქართულ ენას. ის განსაკუთრებით გაქელილი, დაღრჩობილი იყო სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში და რა გასაკვირია, თუ ქართული ენა თავის შემოქმედებითი ნიჭს ვერ იჩენდა. აი, მაგალითად რკინის-გზა, სადაც სულ უბრალო ტერმინები რუსულათ და დამახინჯებულათ იხმარებოდა ქართულ ენაში. და როდესაც ქართულმა ენამ მოიპოვა თავისი უფლება, როდესაც იგი საქართველოს სახელმწიფო ენათ გახდა და მოითხოვა თავისი უფლების განხორციელება, იგი შეუდგა საქმეს და შესაძლებლობის საზღვრებში დაამუშავა და დააქართულა ტერმინოლოგია. ეს მეტათ დიდი და ძნელი თავსატეხი სამუშაოა,—და დიდი ენერგიის გამოჩენაა საჭირო, რომ ეს საქმე საბოლოოთ გამარჯვებით დაგვირგვინდეს. ტერმინოლოგიის დამუშავება საჭირო არის ყველა დარგში და ზემოთ აღნიშნულ შრომასაც მიზნათ დაუსახავს რკინის გზაზე შესაფერისი ქართული ტერმინების შექმნა-განმტკიცება. თვით სატერმინოლოგიო კომისია სწერს: „ქართველი მოხელე საერთოდ და

რკინის-გზის უწყებისა კერძოდ სპეციალურ ტერმინების ცოდნის მხრივ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. სახელმწიფოებრივმა აღმშენებლობითი მუშაობამ მოხელისაგან მოითხოვა გარდა საგნის ცოდნისა, აგრეთვე ცოდნა ტერმინებისა იმ ენაზე, რომელზედაც უნდა დაწყებულიყო საქმის წარმოება.“ ამ მიზნით დაარსებულა სატერმინოლოგიო კომისია, რომლის შრომის № 1 უკვე ვიხილეთ. ძნელია ტერმინოლოგიური მუშაობა. ახლად შექმნილი ქართული სიტყვები, ან პირდაპირათ ნათარგმნი რუსული სიტყვები ყურს ეხამუშება ჯერჯერობით, მაგრამ ეს შეჩვევის და პრაქტიკის საქმეა. სატერმინოლოგიო კომისიას ბევრი უმუშავნია და მადლობის ღირსია. წიგნი სუფთად, კარგათაა გამოცემული და აუცილებელია არა მარტო სპეციალისტ რკინისგზელ მოხელესათვის. ვუსურვებთ, რომ მალე დაებეჭდოთ ამ შრომის გაგძელება № 2-ც.

დიდ აღმშენებლობითი და შემოქმედებითი პროცესშია გართული საქართველო და ყველა მოვალეა, ვისაც რით შეუძლია, დაამჩნიოს თავისი შრომის დაღი გაალმასებულ ეროვნულ ცხოვრების აღოძინებას.

ვინი.

სარედაქციო კოლეგია

შეცდომები.

გვერდი.		სტრიქონი.		დაბეჭდილია.		უნდა იყოს.
7	1	ქვევიდან		ჩანასხვილი		ჩანასკვილი
9	12	ზევიდან		აგებებდა		ეგებება
32	1	„		სოხუცი		მოხუცი
„	9	ქვევიდან		ღუმილია		დუმილია
35	11	„		მხიალულათ		მხიარულათ
48	3	ზევიდან		სიკდვილი		სიკვდილი
„	7	ქვევიდან		მაშინ ოჰ მაშინ,		მაშინ, ოჰ მაშინ,
64	3	„		იგინვე		იგინივე
187	2	ქვევიდან		საჭოირო		საჭირო
190	6	ზევიდან		წარმოებანი		წარმოებითი
„	11	ქვევიდან		რიცხვებზევე		რიცხვზევე
233	5	„		შევრით		შევრიოთ
234	5	„		ასეთვეს		ამასვე
235	7	ზევიდან		იმას		იმაზე

საძიებელი:

1

		გვერდი
ი. გრიშაშვილი.	ლოტოსი (ლექსი).	7
ლეო ქიაჩელი.	მკვლელობა კოხტა-გორაზე . . .	11
პოლიკ. კაკაბაძე.	სისხლი სინათლემდე	21
ნ. ლორთქიფანიძე.	ერთი დრამის ეპილოგი. . . .	43
სანდრო შანშიაშვილი.	შორეული დედოფალი ედ. როსტანისა (თარგმანი)	51

2

დავით კაკაბაძე.	**სამხატვრო წერილები:**	
	ჩვენი გზა	141
	სურათის პრინციპი	149
	ბექა ოპიზარი	154
	ძველი ტფილისი	163
	საქართველოს ღერბი	171
	ქართული დრამატიული სტუდია . .	175

3

მალაქია ტოროშელიძე.	სუბიექტივიზმი თუ ობიექტივიზმი . .	181
ა. ნემილოვი.	ნევროლოგიის სადავო საკითხები. თარგმანი **გ. კოკოჩაშვილისა** . . .	231

4

რ. არსენიძე.	პოლიტიკური მიმოხილვა . . .	277

5

შ. გოგებაშვილი.	კოოპერატიული მოძრაობის ისტორიიდან.	289

6

	ბიბლიოგრაფია.	305

რ ე პ რ ო დ უ ქ ც ი ე ბ ი:

— **დავით კაკაბაძე**. ნახაზობა. ძველი ტფილისი (3 ნახატი). —
— **ვლ. გუდიაშვილი**. შოთა რუსთაველი. —
— ტბეთის სახარების წინა ყდა. —
— წყაროსთავის სახარების ყდა. —

საწინაო და საბოლოო ნახატები, ჟურნალის კანის ნახატი და სათავო ასოები შესრულებულია დავით კაკაბაძის მიერ.